

114  
1960/3



# მნათობი

6

ნ 3 5 0 6 0



1960

## ღელა შალვაშვილი



მთები ლურჯტყვიანი, არე — უტყვი არე,  
 გული უტყვიარი, სმენა უტყუარი...  
 წყარო წმინდანივით მაღლით დაფარული,  
 ზეცა მოციმციმე ცვირით დაცვიარული;  
 მთები, თითქოს ფრთები, ზეცად ასაფრენი,  
 ხენი, თითქოს ხელი, ზეცად ასაწვდენი.  
 აქ მზეს წარმოუთქვამს ქება ქართულისა,  
 აქ მზე სამგზის მზიან მზერით გართულისა...  
 ჰაერს ამძლავრებენ ლურჯი ზამბახები,  
 თეთრი ქალწულების ნაზი განზრახვები...  
 შორს მთის წვეროებზე თეთრი ზვინებია.  
 თუ საბა დაღლილა და ჩამოსძინებია.  
 ყველა ფერია და ყველა ფერიაა  
 და ყველაფერია გრძნობით მისაფერი...  
 აქ შწამს სიყვარული... მჯერა ცისაფერი,  
 ზეცა მზის ნაფერი ნაზი ცისარტყელით...  
 ...ზეცა ვარსკვლავების ხელით დაწერილი,  
 ზეცა, მოციალე ცრემლით დაცვიარული..  
 ყველა ცხადია და... მაინც ზღაპრულია,  
 დეკემბერია და... მაინც აპრილია...  
 გული ათასერთგზის გრძნობადართულია  
 რადგან ყველაფერი კარგი, ქართულია.

## კამკამა ზეცა

ზეცა ისეთი კამკამაა  
 აღარ დაგვირდება სარკე...  
 ახლა გვიანაა საკმაოდ.  
 აქეთ, სიყვარულო, აქეთ.  
 ტეხურა ისე კამკამაა,  
 ცას არ დასჭირდება სარკე...  
 მთვარეს მდინარის აკვანში  
 სძინავს და... ტალღები არწევს.  
 სულ არ მეძინება ამ ღამეს,  
 აქეთ, სანატრელო, აქეთ...  
 ჩემი თვალები კამკამაა,  
 აღარ დაგვირდება სარკე..



# მ ნ ა თ მ ბ ი



ქრველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 37-ე

№ 6

ივნისი, 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლებს კავშირის ორგანო

8037

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ირაკლი აბაშიძე — ფესვები, ლექსი . . . . .	80
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომანი წიგნი მეორე. გაგრძელება . . . . .	3
ნარიაშ ვარაუდი — გარღვეული მიჯნა, რომანი, ნაწილი პირველი . . . . .	4
ოთარ ჭელიძე — ლექსები . . . . .	32
ჯანსუღ ნარკვიანი — ლექსები . . . . .	47
ანტონ დე სენტ-ეგვიტერი — პაწია უფლისწული. თარგმანი ფრანგულიდან ქ. ჩოჩიასი . . . . .	50
დედა შალვაშვილი — ლექსები . . . . .	51
ედუარდ ბაგრატიონი — უკანასკნელი ღამე ლექსი, თარგმანი ოთარ ჭილაძისა . . . . .	80
მანან ტუფანი — ლექსები, თარგმანი ლადო სულაბერიძისა . . . . .	82
	85

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზ. გარბაშვილი — შენიშვნები რეალიზმის თეორიის ზოგიერთ საკითხზე . . . . .	86
გორგი აბზიანიძე — ლევან ასათიანი . . . . .	93
<b>ლივან ასათიანი</b> — უბის წიგნებიდან . . . . .	97
ლილია მეგრელიძე — აკაკის ქუთაისი . . . . .	105
გორგი ზუნაშვილი — შერი ძიება, შერი სიახლე! . . . . .	107
მ. კვეციანი — ფიქტური იდეები ვარცა-ფშაველას შემოქმედებაში, წერილი მეორე . . . . .	114
გ. მეგრელიშვილი — ქართული რევოლუციური პოლიტიკური აზრის ისტორიიდან . . . . .	122
კ. ბაქრაძე — ქუმბარტების მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესახებ . . . . .	130
პროკოფი რატანი — ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან, გაგრძელება . . . . .	138
მ. ავაჯანოვი — ვერხავეი საქართველოში . . . . .	147

ბ. მეორე გვერდზე



ლიბრატორული მემკვიდრეობა

ვაჟულ ბერიძე — ვეფხისტყაოსნის ლექსიკა . . . . .	154
გრიგოლ მაჭავარიანი — დანიელ ჭონჭაძე . . . . .	156
ა. შეტრეველი — ლადო აღინაშვილი . . . . .	159
ვ. დონაძე — ნ. ნიკოლაძე რუსეთ — საქართველოს ურთიერთობის შესახებ . . . . .	163
ივორ ზოგოპოლიცი — იაკობ პოლინსკის სტატისტიკური ძიებანი საქართველოში . . . . .	174

ხელოვნების საკითხები

ჩ. კუზნეცო — თანამედროვე კერამიკის ახალი სტილისტური თვისებები . . . . .	178
---	-----

წიგნების მიმოხილვა

ილია შაისურაძე — ნელნაწერთა ინსტიტუტის შრომები . . . . .	181
გრ. იმნაიშვილი — საენათმეცნიერო შრომების ახალი კრებული . . . . .	184
ივ. ენიკოლაიშვილი — დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართული საზოგადოებრიობა . . . . .	187
შალვა კვასხვაძე — ქართული ზღოთმოდღერება . . . . .	189
გურამ მათიაშვილი — თურქი შწერლის რომანი სახალხო გმირზე . . . . .	190
ახალი წიგნები . . . . .	ვარკიანის შესაშვ გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

ს ა რ ე დ ა ქ ც ი თ კ ო ლ ე გ ი ა

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),  
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ბეღმთწერილია დასაბეჭდიდ მ/VI-60 წ. ქალაქის ზომა 70×108, ანაწეობის ზომა 71/4×121/2  
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირთბით ფორმათა რაოდენობა 16. უე 03715.  
ტირაჟი 6700. შეკვეთა № 1279.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფვაშომცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

## ირაკლი აბაშიძე

☆

### ფ ე ს ვ ე ბ ი

გადავუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...  
ჯერ ალიზისფრად,

ქვიშისფრად,

ერთფრად

მოსდევდა ქვემოთ ტრამალს ტრამალი,  
თითქო სიცოცხლის ფესვ-ნატამალი  
მოესპო ხვატის მახვილს მძვინვარეს...

მერე უეცრად

შუამდინარეთს

გადეკრა ფარჩა დილის მზისებრი...

გამოჩნდა ლურჯი ოაზისები,

გამოჩნდა გზები,

ზღაპრად ქცეულის,

ძველის, უხსოვარ ათასწლეულის.

გადავუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...

და ძირს,

ქცეული ნაცრად და ფერფლად,

განათდნენ უცხო ფოლიანტები —

ურარტუს თეთრი გოლიათები,

ციხე-კოშკები ძველ-სამხრეთული,

ძველ-შუბერული, ძველი ხეთური;

დალაგდა თეთრად,

ზღაპრად დალაგდა,

ავღლები ქალდეს გამჭრალ ქალაქთა.

გადავუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...

მიწიდან ცისკენ,

ვარდისფრად,

თეთრად

დადგა იმ გამჭრალ კვამლის სვეტები,

უხსოვარ ბანზე დაფრთხენ მტრედები,

შარებზე გაჩნდა ნიავქარული

ელამთა ზღაპრულ ცხენთა თქარუნი

და თრთოდნენ,

თრთოდნენ ნაცრადქცეული

ფესვები ჩემი ათასწლეული...

ქცეული ნაცრად, ქცეული ფერფლად...

გადავუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს.



## ჯარისკაცის ქვრივი\*

ბრძანა

წიგნი მთლიანად

### თავი ორმოცდამეხუთე

პეტრემ დაბინდებამდე გასწია თაღ-რიგი: მარგალიტა მოანგარიშეს ახალი ტიკი გამოართვა, საგულდაგულოდ გამოიძია, შიგ რამდენი ჩადისო, ერთხანს იყურა და რაკა შეატყუო, ახლა კი დროა, ზაქარა უკვე შინ იქნებაო, ვაზე-თში შეხვეული ტიკი იღლიაში ამოიჩა-რა და ეზოს ჭიშკარი გაიხურა.

— სად მიდიხარ, პეტრე, მაინც, არ იტყვი? — ვაზე გამოჰყვა დაეჭვებული ელქი.

— რა შენი საქმეა — დაუღრინა ცოლს პეტრემ.

— სირცხვილს არაფერს გადაგიდო თუ არა... მეყოფა მე!

— რა გეყოფა, ქალი — პეტრე მობ-რუნდა და ცოლს დამცინავი თვალეზი მიაპყრო.

— მეყოფა შენი უსაქციელობა.

— შედი, შედი ეზოში! — ეს სიტყვები პეტრემ დაუფარავი ზიზღით წარ-მოსთქვა.

— პეტრე!

— რა გინდა!

— ღვინო არავის გამოართვა, იცოდე. მაგის გასასტუმრებელი სახსარი შენ არ გაქვს, შიშველ-ტიტვლები ვყრივართ აგერ.

— თუ ყრინართ, ეყარეთ, უყურე ამას!

ცოლის წუწუნისათვის პეტრეს ყური აღარ უგდია, შარავნა თქარათქურით გა-

იარა და სოფლის კოოპერატივთან ქვე-მით ჩაუხვია.

— თინია! — რამდენჯერმე დაიძახა ზაქარას ჭიშკართან; „რად უნდა ამხელა ალაყაფი, ამხელა ალაყაფი ყაფლან წე-რეთელსაც არ ჰქონდა! ერთი კარის ეკლესია აკლია ახლა!“ — ფიქრობდა თან.

ჭიშკარი თინიამ გაუღო.

— სად არი, გოგო, მამაშენი?

— არ მოსულა.

— სად არი?

— შეიძლება თოფილა ბიძიას წაყვა მაყვალასთან.

— სადამოს გადმოდიო?

— არ ვიცი, ბიძია.

— აჰა, ეს ტიკი!

— ჩვენია?

— თქვენი კი არა, შემინახე! ეგნატეს-თან ჩავირბენ და ახლავ ამოვივლი. ზა-ქარას უთხარი, კაცს რო დაიბარებ, ქე უნდა დახვედეთო, გესმის?

გოგონამ თავი ჩალუნა და მხარზე გა-დმოგდებულ წაბლისფერ ნაწნავის ბოლოს ორივე ხელით დაუწყო ჩიჩქნა.

ეგნატეს ჭიშკართან პეტრე არ შეჩე-რებულა. გავლისას ნამალევედ შეათვა-ლიერა ეზოც, მოსტანიც, კარის ვენახიც. სიესივამეები არ ჩანდნენ.

„სად ეშმაკში გადაშენებულანი!“ — გაიფიქრა პეტრემ.

უკან დაბრუნება იუკადრისა. უნდოდა მასპინძელს დაენა-ხა და თავად შეეწვია ეზოში. ცოტას გავიღ-გამოვივლი და ოციოდე წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდებიო, — გადაწ-ყვიტა ბოლოს.

გზის მარჯვენა მხარეს, მგონი ეგნატეს ეგნახის ყორესთან, ნაჯახის მოზომილი ჩახუნი ისმოდა. ვილაც ძირეულ ხეს ჰკრიდა, იქ კი, პეტრეს კარგად ახსოვდა, მოსაჭრელი არაფერი იყო.

გზას ფეხაკრფით გაჰყვა. ნაჯახის ჩახუნი ეგნახის მეორე კუთხიდან მოდიოდა.

— ეე! — რიბიანად დაიყვირა პეტრემ და შეჩერდა.

ნაჯახის ზომიერი ჩახუნი არ შეწყვეტილა.

„უყურე შენ, არც მებუღებ!“ პეტრე ყორეზე შეხტა. ყორეზე შემოხტომისას კინაღამ ეკალს წამოაგო თვალი, მაგრამ ეგნახში მიინც გადავიდა.

ეგნატე ყორეში ამოსულ თელას მისდგომოდა, ოღნავ წინ გადხრილიყო და მარჯვენა ხელით იქნევდა ნაჯახს.

— რომელი ხარ. რას შერები მანდ! — ფხიზელი მეველის თავზარდამცემი ხმით დასკვივლა პეტრემ.

აქოშინებული ეგნატე შეჩერდა, ნაჯახი ხეში ჩასტოვა და გატანჯული კაცის სახე მოაბრუნა.

— უჰ, ეგნატე ხარ? — ყასიდად გაიოცა პეტრემ, — მე ვთქვი, ვინ არის. თელას ჰკრი?

ეგნატემ არა უბასუხა რა, კვლავ ნაჯახს მიუბრუნდა.

— ძალიან მარჯვე კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! — პეტრე შორიახლო გაჩერდა და თვალს ადევნებდა ნაჯახს, რომელიც ხანდახან ისე ღრმად ჯდებოდა ხეში, ეგნატე ძლივს ახერხებდა მონაცვლებას, — ცალხელი კი არა, ორი ხელის პატრონიც ცოდვია ამისთანა მძიმე სამუშაოზე. იმ მეორეს სულ ვერ ხმარობ?

— თუ ეხმარობ, ვერ ხედავ? — ეგნატე ნაჭლევეში გაკვეთებულ ნაჯახს ეგაჯგურებოდა, — ფუ, გაგიწყრა ჩემი გამჩენი!

— აჰა, ცალი ხელით მოჭერი, კაცი, ეს?

ეგნატემ ნაჯახი მოუნაცვლა და ახლა ქვემოდან შემოჰკრა ნაჭდევეს. ხეს ხელის სიფართო თეთრი ნაფოტი ავარდა

და პეტრეს ფეხებთან დაეცა ფხვიერ მიწაზე. პეტრემ ნაფოტი აიღო.

— შენ ყოფილხარ კაცი, ძამია!

— ცოტა გვერდზე მიდევით.

— მე ვთქვი, ვინ არის, რას ჰკრის, შენ სულ არ მეგონე სახლში.

ეგნატე დაღლილი იყო. სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი.

— რა გეჩქარებ, დილას მოათავე, — ურჩია პეტრემ და ერთი მძიმე ნაფოტი კიდევ აიღო, — დილას მეც გადმოვალ, მოგეხმარები.

— მაგარია! — თავისთვის თქვა ეგნატემ, ბანცალით გაჩერდა და ოფლი მოიწურა.

— დაეგვი, დაეგვი, დაისვენე! , ეგნატემ ნაბღის ქულა მოიხადა, შუბლზე დაწებებულ თხელ თმაზე ასეა და ხის ძირას დაჯდა.

„ამყარლებულ გუნებაზეა,“ — გაიფიქრა პეტრემ.

ხე ნახევარზეც არ იყო მოჭრილი. ბინდუნდში თეთრად კიაფობდა ირგვლივ მიმობნეული ნაფოტები. პეტრემ კენწეროს ახედა- ხე ოღნავ იხრებოდა გზის მხარეს. „სანდობი მაინც არ არის, — წაქცევის მიმართულება ივარაუდა, — თუ იქიდანაც არ დაუტლო, შეიძლება ეგნახში გადმობრუნდეს.“

ეგნატემ ჯიბე მოიჩხრიკა, ფენა-ფენა დაწყობილი საპაპიროსე ქაღალდი ამოიღო, ზედა ფურცელი წააგლიჯა და პეტრეს გაუწოდა.

— წიგ თუ? — პეტრე ჩაცუცქდა, ქაღალდი გამოართვა.

ეგნატემ თუნუქის ბრჭყვიალა კოლოდიც მოაყოლა ქაღალდს, გახსნა და წინ დაიდო.

— შენ არ ეწეოდი? — პეტრე წვრილად დაჭრილ თუთუნს მისწვდა, — ვაგინეო?

— აილე, აილე!

აილო პეტრემ თუთუნი, ქვემოდან სიფრიფანა ქაღალდი მოუმარჯვა.

— შენი ფიქრით, გზისკენ წაიქცევა? — ჰკითხა ეგნატეს მცირე ღუმლის შემდეგ.

ეგნატემ მუხლებს შუა მოქცეულ



ასანთის კოლოფს ღერი გაჰკრა და უსწორმასწოროდ შეხვეულ პაპიროსს მოუკიდა.

— ახლა დაანებე თავი, მაინც არაფერი ჩანს, — განაგრძო პეტრემ, — დილას ჭაჭვს გადმოვიტან და კენწეროში ჩავაბამ. თუ გზის მხარეს არ გადაეჭაჩეთ, შეიძლება ვენახში წაგვექცეს. ეგნატემ თუთუნი გააბოლა და მიწას ჩააქვრდა.

— ქე შემღერი თუ? — თითქოს აქამდე ვერაფერს ხედებოდაო, წამოიძახა პეტრემ.

ეგნატი!

— რა გინდა?

— ქე შემღერი თუ?

— არც გემღერი და არც...

— შე მამრალი ბარუსის გადაკიდებას? ა, ორი კაცი ვართ აგერ, სხვას ხომ არავის ესმის ჩვენი ლაპარაკი. გულზე ხელი დამიდგია: უბრალო ვარ მე მაგ საქმეში. როდის იყო, ღმერთო მომკალი, ბორისის აენაჩავანი ვიყავი! რაც შენ გიქნა, იმაზე უარესს მიშვება ახლა, თუ ვაცალე. თავს არ შევაკუმევე, ეგნატი, ეს იცოდე. შენსავით კი არ წაფუწეები. მოკვდეს პეტრე მიროტაძე მაშინ! ეგრავა ჩაიდევე გულში, არა გრცხვენია? სახატოში პატარა შელაპარაკება მოგვივიდა, რა ვუყოთ მერე, ძმა ძმას არ წაკიდებია?

ეგნატემ მხრები იჩიჩა.

— კანონიერი იყო შენი მოხსნა? — უფრო მეტი გააფთრებით აანაგრძო პეტრემ, — ა, ორი პატიოსანი კაცი ვართ აგერ და ვთქვათ. უკანონო იყო! მთელი სოფელი დაამტკიცებს ამას!

— ეჰ, ჩემო პეტრე, მე არ ვიცი, კანონიერი იყო თუ უკანონო? — მოლბა ეგნატი.

— აა, რისთვის წამოვიჯინოთ, ადამიანო, თავზე, გაწყვა კაცი? მაგის მეტს აღარავის შეუძლია შეურნეობის გაძლოლა? ა, მე და შენ ვართ აგერ და თქვი!

— მე ვერაფერს გეტყვი, პეტრე, სხვის საქმეში ვერ ჩავერევ.

— ახლა... — წამით შეეყოყმანდა გაფიცებული მიროტაძე, — სოფლის საქ-

მე თუ სხვისი საქმეა და შენ არ გეხება...

— ჩემი პატარა საქმე გეხება შე. დაპაისრებენ, ვადაკეთებ, რაღაც საქმედე გამოვიკეთებია.

— თუ ვააკეთე, ვინ დაგიმადლა!

— რა ვუყოთ, ხალხმა ხომ იცის.

ეგნატემ ელაში თვალები ააფახულა, წამოღდა, მიწაზე დაგდებული ნაჯახი აიღო და ქამარში გაიჩარა.

— მიხვალ თუ?

— წავალ აწი, დაღამდა.

— ჯარჯს არ დააღებ ყორეს?

— დავადებ. აქ გადავხტები? — ეგნატი იელის კონას დასწვდა.

— იმის რა ვქნათ? — მაინც არ ეშვებოდა პეტრე.

— რის?

— ბარუსის საქმის...

— როდის იყო, ბარუსის საქმე მე მეკითხებოდა!

— შემარყევს ეს ხალხი პირდაპირ!

— გადადი, გადადი თუ გადადიხარ.

ეჰ, რაც სხლა ჩემთან თქვი, სხვაგან არსად წამოგვდეს, თუარა ხომ იცი!

— ამას უყურე!

— ჰო, ჰო, მართლა გეუბნები.

— ტყუილა მქონდა შენი იმედი?

— ამისთანა საქმეში ამხანაგად ვერ გამოგადგები.

— ვაი, შე მართლა ლობიო!

— გადადი, გადადი!

— ნეტა სახლსაც დაგანგრევდეს თავზე, მე ის არ ვიდარდო!

— აგრე ქენი.

— მე რა მენალელება, შენთვის ვცდილობდი თუარა...

— მადლობელი.

— რა დღეა დღეს?

— დღე კი არა! რა ვიცი...

— იმ სამშაბათს ჩემსა ხარ.

— შენსა რა მინდა?!

— ის აპატიეობ, კაცო, დაპატიეებაც გწყინს?

— ჰოო, — ეგნატემ შეატყო, პეტრე განზრახ ითრევდა ფეხს, ხერგი მისწიმოსწია, ნახევრად მოჭრილი თელის უკან ბანცალ-ბანცალოთ გაძვრა და მოშიშვლებულ ყორეს ჯარჯი დაადო.

— არ მომატყუო, იცოდე! — შეახსენა პეტრემ, — სამშაბათს, ასე მზის ჩასვლისას...

— ვნახოთ.

— ვნახოთ კი არა, უნდა მოხვიდე. ზაქარა მეყოლება ტოლუმბაშად.

ეგნატემ ჯარჯი გაასწორა, გაჯევილი ბალახი ფეხით მოჩხრიკა თელის ძირას, ხომ არაფერი მრჩებოდა, მერე ისევ ვენახში ამოზობლდა და ნაპირნაპირ აუყუა ვიწრო ბილივს.

ლურჯი საღამო იყო. მოსარკულ ცაზე წვრილად ციმციმებდნენ ფეტვის მარცვლებივით გაბნეული ვარსკვლავები. დასიციხულ მიწას აღმური ასდიოდა, თუმცა ქვენა ქარი ამოსულიყო და ვენახის პირას ჩაყოლებული თელისა და კაპრის ფოთლები შემპარავად აეშრიანებინა.

ეგნატეს ნაჯაფი მკლავი უხურდა. დაუქმებულ ხელს ძლივს მიათრევდა. ღამის ნიავი მაინც შვების მომგვრელად ელაციებოდა შუბლზე. ვენახის თავში ასვლისას სინათლე დაინახა. ეს სინათლე პალატის ღია კარიდან გამოდიოდა, გვანცა, ალბათ, ვახშამს შლის, თვალი ვენახის კიშკარზე უჭირავს.

ეგნატემ ჩაახველა, კიშკარი მიძიმედ, კრიალით გაიღო.

„ეს საღაა წავიდა! — უცებ თელის ქვეშ დატოვებული პეპიჩა მოაგონდა, — წავიდეს, ლაყობის თავი მაქვს ახლა?“ ეზოში შესვლისას მაინც სიმარტოვე იგრძნო. შინ არ შეუხვევია, ეზო გაიარა და საურმე კიშკართან გაჩერდა.

ქვემოდან ვილაც მოდიოდა. ეგნატეს ჯერ ცხენოსანი ეგონა, მგზავრი ისე მაღალი მოეჩვენა. ბოლოს პეტრე იცნო და ჩაახველა.

— ეი! — დაიძახა მიროტაძემ.

— პეტრე ხარ? — შეეხმიანა ეგნატე.

— ჰო, მე ვარ.

— სად წახვედი, მე მეგონა, უკან მომეყვებოდი.

— ზაქარასთან მაქვს პატარა საქმე და...

— შემოდი, თითო კიჭა ღვინო დავლიოთ.

— დიდი მადლობა, ჩემო ეგნატე, ზაქარა მიცდის თურა... — პეტრე კიშკარს გაუსწორდა და წამით შეჩერდა, — ცოლისძმას მოველი ზესტაფონიდან, არ ვიცი, რა დროს დამეცემა.

— ვის მოელი?

— ცოლიძმას...

„ვინ ცოლიძმას!“ — გაიფიქრა ეგნატემ, პეტრეს კინლაძე ჰკითხა, რა უნდაო-

— სულელია, ჩემო ეგნატე, ზოგიერთი ახალგაზრდა, — მიროტაძე კიშკრის ლარტყას გადმოეყუდა, — სულ არ იცის ზოგმა თავის ყადრი. იმის ხნის ვიყო, გზა ხსნილი მქონდეს — ვაი დედასა! — ნაქმარევე ქალს გადაეყვიდები, ისიც სამი შვილის პატრონს?

ეგნატეს უქველოდ ამოვარდნოდა მეხსიერებიდან ყველაფერი, პეტრეს ჩურჩულს ყურს უგდებდა და აზრათაც არ მოსდიოდა, რომ ახლა, სწორედ ამ წუთში, ავყია მიროტაძე საიდუმლოს უმხელდა.

პეტრეს მოლოდინი გაუმტყუნდა: ეგნატე ორნაფადაც არ აულღელებია ახალ ამბავს, ერთი წვრილმანი რა არის, ისიც არ უკითხავს.

მასულელებს თუ მართლა ტყუილს უგონებენ? — გაიფიქრა პეტრემ, — მოდი და ამის მერე დაუჯერე ხალხის ენას!“

— აბა, არ მოიციდი? — მიკნაგებულ ხმით იკითხა ეგნატემ.

— გავში მე, ძილი ნებისა!

— იცოცხლე!

— მამა! — სახეატკლევცილი გვანცა ღერეფანში გამოსულიყო. თავისი ხელით შეკერილი ჯიბეებიანი წინსაფარი შეწვინდა. თმა ნამდვილ დიასახლისივით აეკრიფა და ჩითის ნაჭრით გაეკერა. აყვავებული ნუშივით იღგა ღერეფანში.

ეგნატემ თვალი ვერ მოსწყვიტა ქალს, მერე სალი ხელი ზანტად წაიღო უკან, ნაჯახს ყუის მხრიდან მისწვდა და ქამრიდან ამოიღო.

— ვინ იყო? — ღერეფანში შესვლისას ჰკითხა ქალიშვილმა.

— არავინ, პეტრე.

— ჩვენი?



— ეშმაკის... ჰო.  
— მოჭერი?  
— ცოტა გამჩნა. რატომ არ ჩამოხვედი?

— სტუმარი იყო.

— ვინა?

— ზურია, წიგნი მოიტანა...

ეგნატემ მძიმედ შეხედა ქალს და ნაჯახი კართან მიდგმულ საუჯირკე გოდორში ჩააყუდა გვანცა კარგა ხანს წრიალებდა მამის გარშემო. ეგნატეს მეტი არაფერი უთქვამს, დერეფნიდან სამფეხა სკამი გაიტანა და ეზოში დაჯდა.

— მანდ რა გინდა, პალატში შემოდდი! — საყვედურივით წამოსცდა გვანცას.

— ცოტა ხანს ვიქნები, სუფთა ჰაერია.

— ხელ-პირს არ დაიბან?

— დაეიბან მერე.

გვანცა გაბრუნდა და მალე პალატის კარს უკან მიიშალა.

### თავი ორმოცდამეშვიდი

ეგნატე გაყუჩებული იჯდა ეზოში. ყურს უგდებდა ღამის სიჩუმეს. თავზე რაღაც ფრინველმა გადაფრთხილა. უხილავ ფრთოსანს განათებული დერეფნის შეეშინდა და შხუილით აიჭრა პაერში. ეგნატემ თვალი გააყოლა სივრცეს. ვარსკვლავები დამსხვილებულიყვნენ. შაბიამნისფერი ცა ნაწვიმარ ვენახსა ჰგავდა. ბრღლივალა ვარსკვლავები ვახის ფოთოლზე დამსხდარ წვიმის წვეთებივით ციგლივებდნენ...

ეგნატეს გაახსენდა: რამდენი ასეთი წყნარი ღამე გაუტარებია მთაში, რამდენი უარესიც უნახავს...

ერთხელ ბაკს მგლები მოადგნენ. მაშინაც ვარსკვლავიანი, ნათელი ღამე იყო. მწყემსები კარავში იწვნენ, ფიცარნაგზე. მგლების ყმუილმა ყველა ზეზე წამოჰყარა. მგლები ტყის მხრიდან აწვებოდნენ ბაკს. საქონელი გადაირია. კინალამ რქებით გამოფატრეს ერთმანეთი. მწყემსებს მხოლოდ ერთი თოფი ჰქონდათ, ისიც ცალპირი. ერთი თოფით აბა

როგორ მოიგერიებდნენ ამდენ ნადირს! მგლების დასაფრთხობად ყვირილი ატყუნეს. ყვირილმა საქონელი უფრო დააფრთხო. რამდენი გულისტრიალი გადაიტანა მაშინ ეგნატემ! მწყემსები ისე გაერივნენ საქონელში, თითქოს აქ ხარძრობა კი არა, წვრილი ცოლ-შვილი ჰყოლოდათ ჩამწყვდეული. ჰუ, რა ამბავი იყო! ხმას გაავიწყებდა ვისმე თუ? საქონელს ვინდა ჩიოდა, ვითუ ვადარეულ პირუტყვს თავად მწყემსები გადაეჯეგა და ბაკი გაერღვია.

დილამდე იცადეს მგლებმა. წაბლის ძირას დაყუნცულები მოუთმენლად აღევნებდნენ თვალს ბაკში ატყბილ აურზაურს. ვათენდა თუ არა, პირი იბრუნეს და საითათოდ შეილაღნენ ტყეში. იმ ღამეს თეოფილე ლაბაძისათვის ფერდი გაეგლიჯა ბუღას. თითო მარცხს არც სხვები გადარჩენილან. ეგნატეს ხარმა დაადგა ტერფზე ფეხი და კინალამ ძვლებიანა მიწაში ჩაიტანა. მერეც ვერ გაიგეს, რა ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა, ვინ ვის უშველა, მწყემსებმა — საქონელს, თუ საქონელმა — მწყემსებს. პეპიჩა უნდა ყოფილიყო იქ, ნახავდა სეირს! ადვილად მსჯელობს სამართალზე. სამართალი ბაკში უნდა ენახა!

ეგნატემ პაპიროსის ქალაქი ამოიღო, თუნუქის კოლოფიც მოძებნა. ვენახში ბერიანად არ უგდია ყური პეტრეს რატრისათვის, ახლა ყველაფერი გაახსენდა.

„კარგი ვქენი, რომ არ აყუვი, — გაიფიქრა ოროდღე წამის შემდეგ, — ვინ იცის, მოგზავნილიცაა. პეპიჩასთანა გაქლეტილი კაცი რას არ იკადრებს! ვისერი უტეხიათ და კინჩხიც თან მიუყოლებიათ, მე რა მეკითხება! ნეტა ან აქამდე რისთვის ვიწუნებდი თავს თუ ბოლოს მადლს შემომავინებდნენ! ეჰ, გაუტანელია სოფელი, იმ შარანგეტიამ ტყუილი კი არ თქვა.“

ეგნატემ ასანთი გაჰკრა და უსწორმასწოროდ გახვეულ პაპიროსს მოუკიდა. პეტრეს დღევანდელი სტუმრობის მიზეზმა ახლად ჩააფიქრა. რისთვის უნდა მისულიყო მიროტაქე, ვითამ დასაბატი-

ქვბლად? „იხმეც რა ვუთხრა მავას!“ მართლა სტუმრები რომ ჰყავდეს, ღვინოს ითხოვდა. ზაქარასს მეჩქარებო... ალბათ, ზაქარას უნდა გამოართვას ღვინო: ვასაკვირალია, სულძალი ბიკენტის ქელეხის მერე მიროტაძეების ოჯახში სასტუმრო სუფრა არ გაშლილა. ახლაც რა ბზიკი შეუჯდა!

ევანტემ მესხიერება დაძაბა და პეტრეს ნათქვამი ყოველი სიტყვა მოიგონა. ცოლიშა ჩამოღისო, — გაახსენდა როგორც იქნა, — იმას ვიზე ამბობდა, ზოგიერთმა თავის ყადრი არ იცისო... მოიცა!

ევანტეს ხელი აუკანკალდა. ბაპიროსის ფერფლი მუხლზე დაეცა.

ნაქმარევი ქალი, სამი შვილის დედა...

— გვანცია — დაიძახა კი არა, დაიყვირა ევანტემ, თითქოს თავში კეტრი დასცესო.

ქალიშვილი უმაღლე გამოვიარდა გარეთ.

— ახლაც მოვალ მე, ნუ დამიცი, დაიძინე!

— სად მიღიხარ, მამა? წამოცდა ვაკვირებულ გვანცას.

ევანტეს პასუხი არ გაუცია ვალომეზულმა ჭიშკარს მიაშურა.

— მამა! — ერთხელ კიდევ დაუძახა შეშინებულმა გოგონამ და შშობელს გამოეკიდა, — სად მიღიხარ ასე გვიანი! — სანამ ევანტე ჭიშკარს ჩაკეტავდა, წამოეწია, წელზე ხელი მოჰხვია და ელდიო ენაჩეარდნილი მამის თრთოლვა მასაც ვადმოედო, — სად მიღიხარ?

ევანტე რაღაცას ლულულულებდა; ქალიშვილის ხელები დაურიდებლად მიაიცილა და გზაში გაიჭრა. გვანცამ შეშინებულ ველარ გაუბედა. მამის მოულოდნელი აფორიაქებით თავადაც აფორიაქებული, ჭიშკართან დარჩა და თვალმოშორებლად უყურებდა, როგორ მიაბიჯებდა მამა სიბი ქვებით აჩიჩხულ შარაზე.

„სად მიღის? — ხმამალა წაიჩურჩულა გვანცამ. ქალიშვილმა კარგად იცოდა, რომ ბოლო დროს მამას ბევრი უსი-

ამოვნება შეხვდა. ევანტე შინ კრინტს არ სძრავდა, გვანცას არაფერს უმხვლდა, მაგრამ გვანცა ისედაც ხვდებოდა — მამას საქმეები ძველებურად არ იყო. ყური კილიოკავად მოეკრა — ევანტეს და ბორის ლოლაძეს სადღაც უჩხუბიათო, მერე ყველაფერი ამ ჩხუბს მოჰყვო... აი, ეს ორი დღეა ჩამოვიდა მთიდან და სულ მოუსვენრად. ღამე არ ძინავს, თუთუნის წვესაც დაეჩვიდა...

გვანცას კურცხალი მოადგა თვალზე. სახე ცრემლებმა დაუსველა.

„სად წავიდა, ვინმეს არაფერი აუტეხოს!“ — წამოიძახა მან, ავ ვინმეში კი ბორის ლოლაძეს გულისხმობდა. მაშინვე გატრიალდა უკან, ეზო გაიბინა, ბალატის კარი რაზით გადაეკეტა და კვლავ გარეთ გამოვიარდა.

„ორ წუთში დაეწვივი, ჯერ აქვე იქნება!“ — თავს იიმედებდა და გზადაგზა წინსაფარს იხსნიდა. ჭიშკარის დაკეტისთანავე წინსაფარი ეზოში გადმოაგდო და ჩაბნეულ ორღობეს სირბილით გაჰყვა. ქვებზე ფეხი უსხლტებოდა, ერთი ორჯერ წაფორხილდა და კინაღამ დაეცა.

ორღობე უკაცური იყო. ვითუ მამამ აქედან სადმე გადაუხვია და გზა შეიმოკლა?

გვანცამ სირბილს უმატა გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ფეხისხმამ შეაქრთოსასწრაფოდ ყორესთან მიიყუტა და სმენა დაძაბა.

ვიღაც მოდიოდა ზემოდან. ნუთუ მამა?

გვანცამ მალე დაინახა ზემოდან მომავალი.

„მალაროს მუშაა. ალბათ, შერთულში მიღის!“ მუშამ ღიღინით ჩაუარა, კარბიტის მბეჭუტავი ალი ძლივს უნათებდა გზას. „ეკითხავ, შეხვდა ვინმე?“ — გაიფიქრა გვანცამ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მუშა ტირიფებს მოეფარა და ახლა მხოლოდ კარბიტის სუსტი შუქი კიაფობდა ბნელში.

გვანცამ გზა განაგრძო. ზაქარა მკედლოს ჭიშკარის წინ, ორღობის მოპირდაპირე მხარეს, ერთი დიდი მუხა იდგა და ხავსმოდებული ბებერი

ტოტემით მთელ ორლობეს ჰფარავდა. მუხის ქვეშ კიდევ უფრო ბნელოდა, ვიდრე სხვაგან; გვანცამ მაინც დაინახა: მუხის ქვეშ ვიღაც იდგა. გოგონამ მიახლოება ვერ გაბედა: ვაითუ მამა და გაწყრეს, უკან რად გამოყვევით?

გვანცას მოთმინება დაეკარგა. იქნებ მამა სულაც არ არის და დრო ტყუილად იკარგება?

გონება ახალმა აზრმა გაუნათა.

მუხა შემალღებულ ადგილას იდგა, ვილაცის ნაფუძარზე. ნაფუძარს, რომელზედაც ახლა მხოლოდ იონჯა-ბაღახი ხარობდა და შიგ ყოველ წელიწადს თივის მოზრდილ ზვინს დგამდნენ, გზის მხრიდან მაღალი ყორე ჰქონდა შემოვლებული.

გვანცა ფრთხილად მოეჭიდა ქვებს, ნაფუძარში გადავიდა.

გზაზე მდგომმა ფეხისხმა გაიგონა, მიიხედ-მოიხედა და მუხის ქვეშ ჩამოწოლილ წყვილადს მოსცილდა.

გვანცამ ვარსკვლავების მიღეულ შუქზე მამას მოჰკრა თვალი. ნამდვილად ეგნატე იყო. მაგრამ რას აკეთებს აქ. ვის ელოდება?

გვანცამ ზაქარას ეზოც დაზვერა. პალატის ვიწრო ფანჯარაში სინათლე მოჩანდა. ხანდახან ფანჯრიდან გამოჰრილი გრძელი ჩრდილი გადაუვლიდა ბზის ბუჩქებს, მერე კვლავ ბრდღეილაა შუქით განათდებოდა ვიწრო ფანჯარა.

ეგნატე ამაოდ უცდიდა პეტრე მიროტაძეს. ზაქარა პურმარილიანი კაცი იყო. შემოსწრებულ მეზობელს უვებშმოდ არ გამოუშვებდა. გამბედაობასაც სწორედ ეს ჰმატებდა ეგნატეს. ჭიშკართან ჯიუტად იდგა. ეზოში გამოსული პეპიჩა რომ დაენახა, უმაღლე ჩრდილს მიეფარებოდა, რათა სტუმრისთვისაც და მასპინძლისთვისაც შეუქმნეველი დარჩენილიყო. მამ, რა აზრი გააჩნდა აქ დგომას და ლოდინს? აქ დგომა და ლოდინი როგორღაც ამშვიდებდა. ბრმად იმედოვნებდა, ის ნაქმარევი, სამი შვილის პატრონი ქალი არამც ხათუნა არ იქნებო. მთელი დღის ნაგვემ-ნაჯაფი დაღლასაც ვერ გრძნობდა. უცებ მწარე ღიმილმა

დაულრიჯა სახე. ეგნატე თავისთვის დასცინოდა. მართლაც და, რა უგუნურობა იყო სულელური ყურფუტი! ზაქარა მკედლის ჭიშკართან! თუნდაც პეტრეს რქა გამოეტია, შეეკითხებოდა, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ის ვიზე თქვიო?

ეგნატემ გადაწყვიტა აქაურობას ამ წუთშივე გასცლოდა. მაგრამ სად წასულიყო? საკუთარი სახლი და ეზო-კარმიდამო ახლა დაცარიელებული ეჩვენებოდა, თითქოს იქიდან ვილაცის გამოეტანოს ყველაზე სანუკვარი ნივთი, რომელსაც ეგნატე ასე შეჩვეული იყო.

ფეხებმა თავად ატარეს აღმა, დარაბებით ჩაგმანულ სოფლის მალაზიასთან მიიყვანეს. გზიდან ხმამაღალი ლაპარაკი და უზრუნველი სიცილი ისმოდა. ეგნატე არ ცდილა ხმების გამოცნობას, მაშინვე უკან დაბრუნდა და მოულოდნელი ხმაურით გულშეტოკებულმა ზაქარა მკედლის ალაყაფს ფეხაკრეფით ჩაუარა. შავად მოღვივლივე რუხე გადასვლისას ჯიბეები მოჩხრიკა. ასანთი სათუთუნე ყოლოფთან ერთად დარჩენოდა ეზოში. ერთი თქმა გულმა უთხრა, შევირბენ, ასანთს და თუთუნს წამოვიღებო, მაგრამ ცოტუნებას სძლია: გვანცას, ალბათ, არ გამოეუბარებოდა მამის დაბრუნება. ჭიშკარში შესულს აუცილებლად შენიშნავდა.

გადაბელილი ტირიფები ჩამჭრაო სანთლებივით ეყუდნენ ხერგში. ეგნატე სწორედ ამ ტირიფებს მისდევდა რუს ჩასწვრივ და გზადაგზა წყლის ღამეული ჩხრიალი ესმოდა. წინ რალაცამ გაიფაჩუნა, ისკუპა და წყალში ჩაივარდა. ბაყაყი თუ იყო. ადამიანის ფეხისხმამ დააფრთხო და თავის შესაფარებლად რუხი გადაისროლა. ხუთიოდენ ნაბიჯზე ეგნატემ ღობე გააჩნია. ხეხილის ბაღში უსწორმასწორო ლაქებად მოჩანდა ვარსკვლავებით განათებული მოლურჯო ბალახი-სხვა ყველაფერი შავი იყო. ეგნატე ბაღში არ გადასულა. მხარი იბრუნა და ახლა ლარტყისობეს გაჰყვა. ეს ღობე თითქმის სახატომდე ჩაიყვანდა, მერე სულ სიბინდის ყანაში უნდა ევლო.

ეგნატე სიბნელეს აკვირდებოდა, ხან

ლურჯი ბალახის ლაქებზე გადაქონდა მზერა, რათა არაფერზე ეფიქრა და სულის სიღრმეში ჩაშეყვდნულ ყოყმანს ისედაც სიზმარეულად მიმავალი უკან არ დაებრუნებინა.

სახატოში სიმინდი ახალი ამოსული იყო. მიწას ძლავს აჩნდა. ეგნატემ წყაროდან მომავალი რუ გადაიარა და აღმართს აუყვავ ფერდობზე ნააღრი სიმინდი შრიალეზდა, წელამდე სწვდებოდა ეგნატეს. ზემოთ, მოწმენდილ ცაზე მიხატულივით მოჩანდა სილოსის კოშკები. ეგნატემ მარჯვნივ დაიჭირა. როდესაც ბექობი აათავა და სიმინდის ყანაში ბილიკი იპოვნა, ქარის ამოსაღებად შეჩერდა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და იქით გაიხედა, სადაც სერზე განაპირებული ქოხი ეგულებოდა.

### თავი ორმოცდამეცხე

— დედა, ვიღაცა იძახის! — ბალიშზე თავი წამოსწია უეცრად გამოღვიძებულმა პავლემ.

ხათუნას იმ წუთში ჩასძინებოდა. თვალი უხალისოდ გამოახილა.

— ვიღაცა იძახის — გაიმეორა პავლემ და წამოჯდა.

ხათუნა ბურანიდან გამოერკვა, სკამზე შემოდებულ ლამპას მისწვდა. პატრუქის აწვევისას შუაზე გადაკეცილი წიგნი სკამიდან ჩაუცურდა და იატაკზე მოადინა თხლასანი. ზურიას ლოგინი ცარიელი იყო. მამ ჯერ კიდევ არ გამოსვლია კლასი...

— ვინ არის?! — დაიძახა ხათუნამ და სანამ საბანს გადაიხდიდა, საწოლის თავზე გადაკიდებულ კაბას ხელუკულმა წაეჭანა.

— მე ვარ, ეგნატე...

— ვინ ვარო? — გაუკვირდა ქალს.

— ეგნატე ბიძია... — ლოგინში წამომჯდარ პავლეს დიდრონი თვალები უბრწყინავდა.

— ეგნატე? — ცოტა არ იყოს დაიბნა და კაბა სასწრაფოდ გადაიკვა, — ახლავე... დაუძახე, შეილო, ახლავე გამოგხედავსოქვე.

— ახლავე, ეგნატე ბიძია! ხათუნა ძირს გადავიდა, სკამი უკან გადაიწია.

— დედა... — წაიფრჩხულა პავლემ, — მართლა ეგნატე ბიძია არის?

— გაჩუმდი, შენ ვინ გკითხავს! — შეუტია ქალმა.

— ეგნატე ბიძიას ამისთანა ბოხი ხმა აქვს?!

— პალიკო! — გადაჰხედა შვილს ხათუნამ, ლამა აიღო, მაგიდაზე დადგა, მერე თავის ნაწოლ ლეიბს საბანი გადაადარა და კარის გასაღებად წავიდა.

თავშიშველი, პირგაუპარსავი და უცნაურად ალექსილო ეგნატე საწინახელთან იდგა და ხელში ნაბდის ქულს აწვალეზდა. კარიდან გამოსულმა შექმა პირდაპირ მიანათა სახეში. თვალები უნებურად მოკუტა. ოთახის სიღრმეში, ხათუნას უკან, თეთრპერანგა პავლე მოჩანდა. ბიჭი ლოგინზე წამომჯდარიყო და კარისაკენ მიშენულად იყურებოდა.

— გამარჯობა, ხათუნა! — მიესალმა კარში ჩამდგარ ქალს ეგნატე.

— გაგიმარჯოს... — ხათუნას ხმაში გაკვირვება გამოსჭვიოდა.

— რავე ხარ?

ხათუნა სტუმარს დააკვირდა. ეგნატეს შეკითხვა ისე მოულოდნელად და უადგილოდ მოეჩვენა, ქალმა გაიფიქრა, ხომ არ ვადარებულა ეს საცოდავიო.

— კარგად ხარ, რაღა კითხვა გინდა, — თქვა ისევ ეგნატემ.

— მობრძანდი! — შეეპატიოა ქალი. ეგნატე შეიშმუნა. ყოყმანობდა, შესულიყო თუ არა.

— პატარა საქმე მქონდა, — ბოლოს ბალღივით დარცხვენილმა წაილაპარაკა.

— შინ მობრძანდი, — კიდევ შეეპატიოა ხათუნა, — ზურიაც მალე მოვა ახლა...

— არა, აქ მირჩენია. მოიხურე რამე, გრილა, — ამის მაგივრად ეგნატეს უნდა ეთქვა, ეზოში გავიდეთ, არ მინდა ბავშვმა გაიგონოს, რასაც მე ვიტყვიო, მაგრამ გამბედაობამ უღალატა.

— საიდუმლოა რამე? — კაცს თავი-

დან ფეხებამდე ზომავდა ხათუნა. უცებ რაღაც აზრმა გაუელვა და წამოიძახა: — გლახა ამბავი ხომ არაფერი მოპიტანე?! — რა გლახა ამბავი? — ეგნატემ ელაში თვალები ასწია.

— მამას... — ქალი შეშინებული ჩანდა.

— არა, ნუ გეშინია.

— მართალი თქვი!

— არა, რა ვქნა!..

— აბა რამ მოგიყვანა ამ შულამისას?! — შულამეა?

ხათუნამ კარი გამოიხურა და დერეფანში გამოვიდა.

— თქვი, რა მოხდა?!

— არაფერი... იმისთანა კი არაფერი... — ეგნატე მიწას ჩააკეკრდა და სალი მარჯვენა ხელით კვლავ ნაბდის ქულს დაუწყო ჯიჯგანა, — ასე გვიან არ მეგონა... რომელი საათია ნეტა?

ხათუნას საათი არ ჰქონდა.

ეგნატეს მაშინვე დაავიწყდა თავისი შეკითხვა. ქოხის კედელს უაზროდ ათვალაიერებდა, ნაბდის ქულს ჯიჯგნიდა.

— შენ რაღაცა ამბავი იცი და მიმალავ! — ხათუნა კიდევ ვერ დამშვიდებულიყო.

— არაფერი... რა ამბავი ვიცი. დილას აქეთ ეგნახში ვარ. თელას ვკრიდი.

— ამას წინაზე ფერმაში გიყითხე, — ხათუნას კვლავ ავი წინათგრძნობა აწვალეზდა, მაგრამ რომ რაიმე ეთქვა, ძველი მოიგონა, — არ იყავი.

— ჰო, — თქვა ეგნატემ.

— შენ ის... რა მოგივიდა?!

— არაფერი... — ეგნატემ თვალი წამით შეავლო ქალს და მთელ ტანში ქრუნატელმა დაუარა, — რა უნდა მომსვლოდა....

— ფერმიდან რად გაგანთავისუფლეს?

— მაგათი ნება არ არის? — ეგნატემ ხელი ჩაიჭნია და რადგანაც ქალის წელანდელი ნათქვამი მხოლოდ ახლა გაიგო, ხათუნას განცვიფრებული მიაშტერდა: — მიკითხე?

— როდის?

— იქ ფერმაში...

— ჰო, ზევით მივდიოდით, — ეგნატემ დაეძახა.

— საქმე გქონდა? — არა, ისე... — ხათუნამ ოდნავ გაიღიმა და მამაკაცს თვალი აარიდა, — შერიგება მინდოდა.

— ჩემთან? — ეგნატემ პირი დაალო, მერე მოულოდნელად სიცილი აუტყდა. სიცილი ხველებად ექცა. ჩაბეირდა. გაკვირვებულ ხათუნას კიდევ გაუძლიერდა ეჭვი, ნამდვილად ჭკუაზე აღარ არისო.

კარმა გაიჭრიალა. ხათუნა კარისაკენ ზურგით იღვა, მაგრამ პალიკოს თეთრი პერანგი თითქოს მასაც მოხვდა თვალში. ეგნატემ გიჟური სიცილი შეწყვიტა.

— დედა! — მოისმა ჩურჩული.

— რა გინდა?! — ხათუნა მიტრიალდა.

— შალიკომ გაიღვიძა.

— მაცალეთ, ხომ ხედავ, კაცს ველაპარაკები!

— კარი ზანტად მოიხურა. ოთახიდან პატარა ბიჭების ხმადალალი ჩურჩული გამოდიოდა. პავლეს დანახვამ და შალიკოს სახელის ხსენებამ ეგნატე ერთბაშად აამღვრია. ნაბდის ქული ხელის ოდნავ შესამჩნევი კანკალით დაიხურა.

— მიდიხარ? — ჰკითხა გაკვირვებული ხათუნამ.

ეგნატემ მხრები აიჩეჩა და საქციელწამხლარი კაცის ღმეკით გაუცინა.

— გეტყობა, გადარეული გგონივარ. აგრეც რო იყოს, გასაკვირალია?

— ღმერთმა კარგად გამყოფოს, ჩემო ეგნატე, გადასარევი რა გჭირს! აქეთ იყავი საღმე?

— გულდაგულ შენთან მოვედი, — თავისდაუნებურად გამოტყდა კაცი.

— რა ვიცი, სახლში კი არ შემოდიხარ და, — ხათუნა სტუმრის სიტყვების ფარულ აზრს მიხვდა, — შემოდი, ჯერ მართლა ისე გვიან კი არ არის.

— ერთი რამე უნდა მეკითხა... უნდა მეკითხა კი არა, უნდა მეთქვა, — უმაღვე გამოასწორა ეგნატემ.

— თქვი!

— ხათუნა... — კაცს ხმა შესამჩნე-



ვად გაეზარა, — მე, ხომ იცი... — კონალამ წამოსცა, შალიკოს სიყრმის მეგობარი ვარ, ახალგაზრდობა ერთად გავგიტარებთ და ამიტომ მენდე, შენს მიმართ გულში ბოროტს არაფერს გავივლებო, მაგრამ განა ამეების დრო იყო ახლა? — ხომ იცი...

ხათუნა იღვა, გულზე მიხუტებულ მარცხენაზე ნიდაყვით დაყრდნობილი უცდიდა, რას ეტყოდა თავისსავე სიტყვებში გახლართული ეგნატე.

ეგნატე წვალობდა. შუბლზე სიმწრის ოფლი გადასდიოდა. კარის მინებში გამოჭრილი მოწითალო სინათლე სახეს მხოლოდ ოდნავ უნათებდა და ეს იფარავდა.

ხათუნა... — დაიწყო ხელახლა, ძეძვით, წვალებით, — მე... მე ავერ... სხვას ვერაფრით ვერ ვჯობნი... მეზობელი ვარ... სხვებიც არიან მეზობლები, ზაქარა, თუ გინდა... მე...

ქალმა თუმცა გაიფიქრა, ნამდვილად საღდაც დაუღევი და ზომანზე მეტიც მოსვლიაო, ეგნატე მაინც შეეცოდა.

— ერთი რამე უნდა შეკითხვა... — მოაჯახირა კაცმა, — ოღონდ... ნუ გიწყინება. ახლა გკითხავ.

— შეკითხე, — დაინტერესდა ქალი და ეგნატეს მღელვარება თავადაც გადმოეღო.

— ოღონდ... — ეგნატემ მოხრილი თითი აღმართა, თითქოს ძუძუთა ბავშვს ალუ უნდა უთხრასო, გაღიმების მაგივრად დაიღმიჭა — ნუ მიწყენ. მე, ხომ იცი —

— ვიცი, — ხათუნამ მართლა იცოდა, რასაც გამოჰხატავდა ეს „ხომ იცი.“

— ამ პატარა ხანში... ხათუნა... სტუმარს ხომ არავის მოელი?

— სტუმარს? — ეგნატეს შეკითხვის აზრს ქალი ერთბაშად ვერ მიხვდა.

— ჰო, სტუმარს... იმ კვირეში... ასე ორშაბათ-სამშაბათს...

ხათუნას ფიქრიანი თვალები მამაკაცის დამაბულ მზერას წააწყდა. ეგნატე ისე იყურებოდა, თითქოს ამ პასუხზე ყოფილიყოს დამოკიდებული მთელი მისი ცხოვრება.

— არა, — თავი გააქნია ქალმა და შეზნეულ საყინებზე ხელი მთისვე, მე არავეინ დამიპატიოთა.

— მართლა? — აღმოხდა ეგნატეს.

— მართლა. ვინ სტუმარს უნდა მოველოდე?

— არავეს! ჭირმა ამოაგდოს სტუმარი! — ეგნატე ისე იყო ატაცებული, ვეღარც კი ამჩნევდა, რას როშავდა, — შინ კარგად იყავი, ოღონდ შენ კარგად იყავი...

— მოიცა, სად მიდიხარ! — ქალს მოუთმენლობა დაეტყო.

— ახლა წავალ... მე ეთქვი... შენ ავაშენა ღმერთმა, შენ ვაცოცხლა ღმერთმა, ხათუნა! — ეგნატე დერეფანში ვეღარ ჩერლებოდა, უზომოდ გახარებული და თითქოს მთელი ოცი წლით გაახალგაზრდაებული ეზოში გაიქრა.

— ეგნატე!

მაგრამ ეგნატეს აღარაფერი ესმოდა. ქალს ბავშვებისა მოერიდა, მეორედ ვეღარ დაუძახა, ეგნატე კი მიდიოდა, მირბოდა, ქარი ჩასდგომოდა მუხლებში.

„ეს რა იყო! — გაიფიქრა დერეფანში სახტად დარჩენილმა ხათუნამ, — რისთვის მოვიდა?..“

კარის ჭრიალმა მოახედა.

— წავიდა? — ხამაღალი ჩურჩულით ჰკითხა პავლემ.

ხათუნამ ხელები ჩამოუშვა.

— რა უნდოდა, დედა? — შიშველ ფეხებს პავლე კარს უკან მალავდა.

— დედუა! — აჭყვივლდა ლოგინში მიტოვებული შალვა.

— სუ! — წამოიძახა ხათუნამ, — რა შემოგერიათ!

ეგნატე შლიგინ-შლიგინით მიიჩქაროდა სიმინდის ყანაში. სიხარულით ყელამდე სავსეს უნდოდა ასე დიდხანს, დიდხანს ევლო; და ეფიქრა...

ყურებში ხათუნას ხმა უღდა, ხათუნას პირით ნათქვამი „ჩემო ეგნატე...“ ამაზე სანატრელს ქვეყნად რას გაიგონებდა! მამ არავეინ მოდის, ეგნატეს ბედნიერებას არავეინ ემუქრება!

„არ მოდის, არა! — თითქოს ვერ და-

ეგერებია და ვილაცას ეღაფებო, ჩურჩულება სუნთქვაშეგულებული ეგნატე. ის ქალი სხვაა! აქამდე როგორ ვერ მიხვდა, ამისთანა სისულელე როგორ შეუშა თაგში!

ოლონდ ასე, ხელუხლებლად იყოს ხათუნა, ოლონდ ნურავინ გაეკარება და ეგნატეს არც უნდა მეტი არაფერი...

სიხარულით აფოფინებულმა ტუჩები მოამრგვალა და სტვენა დაიწყო. ეგნატეს სტვენა არ ემარჯვებოდა, არასოდეს არ ესტენია. გულში ღიმილის შუქი ჩაუდგა, ახლა რომ ვინმემ დამინახოს, არ გადაირევია?

ვერა, ღღეს ვერავინ ვერ იცნობდა ეგნატეს, თვითონაც ვერ ცნობდა თავისთავს, სულ სხვა ადამიანად ქცეულყო. დაბუთებული კუნთები ძალით ჰქონდა სავსე, სული — იმედით. წყნარი ვარსკვლავიანი დამე აღერსიანი ეჩვენებოდა.

„ხათუნა არავის არ მოელის, არავის, არა!“ — ჩურჩულებდა დროდადრო, რათა ეს სიტყვები ყურშიაც ჩასწვდომოდა და ბედნიერება ორმავად ეგრძნო.

გვანცა, ჩვეულებისამებრ, არ გამოგებებია მამას, ბუხართან იჯდა, საცოდავად მოკრუნჩხულიყო და მუხლებზე ნიდაყვებით დაყრდნობილი სოხანეს ჩამტერებოდა.

— ჭინკა! — დერეფნიდანვე შეეხმინა ქალიშვილს ეგნატე.

გვანცა არ განძრეულა, კარს ზურგი შეაქცია და სამფეხზე შემოდგმულ ჭკარტიან თუნგს მისწვდა.

— არ დაგიძინია? — ეგნატე პალატში შევიდა, გვანცას ზურგსუკან გაჩერდა და თვალეგაბრწყინებულმა ღოინჯი შემოიყარა, — ნელა, გოგო, ხელი არ დაიწვია!

— ცივია, — მშვიდად თქვა გვანცამ, — თუნგი, რომლიდანაც ორთქლის ჭავლი ამოდინოდა, სოხანეზე დადგა და მინავლულ ცეცხლს საეცე შეუჩიჩხინა.

— მოდი. ვიქეიფოთ ამაღამ მე და შენ, მამა? — მხიარული გუნება თავისას

შერებოდა, ეგნატე მთლად გაბადრული იყო.

— ვიქეიფოთ? — გვანცამ მამას მოჰხედა, წერილი წარბები აძგობა.

— ვიქეიფოთ! თუ გინდა, ვინმე დაეპატივოთ!

— ღღეს კიდევ? — უფრო განცვიფრდა გვანცა.

— ახლავე, ამ წუთში!

— ვაიმე, მამა, რას ამბობ, შენ მთერალი ხომ არა ხარ!

— მთერალი? მთერალს ვგავარ, განა! — ეგნატე დაიჭყანა, თვალეები მოჭუტა და შეილს მაგარი, ჯანსალი კბილები აჩვენა, — აღე, დატრიალდი!

— მამა! წამოიძახა გვანცამ, წამოხტა, მშობელთან მიიბრინა და სახე მის მკერდზე დამალა.

— ჩემი ჭინკა! ჩემი ჭინკა გოგო! — ეგნატე საღ მარჯვენას უსვამდა თავზე ქალიშვილს, თან გაუბარსავი ჯაგარა ნიკაბით ყერიძალზე ეხებოდა, — ცოდვა არა ვართ? ასე მოწყენილები როდემდე ვიყოთ, გოგო. დავჯდეთ და ვიქეიფოთ ახლა. სხვა ყოველდღე ქეიფობს, ჩვენ ამ ერთხელ ვიქეიფოთ, რა იქნება!

გვანცამ მამის მკერდს აღზნებულ სხე მოაცილა და გულაჩუყებულ ეგნატეს ქვემოდან აჰხედა.

ეგნატე შეილს დაწვებს ეაღერსებოდა, მარჯვენა ხელის სორკლიან ცერს გოგონას ისე მაგრად უსვამდა წარბზე, თითქოს გაბზარული ორშიშოა და ზედ ცვილის სანთელს აგლეოსო.

— ასე რამ ვგახარა, მამა? — ქალური ცბიერი ღიმილით ჰკითხა გვანცამ.

ეგნატე გამომცდელად დააქერდა, მერე კი წაიჩურჩულა:

— შენს შემხედვარეს რა უნდა მწყენოდა!

— მამა, ნუ იცი აგრე! — ყასილად გაიბუტა გვანცა.

— რაეა?

— სულ მაქებ და მაქებ, ჩემზე უკეთესი აღარავინ გგონია?



თავი ორმოცდამეცხრე

— არა თუ?  
 — უპ, მამა... — ნასიამოვნები ვოგონა ყვრიმალთ მიენდო მშობლის ხმელ მკერდს.

— დატრიალდი, ვიქეიფოთ, მართლა გუეზნები.

— ღვინო გინდა? — თვალბმოკუტული გვანცა მზაკვრულად იღიმებოდა.

— ღვინოც მინდა და ყველაფერიც!

— რომ არ არის ამოღებული?

— ამ წუთში ამოვიღებ, შენ ოღონდ ჭრაქს მოუკიდე!

— მართლა არავის დაუძახო, მამა, გვიანია, შინაურ ვაჭშაშს ხომ ვერ გამოვიტან.

— ყველი, ბური და კეთილი გული!

— არა, არა, მამა, გეხვეწები. თუ არ მოიშლი, მართო მე და შენ ვიქეიფოთ.

— აგრე იყოს!

— წამოგყვე?

— წამო ჭრაქი დამიკავე!

მამა და შვილი ჭურისთავზე გავიდნენ. წითელი ღვინო ამოიღეს. ეგნატემ ყელწვრილი ჭინჭილა აავსო და ჭაშნიკის გასინჯვის საბაბით იქვე გამოსცალა.

ბუხრის პირას გვიანობამდე ისხდნენ. წინ ხელსახოცგადაფარებული ტაბაკი ედგათ. ეგნატე ჭინჭილას ჭინჭილანზე ავსებდა, გრძელ სადღეგრძელოებს ამბობდა, მერე თავს უკან გადააგდებდა და დარღიმანდულად სვამდა წითელ, კამკამა ღვინოს.

მამის შემხედვარე გვანცა კისკისებდა, ტოლუმპაშის წაბაძეით ხანაღხან ღვინოს მოწრუპავდა და კისკისებდა, კისკისებდა გაუთავებლივ.

— ვქეიფობთ, ხომ? — წამდაუწუმ ეკითხებოდა ქალიშვილს შეჭორიკებული ეგნატე, ხომ ვქეიფობთ, ჭინკა?!

— ვქეიფობთ, მამა...

— ვიქეიფოთ! ამ ჭიქით ვის გაუმარჯოს, იცი?

სუფრაზე გვანცას დედის მოსახსენიებელი არ დალეულა, არც იმ ბიჭის სადღეგრძელო დაუღევია, სადაც რომ არის ახლა...

ცოლის საქმეების მოსაგვარებლად სერგოს მარტო მოუხდა გამგზავრება. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მაცვალამ საგრძნობლად მოიკეთა, მაგრამ ფეხშიმე, გამოუცდელი ქალის ბედის ანაბარა თბილისში გაშვება მაინც კაი ვისაბედი იყო.

მაცვალა გაჯიუტდა, არასგზით არ უნდოდა დარჩენა. სერგომ შინაურები დაახვია ცოლს. ზაქარაც კი ჩამოიყვანა და ათხოვინა. როდესაც ქმართან მარტო დარჩა, მაცვალა კიდევ ჭუჭყუნებდა, ნახე, თუ თბილისიდან ჩამოსულს ცოცხალი დაგვხედო, გირჩევნია, წამიყვანო, თუ არა, ვიცი, უშენოდ აუცილებლად მოგკვდებო.

სერგომ კარი ძლივს გააღებინა. თვალბმზე მომდგარ ცრემლებს მხურვალე კოცნით უშრობდა.

ბოლოს მაცვალამ შეატყო, მუდარით ვეღარას გაგზდებო, ყველას ერთხმად შეუტკრავთ პირი ჩემს წინააღმდეგო, ცალკე ოთახში ჩაიკეტა და, რომ გეკითხათ, სერგოს გამგზავრების ღროს, გარეთ გამოსვლასაც არ აპირებდა.

სერგომ კარი ძლივს გააღებინა, ალერსმა გული მოუბრუნა მაცვალას და როცა წასვლის წუთმა დაპკრა, ქმარს სასწრაფოდ გადმოუღაგა, სად, ვისთან უნდა მისულყო და რა უნდა გაეკეთებინა.

მატარებელი საღამოს გადიოდა, მაგრამ სერგო აღრიანად წავიდა სახლიდან, რათა დაპირებისამებრ ხათუნასთან გველო და სამსახურის თაობაზე განათლების განყოფილებაში მიეყვანა.

განათლების განყოფილებას ორი პატარა ოთახი ეკავა ფოსტის თავზე. აქ აღრე, სერგოს ბაღლობაში, მილიციის სამორიგეო იყო. სამორიგეოს კიბე ქუჩის მხრიდან ჰქონდა. როდესაც არ უნდა გაგველო, კიბის ქვეშ, ქუჩაში, ორისამი მილიციელი ყოველთვის იდგა და მოხალულ წაბლს აენატუნებდა. იქვე, ახლანდელი ფოსტის მეზობელ, იატაკ-დაუგებელ, მოგრძო ოთახში მილიციის

საჯინიბო მოეთავსებინათ. საჯინიბოს ნიდაგ ღია კარიდან ჩონჩორიკის სუნი გამოდიოდა. შალალ ბაგასთან, საჯინიბოს სიღრმეში, გაპრიალებული წითელი ცხენები იდგნენ.

„ბატიოსანი კაცი მილიციასი თავს არ ამოჰყოფს, — ეჩურჩულებოდა ჩოხის კალთაში გამოკრულ შვილიშვილს ბაბუა იორამი, — მილიციასთან ნურც კარგად იქონიებ საქმეს და ნურც ავად. შენ შენთვის, ის თავისთვის...“

ბერიკაცმა იმდენი ჰქნა, სერგოს ეშინოდა კიდევ ამ ადგილას გაეღა და თუმცა შემდეგ სამორიგეო სხვა შენობაში გადაიტანეს, სკოლის ამხანაგთან — განათლების განყოფილების გამგესთან — იშვიათად თუ შეივლიდა.

ხათუნა კიბის ძირას დარჩა, სერგომ ხის კიბე აირბინა და ერთიმეორეზე მიდგმულ ხალხით ავსებულ ოთახში განათლების გამგე იკითხა. ორიოდ წუთის შემდეგ დაღვრემილი და ხელცარიელი დაბრუნდა უკან: განათლების განყოფილების გამგე ტანმოვარჯიშე მოსწავლეებს გაჰყოლოდა თბილისში და სწორედ დღეს, საღამოს მატარებლით მოელოდნენ.

— ეშმაკივით ვიცოდი, ვერ ვნახავდი, — იმედი გადაუწყდა ხათუნას.

— ჩემი ბრალო, იქიდან დამერეკა, — სერგო კიბის ძირას მიდგმულ ჩემოდანს დასწვდა.

— გაგბრუნდები მე, რაღაზე შეგაწყუბო.

— მოიცა, რომელი საათია? — სერგომ მსუბუქი ჩემოდანი კიბის საფეხურზე ჩამოსდო და მაჯაზე დაიხედა, — ვერ მოიცდი საღამომდე?

— რომ მოვიცადო, რა გავაკეთო!

— დაეხვედეთ მატარებელს. თუ ჩამოვიდა, იქვე ვნახათ.

— დამაღამდება, სერგო.

— შე ჭალო, დამე არ ჯობია სიარული!

— კარგი, მოვიციდი, — დაგუნებდა ხათუნა.

— საქმე ის არის, სად წავიდეთ ახლა

ჩვენ, მატარებლის მოსვლამდე. კარ ოთახნახევარი საათია.

— მე წერილს დავწერ ფოსტაში. მატარებლის მოსვლის დროს სადგურზე გამოვალ. ჩემოდანი, თუ გინდა, დამიტოვე.

— ამის თრევის თავი გაქვს? ჩემოდანს ეგერ მივებარებ მეპურეს. აბა ასე, მატარებლის მოსვლის დროს სადგურზე გამოიხიარ!

— ჰო.

— არ მომატყუო, იცოდე.

— ჩემი თავიკ მტერი ვარ?

ამ სიტყვებით ერთმანეთს დაშორდნენ. ხათუნა ფოსტაში შევიდა.

— საწერი ქალაღი გაქვთ?

— არის, — წერილების დახარისხებით გართულმა გამხდარმა ქერა ქალმა, რომელიც აქ უხსოვარ დროიდან მუშაობდა, რად გაეცილი ხაზიანი ფურცელი აიღო და ხათუნას სარკმელში გადასწავრა.

— ერთი მარკიანი კონვერტიც.

— სურათით?

— როგორ?

— აი, ასეთი? — ფოსტის მოხელემ ნახატიანი კონვერტი აჩვენა.

— სულ ერთია, — ხათუნამ კონვერტი აიღო, გამობრუნდა და ფანჯარასთან მიდგმულ მრგვალ მაგიდას თვალი მოავლო.

იისფერი მელნით მოთხუზულ მაგიდას პირზე თავსაფარახვეული დედაკაცები უხსდნენ. ერთი წერდა, მეორე მოუთმენლად ადევნებდა თვალს უბირი ხელით გამოყვანილ ყოველ ახალ სიტყვას.

ქალებმა ხათუნას ამოჰხედეს და ისევ თავიანთ წერილს დაუბრუნდნენ.

სკამი არ იყო. ერთადერთ გრძელ სკამზე, რომელსაც ფანერის დაჩვრეტილი საზურგული ჰქონდა, ქალები ისხდნენ.

ხათუნა ფანჯარასთან მივიდა და კონვერტი და ქალაღი რაღაზე დასდო. ქალები აწრიალდნენ. კიდევ გამოჰხედეს ხათუნას.

მრგვალ მაგიდაზე ერთადერთი სამელნე იდგა.

— ჩვენ ამ წუთში მოვითავებთ, დია, — მოიბოდიშა ერთმა.

— წერეთ, წერეთ — ხათუნამ წერილი კალმისტარი აიღო და წვერით სამელნეში დასველა. ჯერ კონვერტი მოამარჯვა მისამართის დასაწერად. ფოსტაში იმ განზრახვით შემოვიდა, დროც გაეყვანა და მოხუცებისთვის გასაგზავნი წერილიც მოეჭახიბრებინა. როდესაც მისამართის პირველი სიტყვა — ზესტაფონი — გამოიყვანა, კალამს მელანი შეაშრა და ხათუნა ისევ გამობრუნდა სამელნეში ჩასაწებად.

ქალები ჩურჩულებდნენ. ჩანდა, ვერ შეთანხმებულიყვნენ, შემდეგ რა უნდა დაეწერათ.

— ბოდიში, — თქვა ხათუნამ და კალამი პირამდე ავსებულ თავდია სამელნეში ჩააწო. მისამართის მეორე სიტყვა — კალოსუბანი — აღარ დაუწერია, მაგრამ ამ ქუჩის მაგივრად რკინიგზის გასწვრივ გაყოლებულ ფართო ზუბატკეცილს ხედავდა და მსუბუქი მანქანის უჩუმარ ქრიალში პორფილუს ხმა ესმოდა.

„აქეთ ქუთაისია, იქით — თბილისი!“

ბავშვების ქრიალული, თალიკო...

„არა, არა!“

ხათუნამ კალმისტარი ჩაბლუჯა და შეეცადა კონვერტზე გამოეყვანა „კალოსუბანი“. მაგრამ მხოლოდ პირველი ასოს დაწერა შესძლო, რადგან გასქელებული მელანი ისევ შეაშრა კალამს. კვლავ მობრუნდა. ქალები წასულიყვნენ. იისფერი მელნით მოთხუბნულ მრგვალ მაგიდაზე წვრილად დახეული ქაღალდის ნაგლეჯები ეყარა. ხათუნამ თავის ავლადიდებებს ხელი დაჰხვია და სკამზე გადაბარგდა.

ფოსტაში თეთრპიჯიანი, ოდნავ თმაშეკლარაგებული ლამაზ-ლამაზი კაცი შემოვიდა. ხათუნას თვალი გადმოჰკრა, სარკმელთან მისვლისას ერთხელ კიდევ მოიხედა და ფოსტის მოხელეს ტყავის ყდაში ჩასმული პასპორტი გაუწწოდა.

„ეს მგონი ბანკის მმართველია.“ —

2. „მნათობა“, № 6.

უსიამოვნო მოგონებების გასათანტავად გაიფიქრა ხათუნამ, კალამი სამელნეში ჩაასველა და ვითომც წვრილის წერით იყო გართული, მაგიდას ჩააცქერდა.

უკან გამოვლისას კვლავ გადმოჰხედა კაცმა, თან პასპორტს თეთრი პიჯაკის ჯიბეში იღებდა.

„ყველა ერთნაირია — ღვარძლიანად გაიფიქრა ქალმა, თუმცა მიმზიდველი მამაკაცის ყურადღებამ გულში ასიამოვნა, — ოღონდ კაბიანი დინახონ და თვალში მოუვიდეთ... ზოგი არც მაგას დაგიდევს!“

კონვერტი განზე გადადო. პირდაპირ წერილის წერას შეუდგა. წერილი არ გამოსდიოდა. თავში სულ სხვა ფიქრები უტრიალებდნენ და აზრი აზრს ვერ დაამგვანა. ჯერ კიდევ სველ სტრიქონს ხაზი გადაუსვა და წერილი თავიდან დაიწყო: „საყვარელო დედა და მამა ჩვენ კარგად ვართ. ბიჭების წერილს მიიღებდით. იმ კვირაში ორი წერილი გამოგზავნეს. ერთი პავლემ და ერთი ზურამმა. აქ გვარიათ ამინდებია. მალე ვენახის წამლობას დავიწყებთ. თქვენ რას შვრებით მანდ, რავა ხართ. შალიკოს ძალიან ენატრებით. სულ თქვენს ხსენებაშია.“

პატარა შალვა იშვიათად იფონებდა მოხუცებს. ხათუნამ ეს სიტყვები მამის გულის მოსაგებად დაწერა.


„რა სისულელეა!“ — გაიფიქრა და წერილი ხელახლა გადაჩხანა.

პირველი ფურცელი აღარ გამოდგებოდა. ორ ადგილას მელანიც დაეწვეთა და დაიდბანა.

„მიწერ, რაც იქნება, იქნება! — გადაწყვიტა ბოლოს და ოთახში უნებურად მიიხედ-მოიხედა, თითქოს შეშინებია ფიქრს არაფერ მიმიხედვსო, — შვილები დავიფიცე, დავპირდი... ამაზე დავეწერ და მერე გადავითერთებ. ბეკრი არ უნდა. სულ ორიოდ სიტყვით...“

მაგრამ „ორიოდ სიტყვით“ ყოველივეს გამოთქმა ძალზე ძნელი აღმოჩნდა. ხათუნა წვალობდა. წერდა და შლიდა, წერდა და შლიდა.

„წერილის მიწერა ბეჭეტი უარესიც



იყოს, — გაუელვა უცებ, — ჯერ ერთი, რამდენი დღე დ. საათი გავიდა ზესტაფონიდან ჩემი წასვლის შემდეგ, რატომ თვითონ არ იწერება?“

ეს საყვედური გაღმა შედაგებას ჰგავდა; ხათუნა კარგად გრძნობდა ამას. პორფილეს წერილის მოწერა არ შეეძლო, რადგან თავად ხათუნა შეეხვეწა, ფოსტით ნურათფერს გამომიგზავნი, უცაბედად სხვას, ან ბავშვებს არ ჩაუვარდეთ ხელშიო. პორფილე პირნათლად ასრულებდა დაპირებას. ამის გამო მხოლოდ მაღლობა ეთქმოდა და არა საყვედური.

პორფილეს დუმილი, მეორე მხრივ, ეჭვს აღვიძებდა: იქნებ აღარც ფიქრობდა ხათუნაზე? თუ ასეა, ხათუნა აღგეს და მინც მისწეროს, რაც მანდ მოხდა, ყველაფერი სიგიჟე იყო და დავივიწყოთო? ამგვარი წერილი მხოლოდ საწინააღმდეგო ზემოქმედებას გამოიწვევდა: ისე გამოვიდოდა, თითქოს კაცი ისედაც უარზეა, ხათუნა კი წინდახედული კეკლუცობით აძალეხს თავს.

ქალი საკუთარმა ფიქრებმა აღაშფოთა. ათასნაირად გადაჩხაპნილ-გადმოჩხაპნილი წერილი მაშინვე მოკმუჭნა, წვრილად დახია და როცა მაგიდის ვარშემო სანაგვე კალათა ეერსად დაინახა, ნაფლეთები კაბის პაწია ჯიბეში ჩაიკუჭა მარცხენა ძუძუსთან, წამოღება და სასწრაფოდ ქუჩაში გავიდა.

ფოსტის პირდაპირ პურის სავაჭრო იყო (სერგო, ალბათ, აქ დასტოვებდა ჩემოდანს), ცოტა ქვემოთ თეთრი ქვის ვეება ოთკუთხა ალუბი და წყლის ონკანი. ონკანთან ტიტლიკანა ბალები წუწათბდნენ. ქუჩაში ერთი წოკობა და ეივილხივილი იდგა. ხათუნამ სწრაფად გაიბრა ონკანთან, რათა ონავარ ბავშვებს ისიც არ გაეწუწათ.

რიყის ქვით უსწორმასწოროდ მოგებული ქუჩა აქედან თავდაღმართში ეშვებოდა. ქუჩის ორივე მხარეს ცინცხალი აგურის კოპწია სახლები იყო ჩამწკრივებული.

ცხოვრობს ხალხი საწყალ გლეხ-კაცივით ყველა მიწას კი არ ჩასჩერებია.

ერთ-ერთ სახლიდან, რომლის ფანჯრებს გობელენის მძიმე ფარდები ეკეთა, რომლის ყრუ გუგუნი გამოდიოდა.

ხათუნა წუთით შეჩერდა და ყური მიუგდო.

კარგად კი უკრავდა, ის ვიღაცა იყო! ადრე ხათუნასაც ეხერხებოდა დაკვრა. თუნდ ერთხელ გავიწილ სიმღერას წუთში ააწყობდა გიტარაზე. ნეტავი ახლა თუ დაუკრავს!

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს სამრეწველო საქონლის მაღაზია შენიშნა. ვიტრინას მიადგა. თან გამოფენილ საქონელს ათვლიერებდა და თან როილის გუგუნს უგდებდა ყურს.

ვიტრინის უკან, მაღაზიაში, ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. მრუდვ მინამი სახე დაბრეცილი ჩანდა.

„რანაირად აკეთებენ მინაც ამ მინებს! საბავშვო ბაღშიაც იმისთანა მინები ჩასვეს, თანჯარა თუ არ ვაღე და ისე არ გაიხედე, გორიჯგრის მუხებში მიწაში გარდიგარდმო ჩარჭობილი გობები გვეგონება!“

მაღაზიაში აღარ შესულა, რომლის დამკერელს ცეცხლი მოეკიდა და იქაურობა გუგუნა ხმებით აავსო.

„ფული რომ შემეტებოდეს, ვიტარას ვიყიდდი, — გაიფიქრა ქალმა. ამ დროს ნაცნობი სახე ისევ დაინახა. თმაშეფიქული მამაკაცი, რომელსაც ამჯერად ხელში ჭილის ახალ-ახალი შლიაბა ეჭირა, მაღაზიიდან გამოდიოდა ვიღაც მაღალ, უღვამუბიან ქალთან ერთად.

ეს ხომ ის კაცია, წელან რომ ფოსტაში შემოვიდა! მგონი აქაური ბანკის მმართველი უნდა იყოს.

ხათუნამ წუთით თვალი გადადევნა ფილაქანზე ჩასულთ.

„ვითამ ცოლია? ღმერთო, რანაირად იგრიბება!“

მატარებლის მოსვლამდე კარგა ძალა დრო იყო დარჩენილი. ხათუნას როგორმე უნდა მოეკლა ეს დრო. ხიდის ყურში შეჩერდა და ქვემოთ გადაიხედა. ხიდის ქვეშ ჯიბირს აგებდნენ. ჯებირის მოთავებული სამირკველი ღრმად ეშვებოდა მორაგეში.

„მადლობა ღმერთს, მოკგონებით, — გაიფიქრა ხათუნამ, — მაინც რა აღიდება იცის ამ სატიალემი!“

ერთ გაზაფხულს, შალიკო მაშინ ისევ შინ იყო, ლუხუნია აღიღდა. ვადარეული წყლის ღრიალი საკაურამდეც კი აღწევდა. რაც იმ წელიწადს ნარიყი ამოზიდეს საკაურლებმა! ამღვრეულმა მდინარემ მთელი რიყე დაჰფარა. მარცხნივ ბაზარი წალეკა, მარჯვნივ რკინიგზას მოსწვდა, სადგურის ბაქანზე გადმოვიდა და აბლომახლო ეზობებში ტბად დადგა. სამ დღესა და ღამეს მატარებელი აღარ შემოსულა წიფლისწყაროში. ნამდვილი წარღვნა იყო. გაუძლებს კი ასე თხელი კედელი? წყალი ღონიერია!

ხიდის ყურში სხვა მოსკირნეებიც იდგნენ. ყოველი გამველელი ორიოდე წუთით ჩერდებოდა აქ და დიდის გულისყურით აკვირდებოდა, როგორ ზელდნენ მანქანები ხრეშში არეულ ცემენტს და მერე როგორ აცურებდნენ ხის განიერი ღარით, რომლის ქვედა ტუჩი წყლიდან ამოზიდულ ფიცრულ კედელს ებჯინებოდა.

ხათუნას სერგო გაახსენდა. რატომღაც მოეჩვენა, რომ ისიც აქ იყო, რადგან ვილაციის შემოხედვა ივრძნო. ბრბო შეათვალიერა. უკანაც მიიხედა. ნაცნობი არავინ ჩანდა. უსაქმურთა ბრბო მაშინვე გაარღვია და კვლავ ქუჩაში გამოვიდა. ახლა უნდა გაიგოს კაცმა, რომელი საათია. ამ განზრახვით ხათუნამ ნაბიჯს აუჩქარა და სულ მალე სადგურის მოედანზე ამოჰყო თავი.

სადგურის უკან მტვერში ამოგანგლული საბარკო მანქანები გაეჩერებინათ. ხათუნას ერთი მანქანის ნომერი ემცნაურა. ეს მგონი საკაურას მანქანა უნდა ყოფილიყო: კაბინა ცარიელი აღმოჩნდა, ძარაშიც არავინ იჯდა.

„რესტორანში თუ ზის,“ — ივარაუდა ხათუნამ და შოფრის მოსაძებნად მოსაცდელ დარბაზს მიაშურა.

აქ უკვე ბლომად მოგროვილიყო ხალხი. მოლარეს კედელში ღრმად შეჭრილი სარკმელი გაეღო და აქედან მხოლოდ ხელები მოუჩანდა. მგზავრები

რიგრიგობით ყიდულობდნენ ბილეთებს, გამობრუნებისას ხურდას იფელიდნენ.

„სულელია ის ბიჭი, ვაითუ ბილეთს ველარც მოუსწროს, ჩემთვის მაინც დაებარებინა!“ — გაიფიქრა ხათუნამ და ერთბაშად მოაგონდა, რომ აქ სადმე მუნჯიას იპოვნოდა. ჰო, მართლა, ჯერ შოფერი უნდა მოძებნოს! არა უშავს, მუნჯიას ნახავს და ყველაფერს ის გაუგებს.

ბაქანზე მატარებლის მომლოდინე ხალხი დასერიანობდა. მოსკირნეთა უმრავლესობა ფაქიზად გამობრანჭული ახალგაზრდობა იყო. ნამდვილი მგზავრები ჯერ ისევ დარბაზში ისხდნენ და, სულის შემხუთველი ხეატის მიუხედავად, თავიანთ ბარგს ყარაულობდნენ. ესენი დროს ატარებდნენ... სადგურის ბაქანი ახალგაზრდობის თავშეყრის ალაგია. მოწაფეობაში ხათუნაც რამდენჯერ სწვევია ზესტაფონის სადგურს. საღამოებით მთელ ქალაქს იქ ნახავდით. უცხო მხრიდან მომავალი მატარებელი გულს იღუმალი მოლოდინით ავსებს, თითქოს კიდევ მოაქვს რაღაც, თუმცა არავის და არაფერს ელოდები, მაგრამ მატარებელი ბოლოს ისევ მიდის და გამოუცნობი მოლოდინი თავიდან იწყება.

ხათუნამ გულდაგულ დაზვერა ბაქანი, ძეწნებამდე მივიდა. მუნჯია არსად ჩანდა. აქედანაც ხომ არ გაავდეს ის სიცოცხლე. ზოგი რა უბედურ ვარსკვლავზე გაჩნდება!

ალეგების ჩრდილში გოგო-ბიჭები შექუჩებულიყვნენ და ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა მღეროდნენ.

ჩემო ტბილო მეგობარო. გააჩნია ხათუნამ.

„როგორ გავიმეტო ახლა ფული! არა, არა, აუცილებლად ვხყიდო, ოღონდ მერე...“

მუნჯიას ძებნით ამოდ გაისარჯა. მუნჯია არც ბაქანზე იყო, არც საშორიგეოში, არც მოსაცდელ დარბაზში და არც სადალაქოში. ხათუნას მხოლოდ რესტორანში არ შეუხედა. რესტორანში შეზარხოშებული კაცები ხორბოცებდნენ.



„რა უნახავები გახდნენ, ამ სიცხე-პანაქებაში ლენო დაილევა?“

ჩასუქებულმა მებუფეტემ შენიშნა ქალი, რომელიც რამდენჯერმე შემოვიდა მოსაცდელ დარბაზში, ლიმონათის სველი ბოთლი ოფიციატს სინზე დაუდგა და ჩაკეცილი კისერი მოიღრღო.

— ვის ეძებ, ჩემო დაო?

— მუნჯია არის აქ ერთი... — ხათუნა შებოროძივდა.

— მუნჯია? — მსუქანმა კაცმა კისერზე ოფლი მოიწმინდა, — რომელი მუნჯია?

— დამლაგებელია. დიდი ხანი არ არის, რაც თქვენთან მუშაობს.

— დალოსტი! — დაიძახა მებუფეტემ.

ორივე მხრივ ფარდებჩამოშვებულ კარში სასაცილოდ გაკრეჭილმა, სახეზე კანშემქნარმა თავმა გამოიხედა.

— ვინ მუნჯია გყავს აქ თუ ღმერთი გწამს? — მიუგლო თავს მებუფეტემ.

— კითხულობენ თუ? — დაინტერესდა თავი.

— ავერ ქალბატონი კითხულობს... უპ, მუნჯია? — გაახსენდა უცებ მებუფეტეს, — მართლა მუნჯი რო არი? გაბერილი... ხე-ხე-ხე. დალოსტი!

— აქ ვარი!

— ჩვენი მუნჯი უნდა, დამლაგებელი. ხე-ხე-ხე. გუშინ იყო თუ გუშინწინ, ავერ ტრიალებდა. დალოსტი, დღეს არსად დაგინახავს?

— არა, ბატონო.

— ასე გაბრძანდი, გენაცვალე, სადგურის მორიგეს კითხე და იმას ეცოდინება. დალოსტი, კუპატი ორი?

— გმადლობთ, — ხათუნა უკანმოუხედავად ვავიდა ბაქანზე. მუნჯიას ასავალ-დასავალის გასაგებად სადგურის მორიგის მოძებნა აზრადაც არ დაჰმადებია. მებუფეტემ თავად ჰკითხა, თორემ ხათუნა არც იმას შეაწუხებდა. ბუფეტის დახლთან წუთიერი მასლაათით რატომღაც შეურაცხყოფილი იყო და გული მოსდიოდა, ნეტავი რამ ამაწრიალაო.

ყელმოღერებული ყმაწვილები კვლავინდებურად მღეროდნენ ალვის ძირ-

ში. გარს ცნობისმოყვარე ბრბო შემოაბხევოდათ. ხათუნამაც იქით დააპირა წასვლა, რადგან სხვა საქმე მანძი არაფერი ჰქონდა.

ერთი საათიდა აკლდა მატარებლის გამოჩენას. მზე ჩადიოდა და ლუბუნისას თეთრი რიყე ყაყაჩოებით მოფენილს ჰგავდა. ყაყაჩოს ფერი ჰაერშიაც გაბნეულიყო. ბაქანზე მოსიერნე ახალგაზრდებსაც ყაყაჩოს ფერი დასთამაშებდათ სახეზე. ხათუნამ ხელებზე დაიხედა. ხელები ისევ ხორბლისფერი ჰქონდა.

მეგრამ სადაა ამდენ ხანს სერგო? აბა თუ ტყუილად არ ალოდინოს და თვითონაც არ დააგვიანდეს მატარებელზე! გვერდით ოფიციატმა დალოსტომ გაუარა თვალების ცეცებით. ტანმორჩილი დალოსტი მოკაუჭებულ ფეხებს უცნაურად ადგამდა. ცოტას ვაივლიდა, მერე ფეხისწვერებზე წაიცეკვებდა და ბოლოს ისევ ნაბიჯზე გადავიდოდა.

ხათუნას ღიმილი მოერია. თავის დღეში არ ენახა ამნაირად მოსიარულე კაცი.

დალოსტომ თითისწვერებზე გაუარა სამორიგეოს წინ დაკიდებულ ზარს, იქვე ნაბიჯზე გადავიდა და მორიგის ღია ფანჯარაში თავი შეერგო.

„ნეტავი ვის ეძებს?“ — გაიფიქრა ხათუნამ.

მორიგის ოთახში, ჩანდა, არავინ იყო. დალოსტი ქუსლებზე შემობრუნდა და ბაქანზე მოსიერნე ხალხს გაჰხედ-გამოაბხედა.

„მე მეძებს!“ — დაანამდვილა ხათუნამ, ხოლო რისთვის უნდა დასჭირვებოდა დალოსტის მისი ნახვა, ეს კი აღარ უფიქრია. ამასობაში ოფიციატმა შეამჩნია და ვახარებული აქეთ გამოეშურა.

— ვინ ეძებს, ბიძია, მუნჯიას?

— მე, რაყა? — განცვიფრდა ხათუნა.

— ნათესავი ბრძანდები თუ..

— არა, — ხათუნამ თავი გააქნია და რატომღაც გაწითლდა, — მეზობელია ჩემი.

— თქვენი სახელი?

— მინდელი ვარ.

— რაქველი?

— არა, აქაური.

— უყურე! აქაც სახლობენ მინდელე-ბი?

— ერთი კომლი...

— კაი დაგემართოს, — ოფიციალტი წამდაუწყებ ფეხის წვერებზე იწვედა და გაფაციცებული მოსაცდელი დარბაზის კარისაკენ იყურებოდა.

— მუნჯიას რა მოუვიდა? — შეახსენა ხათუნამ.

— ქმარმა გამოაგდო ეს საცოდავი?

— არა, ქმარი არ ყავს.

— ჰმ, ბოდიში, ჩემო დაო, შენთან, მძიმედ არის ეგ ოჯახდასაქცევი. დადის და ტირის აქანა. დღეს არ მოსულა. ვინსა დღეს არ ვიცი. თუ იზამ სიკეთეს, მე ახლა არ მცალია, მუშტარი მყავს, — დალოსტი დაიღრიჯა და ერთხელ კიდევ მოუსვენრად გაჰხედა მოსაცდელი დარბაზის ღია კარს, — იქნება კითხო ვინმეს. პატრონი რაღა არაფერ ეყოლება, კაციშვილია ეგეც...

— ვის ვკითხო ახლა... — შეწუხდა ხათუნა.

ფერ... სადგურის უფროსს თუ კითხავ...

— გკითხავ, რატომ არა!

— ერთ ხმას თუ მომაწვდენ მერე... დალოსტი იკითხე.

— კი, კი.

დალოსტი ფეხის წვერებზე აიწია. ცეკვით დაიძრა.

ბაქანი ხალხით ივსებოდა. საიდანღაც წითელქუდა მორიგემ გამოარღვია ბრბოში და მარცხენა ხელით ზარის ენა შეატოკა.

ხათუნას მოუთმენლობა დაეუფლა. სერგო ჯერ კიდევ არ იყო მოსული. იქნებ მოსულიცაა და ხათუნას ეძებს? ქალი დარბაზში შებრუნდა. იჭაურობა დაცარიელებულიყო. მოლარის სარკმელში ნადრევედ ანთებული ნათურა ბეჭუტავდა. „ვაიმე დააგვიანდება...“ ახლა კი მართლა შეშფოთდა ხათუნა და კვლავ ბაქანისკენ გაიკვლია გზა.

„მერე ამდენ ხალხში ვიპოვნი? აქ დაცდა აფობებს!“

ხათუნა დარბაზში დაბრუნდა და სალოსთან გაჩერდა.

მოედანზე გასავლელ კარში თითო-ორიოლა მგზავრი შემოდოდა, ოფლში გაღვიძებული ბილეთს ყიდულობდა და მაშინვე სტოვებდა დარბაზს.

ხათუნა სალოსს მოსცილდა, კართან მივიდა და მოედანზე გაიხედა. იქ ერთად ერთი საბარგო მანქანა იდგა.

„რაღა გამასწრო ახლა იმან! — გაფიქრა ქალმა, როცა ნაცნობი მანქანა ველარ დაინახა, — ნეტა მომეძებნა, ოციოდე წუთს არ დამიცილიდა?“

სერგომ სულზე მოუსწრო მატარებელს. ხათუნამ შორიდანვე დაინახა და მოედანზე გაეგება.

ჩქარა, ჩქარა, სად იყავი, ბიჭო, რა დაგემართა!

ოფლში ვაწურულმა სერგომ ჩემოდანი დადგა და ხელი ჯიბეზე იტაცა ბილეთის ფულის მოსამზადებლად.

— მოვიდა?

— ვინ?

— მატარებელი.

— მოვიდა კი არა, წადა საცა არის.

— დედა, მართლა რა დამემართა ეს!

— სად იყავი?

— ბილეთს ვიყიდი და გეტყვი ყველაფერს, — სერგომ ჩემოდანს ხელი დასტაცა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ხათუნამ სალოსთან მიუსწრო.

— რალაცა ეშმაკად, ჯერ აღრეა მეტი... — სხაპასხუბით ჰყვებოდა სერგო, — სახლში გადავედი...

ხათუნას გაეცინა.

— ჩვენი მანქანა მიდიოდა... — თავი იმართლა სერგომ.

— აგერ არ იდგა ახლა?

— ჰოდა, მაგას ვწუხვარ სწორედ. სანამ კანტორაში ამოვიდოდი, გამომასწრო! შენი ჰირიმე, ხათუნა, ეს ერთხელ მაპატიე. რას წერს ამდენს ეს ოჯახქორი!

— ათი წუთია გასვლამდე, — თითქოს ქვეყრიდან მოისმა მოლარის გამამხნევებელი ხმა, — პირდაპირ?

— პირდაპირ, პირდაპირ!



— მე როგორღა წავიდე, ბიჭო, ახლა სახლში!

— შენი ჭირიმე, ხათუნა, ამ ერთხელ მაპატიე. მაყვალა გლახა გუნებაზე დავტოვე. გულმა აღარ მომიტოვინა. მაყვალას ბრალია ყველაფერი!

— მოკიდე ბილეთს ხელი!

სერგო გონს მოეგო, ბილეთს და გროვად დაყრილ სამძინეთიანებს მისწვდა.

— ჩამოვალ თუ არა... ზეგ ჩამოვალ მე! აქედანვე, პირდაპირ, განათლებამი გამოვივლი...

— ჩქარა, ჩქარა, ამასობაში ქე გავიდოდა ათი წუთი.

— ჩამოვალ თუ არა, იმ წუთში, ხათუნა...

— კეთილი მგზავრობა!

— არ გეწყინოს, ბიჭებს გაფიცებ, არ გეწყინოს.

— ჰო, ჩქარა ქენი!

— მართლა, ხათუნა! — სერგო უკვე კართან იყო მისული, როცა მთავარი სათქმელი მოაგონდა, — ზურიას გადაეცახე, დედას დააგვიანდებათქო.

— ჰო, ჰო, წადი ახლა!

### თავი ორმოცდამეცხრე

ხათუნა გარინდებული იდგა სადგურის მოსაცდელ დარბაზში. თუმცა სერგოს წასვლის შემდეგ სულ მარტო დარჩა, დიმილი მაინც არ შორდებოდა სახეზე. სერგო ძალიან სასაცილო იყო; სასაცილო იყო თავისი ფუსფუსით, თავისი სიყვარულით, თავისი მაყვალათი, გულმართალი დაპირებითაც კი... რა მოხდებოდა, დედამიწა რომ მხოლოდ ამნაირი აღამიანებით იყოს დასახლებული? ხათუნამ ტუჩები მოკეცა. თვალეში კვლავ დიმილის შუქი უდგა.

ბაქანზე ზარს შემოაკრეს. ქალს სწორედ ზარის ხმამ მოაგონა, რომ გზას უნდა გასდგომოდა. აქ როგორი სინათლეა, სოფლის გზაზე კი, აღბათ, უკვე ბნელა. დაცარიელებულ დარბაზიდან გასვლას აპირებდა, როდესაც დალოსტი ოფიციალტი და მისი თხოვნა გაახსენდა.

ბუფეტს დარბაზის მარცხენა მხარე ეკავა. იქ ახლა არაფერ იყო, ხათუნა დახლოთან მივიდა, იქნებ ვინმემ გამომხედოს და დალოსტის დაუძახოსო. ლოდი ნი დიდხანს არ დასჭირვებია. ფარდებ-ჩამოფარებულ კარში მეტბუფეტე გამოგორდა.

— დალოსტი მანდ ბრძანდება? — მორიდებულად იკითხა ქალმა.

— დალოსტი? უჰ! — მეტბუფეტემ უძილობით და სასმელოთ გამოლენიებული თვალეები აახამხამა, — რაიო, მუნჯია არსად გამოჩნდა? ხი-ხი-ხი-დალოსტი ხი-ხი-ხი. მე ვთქვი, ვინ მუნჯიას კითხულობს... დალოსტი!

— აქ ვარ! — გაისმა ფარდის უკან.

— გამოდი ერწამა.

— რა ამბავია?

— კაი ამბავი, გიძახიან, — მეტბუფეტემ ერთხელ კიდევ ჩაიხიხითხითა და სველ დახლს ქუჩუყიანი ტილო გადაუსვა, — მე ვთქვი, ვინ მუნჯიას...

— მეჩქარება, ბატონო, მე, საკაურაში ვარ გადასასვლელი.

— იმე! დალოსტი!

— აქ ვარ! — ფარდასა და ფარდას შუა ტყავავდაკრული სახე გამოჩნდა.

— დალოსტი ბიძია, მე შეგაწუხეთ...

თქვენ მითხარით, გამაგებინეთ...

— ჰო, ჰო! — დალოსტი სამალავიდან გამოვიდა და დახლს ცეკვით მოადგა, — ვერ ნახე?

— მართალი ვითხრა, არ მიძებნია. მეზობელს ვაცილებდი მატარებელზე.

— გამოვალ ამ წუთში, ამ წუთში, ა— დალოსტი უკანვე გახანხალდა და ფარდას მოეფარა.

მუნჯია მარტოხელა დედაბერთან ცხოვრობდა ნავთის საეპრო წერტის უკან, სადაც წითლად შეღებილი ვეება ცისტერანი იდგა და დღემოდამ შავ ორმოებში შავ ტბად ჩამდგარი ზეთისა და მასუთის ოხმივარი ტრიალებდა. დედაბრის აწ უკვე გარდაცვლილი ქმარი ოდესღაც მოჯამავირედ ყოფილიყო ამბერკი ლაშხის კარზე. ელეფთერს, აღბათ, მეხსიერების დაძაბვა დასჭირდა,

სანამ ამ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ დედებერს გაიხსენებდა, რათა მის ღარიბულ ჰერქვეშ მუნჯიასათვის ბინა გაეჩინა.

დალოსტი წინ მიუძღვოდა ხათუნას. დაბის ამ ნაწილში ქუჩის ნათურები არ ენთო და ხათუნა სიბნელეში ძლივს არჩევდა, როგორ წამოიწევდა და წაუცეკვებდა ხოლმე ძველი ოფიციალტი. დალოსტი ცისტერნასთან მივიდა, რთგორც ხათუნას მოეჩვენა, ერთი ჩაბუქნა და გაჩერდა.

— მივედით? — ჰკითხა ქალმა.

— ბილიკს ვაპყვევი, შვილო აქეთ, მარჯვნივ, ორმოებია, ფეხი არსად ჩაგივარდეს. ეგერ წაქცეულ ღობეს ზედავ?

ხათუნა სიბნელეს დააკვირდა და ღობე გაარჩია.

— ღობის იქით სინათლე ბეჭტავს. იმასაც ხედავ?

— ვხედავ.

— ეგ არის!

— თქვენც წამოსულიყავით...

დალოსტიმ გადაჭრით იუარა.

— აბა აქ დამიციდი?

— ძალიან დაღალული ვარ, თავი ნუ მომიკვდება...

ხათუნას შიშობაც არ უთქვამს, ისე განავრძო გზა და მალე მიწაზე განრთხმულ ფიცრულ ღობეს მიაღდა.

„სახელი მაინც შეკითხა, როგორ დაუძახო?“

უკან მოიხედა, მაგრამ იმ ადგილზე, სადაც წუთის წინ მოთამაშალეულ ოფიციალტთან ერთად იდგა, მხოლოდ თავწაკეთილი შავი ცისტერნი მოჩანდა.

„წავიდა?“

ხათუნას გულზე მოეშვა. წაქცეულ ღობესთან ერთხანს კიდევ შეიცადა, რათა დარწმუნებულიყო, გულყეთილი დალოსტი მართლა წავიდა თუ არა. როცა დარწმუნდა, ნამდვილად გაბრუნებულაო, ნაბიჯი აიკრიფა და თავადაც მის კვალს ვაპყვეა.

ამ ბნელ ღამეში ხათუნა სრულებითაც არ აპირებდა მუნჯის თავშესაფრის ძებნას. რა ჰქონდა საშურო და გადაუღებელი!

არც ის უფიქრია თუ დალოსტი გამოჰყვებოდა, თორემ როგორ მიჰკეთხავდა მეორედ! მუნჯია ბინძურ ამბავში იყო გარეული. ვილაც კაცის თუ კაცების ტრფილმა აქამდე მოიყვანა. ახლა, თითქმის უპატრონოდ დაგდებული გზაშარახე, სადაც ყოველ ცისმარე ღღეს ათასნაირი ზნის ხალხი მიდი-მოდი, ვინ იცის, რა ჯურის ცხოვრებას ეწვევა მიდი და მიაღქეი ოჯახად, თმით თრევის ღირსია. ქალმა საკუთარ თავს რატომ ვერ უნდა მოუარო, ადამიანი ხარ, პირუტყვი ხომ არა!

ხათუნამ, ეს ფიქრი რომ აჩქარებულ ნაბიჯით გაუარა ბნელში აყუდებულ ცისტერნს და სამანქანო გზაზე გავიდა.

წინ, ხუთიოდე წუთის სავალზე, ელნათურები ჩახახებდნენ. სადგურის მოედანი გაჩირაღდებული იყო.

ხათუნამ მოედნის ყელი გადაიარა, ფილაქნიან ქუჩაზე გადაუხვია და მალე განათებული ფანჯრები უკან დარჩა. გულმა გამალეზით დაუწყო ცემა: ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ორღობე თანდათან ბნელდებოდა, ბოლოს კი იმგვარი წყვილიდი გამეფდა, ირგვლივ სრულებით აღარაფერი ჩანდა.

„ეს რანაზად დამეშართა, — შეშფოთდა ხათუნა, — სერგოს ბრალი კია ყველაფერი რას დამაღამებინა!“

— დედა — მოესმა სიბნელეში.

ხათუნა შედგა.

— რომელი ხარ! — შიშნეულად გაეპასუხა ხმას.

— დედა, მე ვარ, ზურია...

— უი, შენ გენაცვალე, შვილო! — წამოიძახა გახარებულმა ქალმა და წინ გაიქცა.

ზურია გზის პირას იდგა, ფეხი თეთრ ლოდზე შემოედო, მუხლს ნიდაყვით დაყრდნობოდა და იცდიდა.

— რა იცოდი, რო მე ვიყავი, ბიჭო! — მივარდა შვილს ხათუნა და წელზე ხელი მოჰხვია, — ეს რა გიჭირავს?

— ფარანია, მოიცა, მოუფიქრო.

— დიდი ხანია აქ ხარ?

— ახლა მოვედი.

— შენ გაგახარა, შვილო, ღმერთმა, როგორც მე ახლა გამახარე.

— ღამე გეშინია?

— კი არ შეშინია, მარა...

— რაღას უცდილი, მატარებელი რა ხანია წავიდა, — ზურია ჩაიკუნა და კარბიტის ფარანს მოუქიდა, — წავიდეთ!

— ეგ ახლავე ქრება, ბიჭო!

— ჩქარა ვიარათ.

— აბა ჰე! — ხათუნა დაწინაურდა.

— ნახეთ ი კაცი?

— ვინ კაცა?

— გამგეა თუ ვიღაცა!

— ვერ ვნახეთ, არ ჩამოვიდა, — რატომღაც იცრუა ხათუნამ და მოიხედა, — რას იზღვირები, ბიჭო?!

— როდის ვიზღვირები!

— ჩვეულებრივად ვამბობ, სხვანაირად მე არ ვიცი!

— არ იცი და უნდა ისწავლო სტუმარი ხომ არაფერს მოსულა?

— ელენე ლაშხი იყო.

— რა მინდაო?

— არაფერი. შენ გიცდიდა. პავლეს და შალიკოს კამფეტები მოუტანა.

— მადლობა ხომ უთხარით?

— ჰო.

— მალე წავიდა?

— მე იქ დავტოვე. დედა...

ხათუნამ შვილს მოჰხედა.

— არ მომწონს ეგ ქალი და რა ვქნა. გინდა გეწიწინოს, მაინც არ მომწონს.

— რატომ, ბიჭო? — განცვიფრდა ხათუნა.

— არ მომწონს, მართლა არ მომწონს, რალცნაირი ქალია!

— რანაირი?

— არ ვიცი მე. ჩვენთან როცა მოდის...

გზაზე ხათუნას გრძელი ჩრდილი დაიჭიმა.

— წინ ვამო, ვერაფერს ვხედავ, — დაუყვავა შვილს ქალმა, — რაიო, ჩვენსა როცა მოდისო?

ზურია გვერდში ამოუდგა, მაგრამ პასუხი არ გასცა.

— ზური, — კიდეც უფრო ტყბილად მიმართა ხათუნამ.

— შალიკოს ნამეტანი ეფერება, შვილოს უძახის... — წაიბუზღუნა ბიჭმა.

— სულელო! — ხათუნას გაეცინა, — ნამდვილი სულელი არ ხარ ახლა შენ?

— ნუ გეცინება, — საყვედური გაბედა ზურიამ და დედას ფარანი მიანათა, — შალიკოს არ სჭირდება ვინცხა-ვინცხაბის მოფერება. ერთხელაც იქნება, ვეტყვი. ნახე თუ არ ვუთხრა!

— რას ეტყვი, ბიჭო, თავი გინდა მომჭრა?

— მე აქამდე არ გაგიმხილუ: მაშინაც დადიოდა...

— როდის? — ხათუნა შედგა.

— შენ რომ იქ იყავი...

— სად?

— ბაბუსთან...

— მერე?

— შალიკოს და პავლეს საჩუქრებს უზიდავდა.

— ზურია... — ქალი გაბრაზდა, — ნუ ხარ ბაბუაშენივით ეჭვიანი!

— რახან აგრეა... — ბიჭს ცრემლი მოადგა თვალზე, მაგრამ შეეცადა ხმის სიმტკიცე შეენარჩუნებინა, — შალიკო პატარა არის, დედა, მეტი ჰქვია კი არა აქვს...

ხათუნა ჩაჩუმდა. საჭიროდ აღარ მიიჩნია გაღიზიანებულ შვილთან კამათი. ელენეს ათვალწუნება ზურიას ზედმეტ მგრძობიარობას დააბრალა. აღარც ბიჭს დაუძრავს კრინტი. გზის დარჩენილი ნაწილი თითქმის უბრად განვლეს. სამკედლოსთან მიახლოვებისას ხათუნას ისევ მუნჯი მოაგონდა და გაიფიქრა, საბაგლად მოვიქეციო, რაკი იქამდე მივედი და დაღლილ-დაქანცული კაცი შევაწუხე, ბარემ შინაც უნდა შევსულიყავიო.

მართლაცდა, იქნებ მუცელი მოსწყდა მუნჯისას ასე უპატრონოდ უნდა ამოხდეს სული? ეს აზრი რომ იმ წაქეუულ ლობესთან დაჰბადებოდა, არამც და არამც არ დაბრუნდებოდა უკან. ახლა უკვე გვიანი იყო.

„თუ ელენე დამიხვდა, საკადრისს მო-

ვახსენებ — მტკიცედ გადაწყვიტა გულში და ლობეზე გადასვლისას ბილიცი ფეხის წვერით მოსინჯა, — ამნაირი თავნებობა გაგონილა? "

შალიკოს და პავლეს ლოდინი მოსწყენოდათ, კარი ურდულით ჩაეკეტათ და გაუხდელად მიყრილიყვენენ ლოგინზე. ზურია ეზოში დარჩა, ნათხოვარი ფარანი იქ ჩააქრო და დილით წამოცვენით ბიჭებს რომ არ მიეგნოთ და არ გაეტეხათ, დერეფანში შეიტანა და საიმედო ადგილი მოუძებნა საწინახლის ქვეშ.

ხათუნა კარის კრილიდან უყურებდა მძინარე ბავშვებს. ორჯერ ფრთხილად დააკაუნა კარზე. ბიჭებს ღრმად ეძინათ. კარის კრალში და მინებში სინათლე ატანდა, მაგიდაზე შემოდგმული ლამპა ბავშვებს ანთებული დარჩენოდათ.

როცა ბავშვებს არ გაედვიძათ, ზურია ფრთხილად გადაძვრა ბაღჩაში, იქიდან ღია ფანჯარაში, კარს მოუარა და ურდული გასწია.

სანამ ხათუნა ბავშვებს მოაღვიძებდა და ლოგინებს გაშლიდა, ზურია ბნელ დერეფანში იჯდა მამისეულ ქვის სკამზე. ბიჭებს კისერი მოსწყვეტოდათ. წამოყენებისას თვალი წესიერად არ გაუხელიათ. იგრძნეს თუ არა, ლოგინში ვართო, მაშინვე ფშვინევა ამოუშვეს.

ხათუნას დაღლილობა წამოეწია. მშვირაც იყო, მაგრამ განძრევა აღარ შეეძლო, თავს მაინც დაატანა ძალა, დერეფანში გავიდა და საწინახლიდან წინა ოთახით გამომცხვარი მჭადი ამოიღო, მერე ნახევარ ყველთან ერთად ფრიალა თეფშზე დასდო და დაჯდა.

— ზური, რაღას უზიხარ მანდ, შემოდი.

ზურია მაშინვე შემოვიდა, ქამარი შემოიხსნა და საწოლზე დაავდო.

— გშია? — ჰკითხა დედამ.

— ქამე, მე არ მინდა.

— შენთვის შემოვიტანე, ბიჭო.

ზურია მერე სკამი მოახრიგინა, დედის პირდაპირ დაჯდა და ყველა და მჭადს უმადოდ შეეჭკა. ხათუნამაც წაატეხა მჭადს ყუა, ყველი მოციცქნა, მერე

სასმელი წყალი გაახსენდა და მოსატანად ადგა.

— სად მიდიხარ? — თავუღებლივ ჰკითხა ზურია.

— ყველი მლაშეა, მოგვაწყურებს.

— მოიცა მე შემოვიტან.

ზურია თანხს მალაყელიან სურას წამოავლო ხელი და დერეფანში გავიდა. შემობრუნებისას ჰიქაც გამოიღო კარადიდან, დედას წყალი დაუსხა და დაჯდა. ვახშამი აღარ გაუგრძელბია.

— რას შერები? — ჰკითხა ხათუნამ.

— მეტი აღარ მინდა.

— ქამე, უკ, რა თბილი წყალია, ბიჭო.

ზურია ჩაახველა და თავი ჩადუნა. მოთმინებით უცდიდა, როდის დაამთავრებდა დედა ვახშამს.

ხათუნამ ორიოდ ლუქმა გადაყლაბა, ზედ წყალი დააყოლა. წყალი თბილი იყო, მხოლოდ ნახევარი ჰიქა მოსვა და შეიღს შეჭხედა.

— რატომ არ წვები?

— აა, — ზურია ხელი შარკლის ჯიბისაკენ წაიღო, ფოსტის-ბეჭდებდასმული კონვერტი ამოაცოცა და დედას წინ დაუდო.

— რა არის, ბიჭო, ეს? — ელდა ეცა ხათუნას.

— ნახე.

ხათუნას გული შეუქანდა. წერილს ხელი დასტაცა.

„მოვიდა იმისია!“

კონვერტი მონდომებით დაწებებული იყო. კიდევში წებოს მოყვითალო კვალი ემჩნეოდა.

ხათუნამ ვერ მოითმინა, კონვერტის გახსნის მაგიერ ენაჩავარდნილ შეიღს თვალეზი შეანათა.

ზურიას თავი ჩადუნა. იატაკს ჩასცქეროდა.

ხათუნა წამოდგა, მერე ისევ დაჯდა, ისევ წამოდგა.

ზურია კვლავ თავჩადუნული იყო, დედის უსაგნო წრიალს თითქოს ვერც ამჩნევდა.

— დაწევი, — წაიჩურჩულა უცებ ხათუნამ. მის ხმაში შეუკავებელი მუდარა ისმოდა.

— ვისი წერილია? — ჰკითხა ზურიამ.

— ვისიც უნდა იყოს! — ხათუნა ლამპის შუშას მისწვდა და კინალამ ხელი დაიწვია.

— რას შერებში — წამოსცდა ვაჟს.

ხათუნამ პასუხი არ გასცა; ლამპას გაჭირვებით მოჰხადა ცხელი შუშა და გაუხსნელი კონვერტის ყური ძაღლის ენასავით ამოწვერილ ალს დაუპირდაპირა.

— დედა, რას შერებში — ხელებში ეცა შშობელს ბიჭი.

— მაცალე! — ლამპის შუქზე ხათუნას არაჩვეულებრივად უელავდა გაჩერებული თვალები, — ვიცი, რასაც ვშერებში!

კონვერტის ყურს ხშირი კვამლი ავარდა, მერე ცეცხლიც მოეკიდა. ოთახში დამწვარი ქაღალდის სუნი დადგა. თუმცა ხელი უკანკალედა, ხათუნას მაინც ჯიუტად ეპირა ალზე კონვერტი.

— რატომ დაწვი? — დედის უცნაურმა საქციელმა კიდევ უფრო შეაშფოთა ზურია.

— ასე უნდა.

— ვისი იყო?!

— სულ ერთია.

— დედა... მე ვიფიქრე, ვაითუ გლახა რამე წერიათქო. მაშინათვე იმატომ არ გაჩვენე.

— ვიცი, რატომაც არ მაჩვენე.

სასოებით დაღუჭული კონვერტი იხრუეებოდა. ნელი, უთანაბრო ცეცხლით იწვოდა.

## თავი ორმოცდამათი

ელეფთერს მოსვენება დაუკარგა ოჯახში დატრიალებულმა ამბავმა. ცოლს გვერდიდან აღარ სცილდებოდა. რასაკვირველია, გაგანია ალოსთაზე სოფლის აგრონომს ნიადაგ შინ ყოფნა, არ შეეძლო, მაგრამ როგორც კი თავისუფალ წუთს მოიხელებდა, მაშინვე აქეთ მოიჩქაროდა.

დღე ერთი იყო და ელეფთერი ოთხჯერ, ხანდახან ხუთჯერაც კი შეაღებდა ეზოს კიშკარს.

ქალს უცნაური ზნე დასჩემდა: თუ ელეფთერი კარგ გუნებაზე იყო, თვი-

თონ აუცილებლად მოიწყენდა და დროდადრო ორპირიდან გესლიან სიტყვებს ისროდა. ქმრისთვის ვერა და ვერ ეპატიებინა იმდღევანდელი განურჩევლობა — რაც გინდა, ისა ჰქენიო.

ელეფთერი ითმენდა; ითმენდა, აბა სხვა რა უნდა ექნა!

ელენე ჰკუას მოკლებული ქალი არ იყო და ქმრის ამ წინდახედულ მოთმინებას აფასებდა. ალღოთი გრძნობდა, სიტყვიერ თუ უსიტყვო კიდილში გავიშარჯვე და ქმრის გულში ღრმად ჩამარხული სიყვარული ხელახლა გავადგიო. გაღვიძებული სიყვარული ცოტა ტანჯვას როდი აყენებდა ერთსაც და მეორესაც; მაგრამ ცოლ-ქმარს შორის ღროის განმავლობაში გაჩენილმა სიციარიელემ მაინც ამოგსება იწყო.

მეუღლის წინაშე ელეფთერი იბნეოდა, მორცხვობდა, მგრყვობდა, ზედმეტ ანგარიშსაც კი უწევდა ელენეს ახირებებს, რათა ამ ხერხით ადამიანურ ცხოვრებისათვის აუცილებელი წონასწორობა შეენარჩუნებინა. რამდენჯერ იფიქრა, მოდი, ელენეს სამსახურს რასმე გამოუფიქებნი, იქნებ მუშაობაში გაერთოს კიდევო, მაგრამ სანამ ამას ცოლს გამოუცხადებდა, ჯერ შესაფერი ადგილის პოვნა იყო საჭირო. ზამთრის სესიიდან გამოქცევის შემდეგ ელენეს სწავლა აღარ გაუგრძელებია. მთავარი დაბრკოლება ცეს გახლდათ. ელეფთერმა არა ერთი და ორი ღამე გაატარა უნაყოფო ფიქრში. მისი არჩევანი საბოლოოდ საბავშვო ბაღზე შეჩერდა. ელენეს ბავშვები უყვარდა. საბავშვო ბაღში მუშაობა, სანამ არ მოეწყინებოდა, ქალისათვის ზედგამოჭრილი იყო. ელეფთერმა ისიც იცოდა, რომ ბაღის გახსნას თითქოს განზრახ აყოვნებდნენ. ჯერ მგონი ხალხი არ ჰყავდათ, ელენეს იქ მოწყობა არავითარ სიმნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ბოროსთან მოლაპარაკებამდე ცოლის აზრი ხომ უნდა გაეგო. ჯერ ერთხელ გადასდო, ხვალ ვეტყვიო, მერე მეორედ — ზეგო, დრო კი მიდიოდა და იქნებ დაჰგვიანებოდა კიდევ.



კერა დილას ელენემ საესებით მოულოდნელი სურვილი გამოამქდავან: წიფლისწყაროში უნდა გადავიდნენ და მუნჯია უნდა წამოვიყვანო.

ელეფთერს გაუკვირდა. აშკარა იყო: ქმრის ყურადღებით განებივრებული ელენე სხვა რადაცის თქმას აპირებდა, — შინიდან გამეცვებული მუნჯიას დაბრუნება — მხოლოდ დასაწყისად გამოიყენა.

ელენე ქმრის პასუხს ელოდა.

ელეფთერმა იგრძნო, წაყრუება აღარ გამოადგებოდა და ცოლი რომ არ გიღიზიანებულაყო, ნაძალადევი ღიმილით უთხრა:

— ამ ბოლო დროს შენ ძალიან ღმობიერი გახდი, ელიკო.

— მე ვავხდი ღმობიერი თუ შენ — ელენემ ფარული კილვა ამოიკითხა ქმრის ნათქვამში.

ელეფთერმა კოტიტა თითები მოისვა მსუქან ნიკაპზე.

ნუთუ მართლა მუნჯიას შეეხებოდა სიტყვა? მუნჯიას დათხოვნა თავად გულშიაც არ ვაუვლია, თუმცა ერთხელ მართლაც რომ ღვარძლიანად დაემქტრა. ამ ქალის საქციელი ბუნების გარდაუვალი კანონის გამოვლინებად მიაჩნდა. მუნჯიას კიბევა, ასე რად ჰქენო, უგუნურებაც კი იყო, მაგრამ განსჯას თავი ანება და ცოლს დაუთმო.

ახლა სრულიად საპირისპიროს მოითხოვდა ელენე.

იქნებ ამანაც მოჰკრა ყური სოფლის ჩურჩულს? ორჯერ თუ სამჯერ ელემფთერს განზრახ ვაგონეს...

ელეფთერი დანაშაულს გრძობდა და მეტიც, რომ ეთქვა ვისმე, ალბათ, პასუხსაც ვერ გასცემდა.

ბორის ლოლაქემ ხუმრობით ჩამოუფქვა: მუნჯიას ადგილზე სხვა სისამართლოში გიჩივლებდა და საცხოვრებელზე ლარს დაგირტყამდაო.

მართლაც!

საცხოვრებლის ხსენებამ ელეფთერს ძვალ-რბილში გაუარა.

ის, რასაც ბორისი საცხოვრებელს

უძახდა, — სახლი და კარმიდამო, — ელეფთერისათვის ერთიანი და განუყოფელი რამ იყო. აქაურობის სიმართლეს სულის სიმართლეს უკავშირდებოდა და თუმცა სახლს მოშორებულს, როგორც სოფელში იტყვიან — გარე-გარე წაწალში ცხოვრების უმეტესი წილი გაეტარებინა, ეს სახლი და ეზო-კარმიდამო გულში ჩასახულ ხატად მუდამ თან დაჰქონდა.

აქაურობა მეტი იყო ვინემ საკუთრება.

ლარს დაგირტყამდაო...

რა ვუყოთ, შეიძლება ასეც მოხდეს. მაშინ სულაც წავა აქედან ელეფთერი. წაიყვანს ელენეს და წავა. ეცოდინება მაინც, რომ აქ აღარავინ და აღარაფერი დარჩენია. ყველაფერი დრომ ამოივამა. მამა ვენახშია დამარხული, გზასთან, დედა — სასაფლაოზე, საყდრის ნანგრევებს უკან. სანამ არ მობრუნებულა, მუნჯიაც მკვდარს ჰგავს, რადგან აქ აღარ არის...

ვიდრე ესენი ცოცხლები იყვნენ და ელეფთერს შინ ეგულუბოდნენ, ეზოს თითქოს უტეხი ჩრდილი ადგა. ცოცხალი, ახლობელი ადამიანები ელეფთერს ხშირფოთლოვან ხეებად ჰყავდა წარმოდგენილი. ეს ხეები უმკლავდებოდნენ მზეს, წვიმას, სეტყვას, ქარს... წაიქცა ერთი ხე — ეზოში თავარა მზემ ჩამოიხედა. წაიქცა მეორე, მესამე, მეოთხე... მიდამო მოშინველდა. ფესვებიანად ამოგლეჯილან მიწიდან გრილჩერთიანი მაღალი ხეები.

ლარს დაგირტყამდაო... ჰმ იქნებ ბორისს ჰგონია, ელეფთერი კაპიკების საღირაღს მისტირის და უფრთხილდება! ვინ უწყის, თავაწყვეტილი ფიჭვი ელეფთერს სადამდე მიიყვანდა, ელენეს პალატის ფანჯარა რომ არ გამოეღო ქმრის ცხვირწინ და ყვედრებით არ ეთქვა:

— ადამიანი გელაპარაკება, შენ ყურსაც არ უგდებ!

— ჰო, რა იყო? — ელეფთერი უცებ გამოერკვა და უკან დაიწია. რათა ცოცხლობარჯვებულ ცოლისათვის რატაცის გამოგვის საშუალება მიეცა.

— სამშაბათს მივიღებარ. ახლავე იცოდე.

— სად?

— ყურს მართლა არ მივღებდი?

— როგორ არა, ელიკო, მაგრამ...

— ჰოდა, იცოდე.

— მართლა გადმოყვანა გინდა?

— კიდევ მეკითხება.

— მართლა, მართლა!

— იქ გამოჩნდება.

— თუ ასე... — ელფთერმა წუთით შეუყოვნა და ამჯერად კარისაკენ დაიხია, რადგან ცოცხი ახლა ბუხრის მხრიდან მოსდევდა ნაგავს, — თუ ასე შეიცვლიდი, შექალო, ახრს...

— ხომ იცი, ეგ „შექალო“ არ მიყვარს.

— თუ აგრე ხელად შეიცვლიდი... ან გაშვება რა იყო ან უკან დაბრუნება რას მიქვია!

— მართლა ამბობ? — ელენემ ცოცხი შეაჩერა.

— შენ ნუ მომიკვდები.

— არც ეგ ფიცი მომწონს.

— იმდენს იზამ, ხმას სულ აღარ ამომაღებინებ.

— ბებრული ფიცია, — ელენე მარცხენა ხელით ტახტის კიდეს დაეყრდნო, დაიხარა და ცოცხი ღრმად გამოუსვა ტახტქვეშ.

— დაებრდი თე და შენ, ელიკო. არ გინდა დაიჯერო? — ნაძალადევად იღიმებოდა ელფთერი.

ელენე გაიმართა. საშინაო ხალათის ჩამოშლილი სახელოები გადაიკეცა.

— ბავშვს რაღას უპირებ? — ჰკითხა ქმარმა.

— ჯერ ხომ არ დაბადებულა.

— დაიბადება.

— შენ როგორ ფიქრობ, რას უნდა ვუპირებდე?

ელფთერმა სიტყვა ველარ იპოვნა, თუმცა ერთი ორჯერ კი დააპირა რაღაცის თქმა.

— ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, — განაგრძო ელენემ, ოთახის შუაგულში მოგროვილ ნაგავს თავი დაუარა და კარისაკენ წახვეტა, — მომეწყინა.

— აქ? — ელფთერმა უმაღლესად გაღიჟინდა, შეხშიანება აუცილებელია...

— საერთოდ მომეწყინა, — თქვა ელენემ.

— როგორ საერთოდ?

ქალმა ცოცხი კარის ჩარჩოს მიაყუდა, ლასლასით გაბრუნდა და ტახტზე ჩამოჯდა. არც ელფთერს დაუყოვნებია: ცოლის გვერდით დაეშვა ტახტზე, ელენეს მკლავი გადაჰხვია. ქალი ოდნავ ირწეოდა. გასანთლულივით უბრწყინავდა თვალთა უბეები. ელფთერმა ცოლს ნამიანი შუბლი გადაუწია და ღრმად წარბზე გაეხახუნა.

— თუ გინდა, წავიდეთ აქედან, ხვალვე წავიდეთ...

— იპ, ნეტავი შენ!

— დამცინი? — ელფთერმა გაღიმება სცადა, მაგრამ მისი ნაოჭებდაყრილი ღრმისთავები ელენეს არ დაუნახავს, — ნუ ამბობ აგრე, ელიკო, ხომ იცი, ყოველ საყვედურს ჩემს თავზე ვიღებ.

— ტყუილი ვთქვა?

— სულაც ნურაფერს იტყვი.

— ნურაფერს?

— ჰო, ნურაფერს.

— დავმუნჯდე?

— ნურც დამუნჯდები და ნურც...

— ელფთერ...

— რა? — კაცმა უფრო ახლო მიიწია.

— ოღონდ არ გეწყინოს.

— თქვი!

— მე ერთი რამე შეენიშნე.

— რა შენიშნე? — ელფთერს მოუთმენლობა დაეტყო, ხმაში ხრინწი გამოერია.

— მუნჯისათვის აღრე არაფერი შეგიტყვი?

— რა უნდა შემეტყო?!

— გულწრფელად მითხარი. ხომ იცი, მე ექვიანი არა ვარ.

— ელიკო... — ელფთერმა განზე გაიწია და მძიმე ხელი, რომელიც აქამდე ქალის მხარზე ჰქონდა შემოღებულ, ჩამოიღო, — არაფერი არ მესმის, რის თქმა გინდა.

— შენ ყოველთვის აგრე იცი.

— რა ვიცი, გამაგებინე.



— როგორ გგონია, მუნჯიას არავინ ჰყვარებია?

— რაო? თუ ქალი ხარ, თავს ნუ იზავებებ. აღარ მოგეწყინა ამეებზე ლაპარაკი?

— მოიცა, სიტყვას ბანზე რად მიგდებ.

— აბა მუნჯიას სიყვარულზე მაფიქრე კიდევ, მეტი საქმე არა მაქვს!

— მაგით მხოლოდ შენს გულქვაობას ამტკიცებ. რატომ არ გინდა კითხვაზე პასუხი გამეც?

— რაზე უნდა გაგცე პასუხი!

— გასაგებად გვითხე: როგორ გგონია, თავის სიცოცხლეში მუნჯიას არავინ ჰყვარებია?

— მე რა ვიცი, ანდა საერთოდ რისთვის მეკითხები მაგას!

— მიხილები, რისთვისაც გეკითხები. დაჯე. ხანამ არ გიპასუხნია, არ ვაგიშვებ, იცოდე.

— შენ ნუ მომიკვდები, გადამრეცხად მე და სად დამთხვეული მუნჯიას სიყვარული! — ელეფთერი აღშფოთებდა ველარ მალავდა.

— თუ არ გინდა ვამოტყდე, გეტყვი: მუნჯიას პირველი სიყვარული შენ იყავი.

ელეფთერი ამას არ მოელოდა. ქალის მშვიდად ნათქვამმა სიტყვებმა თავზარი დასცა.

— მართალია? — თითქოს ეს ვერ შეინიშნაო, მშვიდადვე ჰკითხა ელენემ, თვალეებში შემოჰხედა და გაჩაჩხულ მუხლზე ხელი დაადო.

— ყველაფრის ღირსი ვარ! — დაიქშინა მცირე ღუმლის შემდეგ ელეფთერმა, რომელიც თავით ფეხებამდე შეებოჭა ქალის მომრუსხველ მზერას. — ვინ ჩაგაწვეთა ყურში ეგ საძაგლობა!

— არავინ. მე ჩაწვეთება რად მინდა.

— აბა ასე... როგორ შეიძლება!

— დიდებულად შეიძლება. ქალი ქალს ყოველთვის მიუხვდება.

— შენ ნუ მომიკვდები, გადამრეც!

— როცა მამაშენმა ეგენი მოიყვანა, კაი თექვსმეტის იქნებოდი... ელეფთერმა მეტს ველარ გაუძლო.

ხიზლი აღრჩობდა. თავის დასაღწევად წამოიწია, მაგრამ ცოლი პოჯაკის კალთაში წაეტანა, ხუმრობით დაითრბა და კვლავ გვერდზე მოსივა.

— ყური დამიგდე, — რალაც განსაკუთრებული მოუთმუნლობა და კმაყოფილება დაირბა ელენეს ხმაში, — ნუთუ არ შეგიმჩნევია: პატარა გოგოებს დიდი ბიჭები მოსწონთ.

— კიდევ! გამიშვი...

— პატარა რომ ვიყავი, შეიდი წლის, მეც მიყვარდა ერთი ჩვენი მეზობელი, დიდი ბიჭი. ინეინერი იყო. რამდენჯერ გაგპარევივარ დედას იმის დასანახავად. სოფლის ბოლოზე ჰაბურდილს თხრიდნენ. ახლაც კი მახსოვს...

— თუ ხვდები, რა საძაგლობას ამბობ!

— მე? არაფერი საძაგლობა არ არის, ღმერთმანი. მაშინდელი სიყვარული სულ სხვანაირია.

— ელიკო, შენ მართლა ექიმობა გპირდება. რისთვის მაწამებ!

— გაწამებ? როდის? ამბავს გიყვები.

— არ მინდა ეგ შენი ამბები!

— ოჰო, კიდევ რას იტყვი?

— არაფერს. გამიშვი!

— მიდიხარ სადმე?

— არა.

— აბა იჯექი, ხომ არ გჭამ, გელაპაკებები.

— შექმნაზე უარესია ეგ, ელიკო: ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფას მაყენებ.

— როდის აქეთ გახდი ამისთანა თავმოყვარე!

— კიდევ დამცინი?

ელენე სანთელივით დაარბილა ქმრის აღერსნარევა წყრომამ, კაცს სახეზე მკერდით ნიდაყვზე მიყურდნო და კისერზე ხელი მოჰხვია.

— შეერიგდეთ.

— კარგი ერთი თუ ქალი ხარ! — ელეფთერმა განთავისუფლება სცადა.

— გაჯავრება გიხდება. სულ რომ ავრე ჯავრობდე, არასოდეს არ წავიჩხუბებით.

— თუ ბეწვისტოლად მაინც გიყვარვარ, ამ საგანს ნულარ მოიგონებ.

— რომელს? — ელენემ მართლა ვერ მოისაზრა, ქმარი რას გულისხმობდა.

— რომელს და რომელიც არის! — ელეფთერს სიწითლემ გადაჰკრა მსუქან ლაწვებზე.

— მაინც? — არ მოეშვა ელენე.

— ერთი სიტყვით, გთხოვ და აწი შენ იცი.

ქმრის დარცხვენამ ელენე ცელქობის გუნებაზე დააყენა, ელეფთერს განზრახ ჩააცივდა:

— რას მთხოვ, არ უნდა ვიცოდე?

— ელენე! — სხვა ღონე აღარ იყო, ხუმრობითვე შეუტია ქმარმა.

— აქ გახლავართ, პატივცემულო მასწავლებლო!

— ადევ, გამოგავე ბარემ, ნაგავში მოგვისწრებს ვინმე, სირცხვილია.

— კისერი იტეხოს თუ მოგვისწრებს.

— ადევ, ადევ!

— რომ არ მითხარი, რა საგანი არ უნდა მოვიგონო?

— ადევ ახლა, მართლა მოვა ვილაცხა.

— მოვა და მოვიდეს, შავის ჯავრი მაქვს? მითხარი, რა არ უნდა მოვიგონო?

— ელიკო, გაწყენინებ.

— აბა სცადე.

— ადევ!

— მუნჯიას აშბავი აღარ მოვიგოხო?

— კარგი, გვეყოფა, საქმეს ვეწიოთ.

— მაინც რატომ არ უნდა მოვიგონო, მითამ რაო?

— ელიკო, თავი მატკინა ამდენმა ლაბარაკმა; შენ ნუ მომიკვდები, მეტი აღარ შემიძლია. გუშინ ახალი წიგნები მომივიდა თბილისიდან. გადაარჩიე?

— შენ ეს მითხარი, რატომ არ უნდა მოვიგონო? — არ თმობდა თავისას ელენე.

— მოიგონე და რაც გინდა, ის ჰქენი! — ელეფთერმა ძალიძალიდ მოიშორა ცოლის ხელი, ადგა და ბუხრის წინ გადაკოტრიალებული სკამი წამოაყენა.

ელენე დაღვრემილი იჯდა ტახტზე, დროის მოსაკლავად თითებს იმტვრევდა და თითქოს დიდი რამ თავშესაქცევი

უბოვნიო, ყურს უგდებდა სახსრების ყრუ ტაკუნს.

— ელიკო, — დაიწყო უცებ ელეფთერმა, რომელსაც ყოველთვის გულს უწუხებდა ცოლის ახირებული ჩვევა — თითების ტაკუნე, — მე შენთან შესათანხმებელი საქმე მაქვს, კინაღამ დამავიწყდა.

— ჩემთან შესათანხმებელი? — ელენემ ნაგუბარად სიცილის მსგავსი ხმა გამოსცა და ყანაღად გაკვირებული სახე გულხელდაჭლობილ ქმარს მიაპყრო.

— ნუ კი ხუმრობ, მართლა გეუბნები, — იწყინა ელეფთერმა.

— როდის გეუბრობ, გისმენი! — ქალმა გაიღიმა.

— სამსახური უნდა დაიწყო.

— მე?

— ჰო, ვიცი რის თუ?

— როგორ, ელეფთერ?

— როგორ და ჩვეულებრივად. როგორ მსახურობენ ხვებში!

— მე რომ არასდროს არ მისახურია?

— თუ არ იმსახურე, ყოველთვის აგრე იქნები.

— მერე არ გეშინია?

— რის?

— ვაითუ იქ ვინმე იყოს...

— სად?

— სამსახურში... — ელენემ ქმარს ქვემოდან გამოჰხედა და ერთიმეორეზე შემსხდარი ნაფოტა კბილები გამოაჩინა.

— ნუ წახდი სულ! — ხუმრობაგაშვევით შეუტია ელეფთერმა.

— მითხარი, მეშინია-თქო, რა მოგივა!

— მე საქმეზე გელაპარაკები, შენ კი ისევ ხუმრობ.

— თქვი, გისმენ.

— თუ ჰკუთნი გიჯდება, ვთხოვ ხალხს.

— თხოვე.

— აგრე გულგარეთ ნუკი ამბობ, ჯერ მოიფიქრე და ისე მითხარი.

— მე რალა მოვიფიქრო, რადგანაც ამბობ, შენ, ალბათ, მოფიქრებულიც გექნება.

— შერე ჩემს ჭკუაზე დადიხარ?

— აბა ვის ჭკუაზე ვიარო?!

— ელენე, დროა დაიჯერო, რომ გუშინდელი ბაღლი აღარა ხარ!

— რა გინდა, რა! — გუნება ერთბაშად შეეცვალა ელენეს.

— რაც გითხარი, ის მინდა. სირცხვილია ბოლოსდაბოლოს. თუ გიჭირს რამე, ეჭიმთან წაგიყვან, მეტი რა ექნა!

— მე არაფერი მჭირს საეჭიმო.

— აგრე გგონია.

— რას შემომიჩინდი, ელეფთერ, ძალით გინდა ავად გამხადო?

— შენ ყოველთვის გჭონდა რაღაც ავადმყოფური, — თავისდაუნებურად წამოსცდა ელეფთერს და რათა ცოლის თვალებს არ წასწყდომოდა, ღირი მიიბრუნა, — ყოველთვის მეშინოდა...

— არ გაგიედვსო? ეგლა მაკლია შენგანი — ელენე წამოდგა, კართან მივიდა და ჩარჩხზე მიყუდებულ ცოცხს ხელი დაავლო, — ახლა სიგიჟე მომიგონე!

ელეფთერს ხმა არ გამოუღია. მიხვდა, საუბრის გაგრძელება კარგს არაფერს მოიტანდა და პასუხის ვაცემის მაგიერ მაშინვე დერეფანში გავიდა. სანამ ელენე პალატის გამოგვას შორჩებოდა, იქ იდგა და ფიქრობდა ზემოთ ასულიყო თბილისიდან ახლადმიღებული წიგნების გადასარჩევად თუ კარის ვენახისათვის მიეხედა. ვენახს, ჩვეულებისამებრ, მუნჯია უვლიდა, მხოლოდ წამლობაზე იხმარდნენ კაცებს. მუნჯიას წასვლის შემდეგ მთელი სამუშაო პეტრე შიროტაძემ იღო თავს, რადგან ელეფთერი კურსდამთავრებული გერის საჭმის მოგვარებას დაჰპირდა.

(გაგრძელება იქნება)



მარიამ ბაჩიყალი

# გარღვეული მიჯნა



რომანი

ნაწილი პირველი

ვერძენი სამამულო ომში დაღუბულ ჩემი შვილის შალვა მელქი-  
სედგის ძე რატოიანის ხსოვნას.

## „პაროვა და „ღაბაღივის თამაში“

ყვითლად შედგებილ, მაღალფანჯრუ-  
ბიან სახლიდან დანიელა ურისა წყრი-  
ლა ხმა გაისმა:

„გული მიწუხს, სულიც მასთან  
სულიც მასთან ღონდება,

თვალს ავახელ, ცრემლები არ,  
ცრემლები არ მშორდება“.

— შენი ჭირიმე, დანიელ, შენი ჭი-  
რიმე! ბუღბუღი ხარ, ბუღბუღი —  
შეაქვს დანიელი შეზარხოშებულმა მო-  
ჭეიფეებმა და თავათაც ააყოლეს სიმ-  
ღერა, მაგრამ მოძახილთაგან ისე გა-  
ნირჩეოდა დამწყვები, როგორც ჩხივე-  
თა ჩხავილისაგან სირინოზის ხმა.

ღაბა-სოფლის ფართო შარავნის  
პირას ჩამწყვრივებულ ოდა-სახლების  
მოაჯირებზე გადაწოლილი, საღღესას-  
წაულოდ მორთულ-მოკაზმული მოსახ-  
ლეობა მოჯადოებული ისმენდა დანიე-  
ლას სიმღერას.

— რა ხმა აქვს მაგ ოხერ-ტიალს!  
თაფლი ამოდის ყელიდან, თაფლი, —  
თქვა ერთმა.

— კარგი ბიჭია, სალახანად რომ არ  
უყვარდეს თრევა, — დაუმატა მეო-  
რემ.

— მართალს ამბობს იაკობი, მარ-  
თალს, — დაემოწმა მესამე.

— რატომაა, ბიძია, სალახანა? —  
გაცხარდა ერთი ახალგაზრდა.

— იტომაა, ბიძი, რომ უქმი კაცია,  
არაფრის მაქნისი. სიმღერითა და ბან-  
ქოს თამაშით ვის გაუგონია ცხოვრე-  
ბის გატანა. ცოლ-შვილს შენახვა უნდა,  
უპატრონოდ ჰყავს დაყრილი და თავით  
სხვის სუფრას უღებენს, ასეთი კაცი სა-  
ლახანაა!..

— თუ კი პატივობენ, ივლის, აბა,  
რას იზამს?!

— ბიძია, შენ ჯერ ბაღანა ხარ, რა  
გესმის ამ ქვეყნის? პატიოსნად რომ  
შრომობდეს, ის არ ურჩევნია სხვის ნა-  
სუფრალს?

— იმუშავე შენ, სადაა თუ იცი სა-  
მუშაო, აღარ იტყვი? — ჩაერთა ლა-  
პარაკში ჭიღარა კაცი.

— რატომ, შე კაი კაცი, იოხანან  
კრიბელი ქვეყანას თუ ფართალს ნი-  
სიად აძლევს, მაგას დაუკავებდა?

— მიცემდა თორემ, მე ვიცი, აზუ-  
ქებდა!

— რატომ ამბობ ამას, ნღობ-  
ბაც კარგი საქმეა! ყველა მაგ კაცის  
წყალობით არ ვკამთ ლუკმას?!

— მისი წყალობით... როგორ არა,  
სულ ჩვენი ჯავრი არ აწუხებს? თავის  
ჯიბეს ივსებს, დიდ მოგებას ნახულობს  
ამით და მისთვის იძლევა საქონელს ნი-  
სიად, თორემ...

— ძალიანაც კარგს აკეთებს დანიე-  
ლა, რომ არ მუშაობს! ჩვენ თუ წელ-  
ში ვიკაცებთ იოხანანის წინაშე, ამი-  
ტომ არ გვიდულს და გადმოგვიდულს

ცხოვრება?!" — თქვა შუათანის, ბექებში მოხრილმა კაცმა.

— ჯანო, ბიჭო, შენ მაინც სულ ბუზღუნებ, ჩემგან რომ მიგქონდა ფართალი. ხომ კმაყოფილი იყავი? — მიმართა საყვედურის კილოთი ერთმა შეძლებულთაგანმა.

— არ ვიყავი, რჯულის მადლმა, არა ან რა კმაყოფილი უნდა ვიყო, მთელი დღეობით ძაღლივით დაკეთრევი სოფელ-სოფელ... მჭადითაც ვერ გამიძღია კაცს ადამის შეილება...

— კარგი, გეყოფათ, დაანებეთ ყაყანს თავი! თორაში არ გიწერიათ ასეთ დიდ დღეს გამოთ გამჩენი, — თქვა თეთრწვერა დარბაისელმა კაცმა, რომელიც იოხანანის სახლის პირდაპირ დუქნის დირეზე ჩამომჯდარიყო, მუხლზე მოსეს<sup>1</sup> წიგნი გადაეშალა და თხელ, მოგრძო ცხვირზე ჩამოცმული სათვალისაგან დამტუქსავად იყურებოდა. ყურის ძირებთან თეთრი, დაგრეხილი ფიები ეკიდა და მელოტ თავს მაღალი, ჩატეხილი ბუხრის ქუდი უფარავდა.

იოხანანის სახლიდან კვლავ სიმღერა და ხმაური ისმოდა.

— დიდი ქეიფი კი აქვს ჩვენს ყოველდღეობაში იოხანანს! — თქვა იმავე თეთრწვერამ და წიგნის სტრაქონს სალოკი თითი დაადო.

— იოსება დღეს ხათან მესაიემია<sup>2</sup>, სასიამაორომ ხათნობა<sup>3</sup> უყიდა, გახარებულთა სასიძო და ქეიფობს, — განმარტა მრავალმნიშვნელოვნად ერთმა დამსწრეთაგანმა.

შუა შემოდგომა იდგა, საამურად თბილთა და დიდ შარაზე გამოფენილ ხალხს ხალისს მატებდა. სოფელი მორთულიყო. მხიარული ახალგაზრდებით

საკე ეტლები ერთი-ერთმანეთს მისდევდნენ. მოსახლეებს თავიანთ ეზოებში პატარ-პატარა კარგებში გაემართათ. ზოგს ფიცრული აეგო, ზოგს ფაცხის მსგავსად წნელით შემოედობა და ხის ტოტებით გადაეხურა, ზოგს კი ზეწრები, საბნები და ფარდაგებიც კი გამოეყენებინა. ამ დღესასწაულს, „კარვობას“, შეძლებისგადად ყველებრაელი უნდა შეხვედროდა. მთელი კვირის განმავლობაში ძველთაგან ნაანდერძევი წესი და ადათი შეესრულებინა: ელოცნა და ედიღებია „ქვეყნიერების გამჩენი ღმერთი“, ესადილა და ევახშმა „სუქაში“, წარმოედგინა დღეები, როცა თვისი წინაპარი ებრაელი ეგვიპტიდან პალესტინისაკენ მიიღტვოდა; როგორ მიდიოდა იგი უდაბნოში, იბრძოდა და წინ მიიწევდა; გზადაგზა შლიდა კარგებს და ომებისაგან დაღლილ-დაქანცული ისვენებდა შიგ, იძინებდა და ჭამდა მაცას<sup>2</sup>.

იმ დღესაც „კარვობა“ დასასრულს უახლოვდებოდა. დაბინდებისას კი სალოცავში „დაბადების თამაში“ უნდა დაწყებულიყო.

იოხანანს კრიხელის ორსართულიანი ოდის გვერდით ძვირფასი ხალიჩებისაგან შეკრული „სუქა“ გაემართათ და ზემოდან ტირიფის ტოტებით დაეხურათ. კარვის მთელ სიგრძეზე გაშლილი მაგიდის ქვეშ ფარდავი გაეშალათ. თეთრ, სპეტაკ სუფრაზე ვერცხლის ბადიებით ტკბილი ნამცხვარი, სასმელი, და ხილი ჩამოერიგებინათ. ეხლა უკვე უფროსებს ღვინო კარავიდან სახლში გადაეტანათ და „სუქაში“ მხოლოდ მოზარდები იყვნენ. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვები ღვინოს სვამდნენ და ისეთი ღრიანცკლი ჰქონდათ, რომ მათ სმენას დანეილას მაღალი მოძახილიც კი ვერ სწვდებოდა.

— გეყოფათ! ახლა თქვენთან წაგვიყვანე, მოშე! დეიდა რებეკა გემრიელ ხაჭაპურებს გამოაქვობდა, — მი-

<sup>1</sup> კარავი.

<sup>2</sup> მაცა — ებრაული თხელი, უმარილო პეტა.

<sup>1</sup> დაბადების წიგნი.

<sup>2</sup> დაბადების კითხვის დამამთავრებელი ნეფე. დაბადება მორწმუნე ებრაელთათვის ითვლება ღვთის მეცნიერებად. დაბადების წაკითხვის დასრულების უფლების შემქმნი იწოდება ხათანისაიმაღ, ე. ი. ღვთის სიძე.

<sup>3</sup> დაბადების წაკითხვის დამთავრების უფლება.



მართა თავისზე მორჩილ ბიჭს იოხანანის უმცროსმა ვაჟმა რაფაელმა, რომელიც მამის დაბარებით სადღესასწაულოდ ჩამოსულიყო ქუთაისიდან, სადაც იგი გიმნაზიაში სწავლობდა.

მომე შეგვართო რაფაელის წინადადება და სიტყვის ამოღებაც ვერ შესძლო.

— რამ შეგაშინა, ბიჭო! — მიმართა კვლავ მოშეს რაფაელმა და ამაყად წარმოსთქვა: „აი, მე, ვისაც მინდა დეპუტატიყებ და არც არავინ დამიშლის!“

— შინი რა საკადრისია, რაფა, მარა ჩემი სუქა...

— რა შენი სუქა!...

— ხომ იცი, რაფა, რა ღარიბი კარავი მაქვს... — აღარ დაამთავრა სათქმელი მოშემ. შემდეგ ადგა და წინ გაუძღვა ტოლებს. მიდიოდა ტანმორჩილი, ფერმკრთალი ვაჟი და ფეხები უკან რჩებოდა, თან გულისფანცქალით ფიქრობდა: „ასეთი მდიდარი კარავის შემდეგ როგორ უნდა შეეყვანა სტუმრები თავის ღარიბ კარავში?“

იოხანანის საცხოვრებელ დიდ შენობას, გვერდით, წვიმადაკრულ სოკოსავით ამოზრდოდა ერთთვალიანი, ხის მოკლე ბოძებზე შემდგარი, სახურავგადაგლეჯილი, კიბე და აივანიამორღვეული ნაცრისფერი ოდა.

პატარა ეზოში წუმბე იდგა.

ღარიბ კაცს ჩალის ღეროებით შეეკრა კარავი და ჩალითვე დაეხურა. ახლად ასისინებული ნელი ნიავი გამხმარ ჩალის ფოთლებს აშრიალეზდა. რაფაელის კარავში შესასვლელს თუ აბრეშუქ მის ქსოვილი ჰქონდა ჩამოფარებული, მოშეს კარავის შესასვლელში ძველი, ქუქყინი კილობი გვიდა. ფეხმოტეხილი მაგიდის ქვეშ ფონმოღებულ ნიადავს ბატისა და იხვის ნაფეხურები აწნდა. მოშეს ეზოს მუდამ ჩრდილს ფენდა იოხანანის სახლი და ამიტომაც ძნელად თუ შრებოდა კონჟყოდ ქვეული კუთხე მიწისა, სადაც ახლა „სუქა“ დაედგა მოშეს მამას, ჯანოს.

ხელმოკლეობით წელში გაღუნულ ჯანოს ეზოც ვერ შეემესრა. ქართველი

მეზობლების ღორები მუდამ სჩიქნიდნენ იქაურობას და ყოველ ნაწვიმარზე ტლაპო დგებოდა.

მომემ ტოლები „სუქაში“ შეიწვია. შავი ფერის, კიდეებშემტვრეულ, შიშველ მაგიდაზე უბრალო თლილი ჭიქა იდგა და შიგ შემოდგომის უფერული ყვავილები ეწყო. იქვე ღომის ნამცეცები ეყარა. თეფშზე ბროწეული და ორიოდ კომში ელაგა. მომცრო ბოთლის ძირზე არაყი დარჩენილიყო.

რაფაელმა ტუჩები აიმრიზა, დაეტყო არ მოეწონა მოშეს კარავი.

— დაბრძანდით, მიირთვიეთ, რაც გამჩენმა მომცა, — მიიპატიჟა სტუმრები მოშემ.

ბავშვები ჩამოსხდნენ ხის გრძელ სკამზე. მხოლოდ რაფაელი არ დამჯდარა, თითქოს შეეშინდა არაფერი მოსცებოდა ტანსაცმელზე.

მოშეს სახე აუწითლდა და ერთხელ კიდევ მწვავედ იგრძნო სიღატაკე, გაირინდა და წუთიერად, გონებაში, საკუთარი გაჩენის დღე შეაჩვენა.

— დაჯექი, დაჯექი, რაფა! რა უყოთ მერე, რომ ღარიბია მოშე! გამჩენის ნებაა ყველაფერი, — დარბაისელი კაცივით დაასვენა ერთმა კარგა მოჩიტულმა ბიჭმა.

— დაჯექი, რაფა, დაჯექი! — წაავლო ხელი მეორე ბიჭმა რაფაელს და ძირს დასწია.

— გამიშვი, ისხაც, გამიშვი! — გაიწია რაფაელი.

ისხაკმა უეცრად ხელი შეუშვა, რაფაელმა თავი ვერ შეიმაგრა, შეტორტმანდა და წაიქცა. ახლა მართლაც გაეთხუზნა რაფაელს ახალი ტანსაცმელი. მოულოდნელობით შემკრთალი მოშე უმალ მივარდა სტუმარს, ფეხზე წამოაყენა და ბოდინი მოუხადა, რომ ცუდი კარავი ჰქონდა.

რაფაელმა ვერ გაუგო მოშეს კეთილი აზრი, გაცხარდა, ჩალის კარავს უნებლიედ ფეხი ჰკრა და მასპინძელს თავზე დაამხო სახურავი.

შეურაცხყოფილი დარჩა პატარა

ებრაელი. მოშეს ციცილი აენტო გუ-  
ლში.

— მე მაგას ვაჩვენებ სერის, ვასწავ-  
ლი კეუსს, როგორ უნდა აბუხად აგდე-  
ბა! — გაიფიქრა უმაღლესი მოშემ და მიეჭ-  
რა რაფაელს, მაგრამ სხეებმა არ დაა-  
ცადეს და გააქციეს რაფაელი. მოშემ  
დაუფიქრებლად წაავლო ქვეს ხელი და  
გამოუდგა, სახლის მალალ კიბეზე შეს-  
დია. რაფაელი ოთახის კარებს მიეფარა.  
მოშემ კი მანძილი ვერ მოზომა და მისმა  
ნასროლმა ქვამ, ყველასათვის შეუ-  
ბედლავ იოხანანის სახლს ფანჯრის მინა  
ჩაუშსხვრია.

მოსლამოვდა. სანთლები აანთეს.  
ერთი ერთმანეთზე მიყოლებით განლა-  
გებულ ოდა-სახლებიდან გამომკრთალი  
სინათლე ხალხით გაქვილ შარას მოე-  
ფინა. ახლო-მახლო სოფლებიდანაც  
მოსულიყვნენ სათვალსეიროდ. ყველას  
უნდა აღრე დაიკავოს ადგილი სალო-  
ცაეში, თორემ რაკი დაიწყება „დაბადე-  
ბის თამაში“, მერე ვილა შეატანს შიგ?

მხოლოდ იოხანან კრიხელს არ ეჩ-  
ქარება, მის ადგილს სხვა ვერ დაიკა-  
უებს, მისთვის სავარძელი განსაკუთრე-  
ბით დგას. როგორ დაიწყებენ თამაშს  
იოხანანის მობრძანებამდე? სალოცა-  
ეის კარებში რომ ფეხს შედგამს, გზა  
თავისთავად გაიხსნება და მის წინაშე  
ასობით თავი დაიხრება. იოხანანი ამ  
კუთხის მეფეა, ყველა მის ხელს შეჰ-  
ყურებს. სოფელს აზანზარებს შიშით.  
ამ კაცის დახლართულ ქსელშია  
გახვეული ყველა. და აი, არ იჩქარის  
წასვლას იოხანანი, თავის ოთახში ზის  
და შეკრულ წარბებქვემოდაც, მრისხა-  
ნე თვალებით უყურებს ჯანო მოზღე-  
რიშვილს, დღისით შარახე, სხვა ებრაე-  
ლებთან ერთად, საყვედურს რომ გა-  
ნოსთქვამდა იოხანანზე. იოხანანს ახლა  
მოუხშია ჯანო და ტუქსავს.

— ჯანო! გეუბნები, ერთობ მაწუ-  
ხებს შენი მეზობლობა. იცოდე, გიყი-  
დი სადმე საეზოვეს, ქოხსაც ჩაეიდგამ

და გადაგასახლებ აქედან, თუ კეუსს არ  
ასწავლი შენს სულელს.

ბეჭებში მოხრილი ჯანო უფრო მე-  
ტად მოხარეს ამ სიტყვებმა. „გადასახ-  
ლებით ემოქრება ეს კაცი. რატომ, რა  
გაუფუჭა იოხანანს ჯანომ ან მისმა  
ოჯახმა? მართალია, იოხანანი მდიდა-  
რია, მაგრამ ღმერთი ხომ არ არის, რაც  
უნდა, იგი უყოს ღარიბს! — გაიფიქ-  
რა ჯანომ, მხოლოდ სიტყვით სხვა გა-  
მოსთქვა:

— ბატონო იოხანანი! ნუ ინებებთ  
ბაღანების აყოლას. რავა გეკადრებათ!  
მე ჩემს სულელს არ ვამართლებ, ბრიყ-  
ვია, მარა დღეს, გამჩენის მადლმა, შენი  
ბიჭის ბრალი იყო.

— რა იყო ჩემი ბიჭის ბრალი? რო-  
გორ ამბობ შენ ამას? მე სტუმრებში  
ვზივარ და ის უზრდელი ამ დროს  
ფანჯრებს მიმტვრევს, ქვას მესვრის,  
სახლში მივარდება, ყაჩაღია? ეს მით-  
ხარი, ყაჩაღია? შენ ამართლებ ამ საქ-  
ციელს?

— არა, ბატონო, გამჩენის მადლმა,  
კი არ ვამართლებ, მარა, ჰკითხე მეზობ-  
ლებს, ყველამ იცის, „სუქა“ თავზე ჩა-  
მომანვრია, წიხლი ჰკრა სუქას! ჰოდა,  
სად გავიხილა ღვთის სახლი შეურაცხ-  
ყოს ებრაელმა? ბაღანამაც ვეღარ მო-  
ითმინა ასეთი დამცირება... ჩვენც ებ-  
რაელი არა ვართ, ბატონო? ერთი რჯუ-  
ლისა არა ვართ?

— ერთი რჯულის, ერთი რჯულის!  
რა ვუყოთ მერე, რომ ერთი რჯულის  
ვართ, ამიტომ უმკროს უფროსობა  
წაიშალა?

— რა უფროსია, შენი ჰირიმი? რა-  
ღაც ერთი წლით სჯობს თქვენს რაფა  
ჩემს მოშეს და ესაა უფროსობა?

— მე, მე აღარაფერი ვარ? მე არ  
ვარ შენი უფროსი და მეპატრონე?

ჯანოს ლოყები აეტკიცა, წვრილმა  
თვალებმა ციცილებივით დაუკვესეს:  
„რას მეპატრონება ეს კაცი? ორი შეკვ-  
რა ფართლისთვის მონად უნდა გამოხა-  
დოს“ — გაიფიქრა ჯანომ და გადასწყ-  
ვიტა ანგარიში გაუსწოროს იოხანანს.  
წელში გაიმართა და პირდაპირ შეხე-

და. ის-ის იყო სიტყვის ამოღებას აპირებდა, რომ მსწრაფლ შეეცვალა აზრი: — „ზეგ, ოთხშაბათობაზე იოხანანის საქონელი უნდა წაიღოს. თუ ასე არ მოიქცა, ცოლშვილი შიმშილით დაეხოცება. აწყენინოს? გული ააგდებინოს? ბევრს არ დაეწიდება იოხანანი, გაავდებს ნოჭრობიდან. მერე? იოხანანის დაწუნებულს ვინდა აიყვანს? ფიჩხაძე? ბათაშვილი? არა, არც ერთი არ მიიღებს კრიხელის კაცს, არ აწყენინებენ დიდ იოხანანს. მაშ რა ჰქნას ჯანომ? მოინელოს და ჩაყლაპოს ამდენი დამცირება? სხვა გზა არა აქვს!“ — ყველაფერი ეს წამიერად გაიფიქრა ჯანომ, მაგრამ შინც წასცდა მწარე სიტყვა:

— კი, ბატონო, კი ხარ მეპატრონე, მარა ამიტომ სული კი არ უნდა ამომართვა. მეც ებრაელი ვარ, მეც შენი სახის ადამიანი ვარ. ახლა ის უბედური ბატონყმობა ხომ აღარ არის, ისე რომ ტანჯავდა ჩვენს პაპებს: მამაშენიც ხომ ბაბუაჩემთან ერთად ბატონის ყმა იყო? ჰოდა, კაი იყო ყმობა? ხომ არ იყო კაი?! შენი ჭირიმე, აწი ნუ დავაწყესებთ ახალ ყმობას... შენ რომ უფლება ხელში გაქს, ამიტომ კი არ უნდა შემჯდვდე კისერზე. ყველა ერთი ღმერთის განჩინილი ვართ!..

— რას ამბობ, ჯანო? რისი ღმერთი, რომელი ყმობა? მე ვაჭარი კაცი ვარ, სულაც არ მესმის რას მეუბნები!

— კი ბატონო, კი, შენი ჭირიმე, ვაჭარი ბრძანდები, ჩემო პატიოსანო. შენ შეიძინე ჭონება, უფალმა შეგიწყო ხელი. მე კი ვერ შევიძინე და საწყლად ვატარებ ჩემ ცხოვრებას, ამიტომ უნდა დამწიხლოს ბაღანამ?

ჯანომ ხელიდან ხელში გადაინაცვლა ქული. გული ისე ძალუმად უცემდა, რომ მის ჩავარდნილ მკერდზე ნაკერებიან ხალათის ნაკეციც კი ინძრეოდა. თითქოს ჯანომ თქვა სათქმელი და ახლა მოელოდა განაჩენს, რას ეტყოდა ეს მრისხანე კაცი.

იოხანანს მხოლოდ უფლებებისა და ბატონობის განსამტკიცებლად უნდოდა

დაეტუქსა ხელქვეითი მეზობელი. მაგრამ ეს რა მოხდა? უნო! ჯანომ ენა ამოიდგა, ბევრი სიმათლუ შეჰკადრა „ყმა არა ვარო“. მართალია, ნოჭარი და პატიოსანი ნოჭარიც. ერთ ალაბ ჩითს არ გამორჩება, ისე პირიანად ასწორებს ანგარიშს. რა ხელსაყრელია ეხლა იოხანანისთვის მისი მომდღრება? პირი გააღო, რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ ჯანომ ისევე ჩამოართვა სიტყვა. ამ წუთებში ჯანოსაც დაუცხრა გულის წყრომა.

— შენი ჭირიმე, შენც დაარიგე შენი შვილი, თქვენ ამისთანა კეთილი და პატიოსანი ბრძანდებით, ჩემო პატიოსანო, რავე ეკადრება ამისთანა განათლებულ ბიჭს ასეთი საქციელი?

იოხანანმა წუთიერად წარმოიდგინა წარსული, როცა არც თუ დიდი ხნის წინ, ისიც ჯანოსთანა ღარიბი კაცის შვილი იყო. მაგრამ შემთხვევამ ჩაუგდო ხელში ფული, ნელ-ნელა ფრთები გაშალა და მსხვილ სოვდაგრად გადაიქცა. „ღლეს, როცა მთელი ქვეყანა ჩემი წყალობით პურს ჭამს და მეც მოგებას მაძლევს, ჩემზე ლოცულობენ და სუფრაზე მადლეგრძელებენ, ჩემმა საკუთარმა შვილმა როგორ უნდა მომაყენოს საწყენი, მისი მიზეზით როგორ უნდა შემომხედოს ჩემმა ნოჭარმა ასეთი მწარე სიტყვები, მე, იოხანან კრიხელს? ახლა უნდა ჩაყლაპოს იოხანანმა ეს შეურაცხყოფა და გულისწყრომა შეიღზე გადაიტანოს“.

— ევა, ევა! — დაიძახა უეცრად იოხანანმა.

ჯანო შეკრთა.

განის კარი გაიღო და თმაწითურმა გოგონამ თავი შემოჰყო.

— რას მიბრძანებთ მამა?

— რაფკას დამიძახე!

— არ ვიცი, მამა, სად არის რაფკა, წელან ქვევით ვარბოდა.

— სიმა სადღაა?

— იცვამს მამა.

— იცვამს? რას იცვამს, გოგო, ამისთანას?

— სალოცავში მივდივართ, ბატონო და...

ევა თვალებით მამას მისჩერებოდა, სახე კი ფანჯრებისკენ ჰქონდა მიქცეული. უგუნებოდ მყოფ იოხანანს არ ესიამოვნა შვილის თვალები, თითქოს პირველად ხედავდა ის ასეთ თვალებს, თითქოს თავადაც არ შეზრდილიყოს თავისი დედის ელამ თვალებს.

— წადი! — თქვა ცივად იოხანანმა.

ევა გაბრუნდა.

ოთახში უხერხულობის მომგვრელი სინთემე ჩამოვარდა. ჯანომ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, წასულიყო თუ კიდევ დაეცადა.

ის-ის იყო იოხანანმა რალაციის თქმა დააპირა, რომ ფრთხილად გაიღო კარი და ოთახში ყმაწვილი ქალი შემოვიდა. თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა თუ იქნებოდა. ვარდისფერ ფარჩის კაბაში ტანის დაუსრულებლობა ემჩნეოდა. არც გულმკერდი და არც თეძოები არ მოწყობილნი მის დედაკაცობას. მოღერილ ყელზე ცეცხლის ალი წაჰკიდებოდა, მარმარილოსებრ ლოყებთან ბრილიანტის საყურეების თვლები უკიაფებდნენ. ქართულ ებრაელ ქალთა ჩვეულების წინააღმდეგ, თავდაუხუტრავს, შალა დაეხვია წაბლისფერი ხუჭუჭა თმა და ელვარე ქინძისთავით დაემარგებინა.

— რას მიბრძანებთ, ბატონო, რატომ მეძახდით? — მიმართა იოხანანს.

შვილზე გაჯავრებულ იოხანანს, პირქუშად უნდოდა შეხვედროდა ცოლს, მაგრამ ქალის უმანკო სახემ გუნება შეუცვალა.

— ჯანო, წადი შენ... ჩემ შვილს მე დავსჯი თავხედობისათვის, — მიმართა მან ნოქარს.

ჯანომ თავი დაუქრა და აივანზე გავიდა.

როცა ცოლ-ქმარი მარტოდ დარჩნენ, იოხანანმა ორივე ხელი გაიშვირა ქალისაკენ.

— სიმა! მოდი, ჩემო სიხარულო, მოდი ჩემთან, — მიმართა იოხანანმა ცოლს.

ქალი ნელა მიუახლოვდა. მოხუც-

მა კაცმა ქალი მიიზიდა და მკერდზე მიიკრა. ქალმა სახე აარიდა და ქმრის გრძელ წვერში ისე ჩამალა თავი, თითქოს ხონობი მალალ ბალახში მიიმალო.

ხანდაზმულ იოხანანს, სიცოცხლის ენერჯიას უახლებდა ანაღვარება სხეულის შეხება, ახლაც, ნაღვინევე ყველაფერი დაავიწყდა და ჰაბუკურის მხურვალეებით დაეკონა ქალის ტუჩებს.

სიმა მახეში მომწყვედელი მტრეღვით თრთოდა, მაგრამ ეს თრთოლევა თავდავიწყებისა როდი იყო. მის ძარღვებში თითქოს თევზის სისხლი ჩამდგარიყო. ქმრის მკერდქვემოდას სასოწარკვეთილი თვალებით მისჩერებოდა ჰერს. რამდენიმე წამმა, გასტანა ამ ყოფაში. იოხანანს დაევიწყებოდა თავისი ხანი, დაევიწყებოდა, რომ ცოლი შვილიშვილად შეჰფეროდა, და ტკებოდა უკანასკნელი ბედნიერებით...

— უეცრად კარი გაიღო და ოთახში ბურთივით შემოვარდა რაფაელი.

— მამა! სალოცავში მივა! მართლა მივიღე ხანთობა? — კარებიდანვე შემოიძახა, მაგრამ, როცა მამის მკაცრ შემოხედვას მოჰკრა თვალი, ხმა ჩაუწყდა და ადგილზე გაიყინა.

იოხანანის ალტაცებას ცივი წყალი დაასხეს, თავდავიწყებიდან გამოარკვიეს და მერე ვინ? იმან, ვიზედაც წედან ასე იყო გაჯავრებული. „შემოვარდა, უტეხად დამადგა თავზე, როცა ვხარობდი. შურთ ჩემი ბედნიერება, ყველას შურს!“ — გაუელვა ფიქრმა და ქალს ხელი შეუშვა.

სიმა განთავისუფლდა იოხანანის მკლავებისაგან და უნდოდა ოთახიდან გასულიყო.

იოხანანმა სილა გააწნა რაფაელს სახეში. სიმა სასწრაფოდ ჩაუდგა შუაში მამა-შვილს და მეორედ ამართული მარჯვენა ძირს დააშვებინა იოხანანს.

— რას შევებით, ბატონო? მე მამა-ტიეთ, თუ ღმერთი გიყვართ? რაფაელ, წადი, წადი ბებიასთან — უთხრა აღმურმოდებულ რაფაელს და თავად იოხანანს მოეხვია.

როცა რაფაელმა იქაურობა დატოვა, სიმა განზე გაუდგა ქმარს.

— რა ჰქენით ეს? — ჰკითხა გოცებელი კილოთი.

— ეგ ლაწირაკი, მეზობლებში მარცხენს? იცი შენ ეს?

— არ ვიცი, რით გარცხვენთ, მხოლოდ ამით თქვენ შე უხერხულობაში მყენებთ. რას იფიქრებს, ჩემი თანდასწრებით რომ სცემთ? უკვე ყმაწვილი კაცია, თავმოყვარე... მერე... მეორეც ის, რომ... — აღარ დაამთავრა სიმამ სიტყვა და ტირილი აუვარდა.

იოხანანი დაიბნა, ვერ მიხვდა რად ეწყინა ასე ახალგაზრდა ცოლს რაფაელის დატუქსვა.

რა მოგივიდა, სიმა? შენ ხომ არა გაწყენინე რა, ჩემო კარგო, რა გატირებს? — დაუყვავა იოხანანმა სიმას და ძარღვებდაჩენილი ხელით, თავდახრილ სიმას თმაზე შეეხო.

— მე ასეთი რამ მამაჩემისაგან არ მანსოვს, ჩვენ არავის არ გვახსოვს მამა გაგწყყრომოდეს. ისეთი ტკბილი იყო მამა, კეთილი. რაფაელი ჩემს რობერტს მაგონებს. თითქოს ჩემი დაკარგული ძმა მედგეს თვალწინ. მე რომ ის მყოლოდა, სულ სხვანაირად მოეწყობოდა ჩემი ბედი, მაგრამ... — სიმამ ამოიოხრა და შემდეგ დაბეჯითებით მიმართა იოხანანს: — თქვენ დღეის იქით ხელს არ შეახებთ მას, არც ევას, ძალიან გთხოვთ... თორემ მაწყენინებთ! სიმამ სახეზე ცხვირსახოცი მიიფარა და ოთახიდან გავიდა.

იოხანანი სახტად დარჩა.



სასადილოდ განკუთვნილ მოგრძო ოთახში ჯერ კიდევ აულაგებელი იყო სუფრა. მაგიდიდან შორი-ახლო, მოფარდაგებულ ტახტზე ფეხმორთხმული იჯდა იოხანანის დედა—ბებერი სეიდინხა, რაფაელი მუხლებზე ჩამხობილიყო ბებიას კალთასთან და გულამოსკენილი სლოკინებდა. ბეწუმემოვლებულ ხვერდის ქათბიში გამოწყობილი ბებია, თავ-

ზე ხელს უსვამდა რაფაელს და ელამ თვალებს მწუხარებით აცეცებდა ირგვლივ. კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ შავი, მოჭრული ხვერდით გადაკრული რბილი ავეჯი, რომელშიაც იშვიათად თუ ჯდებოდა ვინმე, ძველი დროის იერს სდებდა ოთახის მორთულობას.

— მოგიკედეს ბებიაშენი, მოგიკედეს... სუ, სუ, შვილო, ნუ სლუჯუნებ! — ამშიდებდა ბუტბუტით სეიდინხა შვილიშვილს.

ოთახში იოხანანის უფროსი რძალი შემოვიდა.

— რახილ, შვილო, არ წასულხარ? — შეეკითხა ბებერი რძალს.

— ბავშვები ძლივს დავაძინე, ბებია! თქვენ არ მოდიხართ სალოცავში? ეს ვინაა, რომ ტირის, რაფკაა? რა იყო ბიჭო, რაფკა, რა გატირებს? — შეეკითხა რახილი პატარა მამულს.

— გაულახავს, შვილო, მამას ჯულახავს.

— რატომ, ბიჭო, რატომ? რას გერჩოდა? იმ ქალბატონის ბრალი იქნება, გაახლებდა ალბათ რამეზე, დედინაცვალია, მამო, დედინაცვალი, ნაცარი ჩაეყარა იმ თვალებში...

— არა, რახილ, არა. იმისი ბრალი არაა... პირიქით, მან დააკავა, თორემ უფრო მეტს მარგუნებდა.

— საპირფეროდ დააკავებდა, საპირფეროდ, ვითომ კაი ქალი ვარო. — გაჩუმდი, რაფკა! ამხელა ბიჭი ხარ. სირცხვილია... ჩემი მამამთილიც რამ გაასულელა... გადარია ნამდვილად ახალგაზრდა ვოგომ!

— გადარია, სწორედ გადარია. ევლარათერი მითქვამს მისთვის აღამაინო, ძველ იოხანანს აღარა ჰგავს ჩემი შვილი, — დაუმატა მთელი გულისწყრომით სეიდინხამ.

— უკულმა მიდის, ბებია, ყველაფერი, უკულმა! აბა, უბედურ ჩემ დემთილს კი არა ჰგავს. წელიწადიც არ გასულა, რაც მოვიდა და შეარყია ჭკუიანი კაცი...

რახილმა სიმას პირველ დღიდანვე



დაადგა თვალი, არაფერი არ მოსწონდა მისი. ეკვიანობდა უფროსი რძალი და შიშს გამოსთქვამდა თავის ქმართან არონთან, რომ ეს ქალი მთელი ქონების გამგებელი გახდებოდა.

— არ წამოხვალ ბებია, სალოცავში? ადექი, ბიჭო, რაფკა, ადექი! — შეუძახა რახილმა რაფაელს.

— შენ წალი, შვილო, შენ. იცის აღონიამ რა ბებერიც ვარ, მე იქ წამოსვლის ღონე არა მაქვს...

რახილი კარებსა და ფანჯრის შუა ჩადგმულ სარკისკენ მიტრიალდა, თავზე მაგრა წაყრული ბაღდადი გაისწორა, ოქროს ძეწვებზე თავშემტყვევით დაკიდებულ საათს დახედა, ძვირფას თვლებიანი სამაჯური შეათვალიერა, ბეჭებზე შალი წამოისხა, დიდი საყურეები თავის გაქნევით რამდენიჯერმე შეარხია და სალოცავში წასასვლელად გაემართა.

— საწყალი ბიჭი, ჩემი ობოლი, — წუწუნებდა სეიდიხა. შემდეგ თითქოს მასაც მოსწყინდა რაფაელის დამშვიდება, დამკნარი ხელებით თავი აუწია და საქმიანად უთხრა: — ადექი, შვილო, ადექი, მუხლი მეტკინა! ძლივ-ძლივობით წამოღვა სეიდიხა, ქათიბის ნაოქებში რის ყოფით ჯაბე მოძებნა, მძივებით ნაკერი ქისა ამოიღო, პირი გაუხსნა და ხუთმანეთიანი ოქრო ხელში ჩაუღო რაფაელს.

— ქუთაისს რო წახვალ, შვილო მოიხმარე. როცა მოვკვდე, ცხონება შემომითვალე, — უთხრა ბებერმა შვილიშვილს, ერთხელ კიდევ აკოცა შუბლზე და ცალი ხელის მარჯვენა მუხლზე დაბჯენით და ბუტბუტით მეორე ოთახისაკენ გაემართა.

რაფაელმა გული მოიოხა. ის ახლა სარკესთან იდგა. თმები თითებ შუა გაატარა, ფართო ქამარი წელზე შემოიჭირა და აივანზე გავლით, მამის საწოლოთახს ფეხაკრეფით გაუარა. წამით შეჩერდა, ფანჯარაში შეიჭყიტა. შემდეგ თითის წვერებზე შედგა და დაბლა გაბმულ ფარდების ზემოდან ვადაიხედა. ჩაწეული ლამბა მკრთალ სინათლეს

გამოსცემდა. იოხანანი წასულიყო. სივამს საწოლზე თავი ბალიშებში ჩაეშალა. რაფაელს შეებრაღა მარტოდ მყოფი ქალი, რომელიც თავის ტოლს უფრო ჰგავდა, ვიდრე დედინაცვალს.



აღელვებული სიმა იოხანანს რომ მოსცილდა, თავისი ოთახის ორივე კარი ჩაჰკეტა. შემდეგ სახე და ტუჩები მოიწმინდა, თითქოს რაღაც სისაძაგლე წარიხოცა, ლოგინში მოწყვეტით ჩაეხედა და თავი ბალიშებში ჩარგო. იყო ასე ერთხანს გაირიდული. მერმე თანდათან მრავალი ფიქრი წამოეშალა. ვახსენდა ზღვისპირეთის დიდი ქალაქი ოდესა:

„ექვსი წლის სიმა მავიდას უხის დეჩაის სეამს. დედა უფროს შვილს რობერტს ანჭარებს: მორჩი შვილო, მორჩი, გაგვიანდება!

— გარეთ ნისლისანი დღეა. წამთარი კარზეა მომდგარი. სკოლაში წასასვლელად მომზადებულმა რობერტმა წიგნების ჩანთა გვერდზე მოიგდო, საყელო აიწია და კარებს მიაშურა. ის-ის იყო სახელორს წაეტანა, რომ უეცრად უკან დაიხია, ჩამოდგა და ოთახში გაფითრებული სახით შემოსულ მამას გზა დაუთმო.

— დავიდუბეთ, როზა, დავიდუბეთ! დარბევა, მალაზიები აიკლეს, სახლებში უფარდებიან ყაზახები! — დაიძახა ფეხის შემოდგომისთანავე იაკობმა, თმებში ხელი წაივლო და სასოწარკვეთილი დაეცა სკამზე.

ქუჩიდან უკვე წივილ-კივილი ისმოდა. დედამ შიშითა და კანკალით მკერდთან მიიხუტა შვილები. არ იციან სად მიიმალონ, სად შეაფარონ თავი. სახლის კეთილმა მებატრონემ შეიფარა ისინი.

აღარ ახსოვს სიმას, რამდენ ხანს იყვნენ შეხიზნული სახლის იმ ბნელ კუნჭულში, სადაც ისინი დიასახლისმა ფარულად წაიყვანა. როცა ბინა აყრილმა მამამ ოჯახი ერთცხენიან საბარგუ-

ლით ქუჩაში გაატარა, სიმამ დაღეწილი სახლები და დარბეული მოსახლეობა დაინახა, ბურუსივით ავონდებდა გემის ბაქანზე რომ ეყარნენ. შეკრავი ლერმანი, სადაც შორს ჯერ მისთვის უცნობ მზარეს მიდიოდა. მიდიოდა იქ, სადაც, ალბათ, ეგონა რომ თავისუფლად შესძლებდა ცხოვრებას. მის ბარგს ორი-სამი თავმოკრული ტომარა, ერთი სკივრი და ბორბალბომჭვრალი საყვრავი მანქანა შეადგენდა. აღარ ახსოვს სიმამს, რამდენ დღეს იარეს. ავად იყო, როცა სიცხისგან გამოერყვა, უთხრეს, რომ ქალაქს, სადაც უნდა დასახლებულიყვნენ ბათუმში ერქვა. მათ ეზოში ქართველები, სომხები და ბერძნები ცხოვრობდნენ. დრომ თავისი მოიტანა და ლერმანის ოჯახს დაავიწყდა განცილები-გადატანა.

სიმამ სულ მალე ათვისა ქართული, სომხური და ბერძნული ენები. ეზოს ბავშვებში არავინ არჩევდა მათ და არც ტუქსავდნენ მისთვის, რომ ისინი ებრაელები იყვნენ. დიდ ხანს არ გასტანა ახალმა ყოფამ, უბედურება მოადგათ კარს და სიმამს უეცრად მოუკვდა დედა. ყველაფერი შეიცვალა. რამდენიმე ხნის შემდეგ დედინაცვალმა გულის სიცივე მოიტანა და ობლებს ლუკმა დაუთვალა. გადიოდა დღეები, რობერტი უკვე მეშვიდე კლასის მოწაფე იყო. მამა იმედებს მასზე ამყარებდა. ოჯახში კიდევ შემოიხტდა უბედურება: ერთ დღეს რობერტი გიმნაზიიდან არ დაბრუნდა. საღამოთი მამამ ყველაფერი გაიგო და სახეგაყვითლებულმა განაცხადა: „რობერტი დაუჭვრიათ, ფარულ ორგანიზაციაში ყოფილაო“.

რობერტი რკინის ბადით აკრულ, პატარაფანჯრებიანი ვაგონით თბილისში წაიყვანეს. მამასთან ერთად იყო სიმამ სადგურზე და შორიდან უყურობდა ძმას, ახლოს არ მიაკარეს. ორჯერ გაემგზავრა მამა თბილისში. ხმა მოვიდა: „რობერტი ავად არისო“. ისევ წავიდა მამა და ორ დღეში ძალზე გამხდარი, წელში მოხრილი დაბრუნდა. რობერტი ციხის ეზოში, მთის ძირას დაე-

მარხათ, საფლავიც არ მიყენებინათ. ბევრი იღარდა იაკობმა და, ერთ დღეს მამაც დაჰკარგა სიმამს.

— ოოჰ! — ამოიგმინა ქალმა.

რამდენი მწუხარება და ტანჯვა ახსოვს. ისიც ახსოვს, რომ ოთხი კლასი ძლივს დაამთავრებინა დედინაცვალმა და მიათხოვა ამ მდიდარ კაცს.

ღარიბი გოგონა ფარჩებით შემოსეს. ამძიმებს ქალს ეს სამოსელი, ეს სამკაული.

უფროსი გერი არონი თითქმის მამამისის ხნისაა, იოხანანი რალა იქნება? და როგორ არ მოაჩიღოს თავი სიმამ მის ალერსს? სახლში ყველას ვძულვარ, უცხოდ მიყურებენ, სანამდე ვიქნები ასე? — ჰკითხა თავს და მწარე ფიქრებიდან გამორკვეულმა ღრმად შეისუნთქა.

აიგნიდან ხმაური მოისმა. სიმამ თვალეზი მოხუჭა. კვლავ ქრუანტელით გაუელვა უსიამოვნო გრძნობამ. დაბრუნებულან, მოდიან; საცაა კიდევაც შემოვა ბატონი ქმარი... მაგრამ ეს რა ამბავია? რა ხმაურია? ტირილიც ისმის.

სიმამ წამოიწია, სმენად გადაიქცა და კარებს მიაჩერდა.



სალოცავიდან სანთლების შუქი ციმციმით მოკიაფობდა და თან გუგუნნი გაისმოდა, გარედან, სამხრეთით, მალლა, ფანჯრების გასწვრივ გამართულ აივანზე საქალეზო ნაწილი იყო. დღე-კაცები აქედან ადევნებდნენ თვალს დღესასწაულს. ახალგაზრდა ქალიშვილებს, რაკი განსაკუთრებული დღე იყო, შიგნით შესვლის უფლება ეძლეოდათ. ისინი თაიგულებით სალოცავის კედლებთან ჩამწკრივებულ სკამებზე იდგნენ.

იოხანანის უმცროს შვილს ყველა იცნობდა. რაკი მან სალოცავის კარებს მიაღწია, ხელი დაავლეს და ციმციმ შეიყვანეს შიგნით.

პირველი, რაც რაფაელმა დაინახა,

თება<sup>1</sup> და ზედ შემდგარი რაბინი იყო. რაფაელმა მაშინვე მოსწყვიტა თვალი თებას და ვილაცას დაუწყო ძებნა. იგი მოშეს ეძებდა. მას წელანდელი უსია-მოვება დაეწყებოდა და ახლა მოშესათვის ხათნობა უნდოდა გაეზიარე; ბინა.

მოშე ამ დროს კარებიდან იჭყიტებოდა, წინ მიიწევდა, მავრამ ხალხის ტალღა ისევ უკან აგდებდა. დიდი წვალებით, როგორც იყო გაძვრა, კედლამდე მიატანა და სკამზე შედგომაც მოასწორო, ხელში სამიოდე ყვავილი ეჭირა.

ხალციციის შუაში ამართულ ხავერდ-გადაკრულ თებაზე რაბინი ისხაკა შემდგარიყო. მას მხრებზე შავზოლებიანი თეთრი ეტალეთი<sup>2</sup> ჰქონდა წამოსხმული. რაბინი შუბლზე ხელს იფარებდა, თორაში<sup>3</sup> იყურებოდა და მოშესათვის უცნობ ენაზე რალაცას კითხულობდა. დასავლეთის მხარეს, კარებიან კედლის თაროებზე ყვითელი სქელი ფარჩა და ჯეჯიმი იყო ჩამოფარებული. სწორედ ამ ადგილზე შეგროვდა ხალხი. გაიღო არონ-პაკოდემის<sup>4</sup> კარები და გამოსვირნეს ხასი კუბოები<sup>5</sup>. მწვანე, წარინჯი, ცისფერი, შვინდისფერი ხავერდითა და ოქრომკედლით შემოკრულ კუბოებს თავებთან ჩამოცმული აქვთ ლიმონისებური თავები<sup>6</sup> ვერცხლის უღარუნებით. ყველაფერი ეს სეფერთორის სამკაულია. სეფერთორები მათ უკავიათ ხელში, ვინც, ერთი კვირის წინათ, საჯარო ვაჭრობით დაინარჩუნეს ამისი უფლება.

მადლა აღმართეს კუბოები, დაიძრა ლიტანია. ყველა კედელ-კედელ მიჰყვება ხალციციას, ყველა ათამაშებს

ხელში სეფერთორას. ხელცარიელნიც მისდევდნენ უკან.

„მიმიღერის და მიცეკვავს ებრაელი მან დაასრულა ტანჯვის გზა, ეგვიპტიდან პალესტინას მიატანა, სინაის მთაზე ათი მცნება მიიღო. დღეს წელიწადი შესრულდა, რაც დაამთავრა ებრაელმა დაბადების წაკითხვა, სადაც ათი მცნებაც სწერია: არა კაცი ჰკლას, არა იმრუშოს, არა გული არ უთქმოდეს ცოლისათვის მოყვასისათვისისა... ბოლოს გაშალა კარავი და ეხლა გამარჯვებას იღღესასწაულებს.

განსაცდელს გამოვლილი მზიარულებას ეძღვევიან: ცეკვავენ, ხტიან, სეფერთობს ათამაშებენ, პატარა ბავშვები ხელში ჰყავთ აყვანილი და ბზრიალასავით ტრიალებენ“.

დაასრულა ერთმა რიგმა შემოვლა. ხაზანი<sup>1</sup> ისევ განაგრძობს კითხვას. ახალი ცვლა იწყებს შემოვლას. კვლავ დაიძრნენ სეფერთორები. რიგი რიგს ცვლის.

მზიარულება ხელდება. ყიყინა მალა-მალდა იწყებს.

— ახლა ჩხუბი დაიწყება, რჯულის მადლმა, — ამბობს ერთი.

— რატომ ამბობ მგას, შენე? — ეკითხება მეორე.

— ისე გამბობ, ღირ უყურებ, მთვრალია ხალხი? — პასუხობს იგივე.

— არაფერიც არ იქნება... — გამოსთქვამს იმედს მესამე.

— დავირჩნეს თავი, ძაან კაი, თუ არ იქნება!

არაერთხელ უნახავს მოშეს ეს დღესასწაული. თავათაც ემსახურება სალოცავს. წყალი მოაქვს, ჰკვის იქაურობას. ეხლა, როგორც სხვა ებრაელი ბავშვები, ისიც გალობს და შეძახილებს ისერის: ამინ, ამინო! — გაჰყვირის.

— აჰა! — მოშემ თვალი მოჰკრა რაფაელს. მას მადლა აღუმართავს ხელი, ცისფერ ხავერდში დაოქრომკედლებურ სეფერთორა უჭირავს და ჰაერში ათამაშებს.

<sup>1</sup> მადლებული ადგილი, საკათედრო.

<sup>2</sup> ლოცვის დროს აბრეშუმის შიშვე წამოსახაში.

<sup>3</sup> ებრაელთა რელიგიისა და სამართლის კრებელი.

<sup>4</sup> წმინდა განჯინები.

<sup>5</sup> ყუთები, სადაც ინახება სეფერთორები, პერგამენტის დახვეული ქაღალდი, რაზედაც სწერია ებრაული სჯულის კანონი.

<sup>6</sup> ვერცხლის თავსაცავეები.

— მოშე, მომეცი ხელი, მეც დაგდეები შენთან! — წიეტანა მოშეს ხელს ვილაც დაბლიდან.

მოშემ ქვემოთ დაიხედა და რაფაელის და ევა შერჩა, ბიჭმა ხელი ჩაავლო და ზევით აითრია.

ევა გასწორდა, ნაწნავეები უკან გადაიყარა და თავისი ელაში თვალეზით სალოცავი მოათვალიერა.

— მოშე, შეხედე, შეხედე, ჩვენი რაფკა! — შესძახა ალტაცებით ევამ.

მოშემ ევაზე ადრე დაინახა რაფაელი და ახლა გულდაწკვეტილი უკუჩრებდა, მას ხომ არასოდეს არა ჰქავებია ხელში ებრაელთა რჯულის წიგნი?

რაფაელმა შესავალ კარებთან მიიტანა. ჩრდილოეთის მხარეს გადავიდა და შეჩერდა. რამდენიმე წუთს არ გაუვლია, რომ რაფაელს ვილაც უკან მომდევნომ თავში წაჰკრა და ქუდი გადაუგდო. რაფაელმა ხელი აუქნია, ცალი ხელით კუბო ვერ შეიმარა და სეფერთორა ძირს დაუვარდა.

— რას შეები, ბიჭო?! — დაუყვირეს. ვილაცამ კვლავ ჩაარტყა თავში. რაფაელმა გაბედულად გაიქნია მუშტი და შიგ საბეში ჩასცხო მოძალადეს. წამით ხალხი შეეგუფდა და რაფაელის თავზე რამდენიმე შეკუმშული მუშტი დაეშვა.

— არ გითხარი ჩხუბი დაიწყებამეთქი? — მიმართა ერთ-ერთს შემკრთალი ხმით მან, ვინც სულ მცირე ხნის წინ, საამისო შიშს გამოსთქვამდა. ეხლა ყრუანტელმა დაუარა მას, როდესაც შენიშნა, რომ ხალხის უკანა რიგში მდგომნი ვერ ხედავდნენ წინ რა მოხდა. გაითელა რაფაელი.

სალოცავში ყვირილი და ღრინაცევილი ატყდა:

— კრიხელის ბიჭია, კრიხელის რაფკა! — დაიძახეს ერთხმად.

საყოლედ დანიშნული იოსები თებაზე დგას. თმა კოხტად აქვს გადავარცხნილი, კარტუზიანი ქუდი კეფაზე მოუგდია და დარაიის ხალათზე თეთრი

სისიტი<sup>1</sup> აქვს შემოხვეული. დღეს ის დამწყები ნეფეა. ხათან-მესაბიეში, ეწინააღმდეგა, შემდეგ მისი რიგია, მან უნდა აიღოს ხელში სეფერთორა და თებაზე წაიკითხოს შემდეგი მუხლი. თავი მოსწონს ჯეელს, სასიმაპრომ მოართვა ეს უფლება.

იოსებმა დაინახა, რომ რაფაელი ხალხმა წააქცია, ოჯახის საყვარელი რაფკა. დაეიწყდა იოსებს დამწყები ნეფობა და სალოცავი, ელვის სისწრაფით გადაიგდო კისრიდან სისიტი, თებას მოაჯირს გადაეგლო, ყველას თავზე გადაახტა და იქ გაჩნდა, სადაც პატარა ძმა მიიმწყვდიეს. ღონიერად ამუშავა მკლავები... იოხანანიც თეხზე დგას, წინ მიიწევს, უნდა როგორმე რკალი გაარღვიოს, მიეშველოს, მაგრამ იოსებმა უკვე აიყვანა თავგატეხილი, გულშელონებული რაფაელი, მკლავზე გადაიწვინა და გარეთ გამოიტანა.

\*  
\*

იოხანანის უფროსი ვაჟი არონი, შუბლშეკრული იჯდა მაგიდასთან სასაღილო ოთახში. მალალი სასმისიდან ნელ-ნელა წრუბავდა ღვინოს, თავისთვის ბუტბუტებდა და თანაც იმუქრებოდა: „დამნაშავეს აღმოვაჩენო“.

რაფაელი გონზე არ მოდიოდა. რაფაელის საწოლის თავთან სიმა დამდგარიყო და ყმაწვილის მავა ეკავა ხელში. რაფაელი მალალი სიცხისაგან მთელი ტანით თრთოდა, ბოდავდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს: — „მამა, მამა, ნუ მცემს!.. მოდი... მოშე, მოდი სეფერთორა მოგცე!... არ გინდა? სიმა... უთხარი მამას... ბებია, ბებია!“

მოშეს დაუძახეს, მიიყვანეს ავადმყოფის ლოგინთან... — „უთხარი რამეო“ — დაარბიეს.

— რაფკა, მე ვარ, მოშე, მიცანი?! — ჩასძახა მოშემ რამდენჯერმე.

რაფაელს პასუხი არ გაუცია...

1 აბრეშუმის წამოსასხამი.

— წადი, წადი, შეილო სახლში,— უთხრა იოხანანმა მოშეს. ბავშვმა სიძას შეხედა, თითქოს სთხოვდა: „ნუ გამავლებთო“.

— იყოს ბატონო, რას გვიშლის, იქნებ იცნოს? — უთხრა სიძამ ქმარს.

ნაშუალამეს ყველა გაიქრია, მოშეც წავიდა. იოხანანმა დედის ოთახში დაიძინა, მის ლოგინში რაფაელი ჩაეწვინათ. სიძა მარტოდ დარჩა ჩაძინებულ ავადმყოფთან. ბებერი სეიდიხა ვერ ისვენებდა, მთელ ღამეს დაბოროალობდა, რახილი დროგამომწეებით აკითხავდა: „რა თავს იწუხებსო“, — ფიქრობდა სიძაზე, თვალთმაქცობად უთვლიდა, მხოლოდ არას ამბობდა და ტუჩებს იმრებდა.

სიძა გონებით ისევ წარსულს დაუბრუნდა. ახლა მის თვალწინ რობერტი იწვა, ციხეში უპატრონოდ დღეუბლი მძა. დაკარგული საფლავი ეხატებოდა თვალწინ. გული უდღუდა, ავადმყოფ რაფაელს სახეზე სათუთად უსვამდა ხელს, მაჯის ცემას ითვლიდა, სუნთქვას ყურს უგდებდა.

### შეწირულობა

შემოდგომა იწურებოდა. ჯანო მოზღვრისვილის ოჯახში არც შეშა იყო და არც ჭექილი, მისი შემოსავალი დღიურ ლუკმას უნდებოდა. მოშე რაც შეეძლო შეელოდა მამას და მცირე წვლილი შეჰქონდა სახლში.

მთელი ღამე არ უძინია რებეკას. დაზიანებული სახურავი წვიმას ვერ აკავებდა და ოთახში წყალი თქრიალით ჩამოდინდა. რებეკა ჩამოდენილ წვიმის წყალს ჰურჭელს ახვედრებდა და დაწუწულ ქვეშავეებს ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში მიათრევდა.

გათენებისას თქეში მიიწყნარდა, ოღნავ თქორავდა.

ჯანო აღრიანად, კრაქის სინათლეზე შეუღღვა საეპტოდ წასვლის სამზადისს. სერაფიონ კიკვიძისაგან ნათხოვარი ცხენი უკვე კარზე ჰყავდა მიბმული.

— შენი კარგა ყოფნით, ნეტამც არ მიდიოდე, რალაც გული მიშლის, — უთხრა რებეკამ ქმარს.

— აღაძინაო, რა ყვავევით დამჩხავი, პირველია ჩემი წასვლა, თუ რას ფიქრობ?

— პირველი კი არ არის, ჯანო, მარხომ გითხარი, გული მიშლის-მეთქი?

— ეე, შე აღაძინაო, ღარიბ კაცს იმის ღრო სადა აქვს, გულის თქმას უგდოს ყური? ჩვენი დღე სულ ასე გაძალღებში არ მიდის? სულ ასე არ დაეათრევე სოფელ-სოფელ ამ გასაოხრებელ ფუთებს? ბეჭეები აღარა მაქვს შერჩენილი და ახლა იმ მაღლიანმა კაცმა ცხენი მათხოვა და მე ამინდს ვუყრო? მე ვიცი, კრიხელი შემიაზნანაგებს და მალაზიაში დამაბრძანებს, — უბასუხა საყვედურნარევი კილოთი ჯანომ ცოლს. რებეკა აღარ შეეპასუხა ჯანოს, ცოტაოდენი საგზალი შეუხვია და გაისტუმრა.

ჯანო შორ მხარეში მიდიოდა ბაზრობაზე. იოხანანის დუქნიდან გამოტანილი ორი შეგვრა ფართალი ცხენზე ჰქონდა გადაკიდებული, თავადაც ზემოდან იყო გადამჯდარი და აჩქარებით მიჩაქჩაქებდა ჯაგლავს, დროზე უნდოდა მისულიყო და ფარდულში ადგილი დაეკავებინა.

მოშე მოგვიანებით გავიდა სახლიდან, უკვე გათენებული იყო და დუქნები იღებოდა. მოშე წინაღლით ათ შაურად დაუქირავდა ბაბალაშვილს და ეხლა, ერთცხენიან საბარგულზე ფეხებგაჩახულად გადამჯდარი, მახლობელ დაბაში მირახრახებდა. მოშემ მთელი დღე მეწვრიმალის პატარა საეპტოსთან გაატარა. ბაბუა აბრამის დახეულ ხალათში, მამამისის ქუსლჩათელილ, ნაგებივით დიდ წალღებში ჩამძვრალი, გატეხილკარტუზიანი ქედით, ამოწუწული ყვავის ბახალასავით იღვა და ძიგძიგებდა. შემციენული სველი ხელები პირთან მიჰქონდა და იორთქლებდა, დროდადრო ახველებდა და ცხვირს აცემინებდა, მაგრამ მაინც ბეჯითად იწვევდა მუშტარს.



— მობრძანდით, მობრძანდით, აქეთ მობრძანდით! შვილები, დუგმები, ფოლაქები, ლილა, ლილა, უკეთესი ლილა დუნიაზე არ მოიპოვება!

— რა ლილა გაქვს ბიჭო, ამისთანა? — ჰკითხა მოშეს ოდნავ დამცინავის კილოთი ერთმა გამელელმა ქალმა.

— ქალბატონო, მობრძანდით, გასინჯეთ... ნახვაში ქირას ხომ არ ვთხოვ? ქალი შედგა, ლილას ხელი შეახო, შეათვლიერა და სასოებით შემეყურე ბიჭს გამოწვდილ ხელში ორ თითშუა მოჭკეულებად ჩაუდო ლილის საფასურა.

— საპონი არ გნებავთ, საპონი? კაი საპონია, სჯულის მადლმა! — უკვე გაბედულად შესთავაზა მოშემ იმავე ქალს.

ქალმა საპონიც შეიძინა.

— დუგმებს ან შვილებს ხომ არ იწებებთ? — წახალისდა უცაბედი წარმატებით მოშე, მაგრამ პირში სიტყვა შეაცივდა, ქალმა ზურგი შეაქცია და წაივდა.

— აქეთ საქონელი, აქეთ! — ისევ დაიყვირა მცირე ხნის შემდეგ მოშემ, მაგრამ ამ დროს ვილაცამ ღონიერად ჩაართყა თავში და ხმა ჩააწყვეტინა.

— რა გაყვირებს, შე ძაღლის ლეკვო, ყურის აპკი გამიხეთქე! — შეუძახა მოშეს ბაზრის მეთვალყურემ.

— რას მირტყამ, უბატრონო ხო არ გგონივარ?! — დაიხზავლა მოშემ.

— ერთი ამას უყურეთ!.. სად ჩაგიკეცებია აქ ეს ოხერი, გავლა აღარ უნდა ხალხს?! — დასჭყვივლა მეთვალყურემ მოშეს, მაგიდას წიხლი ჰკრა, გადააყირავა და ბაზრის მეორე მხარეს წაივდა. მოშე საქონელს გადაეფარა, მაგრამ მაინც ვერ გადააჩინა, ყველაფერი ტალახში ჩაუცივდა;

— შე დალოცვილო, რას მიშობი, რა ვუთხრა ახლა ხაზეინს? — წაილულულა ბიჭმა და თვალბეზე ცრემლები მოაღდა.

მოშეს ვასაქირს ყური არავინ ათხოვა. მხოლოდ ერთი შუახნის ქალი მიემყვლა და ამიგვიგებულმა ბიჭმა მიწახე გაფანტულ საქონელს თავი მოუყარა.

შემციენული და ნახევრად ავადმყოფი მოშე გვიან დაბრუნდა შინ. ჯანო ჯერ კიდევ არ ჩანდა. რებეკას ბავშვები აღრე ჩაეწვინა ლოგინში და ქმრის მოლოდინში შფოთავდა. ღონემბდილი მოშე ბუხართან დასვა და დაბალ სამფეხა სკამზე მჯადი და ტარანის კუდი დაუდო ვახშმად. როცა მოშე დაკონკილ ლოგინში გაეხვია და ილაჯგამოცლილს მიეძინა, რებეკა გარეთ გავიდა და აივნის სვეტს აეტუზა.

წვიამ მოუხშირა, წყალმა იმატა და ბოლოს უხუილით მისწვდა სახლის საძირკველს.

რებეკას შიშით გული შეეკუმშა; ჯერ ქმრის დაგვიანება აფიქრებდა, მერე ოდის მოშალი ბოძები: მოვარდნილ წყალს შეიძლება გამოეშალა რომელიმე მათგანი და ისედაც დაშლის პირზე მისული სახლი დაენგრია.

— მოშია, მოშია! — დაიძახა ვილაცამ.

— რომელი ბრძანდებით?! — გავხმაურა ლუსკუმ სიბნელეში რებეკა და აივნის იმ მხარეს მიამურა, საიდანაც მეზობლის ხმა შეესმა.

— მე ვარ, რებეკა, სერაფიონი!

— რას მიბრძანებთ, სერაფიონ?! — შეეპასუხა მოკრძალებით და შიშნარევი ხმით რებეკა ჰიშკარზე მომდგარ სერაფიონს, რომელსაც მხრებზე სამკუთხად შეკეცილი ტომარა მოეხურა და შარვლის ტოტები მუხლებამდე აეკარწახეზია.

— სადაა, ქალო, ჯანო? ასე უბატრონოდ რამ გამოაშვებინა ეს ცხენი დალოცვილს, პატივისცემის მაგიერია? — ჰკითხა შორიდან სერაფიონმა უკმაყოფილოდ.

— რა ცხენს ბრძანებ, სერაფიონ?.. ჯანო ჯერ არ დაბრუნებულა, ბატონო!

— არ დაბრუნებულა? — გაიკვირვა სერაფიონმა.

— რა იყო ბატონო, სადაა ცხენი? — შეიცხადა რებეკამ.

— ცხენი კურტის ამარა მოვიდა, მთლად ამოწუწულია.

— ვაიმეე დაღუპულს! დაიხრჩო სა-

ცხა... ვაიმევე, ვაი, ვაი! — გააბა გულმეზარავე კივილი ქალმა.

სერაფიონი ჯანოს უახლოესი მეზობელი და მეცეცხლური იყო. რებეკას კივილზე არ დაერიდა წყალს, გასტოპა და კიბეზე ავარდა. რამდენიმე ხანში სერაფიონის ცოლი და მოშეს ტოლი ორი პატარა ვაჟიც რებეკასთან განდნენ.

ჯანოს ოჯახზე მომდგარი უბედურება სხვა მეზობლებმაც უშაღ გვიგეს და სახლო ხალხით გაივსო.

— მოიცა, აღამიანო, იქნება ცხენმა აიწყვიტა ამ წვიმაში და გამოექცა, იქნება ცოცხალია, წინ-წინ ნუ იკლავ თავს, ნუ დახოცე ბავშვები! — ერთხმად დაუწყეს მეზობლებმა რებეკას დამშვიდება და ნუგეშისცემა.

რებეკას არაფერი არ ესმის, თვალეზე შავი რიდე აქვს გადაკრული. ბაბუა აბრაამი ტახტის თავთან გდია ენაჩავარდნილი და მუხლებს აძიკვიგებს, გრძნობს თავდამტყდარ უბედურებას.

სერაფიონის ბიჭი დათიკო მოშეს ამხანაგია და ბავშვების ტირილზე ისიც იკრემლება.

— გამიშვით, უნდა მოექებნო ბაბეი! — წამოიძახა მოშემ და კარებისაკენ გასწია.

რებეკას გაბრუებულ გონებას ზარივით ჩასწვდა შეილის ხმა და ახლა მან წამოიხრიალა:

— არ გაუშვათ!.. დათიკო... შვილო, მიხედე!..

დათიკო წინ გადაეღობა მოშეს, სხეებიც წაეტანნენ და ძალის ძალად მოაბრუნეს.

გარიერაზე წყალი დავარდა. როგორც კი ინათა, რჩეული ბიჭები საძებნელად იმ გზას გაუდგნენ, საიდანაც ჯანო უნდა მოსულიყო. მეორე სოფელში გავიდნენ და არხებს დაუყვენენ, ჯგუფ-ჯგუფად წავიდნენ სხვადასხვა მხარეს. წყლის დენას ვაპყვენენ. დიდხანს არ დასჭირდათ ძებნა.

— იაკობა, იაკობა უუუ! აქეთ, აქეთ წამოდი! — დაიყვირეს ქვევით წასულელებმა.

ყველამ ერთ ადგილს მოიყარა თავი. დამხრჩველი ჯანო წყალს ტყლის ჰორას გაერიყა.

მთელი დღე-ღამის ნამტირალეუცხეს პირი გაეხსნა და ეხლა მზე კაშკაშით დაპყურებდა ჯანოს ცხედარს.

ჯანო მოზღვრიშვილის დაღუპვის ამბავი მთელ დაბას მოედო. ხალხი სალოცავს მიაწყდა. რაბინი თებზე ავიდა. მწუხარე თვალთ გადახედა შეკრებილთ და დაბეჯითებით მიმართა:

— ახი ვერუკი<sup>1</sup>, სმენა იყოს და გავონება! უნდა გაცნობოთ უბედური ამბავი, რომელიც პატიოსან აღამიანს შეემთხვა. ხალხნო, აღონი გაგვიწყრა, რისხვა მოავლინა საწყალი კაცის თავზე. მოგხსენებათ, ჯანო მოზღვრიშვილის უბედურება — იგი დაიხრჩო! დამარხვა უნდა პატიოსან გვამს!.. მას წერილი ომლები და ქვრივი დედაკაცი დარჩა. დახმარება უნდათ. პატიოსანი ისრავლი მუდამ მხად არის შეეწიოს და დაეხმაროს გაჭირვებულ ძმას. გაილე ისრავლო შენი წვლილი და გადაუხადე ვალი ყოვლად მოწყალე აღონის!.. თექვსლე მისოთ<sup>2</sup>... ვის რამდენიც შეგეძლოთ, ვის რამდენიც გენებოთ!..

— რაბინო ისხააკ! მე ჩემი მხრივ ოც მანეთს ვეწევი და ოჯახს შავებს მიეცემ, — დაიძახა იოხანანმა და გამოწვდილ ლანგარზე ორი წითელი თუმნიანი დააგდო. იოხანანს, ალბათ, სადღაც რაღაცამ წაჰქენჯნა, კარგად იცოდა მან, რომ მის სამსახურში დალია სული უენო კაცმა და ჯანოს სიცოცხლის საფასურს არავინ მოსთხოვდა მას.

— გიშველოს გამჩენმა!

— მოგირჩინოს შენი ბიჭი!

— გენაცვალე სულნი, პატიოსანი რომ ხარ! — მოისმა აქეთ-იქიდან.

— პატიოსნებო, მიბაძეთ ბატონ იოხანანს! ვის რამდენიც გემეტებათ დაცემული ოჯახისათვის!

— მეც ოც მანეთს ვეწევი — დაიყ-

1 ძმებო და მეგობრებო.

2 ხელი მივიწვდებოდეთ კეთილი საქმისათვის.

ვირა იოსხანანის უფროსმა ვაჟმა არონმა.

— თეკეზ ლემისოთ, თეკეზ ლემისოთ! — იძახის რაბინი.

ხალხი შეინძრა. შევროვდა შესაწირავი..

იმავე დღეს, შხის დასვლამდე მიწას მიაბარეს ცხედარი. დამარხეს კაცი, რომელიც მთელი თავისი დღედაშოსწრება მძიმე ტვირთს დაატრევდა ზურგით, წელში მოხრილი დადიოდა სოფლიდან სოფლად და მაინც მშვიერი იყო.

საფლავთან ბევრი იწიოკა ჯანოს ოჯახმა. ნათესაებმა თმა-წვერი დაიგლიჯეს, მეზობლებმაც ბევრი იცეს თავში, მაგრამ ბოლოს მაინც მიაგორეს უკანასკნელი ქვა და, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, დაიშალნენ. დაცარი-

ელდა იქაურობა. ბევლ სამარესთან მხოლოდ მოშე დარჩა.

როცა მამა-შვილი მიწამ გაჰყო, მხოლოდ მაშინ იგრძნო ბიჭმა ობლობა და ცხოვრების მთელი მომავალი სიმძიმე. საფლავს დაემხო და მოთქმით ამოუშვა ტირილი:

— ბაბაა, ბაბაა, რა გვეშველება შენს დატოვებულ ოჯახს...

— გეყოფა მოშე, წამოდი! — უთხრა ვილაყამ შებრალებით და მხრებზე ნელა შეახო ხელი.

ეხლა, ყველასაგან შეუმჩნეველად მოშესთან დარჩენილიყო ის, ვისაც თავად განეცადა მწარე ობლობა. მოშემ მიიხედა, მის გვერდით, თავით ფეხამდე. შავ ბლონდში გახვეული სიმა იდგა.

გაგრძელება იქნება



**დატყვევებული ცხენები**

რამ შეახტუნა გზაზე მანქანა?...  
რად გავიფიქრე გაოცებულმა —  
ცხენების ძალამ თუ შეაქანა  
რკინის ძრავაში გამომწყვდეულმა.  
განა ველურად თავაშვებული  
მთაში, ნაწვიმარ დილის სათიბში,  
ათასი მერნის ძალა შებმული,  
როკავს, გუგუნებს, კივის: — გამიშვი!..  
და ვფიქრობ გზაზე: უამთა ტრიალში  
სისხლი და ღონე არ დაინანა,  
მილიარდ ცხენის ძალა რკინაში  
გამომწყვდია ადამიანმა.  
დაფეთებულნი, გადარეულნი,  
მავთულში დენად გატარებულნი,  
უწყვეტ ღვედებად ჩარხზე დაბმულნი,  
ერთ დროს ჯირითში სახელგანთქმულნი,  
თრთიან სიცოცხლის წყაროდ ქცეულნი

ცხენები ძრავში გამომწყვდეულნი.  
მიაქენებენ ცისფერ ელმავლებს,  
დასჭიხენებენ მზისფერ მწვერვალებს,  
ღრუბლებს გრუხუნით მიაბნელებენ,  
ლურჯ ლაქვარდებში მიგვაგელვებენ.  
ოკეანეებს ქრიან მძლავრები,  
ირმულ ნახტომით მთვარეს წვდებიან,  
გაბრწყინებული ცის ვარსკვლავები  
მათი ნალებით ნაპერწყლდებიან.  
და ვფიქრობ ასე გზაზე შემდგარი:  
რად ვერ შევძელით ომის აღკვეთა  
თუ ვართ მთლიანად ცხენის მხედარნი  
და გამხენდავნი ოკეანეთა.  
ან სამყაროში მწვანე ვარსკვლავმა  
მზისქვეშ ელვარით რად გაინათა,  
გზა დიდებისა თუ არ გაკვალა  
გასაღმერთებლად ადამიანთა.

**ხ ვ ე ღ რ ი**

თბილისის ქალაქს შეგირდივით  
ვყავარ მუქთად აყვანილი,  
მტკვარს ბორანთან ვხვდები დილით,  
ტალღა მარწყვს აყვანივით.  
ცა და მიწა ლექსში მშველის,  
მთაზე ჯაჭვით მთვარეს ვაბამ,  
წყურვილს ვიკლავ მშვენიერის  
გადაბობილ ბაგეთაგან.  
და სიცოცხლეს მაინც ვყვედრი:  
— ჰეი, სოფელს რა სცოდნია,  
რა ყოფილა კაცის ხვედრი,  
რა ცოტახანს მაცოდვილა.  
რად დამავდო მარტოდ მარტო,  
ქუჩებს რისთვის მიმბარა,  
ცეცხლი რისთვის გადმომადო  
ჩემმა დიდმა წინაპარმა.

მევლო ხალხში ტკბილი სიტყვით  
და ოჯახი — საესე ბინა —  
დალოცვილი თბილისივით —  
მტკვართან დამეარსებინა.  
მაგრამ, მერე რა მენატრა?  
ღველფის სითბო და ნაცარი?  
და ფერფლივით გამეთანტა  
ოცნებები გადამწვარი?..  
არა, რადგან სიზმარივით  
დამყვა რწმენა და ნუგეში  
და მჩხვლეტს დროის ისარივით  
ცხელი გული საგულეში,  
ალარ ვყვედრი, რად დამავდო,  
ქუჩებს რისთვის მიმბარა,  
ცეცხლი რისთვის გადმომადო  
ჩემმა დიდმა წინაპარმა.

## მონოლოგი

გაქონებული  
მონოლოგები

შუალამის თორმეტს როცა იყო გადაცილებული,  
გუ-გუ-გუ-გუ — დაიძახა ძველებური საათიდან,  
გამოფრინდა დროის მაცნე, დროის გამნაწილებელი  
და გუგული ისარს გუგუს შეძახილით დააფრინდა.  
შეტრიალდა წამოსაზომი და უკულმა იწყა ბრუნვა,  
გაეფიქრე: „ჩემს ოთახშიც ერთხელ მოხდეს საოცრება“.  
კედელს, როგორც კინოს ეკრანს, თალხი ბინდი დაებურა,  
ვნახე მკედრეთში გადასული ყველა წუთის გაცოცხლება.  
გუ-გუ-გუ-გუ — გუგუნებდა გარეთ ლამის მოედანი,  
ტრამვაების ხმას ერთვოდა ხმა ძრავათა ზარ-გუგუნის.  
გუ-გუ-გუ-გუ — მაყრუებდა ბგერათ განმეორებანი,  
ჩემი გულის

ფეთქვად იქცა უამესი ხმა გუგულის.

მივაპყარი მზერა საათს, შევძელ თვალის გასწორება,  
დროის მზომი პირუკულმა აბრუნებდა დროის ისარს,  
კინო-ფილმად მაჩვენებდა დღეებს ჩემი ბალღობისას:  
თბილ უბეში მედო თავი, დედა ძუძუს მაწოვებდა.  
გარეთ ლამის, მანქანების და ბულიან ქუჩის ნაცვლად  
იყო მოლი გათელილი მოკუნტრუშე ბოჩოლებით,  
იყო რაღაც საოცარი, შორეული წუთის განცდა  
და მაკმევდნენ ამო სურნელს ლურჯი ყანის ნოშოები.  
ნადვრდალში გახვეული ქვინტი ტაროს ტკაცანივით  
სამწყესურში, ლელისპირას ჩამესმოდა ხმა შოლტისა  
და ბებიას კაბის კალთა ჩაშავებულ ქუჭტა მსხალით  
იყო ცხადი, განა სიზმრად გაცინება ბავშვობისა.  
იყო ცხადზე უცხადესი, როგორც ხილვა ჩემი ბედის,  
როგორც თმებზე წლების თოვლი და მელიოტი ნადარევი...  
რა სისწრაფით და როგორი ნადირული გადარევით  
უბრუნვია დროის ისარს ბალღობიდან დღეისდღემდის.  
გუ-გუ-გუ-გუ — დამგუგუნებს თავს გუგული საკვირველი  
და იცვლება ძველი კადრი დიდი ფილმის ახალ კადრად:  
გაიშლება ჩემ წინ მწვანედ მობიბინე ქართლის ველი,  
ჩემს სახსნელად გზაზე მორბის მამაჩემი ახალგაზრდა.  
კინჭრის ციებ — ცხელებისგან დათენთილი, გალახული,  
ნადარევიად თმებშებოლილ მამას გლდანში ვეგულები.  
მომეჭრება ჩემი შემწე, ჩემი ხელით დამარხული,  
მშობლის სუნთქვით სიკვდილიდან სიცოცხლისკენ

შეგბრუნდები.

მხრებზე სეტყვად მეცემიან წითლად მწიფე ხართუთები,  
დედულეთის გრილი მიწა ფეხქვეშ სათიბს მიბიბინებს,  
მარიდებენ ბარის სიციხეს, მამალეზენ მთის სივრცის  
მოფუსფუსე ძალოები — ფუტკრებივით სათუთები.  
კვლავ გუგუნებს, კვლავ ჩამესმის იღუმალი ხმა გუგულის  
და ისარი საათისა ბრუნავს, როგორც კინოს ლენტი,  
ჯოხტნის წყალზე ადრე ჩავლილ ჩემს ბალღობას ვიგლოვებდი,  
რომ არ ვიყო ღვიძლი შვილი რკინისგულა საუკუნის.



მიხმობს გუგული გუ-გუ-გუ-გუ — და ბორბლების ყრუ  
 ხმაურით

ზაპესიდან თავდაღმართზე ვაგონები ეშვებიან,  
 ელმავალი წყვილი ფარით, წყვილი სხივით უცნაურით,  
 დამეში ჰგავს შავ გველეშაპს უზარმაზარ ეშვებიანს.  
 შავი ბიჭი ფეხშიშველა მატარებლის კივილს მისდევს,  
 უნდა სიყრმის ზიარებთან — ტოლ-სწორებთან შემატება,  
 გაქცეული დაეწევა მაზუთიან რკინის კიბეს  
 და ცხოვრებას გაქანებულს თანამგზავრად შეახტება.  
 შემდეგ ჩემდა უნებურად ვუერთდები დიდ ქალაქებს,  
 როგორც ლოდი გაუთლელი, ჟამთა სვლისგან ხავსგაცლილი,  
 დრო საჭრისით ჩემგან ახალ კაცის სახეს აქანდაკებს,  
 მკვრივ ნეკნებქვეშ მიცოცხლდება სიყმაწვილე გარდაცვლილი,  
 ხის ფოთლების მსგავსად მცვივა თეთრი თმები და კბილები,  
 უკან მომდევს ჩემი ბავშვი, ჩემზე სხარტი და კეთილი,  
 და შევდივარ სადგურებში მატარებლის შეკვივლებით:  
 — გზა მომეცით, გზა დამითმეთ, გზა გახსენით ჩაქეტილი...  
 გუ-გუ-გუ-გუ — ყრუ გუგუნი — მესმის ძველი საათიდან,  
 გარეთ მიხმობს შუაღამით იღუმალი ხმა გუგულის,  
 მეც ვღულუნებ, მეც ვგუგუნებ, მეც გავკვივი და თქმა მინდა  
 გაუმხელი სათქმელისა, საგულეში ჩავგუბულის.  
 გუ-გუ-გუ-გუ — ჩემს ოთახში თითქოს ტყუა გაუვალი,  
 და უღრანში ვიცდით ორნი, ვით ტოლები, ვით ტყუპები —  
 მე და ჩემი დროის შრომი—წარსულ წამთა საბუღარი.  
 და კუბრისფერ, შავი ღამის საღებავით ვითხუპნები.  
 გუ-გუ-გუ-გუ — დაიძახებს და გუგული ძველ საათში  
 ელვის უმალ შეფრინდება, დროა ცისკრის დადგომისა;  
 შავ დაფაზე თეთრად ნახატ მოგონებას ხელით წაფული  
 და იღუმალ ფრინველს ვლოცავ ნიშნად დიდი მადლობისა.

ჯანსუღ ჩაჩხვიანი



სივამუკისა

ჩემს უბლოეს მეგობრებს

როგორ ვივსებთ მზით და სურვილით,  
და როგორ გვეტყევა სხვათა იარა,  
რამდენმა ლექსმა აგვაბრიალა  
ვერ მოვიკალით მაინც წყურვილი.  
რამდენმა რისხვამ გადაგვიარა,  
მაინც ვუცქერით მწვანე რთველობას  
და ისე ვუვლით, როგორც იარაღს —  
ჩვენს სივამუკეს და ქართველობას.

და თუ გვევსება სული გრიგალით  
და თუ გვევსება სხივით სხეული,  
ფართოდ ვადებულ კარებს ვუვლობთ  
კალაპოტებში ვერდატეულნი,  
ეს იმიტომ, რომ თვალთ კი არა,  
გულით ვუყურებთ მწვანე რთველობას  
და ისე ვუვლით, როგორც იარაღს —  
ჩვენს სივამუკეს და ქართველობას.



შენ უცებ გაჩნდი,  
თოვლივით გაჩნდი  
და შემაგებე ღიმილი სითბოდ,  
შენ თითქოს ჩემში რაღაცა დაგჩაჩა  
და წასაღებად მოხვედი თითქო.  
შენ უცებ გაჩნდი,  
ლანდივით გაჩნდი  
და დიდებოდნენ ლანდები ხეთა,

მთების ნისლივით მაინც ვერ ამცდი,  
შენ — ბრწყინვალეზე გარდასულ  
დღეთა.

და მოიტანე სხივი უღვევი,  
მანძილი შორი მიწიდან მზემდე,  
ასე ჩნდებიან ნაკადულები,  
დიდი თოვლის და წვიმების შემდეგ.

ნარიყალა

მე ვგრძნობ შენს სუნთქვას,  
მე ვგრძნობ შენს ღონეს  
და ციხესავით ვდარაჯობ კართან,  
ლურჯი ნისლივით ვიღვიძებ ზოლმე  
შეფარებული მთაწმინდის კალთას.  
მე თვალს ვუსწორებ შენს მაღალ  
კოშკებს,

და საათები რეკავენ ზარებს,  
მე შენს კარებთან მრავალჯერ მომკლეს  
და გული მაინც ვერ გამიბზარეს.  
შენი სხეული თბილია მუდამ,  
შენ ჩემო დილა სინათლევ თვალთა  
წუთით ფიქრებით დატოვო თუნდაც,  
მე ციხესავით ვდარაჯობ კართან.



## პაწია უფლისწული

ბავშვებს ვთხოვ მაიატიონ ის ამბავი, რომ მოზრდილს ეუძღვნო ამ წიგნს. ამისათვის მე სერიოზული მოსაზრებები შექმნა, პირველი: მოზრდილი, რომელსაც ამ წიგნს ეუძღვნო, ჩემი საუკეთესო მეგობარია. მეორე: ამ მოზრდილს უფელაფერი გავგება, საბავშვო წიგნით კი. მესამე: ეს მოზრდილი საფრანგეთში ცხოვრობს, სადაც მას შიი და წყურია. მას ძალზე ესაუიროებია წუგეში. თუ ეს მოსაზრებება საკმარისი არაა, მე მინდა ჩემი წიგნი ამ ბავშვს მიუძღვნა, რომელიც ეს მოზრდილი იყო ერთდროს. უფელა მოზრდილი ხომ ჯერ ბავშვი იყო (მაგრამ ეს ამბავი ძალზე ცოტას ახსოვს). ამიტომ მე ასე შევასწორებ ჩემს სიტყვებს:  
ლუი ვერტს, როცა ის პატარა ბიჭი იყო.

ექვსი წლისა რომ ვიყავი, ერთ წიგნში, რომელიც უღრანი ტყის ცხოვრებას ეხებოდა და „ნამდვილი ამბები“ ერქვა, საუცხოო სურათი ვნახე. სურათზე დახატული მახრჩობელა გველი ნადირს ყლაპავდა. აი სურათის ასლიც:

„რატომ უნდა გვაშინებდეს ქუდი?“ მიპასუხეს მათ.

ჩემს სურათზე ქუდი არ ეხატა. ეს იყო მახრჩობელა გველი, რომელიც სპილოს ინელებდა. მათ მისახვედრად მე მახრჩობელა გველის მუცელში



ამ წიგნში ეწერა, მახრჩობელა გველები თავიანთ მსხვერპლს მთლიანად, დაუღებავად ყლაპავენო, შემდეგ კი, მთელი ექვსი თვე, ვიდრე საკმელს მოინელებდნენ, ვეღარ ინძრევიან და ძილს ეძლევიანო.

მაშინ მე ბევრი ვიფიქრე ჯუნგლის ცხოვრებაზე და ფერადი ფანქრით ჩემი პირველი ნახატი მოვხაზე. იგი ასეთი იყო: (იხ. სურ. № 1).

ჩემი შედეგური მოზრდილებს ვაჩვენე და კვითხე, შეეშინდათ მათ ჩემი ნახატისა თუ არა?

სპილო ჩაეხატე. უფროსებს ყოველთვის სკირდებათ განმარტება. ჩემი მეორე ნახატი ასეთი იყო: (იხ. სურ. № 2).

მოზრდილებმა პირჩიეს, თავი და მენებებინა, როგორც მახრჩობელა გველების, ისე მათ მუცელში მოქცეული სპილოების ხატვისათვის და ისტორიის, გეოგრაფიის, ანგარიშისა და გრაფიკის შესწავლა დამეწყო. ამრიგად, ექვსი წლისამ მივატოვე მხატვრის დიდებული კარიერა. პირველი და მეორე ნახატების წარუმატებლობამ იმედი გამიცრუა. მოზრდილებს თავად არას-

დროს არაფერი გაეგებათ, ბავშვებისათვის კი დამქანცველია სულ მუდამ ახსნა-განმარტების მიცემა მათთვის.

იძულებული გავხდით, სხვა ხელობა ამერჩია და თვითმფრინავების მართვა ვისწავლე. ცოტაოტა ყველგან ვიფრინე. გეოგრაფია, მართლაც, ძალიან გამომაღგა. ერთი თვალის მოვლებით ვარჩევდი ჩინეთს არიზონას შტატისაგან. ეს ძალიან საჭიროა, როცა დამით გზა დაგებნევა.



სურ. № 1.

ასე რომ, ჩემი სიცოცხლის მანძილზე უამრავი ურთიერთობა მქონდა უამრავ სერიოზულ ხალხთან. დიდხანს ვცხოვრობდი მოზრდილებს შორის, ძალზე ახლოს გავიცანი ისინი, მაგრამ ჩემი შეხედულება მათზე ამით არ შეცვლილა.

როცა შევხედებოდი ისეთ ადამიანს, რომელიც ოდნავ მაინც გონება გახსნილი მეჩვენებოდა, ჩემს მიერ შემონახული პირველი და მეორე ნახატე-

ფილი ჩანდა, რომ ასეთი გონიერი ადამიანი გაიცნო.

## II

ამრიგად, ვცხოვრობდი მარტო. არავინ მყავდა, რომ წესიერად გამოვლავარაყებოდი, სანამ ამ ექვსიოდე წლის წინათ საპარის უდაბნოში ხიფათი არ შემემთხვა. თვითმფრინავის მოტორს რაღაც დაუზიანდა და, რადგან არც მგზავრი მახლდა თან და არც მექანიკოსი, შევეცადე დაზიანებული ნა-

წილი თავად შემეკეთებია. ჩემთვის ეს ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო. რვა დღის სამყოფი წყალი ძლივს გამაჩნდა.

ასე რომ, იმ საღამოს, ყოველგვარი დასახლებული პუნქტიდან ათასი მილით მოშორებულმა, ქვიშაზე დავიძინე. მე უფრო განმარტოებულად ვგრძნობდი თავს, ვიდრე დაღუპული გემიდან გადარჩენილი ადამიანი, რომელიც შუაგულ ოკეანეში ტივზე აბობლებულა. ამიტომ, წარმოიდგინეთ ჩემი



სურ. № 2.

ბის მეშვეობით მასზე ცდას ვატარებდი ხოლმე. მსურდა გამეგო, ესმოდა მას ნამდვილად რაიმე თუ არა. მაგრამ ისინი ყოველთვის ასე მიბასუნებდნენ: „ეს ქუდია“. ასეთი პასუხის შემდეგ, მათ აღარ ველაპარაკებოდი არც მახრობელა გველეხზე, არც ულრან ტყეებზე და არც ვარსკვლავებზე. მე მათი გონებრივი განვითარების დონემდე ვეშვებოდი და ვესაუბრებოდი ბრიჯზე, გოლფზე, პოლიტიკასა და ყელსახვევებზე. მოზრდილიც დიდად კმაყოფი-

განცვიფრება, როცა გათენებისას სასაცილო ბავშვურმა ხმამ გამომაღვიძა.

მან მითხრა:

— გათხოვთ... დამიხატოთ ცხვარი...

— რაო?! —

— ცხვარი დამიხატეთ...

ელდანაკრავივით წამოვხტი ფეხზე. თვალები მაგრად მოვიფშვინტე და როცა გონს მოვედი, უცნაური პაწაწინა კაცუნა დავინახე, რომელიც გულდასმით მათვალაიერებდა.

აი, ჩემს მიერ მოგვიანებით დახა-

ტული მისი საუკეთესო პორტრეტი. ჩემი ნახატი, რა თქმა უნდა, ნაკლებ მომხიბველია, ვიდრე თავათ იგი იყო, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არაა. მოზრდილობმა ექვსი წლისას ამიჯრუეს გული მხატვრის კარიერაზე და ამიტომ მხარხობელა გველებისა და მათ მუცელში მოქცეული სპილოების გარდა, მე არაფრის ხატვა აღარ მისწავლია.

გაოგნებული შეეცქეროდი ამ მოჩვენებას. ნუ დაგავიწყდებათ ის ამბავი, ათასი მილით ვიყავი დაცილებული ყოველ დასახლებულ პუნქტს. ჩემი პატარა კაცუნა კი არც გზაბნეულს ჰგავდა, არც უზომოდ დაღლილს და არც შიმშილით, წყურვილით თუ შიშით გულწასულს. ის არაფრით არა ჰგავდა შუაგულ უდაბნოში გზადაბნეულ ბავშვს, რომელიც ათასი მილითა დაცილებული ყველა დასახლებულ ადგილს.

ბოლოს, როცა ხმის ამოღება შეეძლო, ასე მივმართე:

— კი მაგრამ... აქ რას აკეთებ? —

მან ისე წყნარად გამიმეორა თავისი თხოვნა, თითქოს ეს მეტად მნიშვნელოვანი რამ ყოფილიყოს.

— დამიხატეთ ცხვარი... ვთხოვთ...

როდესაც იღუმალება ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, აღამიანი ურჩობას ვერ ბედავს. ყოველი დასახლებული ადგილიდან ათასი მილით დაშორებულსა და სიკვდილის საფრთხეში მყოფს, ძალზე უაზროდ მეჩვენა მისი თხოვნა. ჯიბიდან ჭაღალდის ფურცელი და ავტოკალამი ამოვიღე. მაგრამ იმწამსვე გამახსენდა ის ამბავი, რომ მე მხოლოდ გეოგრაფია, ისტორია, ანგარიში და გრამატიკა შექონდა კარგად შესწავლილი და (ცოტა არ იყოს უკუნებოდ) ვფიქრობ: ხატვა არ ვიცი მეოქი. მან მომიგო:

— არა უშავს. დამიხატე ცხვარი.

რადგან ცხვარი არასოდეს არ დამეხატა, ამიტომაც მისთვის ხელახლა დავხატე ერთი იმ ორ სურათთაგანი რომელთა ხატვაც შემიძლო. ეს მხარხობელა გველი იყო. პატარა კაცუნას

პასუხი ვავიგონე და სახტად დავრჩი:

— არა! არა! მე არ მსურს მხარხობელა გველის მუცელში მოქცეული სპილო. მხარხობელა გველი ძალიან სახიფათოა, სპილო კი — ძალზე უაზრ-მაზარი. იქ, სადაც მე ვცხოვრობ, სულ ცოტა ადგილია. მე ცხვარი მინდა. დამიხატე ცხვარი.

მე დავხატე.

მან ყურადღებით შეხედა ნახატს და მითხრა:

— არა, ეს უკვე მძიმე ავადმყოფია. სხვა დამიხატე.

მე ისევ დავუხატე.

ჩემმა მეგობარმა სასიამოვნოდ, გულმოწყალედ გამიღიმა.

— კარგად შეხედე. ეს ცხვარი კი არა, ერკემალია. მას ხომ რქები აქვს.

მე ხელახლა გადავაკეთე ნახატი.

ჩემმა ნაცნობმა ისევ უარი განაცხადა.

— ეს ძალიან ბებერია. მე ისეთი ცხვარი მინდა, რომელიც დიდხანს იცოცლებს.

მოტორის დაშლა მეჩქარებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა კი, ეს ნახატი დავუჯღაბნე და მოკლედ მოვუჭერი:

— ეს ყუთია. შენი სასურველი ცხვარი კი შიგ ზის.

ჩემი ახალგაზრდა მოსამართლის გასხივისნებული სახის დანახვამ ძალზე გამაკვირვა.

— სწორედ ასეთი მსურდა. როგორ გგონია, ბევრი ბალახი დასჭირდება ამ ცხვარს?

— ამას რატომ მეფიქრებ?

— იმიტომ რომ, სადაც მე ვცხოვრობ, სულ პატარა ადგილია.

— საკმარისი იქნება. მე სულ პატარა ცხვარი ვაჩუქე.

მან თავი ნახატისკენ დახარა.

— არც თუ ისე პატარა... ნახე! — ჩასძინებია

ასე ვავიციანი პაწია უფლისწული.

### III

დიდი დრო დამჭირდა იმის გამო-სარკვევად, თუ საიდან ვაჩნდა იგი.



პაწია უფლისწული მრავალ შეკითხვას მაძლევდა, მაგრამ თავად არ ესმოდა ჩემი კითხვები. მხოლოდ ჩვენს საუბარში შემთხვევით ჩართული სიტყვების წყალობით თანდათან გავიგე მისი ასავალდასავალი. როცა ჩემი თვითმფრინავი პირველად დაინახა, (თვითმფრინავს არ დაეხატავ, ეს ჩემთვის ძალზე რთული საქმეა), მან მეკითხა:

— რა არის, იქ რომ რაღაცა დევს?

— ეს არ არის რაღაცა. ეს ფრინავს. ეს თვითმფრინავია. ჩემი თვითმფრინავი. მე ვამაყობდი იმით, რომ მას ჩემი ფრენის ამბავი გავაგებინე. მან წამოიძახა:

— როგორ, შენ ციდან ჩამოვარდი?

— დიახ, ვუბასუხე თავმდაბლად.

— ო, ეს სასიამოვნოა...

პაწია უფლისწულის მოხდენილმა ხარხარმა ძალიან გამაბრაზა. მე სერიოზულ დამოკიდებულებას მოვითხოვედი ჩემი უბედურებისადმი.

— მაშ შენც ჩემსავით ციდან მოხვედი! რომელი პლანეტიდან? მისი აქ ყოფნის საიდუმლოებას თითქოს რაღაც ნათელი მოეფინა.

უეცრად ვკითხე:

— შენ რა, სხვა პლანეტიდანა ხარ?

მან არაფერი მიპასუხა. თავს ოდნავ აქანქარებდა აქეთ-იქითა და ჩემს თვითმფრინავს შეჰყურებდა.

— თუმცა ამით ძალიან შორიდან ვერ მოხვიდოდი.

იგი ხანგრძლივმა ოცნებამ გაიტაცა, შემდეგ ჯიბიდან ცხვარი ამოიღო და თავისი საუნჯის ჭვრეტით გაერთო.

წარმოიდგინეთ, რა ცნობისმოყვარეობა აღმეფერებოდა. როცა მან „სხვა პლანეტაზე“ ვადამიკრა სიტყვა: ამიტომ შევეცადე მეტი ვამეგო.

— საიდან მოხვედი, ჩემო პატარა კაცუნავ? სად არის შენი „მინ“? სად გინდა წაიღო ჩემი ცხვარი?

უფლისწულმა დაფიქრების შემდეგ მიპასუხა:

— კარგი ის არის, რომ ყუთი, რომ-

ლითაც შენ ცხვარი მომეცი, ღამით ბინადაც გამოადგება.

— რა თქმა უნდა. თუ კარგად მოიქცევი, ცხვრის დასაბმელად თოქსა და პალოსაც მოგცემ.

ჩემმა წინადადებამ თითქოს შეუცრაცხო პაწია უფლისწული.

— კი მაგრამ, რატომ უნდა დაეება?

— თუ არ დაეება, სადმე წავა და დაიკარგება.

ჩემმა მეგობარმა ხელახლა გადაიხარხარა:

— სად უნდა წავიდეს?

— სულერთია... სულ წინ, სადმე.

ამაზე პაწია უფლისწულმა სერიოზულად შენიშნა:

— ეს არაფერია. იქ, სადაც მე ვცხოვრობ, ძალზე პატარა ადგილია. შემდეგ ნაღვლიანად დაუმატა:

— სულ წინ სიარულით, იდამიანი შორს ვერ წავა.

#### IV.

ამრიგად, შევეცავე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: მისი მშობლიური პლანეტა სახლზე ოდნავ მოზრდილი თუ იქნებოდა.

ამ ამბავს მე არ გავუკვირებებივარ. მე კარგად ვიცოდი, გარდა სახელმწიქმეული პლანეტებისა, როგორიცაა დედამიწა, იუპიტერი, მარსი და ვენერა, არსებობს კიდევ ასობით სხვა პლანეტა. ზოგი ისე პატარაა, ტელესკოპით დანახვაც კი ჰერს, როცა რომელიმე ასტრონომი ერთ-ერთ მათგანს აღმოაჩენს, სახელის მაგივრად ნომერს შეარქმევს. მაგალითად „ასტეროიდი 3251“.

ჩემი სერიოზული მოსაზრებები უფლებას მაძლევს დავუშვა, პლანეტა, რომლიდანაც პაწია უფლისწული მოვიდა, არის ასტეროიდი ბ-612. ეს ასტეროიდი მხოლოდ ერთხელ შენიშნა ტელესკოპში თურქმა ასტრონომმა 1909 წელს.

ეს აღმოჩენა მან ასტრონომთა საერთაშორისო კონგრესზე წარადგინა, მაგრამ თავისი ეროვნული ტანსაცმლიან

გამო მას არაეინ დაუჯერა. ასეთები არიან მოზრდილები.

ასტროიდ ბ-612-ის საბედნიეროდ, ერთმა თურქმა დიქტატორმა სიკვდილით დასჯის მექარით აიძულა თავისი ქვეშევრდომები ევრობული ტანსაცმელი ჩაეცვათ. მოზდენილ ტანსაცმელში გამოწყობილმა თურქმა ასტრონომმა თავისი აღმოჩენა ხელახლა წარადგინა 1920 წელს.

აქედრად მას დაუჯერეს.

ასე დაწვრილებით იმიტომ ვიამბეთ ასტროიდ ბ-612-ის ამბავი და მისი ნომერიც იმიტომ გვთხარით, რომ მოზრდილებს გაეგოთ. მათ ხომ ციფრები უყვართ! როცა მათ ახალ მეგობარზე ელაპარაკებოთ, ისინი არსებითს არაფერს გკითხავენ. არასოდეს არ შეგკითხებიან: „როგორ ჟღერს მისი ხმა? რომელი თამაში უყვარს? ადგენს თუ არა იგი პეპლების კოლექციას?“ სამაგიეროდ გკითხავენ: „რამდენი წლისაა? რამდენი ძმა ჰყავს? რამდენს იწონის? რამდენს ღებულობს მამამისი?“ თუკი მათ ეტყვიოთ: „ლამაზი ვარდისფერი აგურის სახლი ვნახე; მისი ფანჯრების რაფაზე გერანის ქოთნები იდგა, ხოლო სახურავზე მტრედები ისხდნენ“, ისინი ასეთი სახლის წარმოდგენას ვერ ახერხებენ. ამიტომ სჯობია უთხრაოთ: „ასიათას ფრანკად ღირებული სახლი ვნახე“, ამ შემთხვევაში წამოიძახებენ: „რა მშვენიერი ყოფილა“.

ამრიგად, თუ მათ ეტყვიოთ: „პაწია უფლისწულის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ იგი მომხიბვლელი იყო, რომ იგი იცინოდა და ცხვარი სურდა, ხოლო ვისაც ცხვარი სურს, ის კიდევ არსებობს“, ისინი მხრებს აიჩეჩენ და ბავშვად ჩაგთვლიან! მაგრამ თუკი ეტყვიოთ: „პლანეტა, რომელიდანაც ის მოვიდა, არის ასტროიდი ბ-612“, მაშინვე დაგიჯერებენ და შეკითხვებითაც აღარ მოგაბურზებენ თავს. ასეთი ხალხია მოზრდილები. ამან არ უნდა გაგანაწყენოთ.

ბავშვებს მოზრდილთა დიდი შემწყნარებლობა მართებთ.

მაგრამ ჩვენ, ვისაც ცხოვრება გვესმის, ციფრები სასაცილოდ არ გვყოფნის. მე ამ ამბავს ასე დავიწყებდი: „იყო და არა იყო რა იყო ერთი პატარა უფლისწული, რომელიც მასავით პაწია პლანეტაზე ცხოვრობდა და მეგობარი სპირდებოდა...“ მათთვის, ვისაც ცხოვრება ესმის, ამას გაცილებით მეტი სინამდვილის ელფერი ეჭნებოდა. მე კი არ მიყვარს, როდესაც ჩემს წიგნს ზერელედ კითხულობენ. მე დიდად მიმიძმის ამ მოგონებათა თხრობა. ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი დამცილდა. მე იმიტომ ვცდილობ მის აღწერას, რომ არ დამავიწყდეს იგი. მეგობრის დავიწყება სამწუხაროა. ყველას როდი ჰყავს მეგობარი. ადვილი შესაძლებელია მეც იმ მოზრდილებს დავემსგავსო, რომელთაც ციფრების გარდა აღარაფერი აინტერესებთ. ამიტომ ვიყიდე ფერადი საღებავები და ფანქრები. ჩემს ასაკში ძნელია ხატვის ხელახლა დაწყება. მე ხომ მხოლოდ ექვსი წლისამ ვცადე მახრჩობელა გველისა და მის მუცელში მოქცეული სპილოს დახატვა. რა თქმა უნდა, მე ვეცდები, რაც შეიძლება მეტად დავამსგავსო ნახატი, მაგრამ არა ვარ დაწმუნებული, რომ ამას შეეძლებ. ერთი ნახატი არ ვარა და არც მეორეა უკეთესი.

ადვილი შესაძლებელია მისი სიმაღლეს მეზღებოდეს. ამ ნახატზე უფლისწული დიდი, მეორეზე — ძალზე პატარა. მისი სამოსის ფერიც მაქვებს, მაგრამ რა გავწყობა, ვცდილობ, როგორც კი შემიძლია. ბოლოს და ბოლოს შეიძლება რომელიმე მნიშვნელოვან წვრილმანშიაც შევცდე, მაგრამ ეს უნდა მაპატიოთ. ჩემი მეგობარი არასოდეს არ მაძლევდა ახსნა-განმარტებებს, ალბათ თავისი მსგავსი ვეგონე მეც. მე კი, საუბედუროდ, ყუთში ცხვრის დანახვას ვერ ვახერხებ. იქნებ

ცოტათი მეც დავემსგავსე მოზრდილებს, იქნებ დავებრდი.

## V

ყოველდღე ვგებულობდი რაღაც ახალს უფლისწულის, პლანეტის, მისი გამგზავრებისა და მგზავრობის შესახებ. ეს ძალიან ნელა ხდებოდა, შემთხვევითი მოსაზრებების საფუძველზე. სწორედ ასე გავიგე მესამე დღეს, რაში მდგომარეობდა ბაობაბის ხის ტრაგედია.

ესეც ცხვრის გამო მოხდა. ძალზე დაეჭვებულმა უფლისწულმა უეცრად მკითხა:

— მითხარი, ცხვრები მართლა სჭამენ ბუჩქებს?

— მართლა.

— ო, რა მიხარია!

მე ვერ მივხვდი, რატომ ახარებდა მას ის ამბავი, რომ ცხვრები ბუჩქებს სჭამდნენ.

— მაშასადამე, ისინი ბაობაბის ხესაც შესჭამენ. მე ავუხსენი პაწია უფლისწულს, რომ ბაობაბი ეკლესიის ოღენა ხეა და არა ბუჩქი. მან რომ სპილოების მთელი ჯოგი წაიყვანოს თან, ისინი ერთ ძირსაც კი ვერ მოერევიან.

პაწია უფლისწულს გაეცინა, როცა თავის პლანეტაზე სპილოების ჯოგი წარმოიდგინა.

— ალბათ მათი ერთმანეთზე შეყენება ვახდებოდა საჭირო...

შემდეგ კი აზრიანად შენიშნა:

— კი, მაგრამ, ბაობაბი ხომ პატარაა, სანამ გაიზრდებოდეს.

— მართალია, მაგრამ შენ რატომ გინდა, რომ ცხვარმა პატარა ბაობაბი შესჭამოს?

„კარგი, ენახოთ!“ მიპასუხა მან ისე, თითქოს ეს თავისთავად ცხადი ყოფილიყოს, მე კი გონების დიდი დამბეზად მიჭირდა ამ ამოცანის ამოსახსნელად.

რასაკვირველია, პატარა უფლისწულის პლანეტაზე, ისევე, როგორც ყველა პლანეტაზე, კარგი ბალახიც იყო და ცუდიც. მაშასადამე, კარგი

ბალახის კარგი თესლიც და ცუდი ბალახის ცუდი თესლიც, მაგრამ თესლი ხომ უჩინარია. თესლს მიწის წიკადში სძინავს. ხოლო როცა აზრად მოუვა გამოღვიძება, ხმოვრებას დაიწყებს და მისი პატარა, მომზიბვლელი, უვნებელი ღივი მოკრძალებით მიიწევეს მზისკენ. ვარდის ან ბოლოკის ღივი შეგიძლია ნებაზე მიუშვა, ხოლო სარეველა მცენარის ღივს დაინახავ თუ არა, მაშინვე უნდა მოთხარო. პაწია უფლისწულის პლანეტაზე კი სახიფათო თესლიც მოიპოვებოდა. ეს იყო ბაობაბის ხის თესლი. პლანეტის ნიადაგი სადღეს იყო მისი მარცვლებით, ხოლო ბაობაბი ძნელი გადასამენებელია, თუ დროზე არ მიხედვ. ის მთელ პლანეტას იკავებს და ბურღავს თავისი ფესვებით, მით უფრო, პლანეტა თუ ძალზე პატარაა, ბაობაბის ხე სადღესით დააქცევს მას.

— „ეს დისციპლინის საკითხია“, თქვა პაწია უფლისწულმა მოგვიანებით. „ღილით, როცა საკუთარი თავის მორთვას მორჩები, პლანეტის მორთვას უნდა შევუდგე. პატარა ბაობაბი ძალიან ჰგავს ვარდის ბუჩქს. როგორც კი მათ ერთმანეთისაგან გამოარჩევ, თავს ძალა უნდა დაატანო და იმწამსვე მოთხარო ბაობაბი. ეს სამუშაო მეტად მომაბურჯებელია, მაგრამ ძალზე აღვილი“.

ერთ დღეს მან მიჩნია, ისეთი სურათი დამეხატა, რომელიც კარგად გააგებინებდა ბაობაბის ტრაგედიას ჩემი ქვეყნის ბავშვებს. შემდეგ კი მითხრა: თუ ისინი ოდესმე იმოგზაურებენ, მათ ეს გამოადგებათ. ზოგჯერ საქმის გადადებას ენება არ მოაქვს, მაგრამ, როცა საქმე ბაობაბს ეხება, მისა გადადება სახიფათოა. მე ერთი პლანეტა ვიცოდი, რომელზედაც ზარმაცი კაცი ცხოვრობდა. მან სამ ბუჩქს ყურადღება არ მიაქცია და...“

მე პაწია უფლისწულის მითითებით დავხატე ეს პლანეტა. ჰქუის სწავლება არ მიყვარს, მაგრამ საჭიროზე, რომელსაც ბაობაბი ქმნის, იმდენად ნაკლებ

ბაღა ცნობილი და ისე სახიფათოა ასტროლოდზე გზადანებული აღმობიან-სათვის, რომ ამჯერად თავს ველარ ვიკავებ და ვამბობ: „ბავშვებო! მიიქციეთ ყურადღება ბაობაბს!“

ამ ნახატზე ამდენი იმიტომ ვიწვალე, რომ ჩემი მეგობრებისათვის ამერიდებია საფრთხე, რომელიც მათაც, ჩემი არ იყოს, დიდი ხანია მოელით, თუმცა კი აქამდე არაფერი ვიცოდი ამ საქმისა. ეს გაფრთხილება ღირს ჩემს წვლელბად. შეიძლება თქვენ იკითხოთ, რატომ არ არის ამ წიგნში სხვა ისეთივე დიდი ნახატი, როგორიც ბაობაბის ხის სურათია. პასუხი მეტად მარტივია: ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, როცა ბაობაბს ვხატავდი, ვალდებულე-ბის გრძნობა მასულდგმულედა.

VI.

ო, პაწია უფლისწულო, მე ნელ-ნელა გაგივე შენი პატარა, სეველიანი ცხოვრების ამბავი. შენს ერთადერთ გასართობს დიდი ხნის განმავლობაში მზის ჩასვლის მშვენიერება წარმო-იდგენდა. ეს ამბავი მეოთხე დღეს შე-ვიტყე, დილით. შენ მაშინ მითხარი:

— მე ძალიან მიყვარს მზის ჩასვლის ცქერა. წამოდი მზის ჩასვლას ვუყუ-როთ...

- უნდა დაველოდოთ...
- რას უნდა დაველოდოთ?
- მზის ჩასვლას.

შენ ჯერ ძალიან გაგიკვირდა, შემ-დეგ კი შენ თავზე გაგეცინა და მითხარი:

- თავი ჩემს პლანეტაზე მეგონა.
- და მართლაც, ყველამ კარგად იცის, რომ როცა შეერთებულ შტატებში შუადღეა, საფრანგეთში მზე ჩადის. ერთ წუთში რომ ამერიკიდან საფრან-გეთში ჩახვიდე, მზის ჩასვლას დაესწ-რები. საუბედუროდ, საფრანგეთი ძალ-ზე შორსაა. შენს პაწაწინა პლანეტაზე კი საქმარისი იყო სკამის რამდენიმე ნაბიჯზე გადადგმა, და თუ ვსურდა, მზის ჩასვლას ნახავდი.

— ერთ დღეს ორმოცდასამჯერ ვუ-ყურე მზის ჩასვლას.

თქვი შენ. მცირე ხნის შემდეგ დასძინე:

— იცი, როცა სევდა შემომავწევბა, მზის ჩასვლის ცქერა მესიამოვნება...

— ასეთი სეველიანი იყავი იმ დღეს, როცა ორმოცდასამჯერ უყურე მზის ჩასვლას? — ვკითხე მე, მაგრამ პაწია უფლისწულს არაფერი უბასუნია.

VII

მეზუთე დღეს, იმავე ცხერის წყა-ლობით, პაწია უფლისწულის კიდევ ერთი საიდუმლო გამომქადაგდა, უეც-რად, ყოველგვარი წინასიტყვაობის გე-რეშე, მან მკითხა და კითხვა დიდნანს ჩემი ანგარიშის შემდეგ ამოხსნილი ამოცანის პასუხს ჰგავდა:

— თუკი ცხვარი ბუჩქებს ჰვამს, ყვა-ვილებსაც შესჰვამს, არა?

— ცხვარი ყველაფერს ჰვამს, რაც შეხვდება.

— ეკლიან ყვავილებსაც?

— დიახ, ეკლიან ყვავილებსაც.

— მაშ ეკლები რალა საჭიროა?

— ეს მე არ ვიცოდი.

იმ დროს მე მოტორის ძალზე მო-ჭერილი ჰანჯიკის მოშვებას ვცდილობ-დი. თანაც დაღონებული ვიყავი. აეა-რია მეტად მძიმე იყო, თანაც სასმელი წყლის მარაგის გამოლევისა მეშინოდა.

— რისთვისაა საჭირო ეკლები?

პაწია უფლისწული მანამდე არ მოსიყენებდა, სანამ პასუხს არ მიიღებ-და დასმულ კითხვაზე. მე კი ჰანჯიკზე ვიყავი გულმოსული, ამიტომ ის ვუთ-ხარი, რაც ენაზე მომადგა:

— ეკლები არაფრისათვის არაა სა-ჭირო. ყვავილების მხრივ ეს დიდი ბოროტებაა.

— ო!

მცირე დუმილის შემდეგ კი გულ-ღვარძლიანად მესროლა:

— მე შენი არ მჯერა. ყვავილები სუსტები არიან, გულუბრყვილონი. თავს იმით იწმინდებენ, რითაც შეუძლიათ.

მათ სწამთ, რომ თავიანთი ეკლებით სხვებს ამიწებენ.

პასუხი არ გამოიცია, გუნებაში კი ვამბობდი:

„თუ ეს ჰანჯიკი კიდევ გამიჯიუტდა, ჩაქუჩს შემოვკრავ და მოვადრობ“.

პაწია უფლისწულმა კვლავ შემაწყვეტინა ფიქრი:

— შენ, შენ გწამს, რომ ყვაილები...

— არა, ო, არა! მე არაფერიც არ მწამს, მხოლოდ ის გითხარი, რაც ენაზე მომადგა. მე სერიოზული საქმე მაქვს ახლა.

უფლისწულმა გაკვირვებით შემომხედა:

— სერიოზული საქმეები!

იგი მხედავდა ჩაქუჩი რომ მეჭირა ხელში, ზეითთ რომ მქონდა გაშავებული თითები და დახრილი ვიყავი თვითმფრინავზე, რომელიც მას ძალიან უშონოდ ეჩვენებოდა.

— შენც უფროსებივით ლაპარაკობ მე ცოტა არ იყოს შემრცხვა; მან კი ულმობლად დასძინა:

— შენ ყველაფერს ერთმანეთში ურევ, ყველაფერი გეშლებს!

პაწია უფლისწული ძალზე გაბრაზებული ჩანდა. ოქროს კულულებს ქარი ურჩევდა.

— მე ვიცი ერთი პლანეტა, ბატონი ცხოვრობს. მას არასოდეს უყნოსია ყვაილისათვის, არასოდეს შეუხედავს ვარსკვლავისათვის. არაფერს ჰყვარებია, არც არასოდეს არაფერი გაუკეთებია რიცხვების მიმატების გარდა. მთელი დღის განმავლობაში შენსავით იმეორებს: „მე სერიოზული კაცი ვარ, მე სერიოზული კაცი ვარ“. ეს მას პატივმოყვარეობით ბერავს, მაგრამ ის კაცი კი არა, სოკოა.

— რაო?

— სოკოა!

პაწია უფლისწული სულმთლად გაფითორდა სიბრაზისაგან.

— მილიონობით წლების მანძილზე ყვაილები ეკლებს ისხამენ. მილიონობით წლების მანძილზე ცხვრები ამ

ყვაილებს სჭამენ. და ნუთუ სერიოზული საქმე არაა გაიგო, თუ რატომ ცდილობენ ყვაილები ასე გულმოდგინედ ეკლების მოსხმას, ეს ეკლები ხომ მათ არაფერში გამოადგებათ? განა მნიშვნელოვანი არ არის ცხვრებისა და ყვაილების ბრძოლა? განა ეს უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე რიცხვების მიმატება, რომელსაც მსხვილი, ბატონი აკეთებს? და თუ მხოლოდ მე, პირადად მე, ვიცი რომ ერთადერთ ყვაილს, რომელიც გარდა ჩემი პლანეტისა, არსად იპოვება და რომლის შთანთქმა ერთ წუთში შეუძლია პატარა ცხვარს, შეუძლია ისე, რომ ვერც გაიგებს, თუ რა საშინელება ჩაიდინა, განა ეს ამბავი მნიშვნელოვანი არ არის?

პაწია უფლისწული გაწითლდა, შემდეგ კი განაგრძო:

— და თუკი ადამიანს უყვარს ყვაილი, რომლის მხოლოდ ერთადერთი ნიმუში არსებობს მილიონობით და მილიონობით ვარსკვლავზე, როცა ეს ადამიანი ვარსკვლავებს უცქერის, განა ის ბედნიერი არ არის? მაშინ ის ფიქრობს: „ჩემი ყვაილი სადღაც იქ არის... მაგრამ თუ ცხვარმა ყვაილი შეჭამა, იმ ადამიანისათვის ეს იგივეა, რაც ყველა ვარსკვლავის ერთად ჩაჭრობა. განა ეს მნიშვნელოვანი არ არის!

მან მეტი ვერაფერი თქვა და აჭვითინდა. ამასობაში დაღამებულიყო. ხელსაწყობს ხელი შეეუშვი. აღარაფრად მიმანდა ჩაქუჩი, ჰანჯიკი, წყურვილი და სიკვდილი.

ერთ-ერთ ვარსკვლავზე, პლანეტაზე, ჩემს პლანეტაზე, რომელსაც დედამიწა ჰქვია, პაწია უფლისწული იმყოფებოდა და მას ნუგეშისცემა ესაჭიროებოდა. იგი მე ხელში ავიყვანე, დავარწიე, ვუთხარი: ყვაილს, რომელიც შენ გიყვარს, საფრთხე არ მოელის. მე ალიკას დავეხატავ შენს ცხვარს. ჯავშანს დავხატავ ყვაილისათვის... მე... აღარ ვიცოდი რა მეთქვა. ვგრძნობდო ჩემს მოუხეშობას. ვერ ვახერხებდი



ჩაუწვდომოდი მისი გულის სიღრმეს...  
იღუმალებით საესეა ცრემლების სამ-  
ყარო!

VIII

მალე მე ეს ყვავილი უკეთ გაეიცანი.  
პაწია უფლისწულის პლანეტაზე ყო-  
ველთვის უბრალო ყვავილები იზრდე-  
ბოდა, ფურცლების მხოლოდ ცალფა-  
რისგან შემკული. მათ დიდი ადგილი  
არ სჭირდებოდათ და არც არავის აწუ-  
ხებდნენ. დილით გამომჩნდებოდნენ ბა-  
ლაში და იმავე საღამოს ჩაქრებო-  
დნენ. ხოლო ის ყვავილი, რომელიც  
პაწია უფლისწულს უყვარდა და რომ-  
ლის თესლი შემთხვევით მოხვდა მის  
პლანეტაზე, მთელი დღის განმავლობა-  
ში იღებდა კვირტს. პაწია უფლისწუ-  
ლი ყურადღებით აკვირდებოდა მის  
ღივს, რომელიც სხვა ყვავილებისას  
არაფრით არ წააგავდა. იქნებ ეს ბაო-  
ბაბის ახალი ჯიში იყო, მაგრამ ბუჩქმა  
მალე მოათავა ზრდა და ყვავილის  
გამოსხმას შეუდგა. პაწია უფლისწული,  
რომელიც თვალყურს ადევნებდა ამ  
დიდი კოკორის ზრდას, კარგად ამჩ-  
ნევდა, რომ იქედან სასწაულებრივი  
სანახაობა გამოვიდოდა. მწვანე სიშო-  
სელში გახვეული ყვავილი კი, ლამაზი  
რომ გამოსულიყო, ხანგრძლივად ემზა-  
დებოდა, ნელა იმოსებოდა, გულდასპით  
ირჩევდა შეფერილობას, სათითაოდ  
ირგებდა ფურცლებს. არ უნდოდა ყა-  
ყაროსავით დაჭმუჭნილი ენახათ. თავი-  
სი მშვენიერების სრული ბრწყინვალე-  
ბით სურდა გამოჩენა. ვო! დიახ! ძალიან  
ვეკლუცი იყო. მრავალი დღის განმავ-  
ლობაში გრძელდებოდა მისი იღუმა-  
ლებით მოცული შორთვა. და აი, დი-  
ლით, სწორედ მზის ამოსვლისას, იგი  
გამოჩნდა.

ყვავილმა, რომელიც ასე გულმოდ-  
გინედ მუშაობდა, დაამტყნარა და  
სთქვა:

— ო! ეს-ეს არის გამეღვიძა... მამა-  
ტიეთ... ჯერ თმებიც კი არ დამიფარ-  
ხნია.

პაწია უფლისწულმა თავი ვედარ  
შეიკავა ალტაცებისაგან:  
— რა მშვენიერი ხართ!  
— განა არა, — ნაზად უპასუხა ყვა-  
ვილმა, — მე ხომ მზესთან ერთად და-  
ვიბადე!

პაწია უფლისწული ხედავდა, რომ  
ყვავილი დიდად შორიდებული არაა,  
მაგრამ ის ისეთი ამადლევებელი იყო,  
რომი..

— მგონი დილის საუზმის დროა, —  
უმაღ დასძინა ყვავილმა, — კეთილი  
ინებეთ და იზრუნეთ ჩემზე.

დარცხვენელმა უფლისწულმა ცივი  
წყლით სავესე სარწყავი მოიტანა და  
ყვავილს გაუმასპინძლდა.

თავის ჭირვეულობით ყვავილმა მა-  
ლე გააწვალა პაწია უფლისწული.

ერთ დღეს მან თავისი ოთხი ეკალი  
ახსენა და პაწია უფლისწულს უთხრა:

— აბა, მოვიდნენ ვეფხვები თავიან-  
თი კლანჭებით!

ჩემს პლანეტაზე ვეფხვები არ არი-  
ან, — მიუგო პაწია უფლისწულმა, —  
გარდა ამისა, ვეფხვი ბალახს არ სჭამს.

— მე ბალახი არა ვარ, — უპასუხა  
ყვავილმა ნაზად.

— შაბატიეთ...

— ვეფხვების მე არ მეშინია, მაგრამ  
ორპირი ქარი კი ძალიან მძულს. თე-  
ჯირს ხომ ვერ მიშოვით?

„ორპირი ქარის სიძულვილი... ეს  
ვერაფერი ბედენაა მცენარისათვის.  
მაგრამ ეს ხომ ძალიან რთული ბუნე-  
ბის ყვავილია,“ — გაიფიქრა პაწია უფ-  
ლისწულმა.

— საღამოს მინის ხუფი დამაფარეთ.  
თქვენთან ძალიან ცივა, ვერ ყოფილ-  
ხართ კეთილმოწყობილი. იქ, საიდანაც  
მე მოვედი...

უეტრად ყვავილმა ლაპარაკი შესწ-  
ვიტა. ის ხომ თესლის სახით იყო  
მოსული ამ პლანეტაზე და ამიტომ არ  
შეეძლო სცილნოდა სხვა ქვეყნების  
ამბავი. როცა ასეთ გულუბრყვილო  
ტყუილში დაიჭირეს, თავი დამცირებუ-  
ლად იგრძნო და ორ-სამჯერ ჩაახველა,

თითქოს მისი გაცივება პაწია უფლისწულის ბრალი ყოფილიყოს.

— სადაა თეჯირი?

— მის მოსატანად მივიღოდი, მაგრამ თქვენ გამომელაპარაკეთ!

პაწია უფლისწული სინდისის ქენჯნას, მაინც რომ შეეწუხებოდა, ყვავილმა განგებ მოუხშირა ხელებას.

მიუხედავად თავისი უსაზღვრო სიყვარულისა, პაწია უფლისწული მალე დაეძვდა ყვავილის გულწრფელობაში; უმნიშვნელო სიტყვები სერიოზულად მიიღო და თავი ძალზე უბედურად იგრძნო.

„ყური არ უნდა დამეგდო მისთვის, გამომიტყდა იგი ერთ დღეს, არ უნდა უსმინო ყვავილებს. უნდა უტყვირო მათ და დასტებე მათი სურნელებით. ჩემი ყვავილი დამათრობელ სურნელებას აფრქვევდა, მე კი ვერ შეეძელი დავმტყბარიყავი ამ სურნელებით. როცა კლანჭებზე მელაპარაკებოდა, კაბრაზების ნაცვლად გული უნდა ამჩუყებოდა...“

და მან განაგრძო:

„მაშინ მე არაფერი მესმოდა! მისი სიტყვებისათვის კი არ უნდა მიმექცია ყურადღება, არამედ მისი საქციელისათვის, იგი ხომ სურნელებით მათრობდა, შუქს ჰფენდა ჩემს არსებობას. არ უნდა გავტეოდი მას. უნდა მეგრძნო მისი გულუბრყვილო ეშმაკობით დაფარული სინაზე. ყვავილები წინააღმდეგობით სავსენი არიან, მაგრამ მე ძალზე ახალგაზრდა ვიყავი და მისი სიყვარული ვერ შეეძელი.“

## IX

ფიქრობ, გასაქცევად პაწია უფლისწულმა ფრინველების გადაფრენით ისარგებლა. დილით, გამგზავრების წინ, მან მოაწესრიგა თავისი პლანეტა. მზრუნველი ხელით ჩასწმინდა მოქმედი ვულკანები. მას ორი მოქმედი ვულკანი ჰქონდა, რაც ძალზე მოხერხებულ იყო საუზმის გასაცხელებლად. ჰქონდა ერთი ჩამქრალი ვულკანიც, მაგრამ სთქვა — „სიფრთხილეს თავი

არა სტკივო და ისიც ჩაწმინდა. თუ ვულკანი კარგად არის ჩაწმენდილი, იგი ნელა, თანმიმდევრებით, ამოუხეთქავად იწვის. ვულკანის ამოხეთქვა კი იგივეა, რაც ცეცხლის გაჩენა საკვამლე მილში. რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენს პლანეტაზე მეტად პატარები ვართ ვულკანების ჩასაწმენდად. ამიტომ გვაცენებენ ისინი ამდენ უსიამოვნებას.

დარდიანმა უფლისწულმა ბაობაბის უკანასკნელი ყლორტი მოგლიჯა.

ფიქრობდა, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა უკან. იმ დილით საოცრად გაუტკბა შინაური საქმიანობა, ხოლო როცა ყვავილი უკანასკნელად მორწყა და მინის ხუფის დაფარება მოუხდომა, თვალზე ცრემლი მოადგა.

— მშვიდობით, — უთხრა მან ყვავილს.

ყვავილმა არაფერი უპასუხა.

— მშვიდობით, — გაიმეორა მან.

ყვავილმა ჩაახველა, მაგრამ არა იმიტომ რომ გაციებული იყო.

— მე სულელი ვიყავი, — თქვა ყვავილმა ბოლოს. — მაპატიე. ეცადე ბედნიერი იყო.

პაწია უფლისწულს გაუყვირდა, საყვედური რომ არ აკადრა ყვავილმა. დაბნეული იდგა, მინის ხუფი ისევ ხელში ეჭირა, ვერ გაეგო ეს მშვიდი მწუხარება.

— დიახ, მიყვარხარ, — უთხრა ყვავილმა, — ჩემი ბრალია, რომ შენ ეს არ იცოდი. ანლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შენც ჩემსაგით სულელი ყოფილხარ. ეცადე ბედნიერი იყო. ხელი გაუშვი მაგ ხუფს. აღარაფრად მჭირდება.

— კი მაგრამ, ქარი...

— მე არც ისე გაციებული ვარ. ღამის გრილი სიო მიამება კიდევ. მე ხომ ყვავილი ვარ.

— ცხოველები...

— რა გაეწყობა, უნდა გაეუძლო ორი-სამ მუხლუნოს, თუკი პეპლების გაცნობა მწადია. ამბობენ, ისინი ძალიან ლამაზები არიან. პეპლის გარდა,

ვინა მესტუმრება? შენ ჩემგან შორს იქნები. ხოლო, რაც შეეხება დიდ ცხოველებს, მე მათი არ მეშინია, მე ხომ კლანჭები მაქვს!

და ყვავილმა გულუბრყვილოდ უჩვენა პაწია უფლისწულს თავისი ოთხი კალი. შერდევ დასძინა:

— ნუ აკიანურებ ასე, ეს მოსაბუზრებელია. რახან წასვლა გადასწყვიტეწადი.

ყვავილს არ სურდა თავისი ცრემლები დაენახებინა პაწია უფლისწულსათვის. ის ისეთი მედიდური ყვავილი იყო...

X

პაწია უფლისწული 325, 326, 327, 328, 329 და 330 ასტეროიდებს შორის იმყოფებოდა. რაიმე საქმე რომ გამოენახა და განათლებაც მიეღო, მან ეს ასტეროიდები მოინახულა.

პირველ ასტეროიდზე მეფე ცხოვრობდა. ძოწეულითა და ყარყუმით შემოსილი. მეფე სადა, მაგრამ დიდებულ ტახტზე იჯდა.

— ო! აი, ქვეშევრდომიცი! — წამოიძახა მეფემ, როცა პაწია უფლისწული დაინახა.

პაწია უფლისწულმა გაიფიქრა:

— საიდან მიცნობს, აკი არასდროს არ ვუნახივარ.

მან რა იცოდა, რომ მეფეებს საზოგადოება ძალზე მარტივად წარმოუდგენიათ: მათთვის ყველა ადამიანი ქვეშევრდომია.

— მომიახლოვდი, მინდა უკეთ დავინახო, უთხრა მეფემ, გაამაყებულმა იმით, რომ ქვეშევრდომი იშოვა.

პაწია უფლისწულმა დასაჯდომი ადგილის ძებნა დაიწყო, მაგრამ მთელი პლანეტა ყარყუმის დიდებული მოსახლამით იყო მოფენილი.

უფლისწულმა დაღლილობისაგან დაამთქნარა.

— მეფის თანდასწრებით მთქნარება აკრძალულია, — თქვა ხელმწიფემ. მე შენ გიკრძალავ მთქნარებას.

— თავს ვერ ვიკავებ, — დარცხვე-

ნით მიუგო პაწია უფლისწულმა. მე დიდხანს ვმგზავრობდი და არ მიძინია.

— ამ შემთხვევაში, — თქვა მეფემ, — გიბრძანებ, ამთქნარო! წლობით არ მინახავს, როგორ ამთქნარებენ. მთქნარება საოცარი სანახაობაა ჩემთვის. რაღას უყურებ! დაამთქნარე კიდევ ერთხელ, ასეთია ჩემი ბრძანება.

— მერიდება... აღარც შემიძლია... — წარმოსთქვა პაწია უფლისწულმა და გაწითლდა.

— კვი კვი — თქვა მეფემ, — მამ მე... მე გიბრძანებ, ხან ამთქნარო და ხან...

მეფე ნაწყენი ჩანდა და ძლივს ლულულულებდა.

თავის ავტორიტეტისადმი იგი განსაკუთრებულ პატივისცემას მოითხოვდა და ურჩობას ვერ იტანდა. ეს იყო აბსოლუტური მონარქი, მაგრამ ვინაიდან ძალზე კეთილი იყო, გონივრულ განკარგულებებს იძლეოდა.

„თუ მე ვუბრძანებ, — იტყოდა იგი ხშირად, — თუ გენერალს ვუბრძანებ ზღვის ფრინველად გადაიქცეს, და ის არ დამემორჩილება, ეს ჩემი ბრალი იქნება და არა გენერლისა“.

„შეიძლება დაეჯდე? — იკითხა პაწია უფლისწულმა მორიდებით.

— გიბრძანებ დაჯდე, — უპასუხა მეფემ და მედიდურად მოსწია ყარყუმის მოსახლამის კალთა.

პაწია უფლისწული გოცუბული იყო. პლანეტა ძალზე მცირე მოჩანდა. ნეტა რაზე მეფობს მეფე?

— მეფე ბატონო, უთხრა მან, — მამატიეთ, შეიძლება შეგეკითხოთ?

— გიბრძანებ შემეკითხო, — სწრაფად წამოიძახა მეფემ.

— მეფეო... რაზე მეფობთ?

— ყველაფერზე, — უბრალოდ მიუგო მან.

— ყველაფერზე?

მეფემ თავის პლანეტაზე, სხვა პლანეტებზე და ვარსკვლავებზე მიუთითა.

— ყოველივე ამაზე? — იკითხა პაწია უფლისწულმა.

— ყოველივე ამაზე... — მიუფო მეფემ თავმდაბლად.

როგორც ხედავთ, იგი არა მარტო აბსოლუტური მონარქი, არამედ უნივერსალური მონარქიც იყო.

— და ვარსკვლავებიც გემორჩილებიან?

— რა თქმა უნდა, — უთხრა მეფემ, მყისვე მემორჩილებიან. მე ვერ ვიტან ურჩობას.

პაწია უფლისწული აღტაცებული დარჩა მეფის ასეთი ძალმოსილებით. თავად რომ ჰქონოდა ასეთი ძალაუფლება, იგი სკამის გადაუდგმელად დაესწრებოდა ერთ დღეში არა მარტო ორმოცდასამ მზის ჩასვლას, არამედ სამოცდათორმეტს, ასს, ორასს უფლისწულს თავისი პატარა, მიტოვებული პლანეტის გახსენება ნაღველს გვრიდა, ამიტომ გაბედა და მეფეს წყალობა სთხოვა:

— მზის ჩასვლის ნახვა მსურს... მომანიჭეთ ეს სიამოვნება... უბრძანეთ მხეს, ჩავიდეს.

— გენერალს რომ ვუბრძანო, პეპელასავით ერთი ყვავილიდან მეორეზე გადაფრინდეს, ან ტრაგედია დასწეროს, ან ზღვის ფრინველად გადაიქცეს, და, რომ გენერალმა ეს ბრძანება არ შეასრულოს, რომელი ჩვენგანი იქნება მტყუანი, მე თუ ის?

— რა თქმა უნდა — თქვენ, — მტკაცედ უპასუხა უფლისწულმა.

— მართალია, ყველას მხოლოდ ის უნდა მოსთხოვო, რისი მოცემაც შეუძლია, — განაგრძო მეფემ, — უბირველეს ყოვლისა, ავტორიტეტის საფუძველი გონიერებაა. თუ შენს ხალხს ზღვაში გადავარდნა უბრძანე, რევოლუციას მოახდენს. მე უფლება მაქვს მორჩილება მოვითხოვო, ვინაიდან ჩემი განკარგულებები გონიერულია.

— მზის ჩასვლა? — შეახსენა პაწია უფლისწულმა, რომელსაც არასოდეს არ ავიწყდებოდა ერთხელ დასმული კითხვა.

— მზე ჩავა. მე ამას მოვითხოვ, მაგ-

რამ სახელმწიფოს მართვის გამოცდილება მიყარნახებს, რომ შესაფერ პირობებს დაველოდო.

— ეს როდის იქნება? — იკითხა პაწია უფლისწულმა.

— ჰმ! ჰმ! — ჩაახველა მეფემ და სქელ კალენდარს გადახედა, — ჰმ! ჰმ! ეს იქნება, დაახლოებით... დაახლოებით... ეს იქნება ამ საღამოს შვიდ საათსა და ორმოც წუთზე. შენ მაშინ გაიგებ, თუ როგორ მემორჩილებიან.

პაწია უფლისწულმა დაამთქნარა გული დასწყდა, რომ მზის ჩასვლას ვერ ნახავდა. ცოტა მოიწყინა კიდევ.

— აქ მე საქმე აღრა მაქვს, — უთხრა მან მეფეს, — უმჯობესია გზას გაეუდგე.

— ნუ წახვალ, — სთხოვა მეფემ, რომელსაც ქვეყნადომზე ხელმწიფება გულს უამაყებდა. მინისტრად დაგნიშნავ!

— რის მინისტრად?

— იუსტიციის!

აქ რომ გასასამართლებელი არაიქნას?

— ვინ იცის, — უთხრა მეფემ, — მე ჯერ არ შემომივილია ჩემი სამეფო. ძალზე მოხუცი ვარ, ეტლის აღვილა არ მაქვს, ფეხით სიარული კი მიჭირს.

— ო! მე უკვე ენახე თქვენი სამეფო, — უთხრა პაწია უფლისწულმა, იგი დაიხარა და პლანეტის მეორე ნაწილს გადახედა, — იქაც არაიქნა.

— მაშინ საკუთარ თავს გაისამართლებ, — თქვა მეფემ, — ეს უძნელესი საქმეა, საკუთარი თავის გასამართლება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სხვებისა. თუკი შენ თავს მიუყერძობლად გაისამართლებ, ნამდვილად ბრძენი იქნები.

— მე? — თქვა პაწია უფლისწულმა, — საკუთარი თავის გასამართლება სხვაგანაც შემიძლია. ამისათვის, მე მგონია, აქ ყოფნა არაა საჭირო.

— ჰმ! ჰმ! — ჩაახველა მეფემ, — მგონი სადღაც, ჩემს პლანეტაზე ბებერი ვირთხა ცხოვრობს. ლამაზობით

მეშის, როგორ ხრავს. შენ შესაძლებლობა გექნება ეს ბებერი ვირთხა გასამართლო. დროგამოშვებით სასიკეთოდო განაჩენს გამოუტან მას. ამრიგად, მისი სიცოცხლე შენს სამართალზე იქნება დამოკიდებული. ხოლო ამიტომ, მის შესანარჩუნებლად, ყოველი გასამართლების შემდეგ ისევე უნდა შეიწყნარო, რადგან იგი ერთადერთია ამ პლანეტაზე.

— მე, — უპასუხა პაწია უფლისწულმა, — არ მიყვარს სიკვდილის მისჯა და ფიქრობ, რომ მაინც წავალ აქედან.

— არა-შეთქი — ბრძანა მეფემ.

პაწია უფლისწულმა გამგზავრების თადარიგი მოათავა, მაგრამ არ უნდოდა წასვლის წინ მოხუცი მეფის განაწყენება.

— თუ თქვენს აღმატებულებას სურს, რომ მას უსიტყვოდ დაემორჩილოს, იგი მე ახლა გონივრულ ბრძანებას მომცემს. მაგალითად, მიბრძანებს დაუყოვნებლივ გავემგზავრო აქედან. პირობები მგონი ხელსაყრელია ამისათვის.

მეფეს არაფერი უთქვამს. პაწია უფლისწული მტირე ხანს შეყოყმანდა. შემდეგ კი ამოიხრა და გზას გაუდგა. — ელჩად გნიშნავ, — აჩქარებით მიაჩახა მეფემ.

მისი გამოშეტყველება უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

ძალზე უცნაურები არიან უფროსები, — ფიქრობდა თავისთვის გზდმიშავალი პაწია უფლისწული.

## XI

მეორე პლანეტაზე პატივმოყვარე ადამიანი ცხოვრობდა.

— ა! ა! აი, ჩემი თავყვანისმცემელი, — შორიდანვე წამოიძახა მან, როგორც კი პაწია უფლისწული შენიშნა.

პატივმოყვარეს მიაჩნია, რომ ყველა ადამიანი მისი თავყვანისმცემელია.

— გამარჯობა, — უთხრა პაწია უფლისწულმა, — ეს რა სასაცილო ქული გხურავთ?

— მისასალმებლად მჭირდება, — აუხსნა პატივმოყვარემ, — მჭირდება იმისათვის, რომ ჩემს აღტაცებულ თავყვანისმცემლებს სალმითვე ვუპასუხო, მაგრამ საუბედუროდ აქ არასოდეს არავინ დადის,

— ნუთუ? — უპასუხა პაწია უფლისწულმა, რომელსაც არაფერი გაეგებოდა.

— შემოჰყარ ხელები ერთმანეთს, — ურჩია მას პატივმოყვარემ.

პაწია უფლისწულმა ხელები ერთმანეთს შემოჰყარა. პატივმოყვარე მას მოწინებით მიესალმა და ქული მოუხადა.

— ეს ადამიანი მეფეზე უფრო საინტერესოა, — გაიფიქრა გუნებაში პაწია უფლისწულმა და ხელები ისევ ერთმანეთს შემოჰყარა. პატივმოყვარეც ისევ ქულის მოხდით მიესალმა.

ხუთი წუთის ტაშის ცემის შემდეგ, პაწია უფლისწულს მოსწყინდა ეს თამაში.

— რა უნდა ვქნა იმისათვის, რომ ეგ ქული თავიდან ჩამოგიგდო? — იკითხა მან.

პატივმოყვარეს პაწია უფლისწულის კიხვა არ გაუგონია.

პატივმოყვარეებს საკუთარი ქების გარდა არასდროს არაფერი ესმით.

— ძალიან აღტაცებული ხარ ჩემით? — ჰკითხა მან პაწია უფლისწულს.

— რას ნიშნავს აღტაცება?

აღტაცება ნიშნავს იმის შეგნებას, რომ მე უმშვენიერესი, ყველაზე უკეთ ჩაცმული, უმდიდრესი და უჰკვიანესი ადამიანი ვარ პლანეტაზე.

— კი მაგრამ, შენ ხომ მართო ხარ პლანეტაზე.

— მასიამოვნე! იყავი აღტაცებული ჩემით!

— აღტაცებული ვარ შენით, მაგრამ რად გაინტერესებს ეს ამბავი? წარმოთქვა პაწია უფლისწულმა და მხრები აიჩეჩა.

პაწია უფლისწული გაჰქრა. უბაღ-



რუენი არიან უფროსები, უბრალოდ გაიფიქრა გზადმიმავალმა.

## XII

მესამე პლანეტაზე ლოთი ცხოვრობდა. პაწია უფლისწული მასთან მცირე ხანს დარჩა, მაგრამ ამ სტუმრობამ ძალზე დაალონა იგი.

— მანდ რას აკეთებ? — ჰკითხა მან, ლოთს, რომელიც ჩუმად მოკალათებულყო ცარიელ და სავსე ბოთლებს შორის.

— ვსვამ, — პირქუშად უპასუხა ლოთმა.

— რატომ სვამ? — ჰკითხა პაწია უფლისწულმა.

— რომ დავივიწყო, — უპასუხა ლოთმა.

— რა უნდა დავივიწყო? — შეეკითხა პაწია უფლისწული, რომელსაც იგი უკვე ებრალებოდა.

— სირცხვილი, — გამოტყდა ლოთი და თავი დახარა.

— რისა გრცხვენია? — შეეკითხა პაწია უფლისწული, რომელიც მზად იყო დახმარებოდა.

— ლოთობის, — სთქვა ბოლოს ლოთმა და ხმა აღარ ამოუღია.

შეძრწუნებული პაწია უფლისწული გაუჩინარდა.

ნამდვილად ძალზე უბადრუენი არიან უფროსები, — ფიქრობდა თავისთვის გზადმიმავალი უფლისწული.

## XIII

შემდეგ პლანეტაზე საქმოსანი ცხოვრობდა.

თუმცა მან პაწია უფლისწული დაინახა, მაგრამ ისე იყო დაკავებული, რომ თავიც არ აუღია.

— გამარჯობა, — უთხრა მას უფლისწულმა, — პაპიროსი ჩაგჭრობიათ.

— სამი და ორი ხუთია. ხუთი და შეიდი-თორმეტი. თორმეტი და სამი-თხუთმეტი. გაგიმარჯოს. თხუთმეტი და შეიდი-ოცდარი. ოცდარი და ექვსი-ოცდარვა. არ მცალია პაპიროსის მოსაკიდებლად. ოცდაექვსი და ხუთი-ოც-

დათერთმეტი. უჰ! სულ ხუთასერთი მილიონ ექვსასოცდარი ათას შეიდას-ოცდათერთმეტი იქნება.

— რა იქნება ხუთასი მილიონი? —

— რაო? შენ ისევე აქა ხარ? ხუთასი მილიონი... აღარ მახსოვს — რა... მე იმდენი სამუშაო მაქვს! მე სერიოზული აღამიანი ვარ, სისულელეებით არ ვირთობ თავს! ორი და ხუთი-შეიდი...

— რა იქნება ხუთასერთი მილიონი? გაიმეორა პაწია უფლისწულმა, რომელსაც თავის სიცოცხლეში არასდროს აუღია ხელი ერთხელ დასმულ კითხვას.

საქმოსანი თავი აიღო.

— ორმოცდაათობმეტი წლის განმავლობაში, რაც მე ამ პლანეტაზე ეცხოვრობ, მხოლოდ სამჯერ შემომალეს ხელი. პირველად ეს იყო ცოფის ქია, რომელიც ამ ოცდარი წლის წინათ საიდანაც ჩამოვარდა და საშინლად ხმაურობდა. მან ოთხჯერ შემამულეინა ანგარიში. მეორედ ეს იყო ამ თხუთმეტი წლის წინად, როდესაც რევმატიზმის შეტევა მქონდა. მე ცოტას ვმოძრაობ. ხეტიალის დრო არ მაქვს. მე სერიოზული კაცი ვარ. მესამედ შენ შემომალე ხელი. მე ხუთას ერთი მილიონი ვთქვი?

— მიღწონი რა...

საქმოსანი მიხვდა, რომ მშვიდად ყოფნა აღარ ეწერა.

— მილიონი ის პატარა რაღაცეები, ხანდახან ცაზე რომ ჩანს.

— ბუზი?

— არა პატარა რაღაცეები, რომლებიც ბრწყინავენ.

— ფუტკარი?

— არა და არა. ის პატარა მოოქროვილი რაღაცეები, რომლებიც ოცნებას აღუძრავენ ზარმაცებს. პირადად მე კი სერიოზული კაცი ვარ. ოცნებისთვის არ მცალია.

— ვარსკვლავი?

— დიახ, ვარსკვლავი.

— რას უშვრები ხუთას მილიონ ვარსკვლავს?

— ხუთას მილიონს კი არა, ხუთას-ერთ მილიონ ექვსასოცდაორი ათას შეიდას ოცდათორმეტს. მე სერიოზული კაცი ვარ და სიზუსტე მიყვარს

- რას უშვარები ამ ვარსკვლავებს?
- რას ვუშვარებ?
- დიახ.
- არაფერს, უბრალოდ ვფლობ.
- ვარსკვლავებს ფლობ?
- დიახ.

— მე კი უკვე ვნახე მეფე; რომელიც...

— მეფე არ ფლობს. ის „მეფობს“. ეს სულ სხვაა.

— რად გპირდება ვარსკვლავების ფლობა?

- იმად, რომ მდიდარი ვიყო.
- სიმდიდრე რაღად გპირდება?
- ახლად აღმოჩენილი ვარსკვლავების შესასყიდად.

— ესეც ლოთივით მსჯელობს, — გაიფიქრა პაწია უფლისწულმა და განაგრძო:

— როგორ შეიძლება ვარსკვლავებს ფლობდე?

— იქნებ იცი, ვის ეკუთვნის ვარსკვლავები? — აბუზღუნდა საქმოსანი.

— არ ვიცი, არავის.

— თუ არავის, მაშინ ჩემია. პირველმა მე მოვიფიქრე ეს.

— განა ეს საქმარსია?

— რა თქმა უნდა. ნაპოვნი აღმასი, თუ ის არავის ეკუთვნის, შენია. ახლად აღმოჩენილი კუნძული, თუ არავის ეკუთვნის, შენია. თუ პირველს შენ დაგებადა აზრი და რამე გამოიგონე, შენ პატენტს ღებულობ: იგი შენია. მე კი ვარსკვლავებს ვფლობ, რადგან ჩემამდე არავის მოსვლია აზრად დაუფლებოდა მათ.

— მართალია, — უთხრა პაწია უფლისწულმა, — მაგრამ რას უშვარები მათ?

— განვაგებ. ვითვლი, შემდეგ ხელახლა ვითვლი, თქვა საქმოსანმა, — ეს ძნელი საქმეა, მაგრამ მე ზომ სერიოზული კაცი ვარ!

პაწია უფლისწული მაინც ვერ დააკმაყოფილა ამ პასუხმა.

— ჩემი ყელსახვევი მე შემიძლია ყელზე შემოვიხვიო და თან წავიღო. ჩემი ყვაგილი შემიძლია მოვწყვიტო და თან წავიღო. შენ კი ვარსკვლავების მოკრეფა და თან წაღება არ შეგიძლია.

— არა, მაგრამ მე მათი ბანკში შენახვა შემიძლია.

— ეს რაღას ნიშნავს?

ეს ნიშნავს იმას, რომ მე ქაღალდის ნაგლეჯზე ვწერ ჩემი ვარსკვლავების რაოდენობას. შემდეგ კი ამ ქაღალდს უჯრაში ვკეტავ.

— სულ ეს არის?

— ესეც კმარა.

სასაცილოა, — გაიფიქრა პაწია უფლისწულმა, — შეიძლება ეს პოეტური იყოს, მაგრამ არც თუ ისე სერიოზულია.

პაწია უფლისწულს სერიოზული და არასერიოზული სულ სხვაგვარიც ესმოდა, ვიდრე უფროსებს.

— მე, — თქვა მან, — ყვაგილს ვფლობ, რომელსაც ყოველდღე ვრწყავ. ვფლობ სამ ვულკანს, რომელთაც კვირაში ერთხელ ვწმენდ, ვწმენდ ჩამქრალ ვულკანსაც — სიფრთხილეს თავი არ სტკივია. მე რომ მათ ვფლობ ეს სასარგებლოა ვულკანებისთვისაც და ყვაგილებისთვისაც. შენ კი არავითარი სარგებლობა არ მოგაქვს შენი ვარსკვლავებისთვის.

საქმოსანმა პირი გააღო, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდა.

პაწია უფლისწულიც გაქტრა.

მართალიც, ძალზე უცნაურები არიან უფროსები, — უბრალოდ გაიფიქრა გზად მიმავალმა.

XIV

მეხუთე პლანეტა. საოცარი და ყველაზე პატარა იყო. მასზე სწორედ იმდენი ადგილი იყო, რამდენიც ქუჩის ფანარს და მეჩირაღეს სჭირდებოდა. პაწია უფლისწული ვერ მიმხვდა იყო, რა საჭირო იყო ქუჩის ფანარს

და მეჩირაღე სადღაც ცაში, პლანეტაზე, რომელზედაც არც სახლი იყო და არც მოსახლეობა. მან გაიფიქრა:

— იქნებ ეს კაცი უგუნურია, მაგრამ ის მაინც ნაკლებ უგუნურია, ვიდრე მეფე, პატივმოყვარე, საქმოსანი ან ლოთი. მის შრომას რაღაც აზრი მაინც აქვს. როცა ის ქუჩის ფანარს უკიდებს, თითქოს კიდევ ერთ ვარსკვლავს აჩენს ანდა ყვაავის. ხოლო, როცა აქრობს ყვაავილი და ვარსკვლავი იძინებენ. ეს ლამაზი საქმიანობაა. ნამდვილად სასარგებლოა, რადგან ლამაზია.

უფლისწული მოწიწებით მიესალმა მეჩირაღეს:

— გამარჯობა, რატომ ჩააქრე ფანარი?

— გაგიმარჯოს. ბრძანებაა ასეთი, — უპასუხა მეჩირაღემ.

— რა ბრძანებაა?

— ქუჩის ფანარის ჩაქრობა. მშვიდობით.

და მეჩირაღემ ხელახლა აანთო ფანარი.

— რატომღა აანთე?

— ასეთია ბრძანება, — კვლავ უპასუხა მეჩირაღემ.

— არაფერი მესმის, — თქვა პაწია უფლისწულმა.

— გასაგები არც არაფერია, — უთხრა მეჩირაღემ, — ბრძანება ბრძანებაა.

— გამარჯობა, — მან ისევ ჩააქრო ფანარი და ფერადი ცხვირსახოციით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— საშინელი ხელობაა. უწინ გონივრული იყო: დილით ვაქრობდი და საღამოთი ვანთებდი. დღე ვისვენებდი და ღამე მეძინა...

— შემდეგ ბრძანება შეიცვალა?

— ბრძანება არ შეცვლილა. მთელი უბედურება ისაა, რომ პლანეტამ ბრუნვას უჩქარა, ბრძანება კი იგივე დარჩა.

— მერე? — იკითხა პაწია უფლისწულმა.

— მერე ის, რომ ახლა პლანეტა წუთში ერთხელ ბრუნავს, მე კი მოს-

ვენება აღარ მაქვს. ყოველ წუთს ვანთებ და ვაქრობ.

— უცნაურია, როცა დღე ერთ წუთს გრძელდება!

— უცნაური აქ არაფერია, თქვა მეჩირაღემ, — უკვე ერთი თვეა, რაც ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკებით.

— ერთი თვე?

— დიახ. ოცდაათი წუთი. ოცდაათი დღე. მშვიდობით.

მეჩირაღემ ხელახლა აანთო ფანარი.

პაწია უფლისწულს ძალიან მოეწონა მეჩირაღე, რომელიც ასე კეთილსინდისიერად ასრულებდა ბრძანებას. მას გაახსენდა, როგორ ესწრებოდა მზის ჩასვლას სკამის გადადგმით. გადასწყვიტა მეგობარს მიხმარებოდა:

— იცი... თუ მოისურვებ, მე გასწავლი, როგორ დაისვენო.

— მასწავლე ყოველი შემთხვევისათვის. — უთხრა მეჩირაღემ.

პაწია უფლისწულმა უჩიჩია:

— შენი პლანეტა იმდენად პატარაა, რომ მის შემოსავლელად სამი ნაბიჯიც კმარა. როდესაც დასვენებას მოისურვებ, ჩრდილში იარე და დღეც იმდენხანს გაგრძელდება, რამდენხანსაც შენ მოისურვებ...

— მე ეს არ მიშველის, — თქვა მეჩირაღემ. ძილი ყველაფერს მიჩრჩენია.

— ბედი არ გქონია, — უთხრა პაწია უფლისწულმა.

— ბედი მართლაც, არა მაქვს, — გაიმეორა მეჩირაღემ, — გამარჯობა.

მან ისევ ჩააქრო თავისი ფანარი.

ეს კაცი ყველას შეეზიზღებოდა, — გაიფიქრა გზადმიმავალმა პაწია უფლისწულმა: მეფესაც, პატივმოყვარესაც, ლოთსაც და საქმოსანსაც. მაგრამ ის მაინც უცნაურ ადამიანად არ მეჩვენება. ალბათ იმიტომ, რომ იგი ხაკლებად ფიქრობს თავისთავზე.

უფლისწულმა სიწინარით ამოიხენემა და ფიქრი განაგრძო:

— ეს ერთადერთი კაცია, რომელიც მეგობრად გამომადგებოდა, მაგრამ მისი პლანეტა ძალზე პატარაა. სამწუ-

ხაროდ, ორი ადამიანი მასზე ვერ დაე-  
ტევა:

პაწია უფლისწულს თავის თავის-  
თვისაც კი ვერ გაემხილა ის ამბავი,  
რომ ამ დალოცვილ პლანეტაზე მზე  
ოცდროთხ საათში ათასოთხასორმოც-  
ჯერ ჩადიოდა და განსაკუთრებით ამ-  
ზე სწყლებოდა გული.

## XV

მეშვენიერ პლანეტა მესუთეზე ათჯერ  
უფრო დიდი იყო. მოხუცი ბატონი,  
რომელიც მასზე ცხოვრობდა, უზარ-  
მზარ წიგნებს წერდა.

— დახე! აი მკვლევარი — წამოი-  
ძაბა მან პაწია უფლისწულის დანახ-  
ვაზე.

დადლილი უფლისწული მაგიდაზე  
ჩამოჯდა სულის მოსათქმელად.

— საიდან მოხვედი? — შეეკითხა  
მოხუცი.

— ეს რა სქელი წიგნია? — იკითხა  
პაწია უფლისწულმა — რას აკეთებთ  
აქ?

— მე გეოგრაფი ვარ, — მიუგო  
მოხუცმა.

— რა არის გეოგრაფი?

— მეცნიერი, რომელმაც იცის, სა-  
დაა ზღვები, მდინარეები, ქალაქები,  
მთები და უდაბნოები.

— ეს ძალიან საინტერესო საქმეა, —  
თქვა პაწია უფლისწულმა, — როგორც  
იქნა მივაგენი ნამდვილ საქმეს.

მან გეოგრაფის პლანეტას თვალი  
მოაუღო. ასეთი დიდებული პლანეტა  
მას ჯერ არ ენახა.

— ძალიან ლამაზი პლანეტაა! აქ  
ოკეანეებიც არის?

— ეს მე არ ვიცი, — მიუგო გეოგ-  
რაფმა.

— ო! (პაწია უფლისწულს გული  
გულტყდა) — მთები ხომ არის?

— მე არც ეს ვიცი. — თქვა გეო-  
გრაფმა.

— ქალაქები, მდინარეები, უდაბ-  
ნოები!

— არ ვიცი, გაიმეორა გეოგრაფმა.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ გეოგრაფი  
ბრძანდებით?

— მართალია, — უბასუხა გეოგრა-  
ფმა, — მაგრამ მე მკვლევარი არა ვარ.  
მე ძალიან მჭირდება მკვლევარები.  
გეოგრაფი ქალაქებს, მდინარეებს,  
მთებს, ზღვებს, ოკეანებს და უდაბ-  
ნოებს არ ეძებს. გეოგრაფი ძალზე  
მნიშვნელოვანი პიროვნებაა, სახეტი-  
ლოდ მას არ სცალია. იგი საწერ მაგი-  
დას არ სცილდება, ყველაფერს მკვლევ-  
ვარებს ეკითხება და მათ მოგონებებს  
იწერს. და თუკი რომელიმე მკვლევარის  
მოგონებები საინტერესო აღმოჩე-  
ნდა, გეოგრაფი ცნობებს კრფის მკვლევ-  
ვარის პატიოსნების შესახებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მატყუარა მკვლევ-  
ვარი სახიფათოა გეოგრაფის წიგნები-  
სათვის, ასევე ლოთი მკვლევარიც.

— რატომ? — იკითხა პაწია უფ-  
ლისწულმა.

— იმიტომ, რომ ლოთებს ყველაფე-  
რი ორად ეჩვენებათ. ამ შემთხვევაში,  
იქ, სადაც მხოლოდ ერთი მთაა, გეოგ-  
რაფი ორს აღნიშნავდა.

— მე ვიცნობ ერთ ადამიანს, რო-  
მელიც ცუდი მკვლევარი იქნებოდა.

— შესაძლოა. როდესაც მკვლევარი  
პატიოსანია, მისი აღმოჩენა უნდა შე-  
მოწმდეს.

— როგორ, ადგილზე სანახავად მი-  
დიან?

— არა. ეს ძნელად მოსახერხებე-  
ლია. შესაძრომებლად დამამტკიცებელ  
საბუთებს მოითხოვენ მკვლევარისგან.  
თუ დიდი მთა აღმოაჩინე, მისი დიდი  
ქეები უნდა მოიტანო.

გეოგრაფი უეცრად აღელდა.

— მართლა, შენ ხომ შორიდან მო-  
დიხარ! შენც მკვლევარი ხარ. ამიწერე  
შენი პლანეტა!

გეოგრაფმა ფანქარს წვერი წაუთლა:  
და თავისი დავთარი გადაშალა. ჯერ  
ფანქრით იწერენ მკვლევართა ნაამ-  
ბობს, ხოლო მელნით ჩასაწერად დამამ-  
ტკიცებელ საბუთებს ელიან.

— რას მეტყვი? — იკითხა გეოგრაფმა.

— ო, ჩემთან საინტერესო არაფერია. თქვა პაწია უფლისწულმა, ჩემი პლანეტა სულ პატარაა. მე სამი ვულკანი მაქვს, ორი მოქმედი, ერთი კი ჩამქრალი, მაგრამ ვინ იცის!

— ვინ იცის! — გაიმეორა გეოგრაფმა.

— ერთი ყვავილიც მაქვს.

— ყვავილებს ჩვენ არ აღვრიცხავთ. მიუგო გეოგრაფმა.

— რატომ? ისინი ხომ ყველაზე ლამაზები არიან!

— იმიტომ, რომ ისინი წარმავალნი არიან.

— რას ნიშნავს „წარმავალნი“?

— გეოგრაფიის წიგნი ყველა წიგნზე ძვირფასია, — თქვა გეოგრაფმა, — ის ყოველთვის ხმარებაშია. იშვიათია, რომ მთამ ადგილი მოინაცვლოს, არ შეიძლება, რომ ოკეანიდან წყალი აორთქლდეს. ჩვენ მარადიულ საგნებთან ვაქვს საქმე.

— კი მაგრამ, ჩამქრალ ვულკანებს ხომ შეუძლიათ ხელახლა ამოქმედება? შეაწყვეტინა პაწია უფლისწულმა — არ მესმის, რას ნიშნავს „წარმავალნი“?

— ვულკანი ჩამქრალია თუ მოქმედი, ჩვენთვის ეს სულერთია. ჩვენ მთა გვინტერესებს. მთა კი უცვლელია.

— მე მაინც არ მესმის, რას ნიშნავს „წარმავალნი“? — გაიმეორა პაწია უფლისწულმა, რომელიც ჩვეულებრივად არ იყო ერთხელ დასმულ კითხვაზე ხელის აღებას.

— წარმავალია ის, რაც მალე გაქრება.

— ჩემი ყვავილიც მალე გაქრება?

— რა თქმა უნდა!

— ჩემი ყვავილი თურმე წარმავალია, — გაიფიქრა პაწია უფლისწულმა, მთელი ქვეყნისგან თავის დასაცავად მას მხოლოდ ოთხი ეკალი გააჩნია. მე კი ის მივატოვე!

ეს მისი პირველი სინანული იყო. მაგრამ იგი გამხნედა.

— მირჩიეთ, სად წავიდე თქვა მან.

— წადი დედამიწაზე, — უპასუხა მას გეოგრაფმა, — ამ პლანეტას კარგი სახელი აქვს.

პაწია უფლისწული გაუჩინარდა და თან თავის ყვავილზე თცნება დაიწყო.

## XVI

ამრიგად, მეშვიდე პლანეტა დედამიწა იყო.

დედამიწა უბრალო პლანეტა არ გეგონოთ! იქ ასთეროიდეტი მეფეა (ზანტი მეფეების ჩათვლით), შვიდი ათასი გეოგრაფი, ცხრაათასი საქმოსანი, შვიდნახევარი მილიონი ლოთი, სამასთერთმეტი მილიონი პატივმოყვარე, ესე იგი დაახლოებით ორი მილიარდი მოზრდილი.

წარმოდგენა რომ შეგექმნეთ იმაზე, თუ რამდენად დიდია დედამიწა, მოვახსენებთ, რომ ელექტრონის გამოგონებამდე მის ექვსივე კონტინენტზე ოთხასსამოცდაორი ათას ხუთასთერთმეტი მეჩირაღე იყო. მეჩირაღეთა არმიას ხომ შენახვა უნდოდა!

შორიდან ეს ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ახდენდა. მეჩირაღეთა მოქმედება ბალეტის მოძრაობასავით იყო შეთანხმებული. ყველაზე ადრე ლამპიონებს ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის მეჩირაღეები უკიდებდნენ და დასაძინებლად მიდიოდნენ. შემდეგ ჩინეთისა და ციმბირის მეჩირაღეები უბეზოდნენ ფერხულში. მერე რუსეთისა და ინდოეთის ჯერი დგებოდა. მათ შემდეგ ამერიკა და ევროპა განათებოდა, და ბოლოს ჩრდილოეთ ამერიკის ფანრები აინთებოდა. ეს თანმიმდევრობა არასოდეს არ დარღვეულა. მართლაც რომ გრანდიოზული სანახაობა იყო!

უსაქმურ და დაუდევარ ცხოვრებას მხოლოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსების მეჩირაღეები ეწეოდნენ: ისინი წელიწადში მხოლოდ ორჯერ უკიდებდნენ ფანრებს.



XVII

როცა გონებამახვილობით თავის გამოჩენა ვინდა, ხანდახან ტყუილსაც იტყვი.

მეჩირაღებზე მე არც ისე კეთილსინდისიერად მილაპარაკნია. ვინც დედამიწას არ იცნობს, ამ აღწერამ შეიძლება ყალბი წარმოდგენა შეუქმნას ჩვენს პლანეტაზე. ადამიანებს ძალზე მცირე ადგილი უჭირავთ მიწაზე. დედამიწის მთელი მოსახლეობა ფეხზე რომ გაჩერდეს და ისე შემჭიდროვდეს, როგორც მიტინგზე, ოცი მილის სიგრძისა და ასეთივე სიგანის მოედანზე დაეტეოდა. მთელ კაცობრიობას რომ თავი მოუყარო, წყნარი ოკეანის უმცირეს კუნძულზე დაეტევა.

უფროსები, რა თქმა უნდა, ამას არ დაიჯერებენ. მათ ჰგონიათ, რომ დიდი ადგილი უჭირავთ მიწაზე. ბაობაბის ხესავით მნიშვნელოვანი ჰგონიათ თავი და რადგან ისინი ციფრებს აღმერთებენ, ურჩივთ თავად იანგარიშონ. ეს საქმიანობა მათ მოეწონებათ, ხოლო თქვენ ამაზე დროს ნუ დაკარგავთ. ეს ზედმეტია. მენდეთ.

პაწია უფლისწული გაოცებული დარჩა, დედამიწაზე რომ ვერაფერს დაინახა. მას ეგონა, სხვა პლანეტაზე მოხვდა, მაგრამ ამ დროს იქვე, ქვიშაზე მთვარისფერი ბეჭედი შეიჩინა.

— სალამო მშვიდობისა, — წარმოსთქვა პაწია უფლისწულმა, ყოველი შემთხვევისათვის.

— სალამო მშვიდობისა, — უპასუხა გველმა.

— რომელ პლანეტაზე ვარ? — იკითხა მან.

— დედამიწაზე, აფრიკაში. — უპასუხა გველმა.

— ო... ვახა დედამიწაზე არავინაა?

— ეს უდაბნოა. უდაბნოში ჩვეულებრივ არავინაა. დედამიწა ძალზე დიდია. მიუგო გველმა.

პაწია უფლისწული ქვაზე ჩამოჯდა და თვალები ზეცას მიაპყრო.

— საინტერესოა — თქვა მან, —

ნუთუ იმიტომაა განათებული ვარსკვლავები; რომ ოდესმე ყველამ შესძლოს თავისი ვარსკვლავის პოვნა? შეხედე ჩემს პლანეტას. ის სწორედ ჩვენს თავზეა... მაგრამ რა შორისაა

— ლამაზია, — შენიშნა გველმა, — ი მაგრამ, აქ რისთვის მოხვედი?

— ერთ ყვავილს წავეყიდე, — უპასუხა პაწია უფლისწულმა.

— ო! — წარმოსთქვა გველმა. — ორივე გაჩუმდა.

— მაინც სად არიან ადამიანები? — კვლავ იკითხა პაწია უფლისწულმა, — რაც არ უნდა იყოს, უდაბნოში მაინც მარტოობას გრძნობ.

— მარტოობას ადამიანებს შორისაც გრძნობ, — თქვა გველმა.

პაწია უფლისწული გველს დააცქერდა.

— რა უცნაური ცხოველი ხარ! — უთხრა მან ბოლოს. — თითოვით წვრილი.

— თითოვით წვრილი, მაგრამ მეფის თითზე ძლიერი. — უპასუხა გველმა. პაწია უფლისწულს გაეღიმა:

— ძლიერი ვერ იქნები... თათები არა გაქვს... ალბათ ვერც მოძრაობ.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. შემიძლია გეზე უფრო შორს წაგიყვანო, უთხრა გველმა.

გველი ოქროს სამაჯურივით შემოეხვია პაწია უფლისწულს კოკზე.

— ვისაც შეგებები, მას მშობელ მისას ვუბრუნებ, — ვანაგრო მან, — მაგრამ შენ ვარსკვლავიდან მოხვედი. შენ წმინდა ხარ.

— პაწია უფლისწულს არაფერი უთქვამს.

მებრალბი ასე უმწეო, ამ გრანიტის მიწაზე, თუ შენი პლანეტა მოგენატრა მე დაგენმარები. მე შემიძლია...

— ო! ძალიან კარგად მესმის რის შემძლეც ხარ, უთხრა პაწია უფლისწულმა, — მაგრამ რატომ ლაპარაკობ ყოველთვის ქარავებით? — მე მათი ამოხსნაც შემიძლია, — უპასუხა გველმა.

— ისინი კვლავ დადუმდნენ.

## XVIII

პაწია უფლისწულმა უდაბნო გადაიბრა და მხოლოდ ერთ ყვავილს შეხვდა. სადა, პაწია სამფურცლიან ყვავილს...

— გამარჯობა, — უთხრა მას პაწია უფლისწულმა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ყვავილმა.

— სად არიან ადამიანები? — იკითხა პაწია უფლისწულმა ზრდილობიანად.

— ადამიანები? სადღაც უნდა იყოს ექვსი თუ შვიდი კაცი. ისინი მე მრავალი წლის წინათ ვნახე, მაგრამ მათი მოძებნა ძნელია. ისინი ქარს დააქვს. მათ ფესვები არა აქვთ და ეს ძალიან აწუხებთ.

— მშვიდობით, — დამშვიდობა პაწია უფლისწული.

— მშვიდობით, — უპასუხა ყვავილმა.

## XIX

პაწია უფლისწული მაღალ მთაზე ავიდა. მანამდე მან მხოლოდ სამი ვულკანი იცოდა, რომლებიც მუხლამდე წადებოდა. ჩამქრალ ვულკანს ხომ სკამაღაც იყენებდა. „ისეთი მაღალი მთიდან, — გაიფიქრა მან, — მე მთელ პლანეტას და მთელ ხალხს დავენახავ... მაგრამ ვერაფერი დაინახა, გარდა წვეტიანი მწვერვალებისა.

— გამარჯობა! თქვა მან ყოველი შემთხვევისათვის.

— გამარჯობა... გამარჯობა... გამარჯობა... — გამოეხმაურა ეხო.

— ვინ ბრძანდებით? — წარმოთქვა პაწია უფლისწულმა.

— ვინ ბრძანდებით?... ვინ ბრძანდებით?... ისევ გაეხმინა ეხო.

— იყავით ჩემი მეგობრები, მე მართო ვარ, — თქვა უფლისწულმა.

— მე მართო ვარ... მე მართო ვარ... მართო ვარ... — უპასუხა ეხომ.

მე მართო ვარ.

რა უცნაური პლანეტაა! — გაიფიქრა უფლისწულმა: გამხმარი, წაწვეტი-

ლი, მარილიანი. ადამიანებს წარმოსახვის უნარი არ ჰქონიათ, ისინი აქრამე იმასვე იმეორებენ, რასაც მათ ეტყვიან. იქ ჩემს პლანეტაზე, ჩემი ყვავილი... ყოველთვის თითონ იწყებდა საუბარს.

## XX

ქვიშაზე, კლდეებსა და თოვლზე დიდი ხნის სიარულის შემდეგ, პაწია უფლისწულმა გზა აღმოაჩინა. გზას კი ყოველთვის ადამიანებთან მივყავართ.

— გამარჯობა, — თქვა მან.

მის წინ აყვავილებული სავარდე იყო.

— გაგიმარჯოს, — უპასუხეს ვარდებმა.

პაწია უფლისწულმა ვარდებს შეხვდა. ისინი მის ყვავილს ჰგავდნენ.

— ვინა ხართ? — იკითხა მან გაოცებით.

— ჩვენ ვარდები ვართ.

— ო! — წამოიძახა პაწია უფლისწულმა და თავი ძალზე უბედურად იგრძნო.

მისმა ყვავილმა აკი უთხრა, მსოფლიოში ერთადერთი ვარო. მან კი ერთ ბაღში ხუთი ათასი აღმოაჩინა ერთბაშად, და ყველა მის ყვავილს ჰგავდა.

— ჩემი ყვავილი ძალზე შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს, ეს რომ დაენახა... — გაიფიქრა მან. — სასაცილოდ რომ არ აეგდოთ, საშინელ ხველებს მოჰყვებოდა, თავს მოიმკვდარუნებდა, მეც იძულებული ვიქნებოდი მომველო მისთვის, რადგან თუ არ დევუჯერებდი, მართლაც მოკვდებოდა ჩემს ჯიბრზე.

მე ჩემს პლანეტაზე მხოლოდ ერთი ყვავილი და სამი ვულკანი გამჩინდა. ჩემი ყვავილი ჩვეულებრივი ვარდი ყოფილა. ვულკანები მუხლამდე ძლივს მწვდებოდნენ, ხოლო ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამქრალი იყო. არც ისე დიდი უფლისწული ვყოფილვარ. — გაიფიქრა მან.

უფლისწული ბალახში ჩაწვა და მწარედ აქეითინდა.

X XI

უეცრად მელის გამოჩნდა.

— გამარჯობა, — უთხრა მელიამ.

— გაგიმარჯოს, — ზრდილობიანად უბასუხა პაწია უფლისწულმა. იგი შემობრუნდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

— აქ ვარ, — მოესმა მას, — ვაშლის ხის ძირში...

— ვინა ხარ? — იკითხა პაწია უფლისწულმა. ძალიან ლამაზი ყოფილხარ.

— მე მელია ვარ.

— მოდი ვითამაშოთ, — სთხოვა პას პაწია უფლისწულმა, — მე ძალიან მოყვნილი ვარ.

— მე თამაში არ შემიძლია, — უთხრა მელიამ, — მოშინაურებული არა ვარ.

— უკაცრავად, — წარმოსთქვა პაწია უფლისწულმა.

მცირე ხნის ფიქრის შემდეგ კი დასძინა:

— რას ნიშნავს „მოშინაურებული“?

— შენ რა, აქაური არა ხარ? — იკითხა მელიამ, — რას ეძებ?

— მე ადამიანებს ვეძებ, — უბასუხა პაწია უფლისწულმა, — რას ნიშნავს „მოშინაურებული“?

— ადამიანებს თოფები აქვთ და ნადირობენ, თქვა მელიამ, — ეს ძალზე შემაწუხებელია. ადამიანების ღირსება კი ის არის, რომ ისინი ქათმებს აშენებენ! შენ რა, ქათმებს ეძებ?

— არა, — მიუგო პაწია უფლისწულმა, — მე მეგობარს ვეძებ. რას ნიშნავს „მოშინაურებული“?

ეს მეტად მივიწყებული ამბავია, — უთხრა მელიამ.

— მოშინაურებული ისაა, ვისაც თავს შეაყვარებენ.

— თავს შეაყვარებენ?

— რა თქმა უნდა! თქვა მელიამ, — შენ ჯერჯერობით ჩემთვის მხოლოდ პატარა ბიჭი ხარ, ასე ათასი სხვა პატარა ბიჭის მსგავსი. ამიტომაც არაფერში მჭირდები. არც მე გჭირდები შენ. მეც შენთვის მელია ვარ, ასე

ათასი სხვა მელის მსგავსი. მაგრამ თუკი შენ მომაშინაურებ, ჩვენ ერთმანეთისათვის საკირონი გავხდებით. ჩემთვის შენ ერთადერთი იქნები ქვეყნად, ისევე, როგორც მე შენთვის.

— მგონი გასაგებია, — ჩაილაპარაკა პაწია უფლისწულმა, — არის ერთი ყვავილი. მგონი მე მან მომაშინაურა...

— შესაძლებელია, — უთხრა მელიამ, — დედამიწაზე ყველაფერი ხდება...

— დედამიწაზე კი არა, — გაუსწორა პაწია უფლისწულმა.

მელიას ცნობისმოყვარეობა აღეძრა.

— სხვა პლანეტაზე?

— დიახ.

— მონადირეები არიან იმ პლანეტაზე?

— არა.

— ეს მართლაც საინტერესოა? ქათმები ხომ არიან?

— არც ქათმებია.

— ეპ, სრულყოფილი არაფერია ქვეყნად. — ამოიხორა მელიამ და ისევე თავის ამბავს დაუბრუნდა:

— ჩემი ცხოვრება ძალზე ერთფეროვანია. მე ქათმებზე ვნადირობ, ადამიანები კი ჩემზე ყველა ქათამი ერთმანეთს ჰგავს და ყველა კაცი ერთმანეთს. მე კოტათი დაღონებული ვარ, ხოლო თუ შენ მომაშინაურებ, ჩემ ცხოვრებას სხივი მოეფენება. მე შენ ფეხის ხმას ყველა ფეხის ხმისაგან გამოვარჩევ. სხვის ფეხის ხმას მე სოროში დავემალე. შენი ფეხის ხმის გაგონება კი სოროდან გამომიყვანს მუსიკის მსგავსად. შეხედე! ხედავ იქ პურის ყანას? მე პურს არ გეახლებით. ხორბალი ჩემთვის უსარგებლოა. სამწუხაროდ, მწიფე ხორბალი მე არაფერს მაგონებს. შენ კი ხორბლის ფერი კულულები გაქვს, როცა შენ მე მომაშინაურებ, მოოჭროვილი თავთუხი მე შენს თავს მომაგონებს და ეს ნამდვილი დღესასწაული იქნება. მე შემეყვარდება ქარის შრიალი თავთუხებში...

მელია დაღუძდა და ხანგრძლივად

დაშტერდა პაწია უფლისწულს.

— მომაშინაურე... თუ შეიძლება! — სთხოვა მან.

— სიამოვნებით, — უპასუხა პაწია უფლისწულმა, — მაგრამ მე არ მცალია. მეგობარი უნდა ვიპოვო და ბევრი რამ ვისწავლო.

— ახლა მხოლოდ იმას სწავლობენ, რაც მოშინაურებულთა, — თქვა მელიამ, — ადამიანებს აღარ სცალიათ ახალი რამის შესასწავლად. ისინი მზა საქონელს ყიდულობენ ვაჭრებთან, ხოლო რადგან მეგობარი არ იყიდება, ადამიანს არც ჰყავს მეგობარი. თუ მეგობარი გსურს, მომაშინაურე.

— რა უნდა გავაკეთო ამისათვის? — ჰკითხა პაწია უფლისწულმა.

— მოთმინებით უნდა აღიჭურვო, — უპასუხა მელიამ, ჯერ ჩემგან მოშორებით ჩამოჯექი, ასე, ბალახში. მე ცალი თვალთ გადმოგხედავ, შენ კი არაფერს მეტყვი. მეტყველება გაუგებრობის წყაროა. მაგრამ ყოველდღე შენ ცოტ-ცოტა უფრო ახლოს ჩამოჯდები...

მეორე დღეს პაწია უფლისწული ისევ მოვიდა.

— სჯობდა იმავე დროს მოსულიყავი, როგორც გუშინ, — უთხრა მელიამ, — თუ მე შეცოდინება შენი მოსვლის დრო, ერთი საათით ადრე, უკვე ბედნიერი ვიქნები. ამ დროისათვის უკვე მოუსვენრობა და აღელვება შემიპყრობს, შეგძლება ბედნიერება დავაფასო. მაგრამ შენ თუ მაშინ მოხვალ, როდესაც მოგესურვება, მე ამისათვის წინასწარ ვერ განვეწყობი... რიტუალის დაცვაა საქმე.

— რა არის რიტუალი? — იკითხა პაწია უფლისწულმა.

— ესეც მეტად მივიწყებული ამბავია, — უპასუხა მელიამ, — რიტუალი ერთ დღეს სხვა დღეებისაგან ანსხვავებს, ერთ საათს სხვა საათისაგან. მაგალითად, მონადირეების რიტუალი ხუთშაბათობით სოფლის გოგონებთან ცეკვაა. ამიტომაც ხუთშაბათი დღესასწაულია ჩემთვის. მე ვენახამდე მივ-

დივარ. მონადირეები რომ მაშინ ცეკვავდნენ, როცა მოესურვებია, ყველა დღე ერთმანეთს დაემსგავსებოდა და მე დღესასწაული აღარ შექნებოდა.

პაწია უფლისწულმა მელაი მოაშინაურა. მალე უფლისწულის გამგზავრების დრო დადგა, მელიამ უთხრა:

— ნუ წახვალ... მე ვიტყვებ.

— შენი ბრალია, — უთხრა პაწია უფლისწულმა, — მე შენთვის ავი არ მსურდა, მაგრამ თითონ მოინდომე მოშინაურება.

— რა თქმა უნდა, — თქვა მელიამ.

— იტირებ? — ჰკითხა პაწია უფლისწულმა.

— ვიტყვებ, — გაიმეორა მელიამ...

— თუ ასეა, არაფერი მოგივია!

— მე ის მოვიგე, რომ პურის ყანის დანახვაზე შენ მომაგონდები. შემდეგ კი დასძინა:

— წადი, ვარდები მოიხილე! შენ მიხვდები, შენი საყვარელი ვარდი რომ ერთადერთია ქვეყნად. როცა გამოსამშვიდობებლად მოხვალ, მე ერთ საილუმოს ნაგანდობ. ეს ჩემი საჩუქარი იქნება.

პაწია უფლისწული ვარდებისკენ გაეშურა.

— თქვენ სრულებითაც არ ჰგავხართ ჩემს ვარდს. არაფერს წარმოადგენთ, — უთხრა მათ პაწია უფლისწულმა. თქვენ ვერ არავინ მოგაშინაურებიათ და არც არავის მოუშინაურებიათ, თქვენ ჩემს მელაის ჰგავხართ, სანამ იგი ჩემი მეგობარი გახდებოდა, ისეთივე მელია იყო, როგორც სხვა ასი ათასი. ახლა კი ის ერთადერთია ქვეყნად.

ვარდები ძალზე შეწუხდნენ.

— თქვენ მშვენიერი ხართ, მაგრამ ცარიელი, — განაგრძო უფლისწულმა, — თქვენთვის თავს არავინ მოიკლავს. რა თქმა უნდა, შეიძლება ვინმე გამგელღმა იფიქროს, რომ ჩემი ვარდი თქვენ გვავთ. მაგრამ ის ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე თქვენ ყველა ერთად და ეს იმიტომ, რომ მე ის მოვრწყე, ხუფი დავახურე, თეჯირი

მოეფარე, მუხლუხები მოვაცილე (ორი თუ სამის გარდა, რომლებიც პებლუბის მოსაშენებლად დავუტოვე), ვუსმენდი მის ჩივილს, მის ტრაბახს და ხანდახან მის დუმბილსაც კი. მე ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ ის ჩემი ვარდაი.

პაწია უფლისწული მეღიასთან დაბრუნდა.

— მშვიდობით, სთქვა მან...

— მშვიდობით, — უბასუხა მეღიამ.

— ჩემი საიდუმლო ძალზე მარტივია: ჰეშმარიტად ხილვა მხოლოდ გულით შეიძლება. რაც მნიშვნელოვანია, ის თვალისთვის უხილავია.

— მნიშვნელოვანი თვალისთვის უხილავია, — გაიჟეორა პაწია უფლისწულმა დასამახსოვრებლად.

— შენი ვარდი იმიტომაა შენთვის მნიშვნელოვანი, რომ მას ბევრი დრო შესწირე.

— ჩემს ვარდს ბევრი დრო შევწირე... — წარმოსთქვა პაწია უფლისწულმა დასამახსოვრებლად.

— აღამიანებმა უკვე დაივიწყეს ეს ჰეშმარიტება, — თქვა მეღიამ, — მაგრამ შენ არ უნდა დაივიწყო. რასაც მოაშინაურებ, მასზე პასუხსაც აგებ მუდამ. პასუხს აგებ შენი ვარდისათვის.

— პასუხს ვაგებ ჩემი ვარდისათვის... ისევ გაიმეორა პაწია უფლისწულმა დასამახსოვრებლად.

## XXII

— გამარჯობა, წარმოსთქვა პაწია უფლისწულმა,

— გაგიმარჯოს, — უბასუხა მემისრემ,

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა პაწია უფლისწულმა,

— მეზაერებს ვახარისხებ ათსეულეზად, — თქვა მემისრემ, — მატარებლებს, რომელთაც ისინი მიჰყავთ, ხან მარჯენივ ვგზავნი, ხან მარცხნივ.

მერგვინავმა, განათებულმა, სწრაფმა მატარებელმა მემისრის ჯიხური შეარხია.

— ძალიან ჩქარობენ, — რას ეძებენ ნეტავ? იკითხა პაწია უფლისწულმა. — ეს მემანქანემაც არ იცის, — უბასუხა მემისრემ.

მეორე განათებულმა სწრაფმა მატარებელმა საწინააღმდეგო მიმართულებით ჩაიგრუხუნა.

— უკვე უკან ბრუნდებიან? — შეეკითხა პაწია უფლისწული.

— არა, ესენი სხვები არიან, — უბასუხა მემისრემ.

— კი მაგრამ, სადაც იყვნენ, ის ადგილი არ მოეწონათ?

— აღამიანს არასდროს არ მოსწონს ის ადგილი, სადაც იმყოფება, — უთხრა მემისრემ.

ამ დროს მესამე განათებულმა სწრაფმა მატარებელმა ჩაიგრუხუნა.

— ესენი რა, წინ წასულებს მისდევენ? — იკითხა პაწია უფლისწულმა.

— არავისაც არ მისდევენ, — თქვა მემისრემ, — ვაგონებში მათ სძინავთ. ან ამთქნარებენ. მხოლოდ ბავშვები იშუიტიებიან ფანჯრებიდან.

— მხოლოდ ბავშვებმა იციან, რასაც დაეძებენ, — წარმოსთქვა პაწია უფლისწულმა, — ისინი ბევრ დროს ანდომებენ დეჟოფილას, ამიტომაც ის ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის, და თუ წაართვეს, ტირილს იწყებენ...

— ბედი მათ ჰქონიათ! — დასძინა მემისრემ.

## XXIII

— გამარჯობა, თქვა პაწია უფლისწულმა.

— გაგიმარჯოს, — უბასუხა ვაჭარმა.

ეს იყო ისეთი აბებით მოვაჭრე, რომელიც წყურვილს უკლაგს აღამიანს: ერთს გადაყლაპავ და ერთ კვირას აღარ მოგწყურდება.

— რისთვის ჰყიდი ამას? — ჰკითხა პაწია უფლისწულმა.

— ეს დროის დიდ ეკონომიას იძლევა, — მიუგო ვაჭარმა. — მეცნიერებმა იანგარიშეს, რომ ამ აბების საშუალებ-



ბით კვირაში ორმოცდაცამეტი წუთი იზოგება.

— რისთვის იყენებენ ამ ორმოცდაცამეტ წუთს?

— რისთვისაც სურთ...

— მე რომ ორმოცდაცამეტი წუთი მქონდეს თავისუფალი, — გაიფიქრა პაწია უფლისწულმა, — ძალიან ნელა წავიდოდი წყაროსკენ.

#### XXIV

ეს ამბავი ავირის მერვე დღეს მოვისმინე, როცა წყლის უკანასკნელ წვეთს ვწრუპავდი.

— ო, — ვუთხარი პაწია უფლისწულს, — ძალზე მიშიდველია შენი მოგონებანი, მაგრამ თვითმფრინავი ჯერ არ შემიკეთებია, დასაღვევი კი აღარაფერი მაქვს. მეც ბედნიერი ვეყნები, წყაროსკენ ნელა წასვლა რომ შემეძლოს.

— ჩემი მეგობარი მეღია, — მითხრა მან...

— მეღია აქ არაფერ შუაშია, ჩემო პაწია!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მალე წყურვილით დავიხოცებოდა...

უფლისწულმა ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო...

— მეგობარი მაშინაც კი კარგია, როცა სიკვდილი გელის. მე პირადად ძალზე მოხარული ვარ, მეგობარი მეღია რომ მყავდა... თქვა მან:

მას არ ესმის ის საფრთხე, რომელიც ჩვენ გველის, — გაეფიქრე მე. მან, ალბათ, არც სიმშვილი იცის და არც წყურვილი. მისთვის მზის სხივიც საქმარისია.

უფლისწულმა უეცრად შემომხედა და ჩემს ფიქრს გამოეხმაურა:

— მეც მწყურია. მოვქებნოთ ჭა...:

უიმედოდ ჩაეყნე ხელი. უაზრობაა ალაღბედზე ჭის ძებნა უსაზღვრო უდაბნოში, მაგრამ მაინც გავუღდექით გზას.

მივდიოდით დიდხანს, უხმოდ, შემოგვალამდა. ვარსკვლავები აენთნენ. თითქოს მათ სიზმარში ვხედავდი.

ოცა სიცხეც მქონდა წყურვილისაგან. გონებაში პაწია უფლისწულის სიტყვები მერეოდა.

— მაშ შენც გწყურია? — შევეკითხე მას.

შეკითხვაზე მას არ უპასუხია. უბრალოდ მითხრა:

— წყალი, ალბათ, გულსაც მოუხდება...

მისი სიტყვები ვერ გავიგე, მაგრამ არაფერი მითქვამს... ვიცოდი, გამოკითხვა ზედმეტი იყო.

უფლისწული დაღლილი იყო. იქვე ჩამოჯდა. მეც გვერდით მივეჯექი. მცირე ხნის დუმილის შემდეგ მან თქვა:

— ვარსკვლავები მხოლოდ იმ ყვავილის გამო არიან მშვენიერი, რომელიც არ ჩანს...

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე და უსიტყვოდ დაფაქტურდი ქვიშის ნაკეცებს, რომელიც მთვარის შუქით იყო განათებული;

— უდაბნო მშვენიერია, — თქვა მან.

მართალია. მე ყოველთვის მიყვარდა უდაბნო. ჩამოჯდები ქვიშის ბარხანზე. ვერაფერს ხედავ. არაფერი გვსმის. სიჩუმეში კი რაღაც სხივოსნობს.

— უდაბნო იმიტოა მშვენიერი, — თქვა პაწია უფლისწულმა, — რომ ჭას მალავს საღლაც.

ქვიშის იღუმალი გამოსხივება ჩემთვის გასაგები ვახდა. პატარობისას ძველისძველ სახლში ვცხოვრობდი. ლეგენდის მიხედვით მის კედლებში განძი უნდა ყოფილიყო დამალული. რა თქმა უნდა, ამ განძს ვერავინ მიაგნო, იქნებ არც არავის უძებნია იგი. მაგრამ ამ განძის გამო სახლიც მომზიბვლელი იყო. ჩემი სახლი გულის სიღრმეში სიიდუმლოს ინახავდა.

— დიახ, — ვუთხარი პაწია უფლისწულს, — სულერთია რაც იქნება: სახლი, ვარსკვლავი თუ უდაბნო, მაგრამ ის, რაც მათ ამშვენიერებს, უხილავია!

— მე მოხარული ვარ, შენ რომ ჩემს

მელიას ეთანხმები, — მითხრა მან.

რადგან პაწია უფლისწულს ეძინებოდა, მე იგი ხელში ავიყვანე და გზას გაუღდექი. აღლვებული ვიყავი. თითქოს მყიდვე ქანდაკება მიმქონდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს უფრო მყიდვე აღარაფერი იყო დედამიწაზე. შეგცქეროდი მთვარის შუქით განათებულ მის ფერმკთალ შუბლს, დაბუჭულ თვალებს, ქარის მიერ შერხვეულ კულულებს, და ვფიქრობდი: მე მხოლოდ მის გარეგნობას ვხედავ, ის კი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უხილავია ჩემთვის.

უფლისწულს ტუჩები ოდნავ შეუჩხია ღიმილმა. მე კი გავიფიქრე: „როგორ მალეღებებს ეს პაწია, ჩაძინებული უფლისწული, რომელიც ასე ერთგულია თავის ყვავილისა, მაშინაც კი, როცა მას ძინავს, ყვავილის სახე ჩაუჭრობელი ლამპარით ანთია მის გულში“. და კიდევ მეტად ვიგრძენი, რაოდენ მყიდვე იყო იგი. ეს ანთებული ლამპარი კარგად უნდა დაიცვა. ქარს ადვილად შეუძლია მისი ჩაჭრობა.

და ასე, სიარულში, გათენებისას ჭამოვანიხე.

## XXV

— სწრაფი მატარებლები ხალხითაა გაჭვდილი, — თქვა პაწია უფლისწულმა, — მაგრამ აღამიანებმა არც კი იციან, რას ეძებენ, ამიტომ ზედმეტად ფუსფუსებენ და ვერ ისვენებენ.

— არც ღირს... დასძინა მან:

ჭა, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ, არ ჰგავდა საპარის სხვა ჭებს. საპარის ჭები ქვიშაში ამოთხრილ უბრალო ხერვლებს წარმოადგენენ. ჩვენი ჭა კი სოფლის ჭას ჰგავდა. ირგვლივ არცერთი სოფელი არ იყო და მე თავი სიხმარში მეგონა.

— საოცარია, — ვუთხარი მე პაწია უფლისწულს, — ყველაფერი თავთავის ადგილზეა: ოწინარიც, სათლიც და თოკიც...

უფლისწულს გაეცინა, თოკს შეეხო, ოწინარი დააბრუნა. ოწინარმა ისე დაი-

გვინა, როგორც ქარისაგან დატრიალებულმა ძველმა ფლოუგერმა.

— გესმის, თქვა პაწია უფლისწულმა, — ჩვენ ჭას ვაღვიძებთ და ისიც მღერის...

მე არ მიხდოდა იგი გადაღლილიყო.

— მაცაღე, — ვუთხარი მე, — შენთვის ეს მეტად მიიმე საქმეა.

სათლი ჭის კიდემდე ნელა ამოვზიდე და ისე დავდგი, რომ არ წაქცეულიყო. მე ისევ მესმოდა ოწინარის სიმღერა. მოლივლივე წყალში მზის ანარეკლი ირხეოდა.

— ჭის წყალი მწყურია, მითხრა პაწია უფლისწულმა, — დამალევენე...

მე მივხვდი, რა უნდოდა მას.

სათლი ტუჩებთან მიუტანე. თვალდაბუჭულმა მცირედი მოსვა. წყალი დღესასწაულივით საამო იყო. ეს არ იყო ჩვეულებრივი სასმელი წყალი. იგი ვარსკვლავების ქვეშ ხეტილმა, ოწინარის სიმღერამ და ჩემი მკვლავების დაძაბულობამ წარმოშვეს. ის საჩუქარივით იამებოდა გულს. როცა პატარა ვიყავი, შობის ხის შუქი, შუალამის წირვის მუსიკა, ღიმილთა სიზაზე ისეთივე სიამოვნებას მგვრიდა, როგორც საშობაო საჩუქარი.

— შენს პლანეტაზე, — მითხრა პაწია უფლისწულმა, — ერთ ზალში აღამიანებს ხუთი ათასი ვარდო მოჰყავთ... მაგრამ ვერც მათში პოულობენ იმას, რასაც ეძებენ...

— მართალია, — ვუპასუხე მე.

— და იმავე დროს ის, რასაც ისინი ეძებენ, შეიძლება ერთადერთ ვარდში ან ცოტაოდენ წყალში იპოვნონ...

— რა თქმა უნდა.

შემდეგ კი დასძინა:

— თვალი ბრმაა. გულით უნდა ეძიო.

მე წყალი დავლიე და შვებით ამოვისუნთქე. გათენებისას ქვიშა თაფლისფერია. მე ეს ფერიც მხიბლავდა, მაგრამ არ ვიცი, რატომ ვიყავი დაღონებული...

— დაპირება უნდა შემისრულო, —

მიტხრა პაწია უფლისწულმა წყნარად და ჩემ გვერდით ჩამოჯდა.

— რა დაპირება?

— იცი... ალიკაპი ჩემი ცხვრისთვის... მე ხომ პასუხს ვაგებ ჩემი ვარდისათვის!

ჯიბიდან ნახატების ესკიზები ამოვიღე. როცა პაწია უფლისწულმა ისინი დაინახა, სიცილით მიტხრა:

— შენი ბოობაბები კომბოსტოს წააგვანან...

— ო!

მე კი ძალზე ვამაყობდი ბოობაბებით!

— შენი მელია?... მისი ყურები... რქებს წააგავს... და თანაც ვრძელია! უფლისწულს ისევ ვაეცინა.

— უსამართლო ხარ, ჩემო პაწია. მე ხომ ვითხარი, რომ არაფრის ხატვა არ ვიცი, გარდა მახრჩობელა გველებისა და მათ მუცელში მოქცეული სპილოებისა.

— არა უშავს, — მიპასუხა მან, — ბავშვები მიხვდებიან.

მე ალიკაპი დაეხატე. როცა მას უფლისწულს ვაძლევდი, გული შემეკეუმება.

— მე არ ვიცი, რას აპირებ... ჩემს კითხვაზე მან არ მიპასუხა, მხოლოდ თქვა:

— იცი, ჩემი დედამიწაზე ჩამოვარდნა... ხვალ წელიწადი ხდება. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა:

— მე, სადღაც, ახლოს ჩამოვარდი აქ...

უფლისწული გაწითლდა.

მე მაინც არ ვიცოდი, რატომ ვიყავი ასე უმიზეზოდ დადონებული.

უცერად კითხვა დამებადა:

— მაშ შენ შემთხვევით არ მოხვდი აქ, იმ დღით, როდესაც მე ვაგიცანი. შენ რვა დღის წინათაც აქ სეირნობდი, მარტოდ მარტო, ათასი მილით დაშორებული ყოველი დასახლებული პუნქტიდან! შენ ალბათ იმ ადგილზევე ბრუნდებოდი, სადაც ჩამოვარდი.

პაწია უფლისწული ისევ გაწითლდა. მე ყოყმანით დავუმატიე:

— შეიძლება ამას წლისთავის გამო აქ...

პაწია უფლისწული კვლავ გაწითლდა. ჩემ კითხვაზე ის პასუხს არ მაძლევდა, მაგრამ გაწითლება ხომ თანხმობის ნიშანია?!

— მეშინია, — ვთქვი მე.

— შენ უნდა იმუშაო. შენს თვითმფრინავთან უნდა მიხვიდე ხელახლა და უნდა იმუშაო, მიტხრა მან, — მე აქვე დაველოდები. ხვალ საღამოს ისევ მოდი.

მე მოუსვენრობას ვგრძნობდი. მელია გამახსენდა. მოშინაურება ზოგჯერ ცრემლებს იწვევს.

## XXVI

ქის მახლობლად ძველი ქვის კედლის ნანგრევი თუო-მეორე საღამოს, მუშაობის შემდეგ, უკან მობრუნებულმა, დავინახე პაწია უფლისწული, რომელიც ქვის კედელზე შემომჯდარიყო და ფეხები გადმოეკიდა.

— შენ აღარ გახსოვს, — ამბობდა იგი, — მგონი მე აქ არ ჩამოვარდნილვარ!

მას ვილაყამ უპასუხა, რადგან პაწია უფლისწულმა კვლავ განაგრძო:

— დიახ, დიახ! დღე კი ისაა, მაგრამ ადგილი კი, არა...:

მე მისკენ მივდიოდი; მის გარდა ვერავის ვხედავდი და არც არავის ხმა მესმოდა. პაწია უფლისწული კი ხელახლა გამოვლამარაკა ვილაყას.

— რა თქმა უნდა, შენ ჩემ ნაკვალევს დაინახავ ქვიშაზე. იქ დამელოდე. იქ მოვალ ამაღამ.

კედლიდან მხოლოდ ოცი მეტრით ვიყავი დაცილებული, მაგრამ მაინც ვერაფერს ვხედავდი.

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, პაწია უფლისწულმა ისევ განაგრძო:

— ძლიერი შხამი გაქვს? ნამდვილად იცი, რომ დიდხანს არ დამტანჯავ? გულმოკლული შეეჩერდი. არაფერი გამეგებოდა.

— ახლა კი წადი, — თქვა პაწია უფლისწულმა... — მე ძირს მინდა ჩამოსვლა.

მაშინ გეც დაბლა დაეხედე და კედლისკენ გადავხტი!

პაწია უფლისწულის წინ ყვითელი გველი აღმართულიყო, რომლის შხამი თვალის დახამხამებაში კლავს ადამიანს. ხელი ჯიბისკენ წავიღე რევოლვერის ამოსაღებად. მაგრამ ჩემი ფეხის ხმის გაგონებაზე გველი ისე წყნარად გაუჩინარდა ქვიშაში, როგორც შემწყდარი წყლის ნაკადი. შემდეგ კი, ლითონის ხმის მსგავსი წკრიალით, აუჩქარებლად შეძგრა ქვეშე.

გალავანს მივაღწიე. თოვლივით გაფითრებული პაწია უფლისწული ხელში ავიყვანე.

— ეს რა ამბავია! ახლა გველებს ესაუბრებდი!

ოქროსფერი ყელსახვევი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა, შემოვხსენი, საფეთქლები დაფუსველე და წყალი დავალეინე. ვერ ვუბედავდი შეკითხვას. მან ღრმავარდნილად შემომხედა და კისერზე მომხვია. მისი გული, ტყვიით დაჭრილი, მომაკვდავი ჩიტის გულივით, ფართხალობდა. მან მითხრა:

— მიხარია, რომ შეაკეთე თვითმფრინავი. მაღე შინ დაბრუნებას შესძლებ.

— შენ რა იცი?  
სწორედ იმიტომ მოვედი, რომ მისთვის მეხარება: იმედი დაკარგული მქონდა, მაგრამ მაინც შევძელი მოტორის შეკეთება მეთქი.

ჩემს კითხვაზე არაფერი მიპასუხა, მხოლოდ თქვა:

— მეც დღეს ვბრუნდები შინ.

შემდეგ კი ნაღვლიანად დასძინა:

— ეს გაცილებით შორსაა, და გაცილებით უფრო ძნელია...

ვგრძნობდი, რომ უცნაური რაღაც ხდებოდა.

პაწია უფლისწულს მაგრად მოგხვიე მკლავები, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ

ვერ ვაკაგებდი და უფსკრულსკენ მისრიალებდა.

ძალზე სერიოზული გამოხედვა მქონდა, მისი მზერა სივრცეში იკარგებოდა.

— მე ცხვარი მყავს. ცხვრისთვის ყუთიც მაქვს და ალიკაპიც, — თქვა მან ნაღვლიანი ღიმილით.

დიღხანს ვიდექი უძრავად. ვგრძნობდი როგორ თბებოდა ნელ-ნელა მისი სხეული.

— შენ მხოლოდ შეგეშინდა... პაწიავ!

— რა თქმა უნდა, რომ შეეშინდა მხოლოდ! მაინც წყნარად გაიცინა:

— ამ საღამოს კიდევ უფრო მეტად შეგეშინდება...

ხელახლა ვიგრძენი, რომ რაღაც გამოუსწორებელი ხდებოდა. ცივმა ქრუანტელმა დამიარა. ვერ ვურიგდებოდი იმ აზრს, რომ მის სიცილს ველარასოდეს გავიგონებდი. ის ხომ ჩემთვის შადრეგანივით ჩქეფდა უდაბნოში.

— პაწიავ, მე კიდევ ერთხელ მსურს შენი სიცილის გაგონება... მან მიპასუხა:

— ერთი წელი შესრულდა. ამაღამ ჩემი ვარსკვლავი ზუსტად იმ ადგილს გაუსწორდება, სადაც გასულ წელს ჩამოვარდი...

— პაწიავ, იქნებ ცუდი სიზმარია გველი, ჰაემანი მასთან და ვარსკვლავი...

მაგრამ უფლისწულმა არაფერი მიპასუხა.

— რაც მნიშვნელოვანია, უხილავია... თქვა მან.

— მართალია.

— ეს ყვეფილსაც ეხება, თუ ვასკვლავზე მყოფი ყვავილი გიყვარს, ტკბილია დამით ცაში ცქერა, ყველა ვარსკვლავი აყვავილებულია.

— მართალია.

— ეს წყალსაც ეხება, შენ რომ წყალი დამალევინე, მუსიკასავით მესიამოვნა!.. ხომ გახსოვს... ის წყალი კეთილისმყოფელი იყო.

— მართალია.

— ღამე ვარსკვლავებს შეხედავ. ჩემი ვარსკვლავი ძალზე პატარაა და მე მას ვერ დავანახებ. ასე ჯობს. ჩემი ვარსკვლავი ერთი იმ ვარსკვლავთაგანი იქნება. მაშინ ყველა ვარსკვლავის ცქერა შეგიყვარდება: შენი ძველობრები გახდებიან ყველანი. გარდა ამისა, რაღაცას გაჩუქებ...

მან კიდევ ერთხელ გაიცინა.

— ო, პაწიავ, პაწიავ, როგორ მიყვარს ამ სიცილის გაგონება!

— სწორედ ესაა ჩემი საჩუქარი... წლისთავზე...

— არ მესმის, რის თქმა გსურს?

— ადამიანები სხვადასხვანაირად უყურებენ ვარსკვლავებს. მოგზაურთათვის ვარსკვლავები გზის მარეგულაციანი არიან. სხვებისათვის მხოლოდ პატარ-პატარა სინათლეებს წარმოადგენენ. მეცნიერებისათვის — ამოსახსნელ ამოცანებს, ჩემი საქმოსნისთვის — ოქროს. მაგრამ ყველა ეს ვარსკვლავი ჩუმადაა და მხოლოდ შენ ერთს გაქმნება ისეთი ვარსკვლავები, რომელთა დარი არავის არ ექნება...

— მე მაინც არ მესმის, რისი თქმა გსურს?

— როდესაც ღამით ცას ახედავ, გაახსენდება, რომ მე ერთ-ერთ მათგანზე ვცხოვრობ და ვიცი. ეს შენთვის იგივე იქნება, რაც ყველა ვარსკვლავის სიცილი. შენს ვარსკვლავებს სიცილი ეკოდინება!

მან კიდევ ერთხელ გაიცინა.

— როდესაც მწუხარება გაგიქარებდა, (მწუხარებას ყოველთვის იქარებებს ადამიანი), შენ ბედნიერი იქნები იმით, რომ მე გამიცან. შენ ყოველთვის, ჩემი მეგობარი იქნები, ჩემთან ერთად მოგესურვება სიცილი და როცა ფანჯარას გამოაღებ, ისე, უბრალოდ, შენს მეგობრებს გააკვირვებს შენი სიცილი ცის დანახვისას. მაშინ შენ მათ ეტყვი: „ღიახ, ვარსკვლავები ყოველთვის სიცილს მგვრიან“. მათ გიყვი ეგონები. აი რა ოინს გიწყობ.

ისევ გაიცინა.

— ისე მიიღე, თითქოს ვარსკვლავების ნაცვლად პატარა ტყუენტის გრავა მომეცეს შენთვის, უთვალავი—ეცენები, რომელთაც სიცილი იცინა.

და გაიცინა, შემდეგ დაფიქრდა:

— იცი... ამბლამ... მე არ წამოგყვები,

— არც მე მიგატოვებ.

— მე ცუდად გავხდები... თითქოს მოგვკვდები. ასე ხდება. ნუ მოხვალ ამის სანახავად, არ ღირს...

— მე არ მიგატოვებ...

უფლისწული მწუხარე იყო.

— მე ამას გეუბნები... გველის შიშით. გველმა შენ არ უნდა გიკბინოს. ისინი ბოროტნი არიან. მათ შეუძლიათ საკუთარი სიამოვნებისათვის უკბინონ ვინმეს...

— მე არ მიგატოვებ.

მას რაღაც იმედი მიეცა:

— მართალია ის ამბავი, რომ გველს მეორე კბენისათვის შხამი არ ყოფნის? მე არ მინახავს, როგორ გაუღდა იგი გზას. ჩუმად გაპარულიყო. როდესაც დავეწვი, ის შედგრა, ჩქარი ნაბიჯით მიამბიჯებდა. მხოლოდ ეს მითხრა:

— ა, აქა ხარ!...

მან ხელი მომკიდა. ეტყობოდა იტანჯებოდა.

— შეცდი. არ უნდა დამწეოდი. ძალზე შეწყუხდები. მე მოგვკვდები, მაგრამ ეს არ იქნება ნამდვილი სიკვდილი.

მე ვლუმდი.

— მისმინე, გზა დიდია, ჩემს სხეულს მე ველარ წავიღებ. ძალზე დამიძიმდა.

მე ისევ ვლუმდი.

— ჩემი სხეული ძველი, მიტოვებული კერქივით შემომეცლება, ძველი კერქი კი სრულებითაც არ არის დასანანი...

მე ვლუმდი.

მან მხნეობა დაკარგა. მაგრამ მაინც ცდილობდა გამაგრებულიყო.

— კარგი იქნება, იცი? მეც შეგხედავ ვარსკვლავებს. ყველა ვარსკვლავი დაეანგულოწინარიანი ჭა იქნება. ყვე-



ლა ვარსკვლავი წყალს მომაწოდებს დასაღვებად.

მე ისევ ვდუმდი.

— ეს ძალზე საინტერესოა შენ ხუთასი მილიონი ევანი გექნება. მე კი ხუთასი მილიონი ჰა... თვალზე ტრემლები მოადგა და დადუმდა.

— აქ არის. გამიშვი მარტო. კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადავდგა.

შეშინებული პაწია უფლისწული იქვე ჩამოჯდა.

შემდეგ კი დასძინა:

— ხომ იცი, ჩემი ყვავილი... მე პასუხს ვაგებ მისთვის! ის ისეთი უმწეოა! ისეთი გულუბრყვილო! მას ოთხი უმნიშვნელო ეკალი აქვს მთელი ქვეყნისაგან თავის დასაცავად!..

მე ფეხზე დგომა აღარ შემეძლო და მის გვერდით ჩამოვჯექი.

მან თქვა:

— აი, სულ ეს არის...

იგი ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდა, შემდეგ წამოდგა და უკანასკნელი ნაბიჯი გადადგა. მე განძრევა არ შემეძლო.

მის კოჭთან ყუითლად გაიღვრა რაღაცამ. ერთ წამს უძრავად იდგა. არ დაუყვირა. შემდეგ კი უხმოდ დაეცა ქვიშაზე, მოჭრილ ხესავეით.

## XXVII

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა... ეს ამბავი მე ჯერ არავისთვის მიაშინია. ამხანაგები ძალზე გახარებული იყვნენ ცოცხალი რომ დამინახეს. მე კი დაღონებული ვიყავი. როცა მიზეზს შეკითხებოდნენ, ვეუბნებოდი: დაღლილობისგან...

ახლა ცოტათი გამიჭარვდა დარდი, რადგან ვიცი, იგი თავის პლანეტას და-

უბრუნდა. გათენებისას ველარ ციპოვნე ღამით მე ვარსკვლავებს ვუსმენდი თითქოს ხუთასი მილიონი ევანი უღერს.

სამწუხაროდ, უეცრად გამახსენდა, რომ ცხერის ალიკაპისათვის დეედი არ დამიხატავს. უფლისწული მას ვერ მოიხმარს. ჩემ თავს შევეკითხე: „საინტერესოა, რა მოხდა პლანეტაზე? ნუთუ ცხვარმა შეჭამა ყვავილი...“

ზოგჯერ ვფიქრობ: „რა თქმა უნდა, არა! პაწია უფლისწული ყოველ საღამოს მინის ხუფს ახურავს თავის ყვავილს და ცხვარს ფხიზლად დარაჯობს...“ ამით ბედნიერი ვარ. ყველა ვარსკვლავი ჩემად იცინის.

ზოგჯერ კი ვფიქრობ: „აღამიანი გულ მავიწყია. საკმარისია, ერთ საღამოს დააღიწყდეს მინის ხუფით ყვავილის დაფარვა, ან ცხვარი გაეპაროს ღამით...“ მაშინ ყველა ევანი ცრემლად იქცევა!..

ეს ძალიან დიდი საიდუმლოებებია. ის ამბავი, შექვამს, თუ არ შექვამს ჩვენთვის უცნობი ცხვარი ვარდს სადმე, სადაც არ უნდა იყოს, ისეთივე მნიშვნელობის მქონეა თქვენთვის, როგორც ჩემთვის. ჩვენ ხომ ყველას გვიყვარს პაწია უფლისწული.

ახედეთ ცას. ჰკითხეთ თქვენ თავს: შექვამა ცხვარმა ვარდი თუ არა? და დაინახათ, როგორ იცვლება ამის შესაბამისად ყველაფერი...

და ვერცერთი მოზრდილი ვერ გაიგებს ვერასდროს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს!

თარგმანი ჟრანგულიდან მ. ჩოჩიაში

## ღელა შალვაშვილი



მთები ლურჯყიანი, არე — უტყვი არე,  
 გული უტყვიარი, სმენა-უტყუარი...  
 წყარო წმინდანივით მაღლით დაფარული,  
 ზეცა მოციმციმე ცვარით დაცვარული;  
 მთები, თითქოს ფრთები, ზეცად ასაფრენი,  
 ხენი, თითქოს ხელი, ზეცად ასაწვდენი.  
 აქ მზეს წარმოუთქვამს ქება ქართულისა,  
 აქ მზე სამგზის მზიან მზერით გართულია...  
 ჰაერს ამძლავრებენ ლურჯი ზამბახები,  
 თეთრი ქალწულების ნაზი განზრახვები...  
 შორს მთის წვეროებზე თეთრი ზვინებია.  
 თუ საბა დაღლილა და ჩამოსძინებია.  
 ყველა ფერია და ყველა ფერიია  
 და ყველაფერია გრძნობით მისაფერი...  
 აქ მწიამს სიყვარული... მჯერა ცისაფერი,  
 ზეცა მზის ნაფერი ნაზი ცისარტყელით...  
 ...ზეცა ვარსკვლავების ხელით დაწერილი,  
 ზეცა, მოციალე ცრემლით დაცვარული..  
 ყველა ცხადია და... მაინც ზღაპრულია,  
 დეკემბერია და... მაინც აპრილია...  
 გული ათასერთგზის გრძნობადართულია  
 რადგან ყველაფერი კარგი, ქართულია.

## კამკამა ზეცა

ზეცა ისეთი კამკამა  
 აღარ დაგვჭირდება სარკე...  
 ახლა გვიანია საკმაოდ.  
 აქეთ, სიყვარულო, აქეთ.  
 ტეხურა ისე კამკამა,  
 ცას არ დასჭირდება სარკე...  
 მთვარეს მდინარის აკვანში  
 სძინავს და... ტალღები არწვეს.  
 სულ არ მეძინება ამ ღამეს,  
 აქეთ, სანატრელო, აქეთ...  
 ჩემი თვალები კამკამა,  
 აღარ დაგვჭირდება სარკე..

### ჰქონდათ მიზეზი

უხმოდ დაცილდნენ... სიტყვის გარეშე  
და ყველაფერი იყო ნათქვამი...  
მიაბიჯებდნენ სხვადასხვა მხარეს  
ორი მტყუანი... ორივე მართალი.  
ჰქონდათ მიზეზი და — დაემდურნენ...  
მერე... თავ-თავის ბილიკს დაეშვნენ...  
არაფერია ამ ქვეყნად თურმე  
მიზეზისა და მიზნის გარეშე.  
ასე დაცილდნენ სიტყვის გარეშე  
და ყველაფერი იყო ნათქვამი...  
მიაბიჯებდნენ სხვადასხვა მხარეს,  
თავ-თავის გულში ორივე მართალი.

### ირმები

წყლის დასაღევად გამოსულან ტყიდან ირმები,  
დიდი სიფრთხილით ჩაირბინეს ვიწრო ბილიკი...  
აღმათ, აშინებთ თავის ჩრდილიც, კი...  
წყლის დასაღევად გამოსულან ტყიდან ირმები,  
მინდვრის სამოსი ამოქარგა მთვარემ სირმებით...  
ჩუმად,  
არ დააფრთხო...  
წყლის დასაღევად გამოსულან...

### ლამაჯი ლამე

ზეცა ციციანათელებით იწერება,  
ზეცა ციციანათელას თვალებიანი...  
ლრუბლები მთვარეს ვერ იჭერენ,  
დაიღლებიან და დაიდრუბლებიან.  
მთვარე ფათებირებს სამთვაროში,  
მთვარე — ის ოქროს სამაჯური...  
ოქროსფრად ჩაიღვრება წყაროში  
და დადის ანთებული სანათურით.  
წყაროსთან ჩურჩულებენ თელები,  
მზისუნახავ მთვარის ფიქრს ვერ იცილებენ...  
ცაზე დამსხდარან ციციანათელები,  
ზეცა ციციანათელებით იცქირება.



უკანასკნელი ღამე

Весна еще в намеке,  
Холодноватых звезд  
На явор кривобокий  
Взлетает черный дрозд.

შუშუნასავეთ იფეთქა უცებ,  
მაგრამ საფანტმა მოგლიჯა ბოლო  
და მეტეორის ხმით და სისწრაფით  
თავქვე დაეშვა ჭრელი ხოხობი.

და ერცპერცოგი დაბრუნდა სახლში.  
მიუჯდა ბუხარს, დალია ღვინო.  
და მის ფეხებთან გრძელი მწვევარი  
სფინქსივით გაწვა და გაირინდა.

ჯერ რეველვერა,  
რითაც ის მოკლეს,  
კიდევ ეკიდა ღუჭნის კედელზე  
მოჭნილ სპინინგებს და დანებს შორის.

და ჯერ მომავალ მკვლელსაც ეძინა  
და ჩამოედო  
დაღლილი თავი  
ქერა ბუსუსით შემოსილ მუშტზე.

მოედო ნისლი ოდესის წაბლებს  
და მთელი ღამე ესმოდა ქალაქს,  
როგორ ბორჯავდა და ჭრიალებდა  
ზღვა-ძილგამკრთალი და გაცრეცილი.

მე ბაღის მხარეს მჭონდა სარკმელი,  
დიდი სარკმელი და ფოთლებ შორის  
თრთოლდნენ ცისფერი ლამბიონები  
ანთებულები ღუფხანის თავზე.  
და შოშიების შავი გუნდები  
უამრავი ფრთის მძლავრი შრიალით  
მბრწყინავ შავთულებს და სარკმლის  
მიწებს  
ეხეთქებოდნენ და ემსხვრეოდნენ.

მათ ვაზაფხული ერეკებოდათ  
შოლტავით მწვავე და გრძელი ქარით.  
მე გამოვედი

და მაშინათვე გაავსო ღამემ  
ყველა კუნჭული:  
ფრთების, ფოთლების და  
ვარსკვლავების

თავბრუდამხვევი ხმით და სურნელით.  
და მე გავყვევი ნელი ნაბიჯით  
ებრაელების მოწყენილ უბანს.  
ისმოდა მხოლოდ დარაჯის ხერინვა  
და ფერდაკარგულ სარკმლებში ჩანდა,  
შაბათი წითელ პარიკით თავზე  
და გაჩაღებულ სანთლებით ხელში.

უკვე ეძინა ტრამევის სადგურს,  
მაგრამ ელავდნენ ლიანდაგები  
და გაზაფხულით გარემოცული  
ახამხამებდა თვალებს ნათურა.

მე კი ჩვიდმეტი წლის ვიყავ მხოლოდ  
და ამის გამო ეს წყნარი ღამე  
სუნთქავდა ჩემით და ჩემთან ერთად  
მოაბიჯებდა უქაცურ გზაზე.

მე თითქო სარკვე ვიყავი ღამის,  
თითქოს მეორე სამყარო ვიყავ  
და პლანეტები  
მღელვარე ცეცხლით  
შიგნიდან წვავდნენ  
ჩემს სულს და სხეულს.

მე გამოვეცილდი ტრამევის სადგურს  
და ახლა უკვე, თეთრი და მკვეთრი,  
ჩემს წინ მიჭროდა ასფალტის შარა  
დასავლეთისკენ — მღელვარე ზღვისკენ.

და მე გაბმული ხმა შემომესმა,  
ცას მოარღვევდა მფრინავი ბუკი —  
ვნებით დაღლილი და გაწეწილი...  
ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი...

ეს წეროები ყიოდნენ ასე  
და აბრუებდნენ ჩემს ბავშვურ ფიქრებს  
და ფრთების ქარით დაფეთებულ  
ვარსკვლავი ხტოდა და ტკაცუნობდა.

ბერე გზამ კიდევ შემოუხვება  
და გამოქანდა ჩემს შესახვედრად  
ზღვა — იალქნების და წეროების  
და პლანეტების ჩრდილებით სავეს.

ისე ცისფერი იყო ჰაერი,  
ისე ცისფერი და გამჭვირვალე,  
რომ ალბათ ქვეყნად ამგვარი ღამე  
არასდროს აღარ განმგორდებდა.

მან დააფინა შრილა ფრთები  
მძიმე გრანიტის და კაჟის ლოდებს  
და გამომშრალი ეკალბარდები  
გაავსო ბროლის წკრიალა ხმებით,

ის იყო ყველგან და ყველაფერში  
კაჟის ნატეხში თუ ზღვის ხმაურში —  
სილაში ჩათლულ არყის ბოთლიდან  
ყველაზე უფრო მკრთალ  
ვარსკვლავამდე.

უცებ შევნიშნე, რომ ვიდაც იჯდა  
მწვანე ბოძებთან, ბადეებს იქით,  
სადაც დაღლილი მებაღურები  
ზღვის საყურებლად სხდებიან ხოლმე.

მე გამიკვირდა და დავაკვირდი, —  
ჯერ კიდევ ბავშვი იყო უცნობი.  
ის უფრო ბავშვი ჩანდა შორიდან  
გემნაზიელის ღერბიან ქუდიით —

მე გამიკვირდა და დავაკვირდი.  
მე მაკვირვებდა:  
ბავშვური სახე  
და თან  
ბებრულად მოხრილი ზურგი.

და აწებოდა ანთებულ თვალებს  
მასი უხეში და მკაცრი შუბლი  
და გრანიტიდან გამოკვეთილი  
დაუსრულებლად თრთოდა ნიკაბი.  
მაშინ კი მივხვდი, რომ ეს ბავშვი  
ამ ყოვლის მომცველ სიჩუმის სული  
და რომ მის სხეულს, სუსტს და უმწეოს,  
ჩამჭრალ ვარსკვლავთა სიმძიმე აწევს,  
რომ შეუცნობლად დაგროვდა მასში  
ამ გაზაფხულის მშვენიერ ღამეს

ავგავიღებულ ბალახთა ფერი  
და წეროების მძაფრი ყვილი.  
მაშინ კი მივხვდი: დაიღუპება  
ეს წყნარი ღამე, და მასთან ერთად  
ქვეყნის ნაწილი, რომელშიც გაჩნდა  
და დადიოდა ეს ბავშვი დღემდე.  
მხოლოდ ბუშტები წყლის ზედაპირზე  
ათრთოდნენიან და გაჭრებიან.

ვარსკვლავთა შუქზე ბრწყინავდა წყალი  
და აქანებდა ჩათელემილ აფრებს.  
ამასობაში ინათა კიდევ  
და გამოიყვანენ წყვდიადს კლდეები  
და აი, მძიმე თუნვის ქღარუნით  
ზღვას მებაღური წაადგა თავზე.

ამასობაში ინათა კიდევ  
და აი, ბებერ და მრულე ნაძვზე  
ავგავიღებულ ღღის შესახვედრად  
მოუპართია შაშვს სალამური.

ჩვენ კი... ჩვენ რა ვქნათ...  
დასრულდა ღამე  
და ჩვენ სადგურის გზას დავადექით.

მოსახვევიდან უკვე ისმოდა  
სველი ტრამვაის წკარუნა ზარი  
და ღღის სინათლით გარემოცული  
ძლივსდა ახელდა თვალებს ნათურა.

გათავდა! ახლა ორი გზა ისევ!  
ორი მტვრიანი მარშრუტი ისევ  
და ტრამვაები ცოტა ხნის მერე  
გაგვოქანებენ სხვადასხვა მხარეს.

ის უცებ შედგა.  
მზეს მიაშტერდა.  
და სთქვა:  
ამ ღამეს, მრისხანე ღამეს,  
თქვენ განუყრელი იყავით ჩემთან  
არ შეიძლება, რომ ქვეყანაზე  
კელავ განმეორდეს ამგვარი ღამე...  
ეს იყო ბოლო, უკანასკნელი...  
ახლა მშვიდობით! —  
და ის წავიდა.  
მაშინ გამოჩნდა ჩემი ტრამვაიც,  
ზარის წკრიალით და ნაპერწკლებით  
მოაქროლებდა ყვეთელ ვაგონებს  
და სარკეებში არეკილ დილას.  
მოწაფის ზელმა რევოლვრის ტარი  
ჩაბლუჯა, ისევ ჩაბლუჯა მაგრად



პერსოვი ნელა ბრუნდება სახლში  
ოდნავ დალილი და მოთენთილი.

ჩვენ რა გვესმოდა მწუხარე ბავშვებს,  
როცა ექიმში გრძელი თითებით  
გვიკაკუნებდა ჩავარდნილ მკერდზე  
და მერე ყველას ვარვისად გვთვლიდა.

ჩვენ რა გვესმოდა მწუხარე ბავშვებს,  
როცა მთელი დღის წანწალის შემდეგ  
მივეყრებოდით ხმელ ლეიბებზე  
დაქანცულები და ბინძურები  
და თვალებს თვლემაც ენატრებოდა  
და ჩვენი ყრმობის მშვიდი დღეები  
სადღაც ვარბოდნენ, დაფეთებულნი  
ყაზარმის დოლით და საყვირებით.

ასე უბუროდ და უსიმღეროდ  
მიჭროდა ჩვენი ახალგაზრდობა.  
მე ჩემს თანამგზავს ვეძებდი ყველგან:  
იქნებ მას ეთქვა... ო, იქნებ ეთქვა,  
რაზე მეფიქრა ან მეოცნება,  
ვისთვის ან რისთვის მესროლა ტყვია.

და აი, ერთხელ ჩვენ ისევ შევხვდით  
და ახლაც ისევ მოულოდნელად.  
ის გაიმართა... მხედრის მახარა  
შემოტმასნოდა როგორც ჯაფშანი.  
მხრები, რომლებსაც ძირს ეწყოდა  
ჩამქრალ ვარსკვლავთა სიმძიმე წინათ,  
დღეს ჩინოვნიკურ სამხრეთულებით  
ათასნაირად ბრწყინავდნენ შზეში.

და მისი შუბლიც, ნათელი შუბლი  
გადაეჩეხა და დაეფარა  
ფერიჭამიებს და მრუდე ძარღვებს.  
სად გაქრა ნეტავ, სად გაქრა ნეტავ  
შენი შაშვების მშვიდი გალობა  
უკანასკნელო და წყნარო ღამევე.

მცირე მინდორი და მინდორის გულზე  
ზარბაზნის კვალი და ცალი ჩექმა  
და გაჩეჩქვილი კონსერვის ყუთი  
თოფის კონდახით. ყუთიდან წვეთავს  
მომწვანო სითხე და მაწანწალა  
ძალი ბალახებს ყნოსავს და ლოკავს.  
სოფლები გაქრნენ.  
გაოხრდა ყანა-

და ღამით სისხლის სქელ გუბებში  
მეტეორები ცვივიან მძიმედ  
და გაურკვეველად უკრავს მებუჯე.  
ანთია ცეცხლი და ცეცხლის ირგვლივ  
ჯარისკაცები ხოცავენ ტილებს.  
საფრანგეთს თავზე ეხვევა ბოლი.  
პრუსიის თავზე დაქრის გრიგალი  
და ბურუსშია მთელი რუსეთი.  
ჩვენ დაეტეოდით საყვარელ გვამებს,  
მერე საიქაროდ ვაყრიდით მიწას,  
მაგრამ ყოველთვის იცოცხლებს ჩვენში  
მათი ნათელი და წმინდა ხსოვნა.  
დღეს მათ გულებზე ამოსულ ბალახს  
სოფლის ცხენები თელავენ მხოლოდ  
და მხოლოდ გუთანს, ათასი ერთხელ,  
თუ ამოყვება მუნდირის დილი,  
მაგრამ ყოველთვის იცოცხლებს ჩვენში  
მათი ნათელი და წმინდა ხსოვნა.  
ჩვენ ცოცხლები ვართ — ჩვენ

ვიცოცხლობთ კიდე!  
და დრომოჭმული ჩვენი ქვეყანა  
ჩამოიფანტა და გაქრა ქარში,  
როგორც ქუთათუშის გამხმარი  
ქერცილი.

ღამშივდნენ ჩვენი საღამოები  
და დაგვიბრუნეს შრომის უნარი  
და უკვე ჩვენი მორჩილი გახდა  
სიტყვაც, რომელიც გვბანჯავდა  
დღემდე.

ჩვენ ბევრი რამე ვისწავლეთ მაინც,  
გავხდით მომთმენნი  
და ეშმაკები  
და შევეჩვიეთ თვალბში ცქერას.  
მაგრამ თუ უკვებ გვიმტყუნოს ხელმა  
ვერ დაამთავროს ეს სტრიქონები  
და გაირინდოს... ანდა წვერებზე  
ჩამოგვეკიდოს უღონო ტუჩი  
და მეგობრებმა კლუბის დარბაზში  
ძლივს შეგვათირონ და დაგვასვენონ,  
რათა ავმკაედეთ ფერმკრთალ  
ყვავილებს.

და გაჩაღებულ ნათურებს შორის, —  
დე, ჩვენი ხსოვნის პატივსაცემად  
მოვიდეს მაშინ ყმაწვილი კაცი,  
ოღონდ ცრემლები არ მოიწმინდოს  
და იმედივით დაგვადგეს თავზე.

თარგმანი ო. თარგმანი ბილაძის



კესან მუჟანი



ჩვენ მოველით ჯალილთან

აქ პირველად ახლა მოველ, ჯალილ,  
ამ დარბაზის კარი დამხვდა ღია.  
აი, ცრემლმაც შემინამა თვალი,  
ალტინ ჩეჩს<sup>1</sup> რომ ვუსმენ  
ხმა-ნადვლიანს.

თითქოს ამდენ ხეტიალის მერე  
ჩვენ ორთავე ერთადა ვართ კიდევ,  
ამ დარბაზში ერთუბრთს მოვეფერეთ  
და ავეყვით ამ მშვენიერ კიბეს.

აბალ სახლში ვეღარ გნახე, გახსოვს,  
მგწამ მოველ, აი, ახლა მოველ,  
თითქოს მართლაც ამ დარბაზში სახლობ  
და ვატარებ შენთან საღამოებს.

ხალხისათვის კარი გაგიღია, —  
უკვდავებას სხვა რამ არა სურს რა!  
... გარეთ ცივა, ცუდი ამინდია,  
დარჩი, ნუღარ გამააცილებ, მუსა.

მომანათე შენი თვალი ფართო,  
ჩემს ჭკალარას დააცქერდი თრთოლვით,  
მკითხე თითქოს: „აღდეს რად მოხველ  
მარტო,  
რად არ გახლავს შენი ნაზი ცოლი?“

თეატრიდან ხალხს გამოვეყვე გარეთ,  
დაწყვილდნენ და ეპ, მიდიან ასე.  
შე მარტო ვარ... სახლებს ჩაეუარე  
და შენს ლანდთან მივსაუბრობ გზაზე.

წყვილად მოვლენ... მე მარტო ვარ,  
მარტო,

ეპ, ლეიზა აღარ არის, მუსა...  
მკვლევაცირილნი გზას მისდევენ ფართოს.  
მე კი ცალად ავედევნე ქუჩას.

<sup>1</sup> გმანი ქალი ოპერისა, რომელაც დიფერენ-  
ციის მ. ჯალილის ლიბრეტოს მიხედვით.

მიფრინენ ღრუბლები

მიფრინენ იქეთ ღრუბლის გედები,  
სად ჩემი სახლი და ჯალაბია,  
მათ რას უამბობს წვიმის წვეთები,  
იქ რომ დახედვებით ფანჯარა ღია?  
მიფრინენ იქეთ ღრუბლის გედები...

ჯანღში და ბურში... ხან დალილს  
ცხელი

ცრემლი თოვაში შემომაცივდა...  
გზა-შარავ ჩემო, გრძელი ხარ, გრძელი!

ნუ, ნუ; მასველებ, წვიმაო, ეხლა  
ეპ, ნუ დასცინი გაცრეცილ ლანჩებს: ,  
მე ფეხშიშველა მოვედი ქვეყნად,  
რაა, წავიდე ამ ქვეყნით ასე!..  
ნუ, ნუ მასველებ, წვიმაო ეხლა.

ნეტავე წვიმამ ჩემზე თქვას რამე,  
ეპ, კაცის სულზე რა თქვან წვეთებმა!  
ცა დამეჩრდილა ღრუბლებით და მე  
გამწორდა წვიმა... მიეხეტება...  
წვიმამ ნეტავე ჩემზე თქვას რამე...

მიფრინენ იქეთ ღრუბლის გედები,  
სად ჩემი სახლი და ჯალაბია,  
და რას უამბობს წვიმის წვეთები,  
მათ რას დახედვებით ფანჯარა ღია?  
მიფრინენ იქეთ ღრუბლის გედები.

გზა-შარავ ჩემო, გრძელი ხარ, გრძელი!  
რამდენი ჩექმა შემომაცივით

თარგმანი ლადო სულაზარაძისა

# პკიტიკა & ჟურნალისტიკა



ზურაბ ჭავჭავაძის



## შენიშვნები რედაქციის თეორიის ზოგიერთ საკითხზე

ლიტერატურული მიმდინარეობების, მხატვრული სკოლების განვითარებას შემკვიდრეობითი ხასიათი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი შემოქმედებითი მიმართულება მხატვრული აზროვნების სფეროში კი არ უარყოფს ყოველივეს, რაც მის წინ არსებობდა, არამედ შემოქმედებითად უღდება წარსულს, ითვისებს ყოველივეს, რაც შეიძლება თავისებურად გაეცოდნეს ახალ კონკრეტულ-ისტორიულ გარემოში. ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში ცნობილ მიმდინარეობებს თუ მიმართულებებს შემკვიდრეობითი კავშირი აქვთ წარსულის ისეთ მოვლენებთანაც კი, რომლებიც ზოგიერთ დოკუმენტის „ტრადიციული“ მოსაზრებით, ძირშივე გამოირიცხავენ ერთმანეთს.

ურთიერთობა ძველ და ახალ ლიტერატურულ-შემოქმედებით სკოლებსა და მიმდინარეობებს შორის არაა მექანიკური პროცესი. ეს ურთიერთობა გულსხმობს, როგორც მეთოდოლოგიურ-მსოფლმხედველობრივ, ასევე მხატვრულ-სტილისტურ მიმართებას ძველისა ახლსადმი. თუ მხედველობაში არ მივრბობთ სიტუაციურად შემოქმედებით მიმართულებებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომლებიც თავიანთი „ულტრა-ადიკალიზმით“ დასაწყისი, დანერგვნი მხატვრული აზროვნების „ადამიანი“ ფაქტებს (დადასში, კუბიზმი, თანამედროვე მოდერნიზმის ნაარსებოები და ა.შ.) და ფაქტურად მხატვრული ფორმის დამლაშვლე მივიდნენ, მაშინ გადაჭარბებული არ უნდა იყოს, თუ ვიტყვი, რომ კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ სამყაროს ესთეტიკური თავისებობის ყველა მნიშვნელოვან ელას შემკვიდრეობითი-ტრადიციული კავშირი აერთიანებს. შესაძლებელია, ეს კავშირი უფრო მეტად იგაჩნდებოდეს მხატვრული ფორმის სფეროში (საქიროთა ან საკითხის გარკვევა ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ურთიერთობის თეოსაზრისით), ვიდრე მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური ხასიათის მომენტების შეჯერებისას, — მაგრამ ამას არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, მთავარი და გადაწყვეტი ისაა, რომ თუ არ ვა-

ღიარებთ შემკვიდრეობით კავშირს ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში არსებულ მნიშვნელოვან მიმდინარეობებსა და სკოლებს შორის, — მაშინ სწორად ვერ გადავწყვეტთ კულტურული შემკვიდრეობის პრობლემას და საერთოდ, მხატვრული აზროვნების ისტორიისათვის პრინციპულ საკითხებს.

აქვე უნდა დავახსენოთ შემდეგი შემკვიდრეობითი კავშირი ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და სკოლებს შორის არ უნდა გავიგოთ ისე, თითქმის რაღაც მზამზარეული ფორმების, სახეების, შტრიხებისა თუ დეტალების გადატან-გადმოტანა; გადაღება ხდება, პირიქით, კავშირი აქ შემოქმედებით კავშირს ნიშნავს — ე. ი. ხდება იმის თავისებურად განახლება, გაეცოდება, რაც ახალ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში, ახალი ლიტერატურული სკოლისა და მისი პრინციპების მიხედვით მიზანშეწონილად ჩათვალა შევარაღა — მხატვრული სიტუაციის ისტორიაში, გარკვეული იდეური მრწამსის მქონემ, წარსულის კულტურულ შემკვიდრეობაზე აღზრდილმა ამ რთულმა ფენომენმა.

ყოველივე ის, რაც მიმდინარეობათა თუ სკოლათა შორის შემკვიდრეობითი — ტრადიციული კავშირის შესახებ ვთქვით, მთლიანად ეხება რეალურს, კერძოდ, — სოციალისტურ რეალურს. ის ვინც ამას უარყოფს, ან კიდევ აღიარებს სოციალისტური რეალურის კავშირს მხოლოდ კლასიკურ რეალურთან (სხვა საქმეა ამ ასპექტში კლასიკური რეალურის წამყვანი მნიშვნელობა), — იმთავითვე აღიარებს ჩვენი ეპოქის ესთეტიკურ აზროვნებას, ხელოვნურად ზღუდავს ზეინ ლიტერატურის შემოქმედებითი შემოქმედების მხატვრულ შესაძლებლობებს.

სოციალისტური რეალურში, განსხვავებით სხვა შემოქმედებითი მეთოდებისაგან, პრინციპულად ახლებურ დამოკიდებულებას იწინებს მის წინამორბედ შემოქმედებით სკოლებისადმი, წარსულის მხატვრული მონაპოვრისადმი. სოციალისტური რეალურისთვის თავისობრივად ახალმა მეთოდ-

დოლოგორმა პრინციპებმა წარსლის მეგვიდ-  
რეობასთან ორგანული კავშირი განამტკიცეს  
ამასთან ერთად აუცილებელი გახდა ამ მეგვიდ-  
რეობის კრიტიკული ათვისება, მისი დაძლევა და  
შეშორებადებითი განვითარება. სოციალისტური  
რეალიზმის ხელოვნება, როგორც სოციალისტურ-  
რი საზოგადოების ცნობიერების ფორმა, წარსუ-  
ლის ესთეტიკური ნაარვეიდან ითვისებს ყვე-  
ლაფერს, რაც ორგანულად ეთვისება ახალ მე-  
თოდოლოგიურ პრინციპებს და, თავის მხრივ,  
შატერულ აზროვნების მსოფლიოს აძლიერებს  
ახალი ფორმებით, რაც შესაძლოა სოციალისტურ-  
რი სინამდვილის ასახვას შეიძლება მოჰყვეს.

სოციალისტური რეალიზმი რეალიზმის კლასი-  
კურ ტრადიციებს ავრცელებს და ანეთორებს;  
რეალიზმის კლასიკური ტრადიციებისათვის და-  
მხასიათებელმა ნიშან-თვისებებმა სოციალის-  
ტურ რეალიზმში გამოვსა თვისობრივად უფრო  
სრულყოფილი გამოხატულება. შატერული  
აზროვნების ყოველი კვამარტი მონაო-  
ვარი, ცხოვრებისეული სიმართლის განმა-  
სახიერებელი რეალისტური ტრადიციები —  
თი, შემოქმედებითი საფუძვლი სოცია-  
ლისტური რეალიზმისა, თუ მისი გე-  
ნეზისის საკითხს განვიხილავთ ისტორიულ  
ასპექტში. სხვა „საკლასიკო საწყისებში“ სოცია-  
ლისტურ რეალიზმში არ გამოიყარა არც მისი „თავი-  
დან ბოლომდე საკეთარი“ საზღვრების დადგენა  
შეიძლება. ამ ახალი შემოქმედებითი მეთოდის  
სიახლესა თუ ნოვატორობას დაფიქსავთ არა მი-  
სი „სპეციფიკური ძირების“ ძიებასა და მის და-  
პრისპირებაში რეალისტურ ტრადიციებთან (რო-  
მელსავე თითქოს უპირისპირდება იგი), არამედ  
იმ აზლებში ცვლილებების ჩვენებით, რაც იმ-  
პერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციე-  
ბის ეპოქაში ვანიცადა რეალისტრმა ლიტერა-  
ტურმა ტრადიციებმა. ამგვარი ცვლილებები,  
რეალისტური ტრადიციების ახალი ნიშან-თვის-  
ებებით შევსება, გამდიდრება, სრულყოფა თი  
იძღვრად მნიშვნელოვანია, რომ დღეს თვით რე-  
ალიზმის თვისობრივი განვითარება ახალ სტადი-  
აზე გლამარაკობთ, ეს სრულად კანონზომიერი  
ფაქტია საზოგადოებრივი განვითარების დღეან-  
დელ ეტაპზე, როცა ყველასათვის ცხადია მარქ-  
სისტულ-ლენინური მოძღვრების ტრადიცი-  
მთელ მსოფლიოში, სოციალიზმის გადაქცევა  
მსოფლიო სისტემადა, კომუნისმის ძლევაოსალი  
მშენებლობა საბჭოთა კავშირში. მსოფლიო  
მნიშვნელობის ამ ისტორიულ მოვლენებს არ  
შეიძლება არ მოეხდინათ ცვლილებები იდე-  
ოლოგიის სფეროში, კერძოდ, შატერული აზ-  
როვნების განვითარების ისტორიაში.

სამუაროს ესთეტიკური ათვისების სფეროში  
არსებითი ცვლილებები პროლეტარიატის ისტო-  
რიულ არენაზე გამოვლენის პერიოდიდან შეი-  
ნიშნება. ცვლილებები ში თურო შესაძინეადა,  
რაც უფრო ძლიერად გამოვსა რევოლუციური  
პროლეტარიატის — ბურჟუაზიის მესაფლავის  
ხმა. ეს ცვლილებები ახალ თვისობრივ ცვლი-

ლებად იქცევიან მას შემდეგ, რაც რევოლუციო-  
რი მოძრაობის ცენტრში ვერობიდან რუსეთში  
გაღმონაცვლა. განსაკუთრებით ეს ახალი ერამ  
დასაწყისიდან საზოგადოებრივი განვითარების  
ისტორიაში.

თი ცვლილებებზე ლამარაკი? ლამარაკიო ლი-  
ტერატურას, როგორც პროლეტარიატის საერ-  
თო საქმის ორგანული ნაწილის განვითარებაზე,  
მის იდეურ და შატერულ სრულყოფაზე, ლამა-  
რაკიო რეალისტური ტრადიციების ისეთ გამოყ-  
ნებაზე, ისეთი შატერული ფასეულობის შექმ-  
ნაზე, რაც დააკმაყოფილებს ჩვენი დროის შატო-  
მელი მსგების ვაზრდილ სულიერ მოთხოვნებს,  
დაეხმარება კაცობრიობას უკეთესი ცხოვრების,  
ნათელი მომავლის შექმნაში.

შელოდ სოციალისტური რეალიზმის ხელო-  
ვნებისა და ლიტერატურის შეუძლია შესარულოს  
ეს ისტორიული მისია. სწორედ ამ ისტორიული  
მისიის შესარულებისათვის ივენებს სოციალის-  
ტური რეალიზმი წარსლის კულტურულ მონა-  
პოვარს, რეალიზმის შარადიციებელ ტრადი-  
ციებს. საბჭოთა ლიტერატურის მიღწეებისა, სა-  
ხალხო დემოკრატის ქვეყნების მწერალთა წარ-  
მატებანი, კამიტალისტურ ქვეყნებში მკვოვრებ  
მოწინავე მწერალთა შემოქმედებითი ნი-  
შეშები — ნათელი დადასტურება იმისა,  
რომ სოციალისტური რეალიზმის ლი-  
ტერატურას დიდი წარმატებები აქვს მომ-  
ვებული ამ მიმართულებით. ვასაკეთებელი, ცხა-  
დაა, ვერ კიდევ ბეკრია. სოციალისტური რეა-  
ლიზმის მეთოდი არაა ერთხელ და საზღვადილ  
დაკანონებულ ნორმებსა თუ სქემების ერთობა-  
ლიობა. იგი მუდმივ ცვლილებებსა და სრულ-  
ყოფას განიცდის. იგი სულ ახალი და ახალი  
ფორმებისა და გამოხატვის საშუალებათა ძიება-  
შია, ფორმებისა, რაც მას მეტად რთული და  
მრავალფეროვანი თანამედროვე ცხოვრების უკე-  
თავს, სრულყოფიანი ასახვის საშუალებას მის-  
ცემს. სწორედ ესაა სოციალისტური რეალიზმის  
დადი, შატრამ ურთულესი ამოცანა თანამედრო-  
ვე ეტაპზე!

ყოველი ქვეყნის ეროვნული ლიტერატურა  
ეროვნული ხასიათის შატერული განსახიერებაა.  
ეს შემოქმედებითი კანონზომიერება ობიექტურ-  
რად გამომდინარეობს კლასიკური შემოქმედები-  
თი ნიშეშებიდან, ესაა ხერხმავალი ყოველი  
დროის რეალისტური ლიტერატურისა.

სოციალისტური რეალიზმი, ცხადია, ავრ-  
ქილებს შატერული შემოქმედების ამ შავისტრა-  
ლურ ხაზს; შატრამ არა მარტო ავრძელებს, არა-  
მედ ნოვატორულად ანეთორებს მას. სოცია-  
ლისტური რეალიზმის ნიშეშებ  
თი ხალხი შირავდელ გამოვიდა,

როგორც ისტორიის განმსაზღვრელი ძალა, ხოლო ადამიანი, როგორც აქტიური, საკუთარ ძლიერებაში დარწმუნებული ინდივიდი. საზოგადოებრივი ყოფიერების ამ კარდინალური საკითხის სწორ გაშუქებას სოციალისტური რეალიზმი ახერხებს მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიური პოზიციებიდან, სოციალისტური სინამდვილის სიმალიდან.

სოციალისტური რეალიზმის ნიმუშებში განსაკუთრებით ძლიერია ცხოვრებისდამდგინებელი საწყისი, რომლის პრაქტიკაში გატარებისათვის ახალი ცხოვრების ახალი ადამიანი იბრძვის. ესაა ადამიანი, რომელიც თავისუფალია პიროვნული თავისუფლების პურჯუბილი იღუბისაგან, რომლის შეგნებაშიც შეერთებულია პირადული და საზოგადოებრივი ინტერესები. მისთვის უცხოა სინამდვილისადმი პასიური, „მკვრეტლური“ დამოკიდებულება, იგი მოწოდებულია გარდაქმნას ეს სინამდვილე. სინამდვილის გატარების პროცესში სულიერად მაღლდება თვით ეს ადამიანი; იგი ეჩვევა ბრძოლას სიმშველეთან, ბრძოლას ძველსა და დროშოქმულის წინააღმდეგ, ბრძოლას ახალი საზოგადოების წათელი იდეალისათვის. აქტიური შემოქმედებით პროცესში ადამიანის, ხალხის სულიერი გამოწვრთობის ჩვენება, ცხოვრების აღმავალი განვითარების დანახვა — სოციალისტური რეალიზმის ნოვატორული ნიშან-თვისებაა. აქ ზედმეტი არ იქნება გავისხენით გოაკისეული დახასიათება კრიტიკური რეალიზმისა, ეს კიდევ უფრო წითელი ვახდება ის სიახლე, რაც სოციალისტურმა რეალიზმმა მხატვრული აზროვნების საგანძურში შეიტანა. მაქსიმ გორკი წერს: „ბურჯუბიის დაბნეული ბავშვების“ რეალიზმი, კრიტიკული რეალიზმი იყუა: მან გვიჩვენა საზოგადოების მანკურება, ასახა პიროვნების ცხოვრება და თავდადასავალი ოჯახური ტრადიციების, რელიგიური დოგმატიზმისა და სამართლის ნორმების ტყვეობაში, მაგრამ მან ვერ შეძლო ადამიანისათვის ეჩვენებინა გამოსავალი ამ ტყვეობიდან; ადვილად ზღვებოდა კრიტიკა ყოველივე არსებულისა, მაგრამ არადერი იყო დასადგინებელი, გარდა სოციალური ცხოვრების, და, საერთოდ, შედეგ „ყოფიერების“ ამკარა უაზრობისა...“!

კრიტიკული რეალიზმის ეს შეფასება ცალმხრივად არ უნდა გავიგოთ, არც ზედმეტად უნდა განვაზოგადოთ. მ. გორკი აქლამბრაკობს არა იმაზე, რომ კრიტიკულ რეალიზმში არ იყო რამე პოზიტური იდეალი, არამედ ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ ამ ლიტერატურაში წამ-

ყვანი ნეგატური ტენდენცია იყო. ასევე, შტიკევა იმისა, რომ სოციალისტურ რეალიზმში მთავარი პოზიტურა საწყისია — არ ნიშნავს მასში კრიტიციზმის არ არსებობას. ვასაგებია, რომ ბრძოლა ძველსა და დროშოქმულის წინააღმდეგ არ შეიძლება ნეგაციის ძლიერი საშუალებების გარეშე. სოციალისტურ რეალიზმს ასეთი საშუალებები ჭარბად მოეპოვება (კრიტიკურა, სატირა, პემორი და სხვ.).

სოციალისტური რეალიზმი თანამედროვე ადამიანის რთულ სულიერ სამყაროს გვიჩვენებს. ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევრდები, რომელიც კარგად იცნობს ცხოვრებას, ადამიანებს, არ უღალატებს ასახვის რეალისტურ მეთოდს: არ მოწყვეტს გმირს იმ გარემოს, რომელშიც ის ცხოვრობს და შრომობს; არ დაუქვემდებარებს მის ფიქრებსა და ზრახვებს წინასწარ შეზღუდულ ავტორისეულ სემასა და ა. შ. ერთი სიტყვით, მხატვრული საშუალებებით უნდა იყოს ნათქვამი ის, რასაც მარქსი ჯერ კიდევ ფიქრებისა და აბსტრაქტული „ადამიანის“ კრიტიკისას ამბობდა: ადამიანი არაა აბსტრაქტული არსება; იგი ფაქტიურად „საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთლიანობაში“. რეალისტურა ნაწარმოებს პერსონაჟები ავტორებულად უნდა ამქალაქებდნენ ამგვარ „მთლიანობას“; თუ როგორ — ეს სხვა კატეგორიის საკმოდ რთული საჭეა და ხარისხი მისი შესრულებისა დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, თვით შემოქმედის მხატვრულ ოსტატობაზე.

რეალისტურა ნაწარმოებს გმირს ყოველთვის ეპოქის დალი აზის. მისი აზრებითა და ფიქრებით, სხვა ყოველგვარი შინაშინების გარეშე ადვილად მიხედები თუ რომელი სინამდვილის პრობლემა იყუა, საზოგადოებრივი ცხოვრების რა მოვლენებმა განსაზღვრეს მისი მრწამსი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ეკვის ქვემდგება ავტორის მეთოდოლოგიური კონცეფცია, ნაწარმოების რეალიზმი. გმირის ხასიათში ობიექტური სინამდვილე იმდენადიერად შეიძლება წარმოსახოს, ამ წარმოსახვის რამდენი კონკრეტული შემთხვევა იქნება შეიძლება ლამბაკი მხოლოდ წარმოსახვის საშუალებათა ერთი მეთოდოლოგიური საფუძვლის შესახებ რომელიც ლიტერატურული მიმდინარეობის ფარგლებში, მაგრამ ასახვის ინდივიდულობა უცმ-მარტივ შემოქმედებით ნიმუშში — ყოველთვის გამოჩნდება. მაგრამ ასახვის როგორი ინდივიდუალური შემთხვევაც არ უნდა გვქონდეს, — თუ მეთოდოლოგიური პრინციპი დაცული იქნება, — ხასიათებში ყოველთვის დავიანახეთ „საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთლიანობას“.

გახსენება ამ ცნობილი ამბებისა ჩვენ ერთი ვარუშობების გამო დავვირდია. ამ ბოლო დროს ჩვენშიც და საზღვარგარეშაც გაძლიერდა მისწ-



რაცხედავს ისეთი ნაწარმოებების შექმნისაკენ, როგორცხედავს ჩვეულებრივ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პლანის ნაწარმოებებს უწოდებენ. ესაა მხატვრული ნიმუშები, რომლებშიც მოქმედება „ემბირულ“ სინამდვილეში მინიმუმამდეა დაყვანილი... მთელი სიმძიმე მოქმედების განვითარებისა ინტელექტისა და აზრის სფეროშია გადატანილი. გმირები ამგვარი ნაწარმოებებისა, ასე ვთქვათ, უფრო მეტს აზრავდნენ, მსჯელობენ — „ჩხიარვდნობენ“ საკუთარი განცდებში, ვიდრე „რეალურად“ მოქმედებენ. ასეთ ნაწარმოებებში ჭარბადაა, ასე ვთქვათ, „საგანგებო“ აღიარებები „ეცოდებები“ მსჯელობებისა და განზოგადოებისათვის. საერთოდ ეს მანერა არაა ახალი ლიტერატურის ისტორიაში. შორს რომ არ წავიდეთ, სათანადო ნიმუშებს იღვებდა ვიპოვებთ თომას მინისა და დისტოვესის შემოქმედებაში („მოჯადოებულა შთა“, „დოქტორი ფაუსტუსი“, „ილიტი“ და სხვა). მით უფრო საინტერესოა, რა სხვა შიილი ამ ტრადიციამ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურულ ნიმუშებში, რეცელდება განიცადა სინამდვილის ასახვის ამ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურმა მანერამ ახალი მსოფლმხედველობის საფუძველზე. ჩვენ ამ ვერ შევუდგებით ამ საკითხის ყოველმხრივ გაჩვენებას (მით უფრო, რომ ამ თემაზე ჯერჯერობით ერთი წერილიც კი არაა გამოქვეყნებულა), ვიტყვიტო მხოლოდ, სოციალისტური რეალიზმის ამგვარი ნიმუშებში მსჯელობა, ფიქრები, განცდები, უფრო კონკრეტულია, „მიწიერია“, სინამდვილის მიხედვით უფრო ადვილად ასახსნელია, ვიდრე კრიტიკული რეალიზმის ანალიტიკური ნიმუშებში.

რეალიზმის თეორიის ცალკეული საკითხებიც მოიხილვენ ახლებურ გაშუქებას სოციალისტური რეალიზმის თეორიულ მიღწევათა შექმნე შედეგად მხოლოდ საკითხის დასმას.

სოციალისტური რეალიზმის ტერმინი ნიმუშში ფორმისა და შინაარსის ისეთ ურთიერთობას გულისხმობს, როგორც არ შეინიშნება წინა საუკუნეების ლიტერატურაში. ესაა ურთიერთობა, რომელიც გამოიხატავს ფორმის სფეროში თვითმზნურ ექსპერიმენტებს, მხატვრულ საშუალებათა რიგე შეუსაბამობას ასახვის ობიექტისადმი.

შერლისათვის, რომელიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ერთგულია, მხატვრული სხე ახალი მსოფლმხედველობრივი კატეგორიებისა და აქედან გამომდინარე დიალექტიკურ-ლოგიკური ცნებების მიხედვით მხატვრული არსებების შედგენია მხატვრული სახე მსთან უფრო გამჭვირვალე, ხელშესახები და ცხოვ-

რებისეულია. მის მხატვრულ სხეში მტრია ლოკიურობის მომენტები.

სოციალისტური რეალიზმის ზოგიერთი კერძოილი და პრაქტიკული საკითხის ამგვარი მკაფი მართხილედანაც აწკარაა, რომ თანამედროვე ლიტერატურის ამ მოწინავე შემოქმედებით მეთოდთან დაკავშირებულა მნიშვნელოვანი ესთეტიკური სიხლე მხატვრული აზრების ისტორიაში. ეს სახლე ყველა ქვეყნის ლიტერატურაში ერთნაირად როდი გამოხინდა. ეს არც იყო მოსალოდნელი. ამ თვალსაზრისით გამსაყურებით თვალსაზრისა საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებით მიღწევებია. რაკე ჩვენ ვლამარაკობდით სოციალისტურ რეალიზმზე, როგორც თვალსაზრისად ახალ საფეხზე რეალიზმის განვითარებაში, ჩვენ პირველ რიგში მხედველობაში გვქონდა მ. შოლოხოვის, ა. ფადეევის, კ. ფედინის და სხვათა ცნობილი ნაწარმოებები, ხოლო შემდეგ მოწინავე საზღვარგარეთული ლიტერატურის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიცაა — ა. ზეგინი, ი. ბეხერი, მ. სადოვიანე, ა. ამალე, ლ. არაგონი, მათ — დენი, მ. პუშინაოვა და სხვ. მიხეზი ამისა ცხადია: საბჭოთა მწერლებს, რომლებაც გამარჯვებული სოციალისმის ქვეყანაში მოღვაწეობდნენ, მეტი იდებრა და მხატვრული წრთობა აქვთ მიღებულია, ვიდრე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მით უფრო კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე ლიტერატურის წარმომადგენლებს. ისინი დიდად აფასებენ საბჭოთა ლიტერატურის მონამდევარს, ცდილობენ მის შემოქმედებით ათვისებას.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი საზღვარგარეთ სულ უფრო და უფრო მეტ გავრცელებას პოელობს. მოწინავე ლიტერატურულ კრიტიკის კარგად ესმის მისი მნიშვნელობა მსების სულეერ ცხოვრებაში, ამიტომ იგი ამ მეთოდის უზრალ პოპულარიზაციას კი არ უწევია, არამედ მეცნიერული არეუმენტაციო ცდილობს მისი არსებითი ნიშნების ჩვენებას, განმარტავს რეალიზმის თეორიის პრაბლემურ საკითხებს. საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის დემოკრატიული ზესკუბლობისა და სხვა ქვეყნების მოწინავე კრიტიკოსებს სწორად ესმით, კერძოდ, კლასიკური შემოქმედრობისა და სოციალისტური რეალიზმის ნოვტორიზმის საკითხები. მოცყენათ რამდენიმე მაგალითი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობაზე (1950 წლის აპრილი) შორის ტორეზმა მწერლებსა და მხატვრებს მოუწოდლა „შექმნან ხელოვნება, რომელიც მთავრებულა იქნება სოციალისტური რეალიზმით, რომელსაც გაავებს მუშათა კლასი, ხელოვნება, რომელიც მუშათა კლასის დაქმნარება მის გამანთავისუფლებლ პრბოლამში...“! მ. ტორეზმა

1 L. Humanité 1950, 3/IV.

განმარტა, რომ ასეთი ხელოვნება მხოლოდ კლასიკური ტრადიციების გამოყენებით შეიძლება შეიქმნას.

50-იან წლებში საფრანგეთში შეიქმნა ვრცელი ლიტერატურა, რომელშიც სოციალისტური რეალიზმის საკითხებია განხილული. აღსანიშნავია, კერძოდ, ლ. არაგონის წიგნი „საბჭოთა ლიტერატურა“, წიგნი „რეალიზმი ფრანგულ, რეალიზმი სოციალისტური“, ა. სტილის წერილების კრებული და სხვა. კლასიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა მარსელ კამენის წერილები ბალზაჟე, ლ. არაგონის სტატიებში ლ. ტოლსტოიზე, მ. დეკისა „ბალზაჟე და რეალიზმი“ და სხვ. თუ რას ნიშნავს ბალზაჟის ტრადიცია დღევანდელ საფრანგეთში, ამის შესახებ ა. ვიორშსერი წერს: „რეალისტი, რომელიც უნდა იყოს ისეთივე ობიექტური მხატვარი რეალური სინამდვილისა, როგორიც იყო თავის დროზე ბალზაჟი, არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კრიტიკით. მან ხელი უნდა შეუწყოს ახალი სამყაროს დადგენებას“<sup>1</sup>. ასეთივე პრინციპი კრიტიკოსი ვარლო. იყო ბალზაჟის მიმდევარი დღეს — ის ნიშნავს შეიცნოს ისტორიის მიმართა... აღიარო ის, რაც არ იყო ბალზაჟე: სოციალური განახლების ძალები... იყო ბალზაჟელი ჩვენს დღეებში, ეს ნიშნავს გაიგო და ასახო სინამდვილის გარემოში მისი ძალების ომპავლება, მათი ყოველდღიური ბრძოლა რეალობის წინააღმდეგ“<sup>2</sup>. სოციალისტური რეალიზმის თეორიული საკითხების სწორი გააზრებით, კერძოდ, რეალისტური ტრადიციების სწორი შეფასებით თანამედროვეობის მოწინავე ლიტერატურისათვის, — სპურადღებოა აგრეთვე ინგლისელი მწერლის ჯ. ლინდსეის კრიტიკული წერილები კრებულში — „წარკვევიანი სოციალისტური რეალიზმის შესახებ და ბრიტანეთის კულტურული ტრადიცია“<sup>3</sup>.



სოციალისტური რეალიზმი თანამედროვეობის სხვა ლიტერატურული მიმდინარეობებთან ურთიერთობაში ვითარდება ამ მიმდინარეობებიდან, როგორც ერთ-ერთი წამყვანი დღევანდელ საზღვარგარეთელ ლიტერატურაში, აღსანიშნავია კრიტიკული რეალიზმი ან, როგორც მას სიზუსტისათვის უწოდებენ, მე-20 საუკუნის კრიტიკული რეალიზმი (ამით მითითებულია განსხვავება მე-20 საუკუნის რეალიზმისა კლასიკურთან შედარებით). ეს ურთიერთობა

კოცხალი შემოქმედებითი პროცესია, რომელსაც დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს როგორც სოციალისტური, ისევე კრიტიკული რეალიზმის შექმნებისათვის, ამ [ფრაზის] ხაზგასმით აღნიშნავდა/ხელში მეჭმომ გორკი, რომელიც თავისი შემოქმედების საწყისებზე არ თიშავდა ჩეხოვისა და როლანის, ფრანსისა და შოუს მხატვრული მიღწევებისაგან. ასეა დღეს სოციალისტური რეალიზმი ჩვენს ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ შემოქმედებითად იყენებს არა მარტო კლასიკური, არამედ დღევანდელი კრიტიკული რეალიზმის მონაპოვარსაც და ეს ხდება იმ დროს, როცა თვით კრიტიკული რეალიზმის ცალკეულ წარმომადგენელთა იდეური და მხატვრული ევოლუცია სოციალისტური რეალიზმისავე, რაც განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პერიოდიდანაა შესაძლებელი, — დღისათვისაც ფაქტია კარგად წერის გერმანელი კრიტიკოსი პაულ რაიმანი: „ცალკეული შემთხვევებისა და გამონაკლისების მიუხედავად, ცხადია, რომ თანამედროვე კულტურული განვითარების ძირითად ტენდენციას წარმოადგენს კრიტიკული რეალიზმის განსაკუთრებული სოციალისტური რეალიზმი“<sup>1</sup>. ეს ტენდენცია შედარებით აღერ ნათლად გამოჩნდა ა. ბარბიუსის, რ. როლანის, თ. დრაიზერისა და სხვათა ნაწარმოებებში. ჩვენს ლიტერატურათმკოდნეობაში სწორად აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ საფრანგეთში სოციალისტური რეალიზმის გზა ა. ბარბიუსმა და რ. როლანმა გააფხვს, თუმცა ისინი ამას არ აღნიშნავდნენ „სოციალისტური რეალიზმი“<sup>2</sup>. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი სხვა მწერლის შესახებაც.

ლ. არაგონმა, ი. ბეზერმა, ა. ზევრისმა შემოქმედების ადრეულ ეტაპზე მ. მანმა, ა. ცვაიგმა და სხვებმა მთელი მოღვაწეობის მანძილზე განიცადეს სოციალისტური რეალიზმის კეთილსმყოფელი გავლენა. უფრო მეტიც, ეს გავლენა და საერთოდ, ლიტერატურულ მომდინარეობათა ურთიერთობა არ უნდა გაიგოთ უბრალოდ, სწორბაზოვანად, შემოქმედებითი ურთიერთობა როდელი პროცესია საჭირო ამ პროცესის მეცნიერული შესწავლა მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ როგორ სცდებიან ისინი, ვინც სოციალისტური რეალიზმს „ერთადერთ“ მიმდინარეობას უწოდებს, „ბრტალიტარულ“ მეთოდად აცხადებს, ხოლო ყველაფერ სხვას „რეპიკულ ლიტერატურად“, თანამედროვე მოდერნიზმად მიიჩნევს ამიტომ იყო, რომ პროფ. ი. ანისიმოვი „პრავდაში“ წერდა: „თანამედროვე პრობლემები კრიტიკული რეალიზმი მტერი კი არა, თანამებრძოლი სოციალისტური

<sup>1</sup> „Les lettres francaises“, 1949, 13<sup>e</sup>X.

<sup>2</sup> „La Pensee“, 1949, IX—X.

<sup>3</sup> Essays on socialist realism and the British cultural tradition, London, Kenion press.

<sup>1</sup> P. Reimann, Über realistische Kunstauffassung, Berlin, 1949, s. 117—118.

<sup>2</sup> Мотылева, Творчество Романа Ролана, М., 1950, стр. 479.

რეალიზმსა... მხოლოდ ახლომხედველ კრიტიკოსებს შეუძლიათ თქვან, რომ კრიტიკული რეალიზმის პრობლემა უკვე მოხსნილია...<sup>1</sup>

ჩვენ აქ არ შევუდგებით თანამედროვე კრიტიკულ რეალიზმის რამდენიმე სრულ დახასიათებას, მით უფრო რომ იგი საკმაოდ ვრცელ განვიხილავთ რეალიზმის სხვა საკითხებზე მსჯელობის დროს.<sup>2</sup> განვიხილავთ მხოლოდ რთულ მხატვრულ მიმდინარეობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელშიც იტალიაში მიიღო ყველაზე რელიეფური სახე და, რომელიც ნეორეალიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. განვიხილავთ ნეორეალიზმს, რადგან იგი საინტერესოა სწორედ სოციალისტურ რეალიზმთან ურთიერთობის ასპექტში. ნეორეალიზმის მოწინავე წარმომადგენლების დე სანტისის, დე სიასი, კარლო ლევისა და ვასკო პრატოლის შემოქმედებაში, როგორც აღნიშნავენ, სოციალისტური რეალიზმისავე განვითარების აწყობა ტენდენცია შეამჩნევს.<sup>3</sup>

კიდევ ერთი წინასწარი შენიშვნა. დღეს ყველაზე ახლოს აშკარაა, რომ სოციალისტური რეალიზმის, როგორც შეთადრის საფუძველზე მხატვრული წერის საკმაოდ ბევრი, ვეროპრობლემისაგან განსხვავებული მანერა არსებობს. ზოგიერთი სოციალისტური რეალიზმის შიგნით რა ძირითად ტენდენციასაც კი გამოყოფთ: ერთი მისწრაფება უფრო განზოგადობისაკენ, სინამდვილის რომანტიზაციისაკენ, მეორე — მაქსიმალური ობიექტურობით ცხოვრების ჩვენებისაკენ. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სოციალისტური რეალიზმი გულისხმობს შემოქმედებით ინდივიდუალობის, მხატვრული მანერის ორიგინალობის ფართო შესაძლებლობებს. საკითხის ამგვარ გაშუქებასა და კონკრეტული მაგალითებით ამ შესაძლებლობათა რეალურ ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ლიტერატურული პროცესისათვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია სოციალისტური რეალიზმის აღმავალი განვითარება სხვა მიმდინარეობებთან თუ მიმართულებებთან ურთიერთობის ასპექტში, კერძოდ წარდგენ ამის შესახებ საბჭოთა კრიტიკოსები კ. ზელისკი და გ. ბრეიტბურდი „ლიტერატურისათვის“ ვაზუტაში: „ეფექტობთ, რომ სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე სხვადასხვაგვარი შემოქმედებითი ძიების შე-

საძებლობას აქვს და ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოს ხელოვნების განვითარებისათვის. რაც უფრო მიქნდება და მრავალმხრივი იქნება სოციალისტურ რეალიზმის შეთადრის, რომელშიც აუცილებლად უნდა შეინახონ მთელი თავისი იდეური გამიზნულობა და პარტიული სიმბოლე, რაც უფრო ნაყვლად დოგმატური იქნება ჩვენი მიდგომა სოციალისტური რეალიზმის ამოცანებისადმი, — მით უფრო მეტი ხელოვნადა ვეროპრობლემის დროშის ქვეშ, მით უფრო მეტი მომხრეს გაიჩენს იგი ყველა ქვეყანაში“<sup>4</sup>. სანამ უფრო იქნება დასახელებული ვასკო პრატოლიანი, ავტორის რომანის „მეტრო“ (ტრილოგიის პირველი ნაწილი), რომელიც კრიტიკოსთა აზრით, თანამედროვე იტალიას „სოციალისტური რეალიზმისათვის მასობრივი პოზიციონირება“ ასახავს.

სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე და მის შიგნით შემოქმედებითი ძიების საკითხი — ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია მხატვრული აზროვნების დღევანდელ ეტაპზე. ამას ადასტურებს დისკუსიები როგორც ჩვენში, ასევე ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში.

ნეორეალიზმის თეორიულ საკითხებზე არ არის შეხედულებათა ერთიანობა. თვით სახელწოდება — „ნეორეალიზმი“ სხვადასხვა მკვლევარისათვის სხვადასხვა აზრის შემცველია. მიუხედავად ამისა, აზრთა ამგვარ სხვადასხვაობაში შეიძლება მოვხაზოთ ზოგიერთი კანონზომიერება.

ნეორეალიზმს „ქნელი განსაზღვრება“ უწოდა იტალიელმა კრიტიკოსმა კარლო ბოზი, როცა მან უპასუხა იტალიის რადიოს კითხვებზე: „რა არის ნეორეალიზმი? სოციალისტთა ერთი ნაწილი იმ აზრისაა, რომ იტალიურ ლიტერატურაში ნეორეალიზმი, როგორც გარკვეული შემოქმედებითი სკოლა — არ ყოფილა, რომ ეს სახელწოდება შექანიერად შემოვიდა იტალიური კინემატოგრაფიიდან, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა ახალი რეალისტური მიმდინარეობა. იტალიელი პოეტი ე. მონტალე პირდაპირ წერს, ნეორეალიზმის ეთაქტი, იტალიაში მინერ თუ სხვაგან არა, კინემატოგრაფიული წარმომოხსიანა, არა მგონია, რომ ხელოვნების სხვა სახეობათა შესახებ მსჯელობის დროს შეიძლება დღეს მისი დასახელება, როგორც მუდმივი და ჩამოყალიბებული მიმდინარეობისა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> И. Анисимов, Социалистический реализм и современная литература («Правда» 1958, 27/VIII).

<sup>2</sup> ზ. პარხლაშვილი, თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის ზოგიერთი საკითხის შესახებ, („მნათობი“, 1958, № 12).

<sup>3</sup> А. Иващенко, Социалистический реализм и современная зарубежная литература («Вопросы литературы», 1959, № 5, стр. 102).

<sup>4</sup> К. Зелинский и Г. Брейтбург, Социалистический реализм и неореализм («Литературная газета», 1959, 13/X).

<sup>5</sup> ციტირებულია წიგნიდან — художественные направления в современном зарубежном искусстве, 1959.

რეალიზმის, კერძოდ ნეორეალიზმის საკითხებზე იტალიაში უკანასკნელ წლებში მრავალი დისკუსია გაიმართა. მათ შორის აღსანიშნავია დისკუსია ანტონიო გრამშის სახელობის რომის ინსტიტუტში (1959 წლის ზაფხული) და 1950-51 — წლებში იტალიის რადიოს მიერ მოწყობილი დისკუსია — „გამოკითხვა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რომის, ფლორენციის მილანისა და ტურინის კულტურის დარგის შემსაქმებელმა გამოკითხვა ბევრი თვალსაზრისი, ზნორად ერთმანეთის საწინააღმდეგოც ბურჟუაზიულ-კათოლიკური კრიტიკის წარმომადგენლებმა, ვერ უარყვეს რა ახალი, მძლავრი შემოქმედებითი მიმდინარეობის არსებობა ომის შემდგომი პერიოდის იტალიურ ხელოვნებაში, სხვადასხვა საშუალებებით სცადეს მისი გაუფასურება. კრიტიკოსმა დ. ანჯილოტიმ, მაგალითად, განაცხადა: „ნეორეალიზმში მე ვერ ვხედავ სიახლეს. იგი უფრო რეგრესს ნიშნავს. მიუხედავად მისი გარკვეული მორალური საფუძვლისა, ნეორეალიზმში მოცემულია შიში ფანტაზიისა და სტილის წინაშე...“ ჯ. ფერატა, ნ. გალი და სხვები იძულებულნი არიან აღიარონ ნეორეალიზმის არსებობა, მაგრამ არ თვლიან მას ჩამოყალიბებულ მიმდინარეობად, შემოქმედებით სკოლად; „სკოლის მდგომარეობა“, „სკოლის აფეთქება“ უწოდეს მას დასახელებულმა კრიტიკოსებმა, ხოლო ა. სერონიმ პირდაპირ განაცხადა: „ნეორეალიზმზე შეიძლება ვილაპარაკოთ არა როგორც სკოლაზე... არამედ როგორც მოძრაობაზე, ტენდენციაზე, ან უფრო სწორად, დროის მიერ წარმოშობილ მოთხოვნებზე“.

ნეორეალიზმის არსისა და გენეზისის საკითხებს სხვაგვარად აშუქებენ პროგრესული იტალიური ხელოვნების მემსაქმეები, მოწინავე კრი-

ტიკის წარმომადგენლები. გამოჩენილია კინოხელოვანმა კარლო ლიბანიმ დი კვიდი არსიტაკომ ჯერ კიდევ 1953 წელს ერთ-ერთ საჯარო დისკუსიაზე დასაბუთეს, რომ „ნეორეალიზმი არაა ფორმულა, არც მოდური თეორია; ის არის რეალისტური მიმართულებით კულტურის განვითარების გარკვეული მომენტი...“ კრიტიკოსმა ლ. კაბინიმ ნეორეალიზმი ჩათვალა შემოქმედებით მეთოდად, რომელიც სინამდვილეს თავისებური, ორიგინალური მხატვრული პრინციპების მიხედვით ასახავს. ამ დებულებას მხარს უჭერენ ლიტერატურული ძურნალები — „ილ კონტემპორანეო“ და „ილ კლენდარო დელ პოპოლო“. შეაჯამეს რა შედეგები დისკუსიებისა ნეორეალიზმის საკითხებზე, ამ ძურნალებმა დაიცივეს ის თვალსაზრისი, რომ ნეორეალიზმი შემოქმედებითი მეთოდია, რომლის საფუძველზედაც ომის შემდგომი პერიოდის იტალიაში რეალიზმის ახალი სახეობა განვითარდა. „ილ კონტემპორანეო“ ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნა: „ნეორეალიზმი შემოქმედებითი მეთოდია, რომელიც წარმოიშვა ხალხთა მასების მოძრაობისა და მარქსისტული თეორიის საფუძველზე“<sup>1</sup>.

ნეორეალიზმი რეალიზმის გარკვეული სახესხეობაა იგი არ არის ხელოვნების ისტორიაში ცნობილი რომელიმე მიმართულების გამეორება, ან კიდევ ფორმალური სიახლე მველ შემოქმედებით შესაძლებლობათა საფუძველზე. ნეორეალიზმის თეორიტიკოსებმა ახლებური მოთხოვნები წაუყენეს ომის შემდგომი პერიოდის იტალიურ ხელოვნებასა და სცადეს კიდევ მისი ესთეტიკური დასაბუთება.

<sup>1</sup> კრიტიკებულაა წიგნიდან — „Художественные направления“...

(გაგრძელება იქნება)



# გიორგი აბუნიანიძე



## ღმვან ასათიანი

(გარდაცვალებიდან 6 წლისთავის ვაჟი).

ჩემს წინ დევს ღვეან ასათიანის რჩეული ნაწარების დიდი ტომი. ვფერცლავ ამ შესანიშნავ წიგნს და თვალწინ ცოცხლად მესახება მისა და მწერის განვლილი შემოქმედებითი გზა, დაუღალავი შრომა, სულიერი წვა და უსასზღერო სიყვარული ქართული მწერლობისა.

მისი წიგნების ფერცლებიდან გამოსჭვივის ავტორის ანალიტიკური გონების ძალა და ესთეტიკური ფერომენის ღრმა განცდა. ჩვენს წინ წარმოსდგება მხატვრული ინტელიტით დაჯღღლავებული მკვლევარი, რომლისთვისაც უცხოა მშრალი ისტორიული სქემები და რომელაც ლიტერატურულ შინოვარაფიაში თუ ნარკვევში აქსოვს პლასტიკურ სახეებს და სურათებს, რითაც გვიადგილებს გადამსულ ეპოქათა იდეებისა და სურნელების განცდას.

ასევე ძლიერია ღვეან ასათიანის კალამი, როცა იგი თანამედროვეობის თემს ეხება. მისი მკვეთრი ლიტერატურული მედალიონები ჩვენი დროის მწერალთა და ხელოვანთა ცოცხალ სახეებს წარმოგვისახავს. მკვლევარი მათი თანამედროვეა და მათზე გასაუბრებიათ, როგორც სულიერ მეგობრებზე, როგორც მათი შემოქმედების მესალიდებზე. მისი გამოთქმა ლამინდარულია, აზრი — მახვილი, რამდენიმე შტრიხით იგი გავრძნობინებთ მხატვრის თავისებურებას. აგი გრძნობს რა მიმართულებით ძვეს მწერლის შემოქმედების ყველაზე ძარღვიანი და ღირსშესანიშნავი პლასტები და თქვენ ყურადღებამ სწორედ იქვე მიამყრობს, არა მხოლოდ როგორც ესთეტიკურ ღირებულებათა აღმწერელი, არამედ მათი ფაქიზა ანალიტიკოსი, ამ ღირებულების შემქმნელთა გემოვნების სიმაღლეზე მდგარი და ზოგჯერ მათი გზის მახვილებელიც. თანამედროვეობის სიმაღლიდან გასცქეროდა იგი ჩვენი წარსული ლიტერატურის მწვერვლებსაც.

ღვეან ასათიანის ლიტერატურული ინტერესები უმოთარესად საბჭოთა მწერლობისა და მე-19 საუკუნის ლიტერატურით იფარგლებოდა. მაგარამ, მას, როგორც მკვლევარს, აღორძინების პერიოდისა და ე. წ. გარდამავალი ხანის ჩვენი მხატვრული მწერლობა და საზოგადოებრივი აზროვნებაც იზიდავდა. ამიტომ იყო, რომ იმავეითვე მიამყრო მან ყურადღება ამ პერიოდის ნაკლებად დამუშავებულ თემებს და იბი მეტად ხანტერესო ნაშრომი დავეიტოვა: „ძველი სა-

ქართველოს პოეტები ქალები“ და „ეპოლტერიანიზმა საქართველოში“.

ღვეან ასათიანის პირველი ნარკვევა ქართული ეპოლტურის ისტორიაში ყველაზე დიდი და სერითხული ნაშრომია ქართული ქალის როლის შესახებ ჩვენს მწერლობაში. მკვლევარის მიზანია დაგვიხსავიოთ არა მხოლოდ ქართველი ქალის ვარგუნული სიტურფე და მომზიბლობა, არამედ მისი სულიერი სიღამბე და გონების ძალა, ნებისყოფა და მშობლიური მწერლობის სიყვარული. მკვლევარი იმწმებს უცხო მოგზაურებსა და მიისიონერებს ლამბერტის, ფანციკის, დელა ვალეს, შარდენს, დელაპორტს, კასტელს და სხვებს, რომელთაც ქება შეუსხამს საქართველოს „მწვენიერთა სავანისათვის“, აღტაცებულს სიტყვები უძღვნიათ ქართველი ქალის სიღამბისა და დაუღალავი ეპოლტურული მოღვაწეობისათვის. ცვლვა-ძიებისას ღვეან ასათიანი იფუნებს მხატვრული თხზულებათა ძველ ხელნაწერებს, ასტორიულ დოკუმენტებსა და წყაროებს, იმ მნიშვნელოვანი წვლის დასასურათებლად რომელიც ქართველმა ქალებმა შეიტანეს ჩვენი სულიერი და მატერიალური ეპოლტურის სავანურში.

ღ. ასათიანმა გამოძერწა ძველი ქართველი პოეტი ქალების მედალიონები: ქართული ნაციონალური გმირის ქეთევან დედოფლისა, შირიმ-შაყრინესი, მანანასი, სალომესი, მათა ვაბაშვილისა, ქეთევან ირაკლის ასულისა და სხვათა. ეს ნარკვევი, დამწერილი დიდი პოეტური აღმეფრებით, მუდამ დამწვერებს ქართველ ქალთა ეპოლტურული მოღვაწეობის ისტორიას.

ასეთივე სულისცევითობითა დამწერილი ღ. ასათიანის მეორე გამოკვლევა „ეპოლტერიანიზმა საქართველოში“, რომელშიც თავის დროზე მნიშვნელოვანი გამოხმავრება მპოე ქართულ ლიტერატურაში. ღ. ასათიანმა ასე ფრთოდ პირველმა განიხილა ჩვენი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების პრაგრესული ტენდენციების გამომხატველი მნიშვნელოვანი მოვლენა — ეპოლტერიანიზმა, რაც დსაველეთეობის მოწინავე გონებები მოწარამასთან ქართული ეპოლტურის ურთიერთობის მეტად საუღლისში ფერცლავდა.

ქარგად ცნობილია, რომ მე-18 საუკუნის ხზობად უწოდებდნენ „ეპოლტურის საუკუნეს“, რამდენადაც განმანათლებლური მოწარამის ეს



უდიდესი შესატყვე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მისი ეპოქის ინტელექტუალურ მოძრაობაზე. ბუნებრივია, ვოლტერის მიხედვით იდეების შემოქმერის გზებზე მივბა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, რომელიც მრავალმხრივად გააშუქა ლევიან ასათიანმა თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში. ავტორი საერთო ხასიათის პრობლემატიკის, გამოჩენილი მოაზროვნის ფილოსოფიურ, სოციალ-პოლიტიკური და მხატვრული მეგვიდრეობის საერთო მიმოხილვის შემდეგ, განიხილავს კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც შეტყვევებენ დიდი ფრანგი ენციკლოპედისტის იდეურ ზეგავლენას ისტორიულ პროცესზე ქართულ სინამდვილეში. კარგად ცნობილია, რომ თვით რუსი დეკაბრისტები თავის გამანათესოფლებელ იდეების ერთ-ერთ შთამაგონებლად თვლიდნენ ვოლტერს. საქართველოშიც ვოლტერისაზიზში სწორედ ახალი იდეური ქრონოსის, გამანათესოფლებელი სულისკვეთების გამოშატველი იყო და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესულ მოძრაობის ინტერესებს პასუხობდა. ამ ძირითად ფუნქს და მკაცრებად ასახეთებს ლ. ასათიანი თავის გამოკვლევაში, რომელშიც დახასიათებულია ენციკლოპედისტების შეხედულებათა ზეგავლენის ქვეშ მყოფი ქართული მოღვაწეების ალ. ამილახვარის, დავით ბატონიშვილის, დავით ციციშვილის, იასე გარსევანიშვილის და ვოლტერის ანონიმი მთარგმნელების და ვოლტერისაზიზმის სულით გაგუენილი ორდინალური თუ უცხოურიდან გადმოღებული თხზულებანი.

ამაღლებულს, ვაგყავროს განცდა ამ სტრიქონებში სამშობლოს ბუნებასთან უშუალო მისვლით არის შთაგონებული. ლექსი სიანეთზე თავისი ბუნებით შემთხვევითი არ უნდა იყოს პოეტის შემოქმედებაში. იგი უფროდ უშუალო შთაბეჭდილებებს მოიცავს და სინამდვილის თავისი კეთილი დანახვის მაუწყებელია; სენათის პეიზაჟი წმინდა ეროვნული ნიშნებით იზიდავს პოეტს. იგი მისი სულისთვის მასლობელი და არა ტერისტის თვალთ შეგარძნობილი ეგზოტიკა. მაგრამ ყველაფერი ეს მარტივია მაინც, აკლია აზროვნების სიღრმე და სიახლე. უნებურად მგონდება. ამას წინათ, ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაზე ექსპრონირებული ონიანის სიანური ჩანახატები. სიანური პეიზაჟი, ეთნოგრაფიული ნიშნები პორტრეტებში, თუ ეტიუდებში, აქ პროფესიული სიღრმით, ზაზუნებისა და ფერების სიახლით გამოირჩეოდა, გადმოსცემდა ამ კუთხის სულს, მისი ძეგლების, ციხე-კოშტებისა და აღმაშენების პოეზიას. ამ კომპოზიციებში გამოვლინდა ღრმა განცდისა და შეტად თავისებური აზროვნების მხატვარა. თუ ონიანის ნახატებს შევადარებთ უკანასკნელ ხანებში დაწერილ ლექსებს სიანეთზე, კერძოდ, ზ. ბოლქვაძის ლექსს დიდ სხვაობას დავინახავთ. მართალი იყო გ. ასათიანი, როდესაც ამას წინათ „მწათობში გამოძვეყნებულ წერალში წერდა, რომ ზვენი ახალგაზრდა პოეტების ლექსებში, ახალგაზრდა მხატვრების ნაშეფერებთან შედარებით, მხატვრული ფორმა ნივლიერებულაო.

არა მარტო ზ. ბოლქვაძის ლექსებში, არამედ ბევრი მისი თანატოლის შემოქმედებაში მკვეთრად არ შეცვლილა მხატვრული სახეების სისტემა და ადრე ცნობილი პოეტური ხეობი. და როდესაც ვლამარკოვით შემოქმედებით გაბედულებაზე, ვგვლისხმობთ არა ანარქიის მხატვრულ აზროვნებაში, ხელოვნურ გართულებებს და ბუნდოვნებას, არამედ მხატვრული ფორმის მკაფიო ინდივიდუალობას და პოეტური აზრის თავისებურ ელვარებას. ჭკობი ტრადიციულობა ამ შემთხვევაში გამოწვეულია არა საერთო მხატვრული აზროვნების ინერციით, დროის ერთიანი სტილით, არამედ თქმებისა და განწყობილებების ნათესაობით. ასეთი „პოეზია“ ხეზე ამორბილი სოკოსივით სჭვის ფესვებით საზრდობას. სამწუხაროდ, პოეზიის მარად მწვანე ხეს ზვირად ქვაყს ასეთი „სოკოები“. როდესაც პოეტური ფორმების სიახლეზე ვსაჯელობთ, არ ვგვლისხმობთ გავრცელებულ ზღერბლის აღმართვას დღევანდელსა და გარდასული წლების პოეზიას



შორის. გვინდა მხოლოდ ყოველი ახალი პოეტის შემოქმედებაში ჰქარაღდეს „სიხალის სი“.

ყრძოდ, რაც შეეხება ზ. ბოლჭვაძეს, იგი ჯერ კიდევ „საერთო თემების“, ტრადიციული თემების და განწყობილებების რაკლშია მომწყვდელი, იგი უკვე, ცნობილ პოეტურ სამყაროში ემებს თავის შემოქმედების საზრდოს, ახალს, ორიგინალურს, საკუთარს. აქ იგი უდაოდ აღწევს წარმატებას, მაგრამ მაინც შეზღუდულია; ფრთხილმკვებელი. რაზე წერს იგი? სოფელში დარჩენილ დედაზე-საყვარელ ქალიშვილზე, შორს გაფრენილ წერტილებზე, მიწვენილ ბელურაზე, ვარაუდული ბაბუაზე... აქ ბევრი რამ საყურადღებოა, ან-ლებურად თქმულია, მაგრამ ყველაფერი ეს ხომ მარად ძველი და მარად ახალია? შესაძლოა არაზუსტი, მაგრამ სიმართლიანი საყვადური იყოს ამ შემთხვევაში პოეტის მისამართით თქმული, ცაში წეროებს ზედაღად და რეპიტულ თვითმფრინავებს არაო. პატრიოს-ციემსა და სივფარულს ღირსია ყველაფერი ეს, რაც არსებობს ჩვენს გარშემო და კვლავაც არსებებს, მაგრამ შემოქმედებაში არსებითის, განუყოფრებელის პოეტა გადაუღებელი მხატვრული ამოცანა. საჭიროა იმოყრო ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი დროის აღმანიებაში ეს ახალი, განუყოფრებელი, ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი, აქციო იგი შემოქმედების მთავარ სახნად და „ტრადიციის ტყვეობიდან“ განთავისუფლდე, ან „ზედმეტ ტრადიციულობას“ თავი დააღწიო. ეს ახალი ეს თვითონ მველ-ვარე ცხოვრებაა, რომელსაც ზწირად პოეტა გარედან უტრიალებს, მის სიღრმეში შეყლას ვერ ბედავს. თავისთავად „ფრაზის ისტატი-რად მოქნევა“ აუცილებელია და პოეტმა კედეც უნდა გამოიყენოს ეს ნაყოფი ხერხი. ყმაღაფრო უკვბ, ერთბაშად რაიძ ძველდე-ბა პოეტური ხერხების არსენალში. მაინც მთავარია, ორგანიულად შეუხამო თემას ესა თუ ის ხერხი, სიტყვის თამაში იქნება ეს, პოეტური საღებავი თუ პივერბოლა

რომ შეგპატრდა სიცოცხლე ერთი მე ჯივიბადე მარტო ამისთვის...“ მარტო იმიტომ მოგვლდები მწვიდალ, რომ შენ მოგაყოლო სიყვდილი ერთი. (სამშობლოვ“)

ეს ნიჭიერად ნათქვამი სტრიქონებია, მაგრამ იგივე ხერხი (პარადოქსალური თქმა, თუ ფიგურალური სახე), ზ. ბოლჭვაძის ლექსებში ყოველთვის არ უბასოებს თემისა თუ განწყობილების ხასიათს. ბარათაშვილის პორტრეტის დასახატავად მეტისმეტდ მსუბუქია და სრულიად შეუფერებელი ასეთი სტრიქონები:

ტატოს ფეხთა ჭვეშ დედამიწა  
დატორტმანებდა,

კელი ამიტომ ეგონათ აღბათ...“  
„არ ყოფილიყო ამა ჭვენიად სიყვდილი“  
მითხვდა...  
მაინც მოკლავდა ქართლის ბედზე წუხარა...  
მიძიე-.

თითქმის ასეთივე მხატვრული თვისებებით არის შექმნილი „ოლევის დედა“. იქ სადაც დიდი დრამატისმი, დიდი ტკივილზე უნდა გამოძვდინდეს, თვითმხნერი ასტყვის თი-მაში“ პანაშვილზე დაყრულ მხიარულ მელოდისავეთ მოისმის. ასე ზ. ბოლჭვაძის ვარდა ბევრს ემართება თქმა ეფექტრად, ყოველთვის არ ნიშნავს პოეტურად თქმას. როცა სხვ ზუსტი არ არის, თავის აღღლას ბუნებრივად არ ზის, ლექსიც დარღვეულია და ეს მოვლენა არც თუ იშვიათია დღევანდელ პოეზიაში. თანამედროვე აღმანიის თვალთხედვის, მისი ინტელექტის, ესთეტიკური კულტურისათვის შესაფერისი მხატვრული სახეების შემქნა დღეს, როგორც მაიაკოვსკი იტყოდა „მთავრადიკური ფორმელის სიზუსტით“ უნდა ხდებოდეს. ბევრი დღევანდელი პოეტის შემოქმედებაში საწუხაროდ, განუწყვებლივ გადადიან ლექსიდან ლექსში ნაცნობი თუ არა ზუსტის სახეები. ხშირად ეს ლექსები ერთი „ბუნდებიო სტრიქონისთვის“ იწერება და ცარიელი ადგილი ამოვსებელი რჩება ვანა დასაშვებია რომ მთელ ლექსში მრავალ გაცეხთილ სტრიქონებს შორის ერთადერთი საინტერესო სახე შეგვხედო? ნურც ამას მოვიმიზეზებთ, თითქოს ტექნიკით „აღლილი“ აღმანიისთვის საჭირო იყოს ვადართვა ბუნების პრიმიტიულ სურათებზე, მარტივ, მსუბუქ შელოდიებზე, დამაქრულ, სასიყვარულო სიმღერებზე, არამ დღევანდელი აღმანიი დიდი და რთული ცხოვრებით არის გართული და დღევანდელი ვურნალის და გაზეთის ფურცლებზე იგი ამ „დიდი და რთული ამბების“ პოეზიას ელუფება.

ამგვარ ვითარებაში ვასაგებია ის წინააღმდეგობა, რომელიც გამოიწვია ოთარ კვიციანის წიგნმა „მხატვრული და მგზავრები“ ვითხველთა ერთ ნაწილში. საქმიოდ ბანალური გემოვნების აღმანიებს თვალში არ მოუვიდიათ მისი ლექსების დამაბული ენერგიული ინტონაცია და რთული პოეტური სახეები. ჩვენ შორის ვართ იმ ბზრისაგან, თითქოს ოთ. კვიციანის ლექსები უნაკლო ან უჩვეულო გამოწყლისი იყოს. მჯერა ისიც, რომ მის ლექსებში გამოხატულ პირად ვანცდებს ჯერ კიდევ აული ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა მაინც არ შეიძლება არ დინახო პოეტის ის სიძლე, რომელიც უნდა ახასიათებდეს ახალგაზრდა ხელოვანს. ამაზე დეტალურად სხვა დროს...

ჩვენ არ გვინდა ამ მსჯელობას ნიშნად მოვიყოლოთ ზ. ბოლჭვაძის ლექსების ციკლი „დედა, ზამთარი და შეიცეხლი“. არც ის

მინდა, რომ ამ ლექსების გულწრფელობა პრი-  
ვიტუალობის მანქანებელ მოგვინად მივიჩ-  
ნიო. უფრო მეტიც: ახალგაზრდობის ასაკში  
შესაძლოა სიმარტივეს უფრო მეტი ღირებუ-  
ლება ჰქონდეს, ვიდრე არაბუნებრივ სიბრძო-  
ლებს. მაგრამ მაინც გვინდა ვთქვათ, რომ  
ზ. ბოლქვაძის ლექსებში დახატული დედის  
სახე ნაკლებ ტიპიურია. დღეს, სოფლის მწუ-  
ხარე იდილიისა და დედის სახის ამნაირ პლან-  
ში გამოყვება დავივიანებულაა, მოძველებულია  
როგორც სრულიად, ისე მხატვრული თვალ-  
საზრისით.

მეუბრება პრაქი და გვენთო ცეცხლი,  
ვეციოდა ცეცხლის ჩაქრობის შიშით.  
და ხერხებოდა პატარა კეცი

უქანასკნელი მარავით ფიხის...  
ქვრს ჩვენი დიდი წაბლისხის ქოხის  
ჩურჩხელებივით ევიდა ჭვარტლი;  
შე ვაგროვებდი ნაკურჩხლებს უცხოით  
და ვაფიცებდი ნატებებს მჭადის...

ჩვენ ვუვი გვეზარება, ბავშვის თვალებით  
დინახული ამ სურათის გულწრფელობაში.  
ნერც იმას ვიტყვით ხელადებით, რომ ჩვენში  
ახლა არსად იყოთ თითქმის ქვარტლით გამუ-  
რული, ქვარტლით ვანათებული ქოხები. მაგრამ  
მთელს ამ „ნატურალისტურ“ სურათს სულ  
სხვა განზოგადლება ეძღვება მამის, როდესაც  
ამოგლეჯ სინამდვილიდან და პოეზიად აქცევს.  
ამ მხრივ ტ. ქანტუიას „ზამთარი“ უფრო  
გამართლებულია თავისი შინაგანი აზრით, რად-  
გან აქ დედის თემა უფრო ყოფით-ფსიქოლო-  
გიურ ასპექტშია გადართლილი და მთელი ლექ-  
სის სეგვიანი განწყობილება მართალი, ადამი-  
ანური წესილის გამომახატად ეღერს:

„გარეთ ქარბუქი არხვდა ქვარტებს,  
შინებზე ზამთარს ხატავდა რთვილი.  
ღედა წებობდა გველაზე ადრე,  
რომ შე ღოჯინი მქონდა თბილი.  
ყველაზე ადრე დგებოდა დილით,  
ცოცხით ოთახის სიჩქემს გვიდა.  
ბავშვს ხომ უნდაო საუბრე თბილი,  
— საღილი გვიინდა, რაღაცა გვიინდა...  
და მოკვდა იგი გამრჯე და შემძლე,  
მას დაჩადა წაყუა ფიქრები ჩემზე.  
არა, აღარ ზის ის სიჩქელთან,  
ათვის დედის გულს, თოვლივით სუფთას,  
ის ადრე მოკვდა, ვინ იცის, ჩემთვის  
ცივი სამარის გათბობაც სურდა“.

ამ ცხოვრებისეული ფაქტი აყვანილია პოეტუ-  
რად გავხიანებულ ფიქრამდე: გის ადრე მოკვდა,  
ვინ იცის. ჩემთვის, ცივი სამარის გათბობაც სურ-  
და... ეს არის პოეზია. თვით ასეთი ევექ-

ტური სახით „ცოცხით ოთახის სიჩქემს ჰგვი-  
და“, დედის სახე უფრო კონკრეტულად იყე-  
თება ლექსში. ეს ისე ჰქონდა „არჩილ“ სულ-  
კაურსაც თავის პირველ ლექსებში, კერძოდ  
ლექსში „დედა“. მაინც, როგორც ზ. ბოლქვა-  
ძის, ისე ტ. ქანტუიას ლექსებს ამ თემაზე  
აკლია აზრის სიღრმე. რამდენ აზრს, ასოციო-  
ციას აღძრავს მავრებელში დ. კაკაბაძის  
„მებრეთი“. იგიც ხომ დედა, მუქაწყანედ  
დაბინდული, თითქმის პარობითად შესრულე-  
ბული იმერული პენიანის ფონზე!

ნაშინდობილივით, რომ თითქმის ყველა ახალ-  
გაზრდა პოეტი საჭიროდ მიიხივებს დაწეროს  
დედაზე. უნდა დაწეროს კიდევ, მაგრამ არა  
ისე, როგორც ადრე დაუწერიათ. დ. კაკაბა-  
ძისმდე, ვინ იცის, რამდენ მხატვარს დაუბატავს  
დედის პარტიკტი, ოღონდ სულ სხვაანაირად  
თავისებურად. სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრ-  
და პოეტები ამასე ცოტას ფიქრობენ.

ამევე კრებულში კიდევ არის ლექსი დედა-  
ზე. ისევე სოფელი, ვხო, დალილი, დაბერე-  
ბული დედა...

„ზაფხულის მზეში გაჩემო ყვინთავს  
ბოსტანში ხარ და... ხელები ვითრთის.  
ვეღარ მორწყე და... ჩამოკენე ყვითლად  
ასე უმწერო ფოთლები პიტნის.  
ღრითა სვლამ ადრე დაგლალა, დელი,  
ადრე დაგეტყო სიმრავლე წელთა...“

ასე წერს ნოდარ ნარსია. არც სახეებით, არც  
ინტონაციით ეს ლექსი დიდად არ განიჩრევა  
ზემოაღსენებულ ლექსებისაგან, თუმცა ა. ნარ-  
სია, ერთი შეხედვით, სხვაგვარად, „პატივის-  
ტურად“ ავითარებს თემას, ქალაქი დედის  
პატარაობის მოყვანას პირადება: „და მოტანილი  
პატარაობის ხელთ არ მოაკლდება მწვანელი  
სუფთასა“. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ  
ბიოგრაფიით ჩვენი ახალგაზრდა პოეტები ცო-  
ტათი განიჩრევიან ერთმანეთისაგან. ესწავლი-  
ათ სოფლად, ჩამოსულან ქალაქში სწავლის  
გასაგრძელებლად და ის, რაც შემორჩენია მეხ-  
სიერებას მწვანე უბოების, მშობლიური კარ-  
მიღამოს, მარტოღარჩენილი დედის, ბავშვობა-  
ში გადაცურული მდინარის თუ ვიწრო ორღო-  
ბის სახით, უკვე პოეტის „რომანტიკულ შოთ-  
გონებად“ ქცეულა. არ არის გაქანება, არ არის  
დიდი ცხოვრების ფართობი, ღრმად აღქმა აქ  
საქმეს ვერ უწვევს ორივე კვირით ყამირ  
მიწებზე წასულა. ან ორღიანი ექსპრესიბარტს-  
თავის მარტოღარული ქარხანაში. და აი... პოე-  
ზია ვერ გამოდის ორღობიდან დიდი ლიტერა-  
ტურის ფართო თემშარზე. ნუ გეიყუენს ამას  
ნ. ნარსია, ეს საყვედური მარტო მას არ  
შეეხება. თანაც ნ. ნარსია პოეტია, ნამდვილი  
პოეტი. მართალი გარწმობების კაცია. შეიძლება  
ამისი თქმა ცოტა უხერხული იყოს, მაგრამ

იგი თვითონვე წერს ერთ ლექსში: „მშაყები მეძახიან გულმართალ პოეტსო“. მეორე ლექსში უფრო კატეგორიულად ამბობს: „ერთი უბრალო გლეხის ბიჭი ვარ, გლეხის გულივით აღაღმართალი“. სამწუხაროდ დღეს ბევრს შიამაქვს თავი ამნაირი, „აღაღმართალივით“ პოეზიაში და პრიმიტიულ ლექსებში ვათავი-  
**რობს**. ნ. ნარსიას ლექსებში მიმხილველად მოს-  
 ჩანს უბრალო გლეხის ბიჭობა, აქ სიძრახისი არა ფერია. უბრალოებაში არის პოეტური მომ-  
 ხიბლაობა. მე მჯერა ნ. ნარსიას „უბრალო განცდების“, როდესაც იგი აღრე დღეებულ შეგობარ პოეტზე წერს:

სათლავზე ოხრად ვრია ფოთლები,  
 მოვედი, შენი ნახვა მომწუყრდა.  
 ბიჭო, სადა ხარ... როგორ ვლონდები,  
 რომ წახვედი და ველარ მოსულხარ.

...და მღვწარეა ასე მალაობი,  
 ვილად ჩაგავლის კახს შრიალთ.  
 და, აღრენილი შენი არუფნით  
 დავალ ძალღვივთ კავშინიანი.

განა რას გშველის ჩემი წუხილი  
 და შიამატი, თუ ვარ ასეთი.  
 ვაი, ეს როგორ წვიმდა წუხელის,  
 შენ კი, ვინ იცის... კიდეც დახვედი.

ამ სტრიქონებში სჩანს გარკვეული ლიტერა-  
 ტურული კულტურა და პოეტის კარგი გე-  
 მოვნება. და აი, მივყვები პოეტს, შინდა გავი-  
 ცნოა მისი სამყარო, მისი „პოეტური ქვეყანა“-  
 აღმანიანებით, სიყვარულით, სიძულვილით. შინ-  
 და ასეთ კუთხეში მოვხვდე, სადაც არასოდეს  
 არ ვყოფილვარ. ეს უცნობი კაცი ბევრ რამეს  
 მპირდება. მე მიინტერესებს ეს პირთუნება თა-  
 ვისი საქმეებით, განცდებით, სულიერა ინტე-  
 რესებით, ტყვიანობათა თუ სიხარულით. შე  
 მიყვები მას, როგორც მოყვებიან უცნობ შხა-  
 ტარს თავის სახელასწონში... და აი, შევეუ-  
 რებ მის მიერ დახატულ სოფლის პეიზაჟს:

...აქ ქვაც არ ვლიდ დახაწუნარა,  
 გავხვდავ ვანებს, — გამეხარდება...  
 არის დრო, როცა არ ვარ მწუხრული  
 და წყაროს მაინც დავეხარებეი

ცუდი არ არის, თითქოს განცდილიც არის,  
 პოეტური სითბოც არ აკლია, მაგრამ სადღაც  
 ეს ყველაფერი წაგვიციობავს, ყველაფერი ნაც-  
 ნობი, უკვე თქმულია. სახელდაბელოდ მაგონ-  
 დება აღრე წაეთხული სტრიქონები და „ახა-  
 ლი“ ლექსი უფერულდება.

მე ამ პერკის სუნთქვით დაფთვრები  
 და ჩემი გულიც ტრფობით იწეის რა,  
 ლორთქო ბაღახში გაიშლართობი  
 რომ გულში იტრმისთ მათ — მიწისა\*.

აქაც არ არის ცუდად საქმე, ცოტა უხვმად  
 რომ არ ელტრდეს „გავიშლართობი“. და ისევ  
 ჩნდება მოგონებებში ფერუცვლილი სტრიქონები:  
 „ცვრიან ბაღახში თუ ფხვნიშველა არ გავი-  
 რე, რაა მამული“... მაგონდება ეს დღიე შთა-  
 გონებით ნათქვამი, ღრმად განცდილი სტრი-  
 ქონები თუ სხვა პოეტური ჩანახატები და  
 ნარსიას სტრიქონი ფერმკრთალდება. ისევ მივე-  
 ვებით ნარსიას, იგი თავის ომგადაბდილ მამამ-  
 ხე მესაუბრება, შეთვეზე ლაპიანას პორტ-  
 რეტს გვიჩვენებს, ორბელაინსდროინდელი  
 ყარამოღლის „უბრალო კაიობასთან“ თავის  
 სულერ ნათესაობას მივეგინშვებს, ფირის-  
 მანს გახსენებს, ალუბლის რტოსთან „თაფ-  
 ლისთვალემა ქალიშვილის“ სახეს იგონებს, აქ  
 ბევრი რამ არის მიმხილველი, ცალკეული შტრი-  
 ხი თუ ლეტალი, არის სინედლის და სიმწვინს  
 შეგრანებაც და შიანი ყველაფერა ეს ნაც-  
 ნობია. მრავალჯის გადამღერებელია ყველა-  
 ფერი ნასესხებია.

ნ. ნარსიას, ამ კრებულის სხვა ავტორთაგან  
 განსხვავებით, აქვს მიდრეკილება სოფლის თემის  
 შისიეს შტეი საზოგადოებრივი ელერადობა, და-  
 მის ახალგაზრდა აღმანიებს ფუქსავატური გა-  
 ტაცება ქალაქური ცხოვრებით. ეს მას გულწრ-  
 ფელად სურს, მაგრამ ძალზე შარტივად, რა-  
 გორც იტყვიან, შებლში უმიზნებს; ჩვეულებ-  
 რივ „აღიაციულ“ კილას ვერ სცილდება.  
 („წერალი სკოლის ამხანაგს“). მისი გულის-  
 წყარომი თანატოლისადმი, რომელიც „ასფალ-  
 ტზე სცეითავს ფესისკელის ლანჩებს“, გადა-  
 ჰყოლია „ფუქსავატ ქალებს“ და „დედის ნა-  
 შოვნ ფულებით არჩენს“, ცოტა არ იყოს გულ-  
 უბრაყილია. არანაკლებ შიამიტურია მისი არ-  
 გუმენტებიც:

...მარტო ის რად ღირს...  
 შინდერად რომ გახვალ  
 და სამყურას რომ შოთიზავ ცელით.  
 მარტო ის რად ღირს...

შიშველ ღეხებით,  
 რომ უბრუნველად ვადივი ნახავს;  
 როცა ტირიფებს ვაღაქვივეი  
 ან როცა სატრფო ვენახში ვნახავს\*.

ასეთი შეგონებებით უსაქმურ კაცს სოფლიად  
 ვერ დაბრუნებს. რატომ ხდება ასე? იმიტომ,  
 რომ ასეთი თემები, რომელთა საჭიროება და  
 როლი ჩვენს საზოგადოებაში განუზომლად  
 დიდია და უნდა მათ შესახებ იწერებოდეს  
 მჭიდრო ბუბლიცისტური პათოსით, ღრმა გააზ-  
 რებით, შწირად იწერება „შარცხენა ხელით“,  
 ვაზაოქიუი ოა ტრანსლაციო იოლად უთმოზენ  
 ადვილს აქტუალური თემის ამნაირ საკულე-  
 ციას, რედაქტორებს აქტრეში ეწერებათ ასეთი

„იდეურად ჯანსაღი“ ლექსები, ხოლო ავტორებს სწორდებით ისინი „თემატიკური მრავალფეროვნებისათვის“. ამნაირი „პოეზია“ კი ხშირად საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს მკითხველებში.

საინტერესო ლექსებია „სამშო საფლავი“, „მას-წავლელნი“, „მამა“, შეიძლება ზოგიერთი უხერხულობის თავიდან აცილება, ნ. ხარასას რომ მეტი გულსუფრო, შინაგანი მოშობიერება გამოეჩინა.

...ყველით შრილში ჩამესმის სუნთქვა,  
მათი სულა ხომ არ ირის საღმე?...  
მე ვიცი, მათ რომ სიცოცხლე სურდათ  
და წამოდგომაც იქნება სცადეს.  
წამოდგნენ ნეტაც, წამოდგნენ ისევ  
სიცოცხლე შთელი სიცხოვლით ნახონ...  
და ვით ბრძოლაში მხარდამხარ, ისე  
დასახლდნენ საღმე არაგვის ახლოს  
(„სამშო საფლავი“)

განა საჭირო იყო ასეთი სტრაქონების გაფუჭება საკმაოდ ვაცეითილი და, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალური ფრაზით: „მათ საქმეს ცრემლი არ შეგისი, მაგრამ მაინც მოწყურდება წამწამებს ცრემლი“? საერთოდ კარგ ლექსში „მამა“ — საკმაოდ მღარილ გონებაშევილობისთვის დარღვეულია დრამატიული გაწყობილება: „მამას საკვდილი იმ ბრძოლაში ფეხზე ეკიდა და ამის შემდეგ უფეხოდ დარჩა“. ხომ არის ბევრი რამ ისეთი, რაზედაც ზემოთა უბრალოდ ითვლება?

უკანასკნელ ხანებში ჩვენს პოეტურ აზროვნებას მეტი ფიქრიანობა დაეტყო. სიმღერა შესცვალა განწყობილებამ, პათეტიკა — პოეტურმა მსჯელობამ. გამოვლინდა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში ჩიღრმაგების, მისი რთული განცდების პოეტური გამოხატვის ტენდენცია. ამან საკმაოდ შესცვალა პოეზიის კილო თუ მუსიკაც. ამგვარ ძიებებს ჩვენს ახალ-ვაზრდა პოეტებში არა აქვს შეიგნობრული ხასიათი. „პრემიტიული გულწრფელობის“ პოეზიის საპირისპიროდ, ამნაირ ლექსებში იგრძნობა სულიერი კულტურის, საკმაოდ გაცივითილი პოეტური ინტენტიანის ნაცვლად, ამ ლექსებში იჭრება „პოეტურად დანახული ცხოვრების პროზა“. დროსა და სივრცეში“ უსაზღვროდ განფენილი, თითქმის აბსტრაქტული პეიზაჟის ნაცვლად, პოეტური სურათები თავსდება ოთხის თუ ვაკონის ფანჯრის ჩარჩოებში. შორაობაში მოღიან ჩვეულებრივ ურთულ-დღიურობაში თითქმის შეუმჩნეველი ნივთები და დეტალები. ამნაირი პოეზიის ნიშნებს ამქვადენებს გვიგ გვეგვიკორი თავის ლექსებში. ეს ლექსები გულსბმობენ ცხოვრების აბლბურ ზედეს. ქუჩის ფილაჟანს, ვაკონის სარკმელს,

ზღვის ნაპირს, სადგურის ბაჟანს, ოთხის ლა თანჯარას:

ის მიდის სადღაც და თან მიამყვება  
სხვა უფრო ნახი შელოდა შორეულ გზების,  
გზების ირიბის და პირდაპირის,  
სადაც ერთმანეთს უფრთხვებან  
და შორდებიან ლიანდაგები...  
(„ო, თუმცა იგი...“)

საღამოს ბრუნდება მეთვეზე,  
აქედან შორსაა რკინისგზა, წიგნები, ქალაქ-  
საცულები კილია მესერზე  
და ცისფერ მესერთან იზრდება ყვითელი  
ბალახი.  
და იქვე ზღვის ერთვის პატარა,  
ძალიან პატარა მდინარე...  
ნაპირთან ქვიშაა მხურვალე  
და კენჭებს ისვრიან მეთვეზის ბილდები,  
ღამდება... დარაბებს ხუროვენ...  
თენდება... დარაბებს აღბუნენ...  
(„ზღვის ერთვის“)

ეს სხვა პეიზაჟია, აბლბურად დანახული, გრადიულოდ მოხაზული. გვიგ გვეგვიკორი გულგრილად, „სობიეტურად“ არ აღწერს ამ პეიზაჟს. უმთავრესად გვიჩვენებს ადამიანებს, მეთვეზს, უცნობ მგზავრს, ქუჩაში მოთამაშე ბავშვებს, რომელთაც იუყვართ ქუჩები, სადაც უწინ ცარკით დასაზღვრე ქვაფენილებზე ქვებს აიურებდნენ... „ცა უხარიათ, სიზმრებიდან რომ იყურება, ქუჩების შტევი, შადრევნები, ქვების სიმღერა და გულსის დიდლილი ძეღე-ბი“, ზატავს მოხუცს, რომელიც აიურებს „ნიც-რისფერ ჩიტებს“. ესენი თეიკი, საყვარელი, მშვიდობიანი ადამიანები არიან და პოეტსაც უყვარს ისინი. პოეტი მათ მუღამ გარკვეული მანძილიდან გვიჩვენებს, ახლოს არ გვაცნობს მათ. იქნებ ეს იყოს მძის მიზეზი, რომ ამ სურათებსაც და ადამიანებსაც აკლიათ მკადიო ერთეული თუ სოციოლური ნიშანი. პოეტი თითქმის სხვა ქვენიღდან ჩამოსული ადამიანის სათვალეებით იყურება. ეს კი უდაოდ ანუღებს მისი ლექსების ემოციას, პოეტურ აზრს, აქ ახალ-ვაზრდა შემოქმედს ვერ გაამიროლებს ზოგადი ჰუმანიზმი, მის ლექსებს აკლია მკადიო ატყენტი, როგორც გვეგვაფილო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. პოეზიას სწორდება ვახსნა ერთეული ტრადიციებისა და დღევანდელი მოქალაქის სულიერი ინტერესების შესაბამისად. აქ კი პოეტს ზედმეტი ზოგადობა ეჩნევა. მე პირადად მომწონს გ. გვეგვიკორის ლექსებში უბრალო, თითქმის შეუმჩნეველი ადამიანების ცხოვრების პოეზია. მათ სუნთქვას, ფიჭრებს, სიხარულს თუ ტკივილებს პოეტი უშუალოდ გრძნობს, უნდა ვახსნას ცხოვრება „უცნობი და იღუმილი“. არ მგებაშეგება „ლი-

რეული ტრაფარეტების" შემდეგ მის სტრიქონებში "ჩაიდნის ორთქლი", -ცეცხლზე შემთბარი პატარა ბოთლი", "აკენის რწევა და ბაეშის სიანჩხლე", "სითბო, სიმწვიდე და აბაეური...- ოჯახის თემა, გ. გეგეჭკორს იზიდავს. მის პირად ახალგაზრდულ ოცნებებს ეხმადრება ცოცხლობს მის ლექსებში გვიან დაბრუნებული შამაკაიის სახე, სახე შამაკაიისა, რომელიც „საწოლთან შიდის და ცოლს ფეხებზე სიბანს ახურავს შზრუნველი ხელით“, ცოცხლობს დედა, რომელიც ეგვიანობს შვილის სტრფოზე, ქალიშვილი რომელიც სიყვარულში უნდა გამოსტაცოს მგლოვიარებას და სიცოცხლესთან დააბრუნოს. აღმინათა ეს სულიერი ცხოვრება საინტერესოა და ამაღლებელი... მაგრამ აქ არის უკიდურესობაც, ზედმეტი დაწვრილმანება, ობიექტულობაში ჩავარდნის საფრთხეც. მე ის მინდა ვთქვა, რომ ოჯახის კედლებით შემოსაზღვრული მამტაბი მამტაბად დარჩება, კედლებს შორის კი ზღვასავით დიდი ცხოვრება უნდა იგრძნობოდეს:

ჩემი ოცნებაც ისე თბილია,  
როგორც უბიწო ბაეშის სიზმარი,  
როგორც სიმღერა და იდილია,  
ის შეორღდება ჩემში ცისმარე

ჩვეულებრივი, შეტისმეტად ჩვეულებრივი განცდაა. ლექსი სუსტია, ამ სტრიქონებს ძალზე ჰგავს განწყობილებით, აზრით, სახეებით ტ. კანტორიას ლექსი: „ამ დილით, როცა გაგვიღვიძებდა“...

ჩურჩული, ჩემად, ხმადაბლა, რიდიო მეც მინდა გიოხრა, მეც მინდა გაცნოს, ნეტავი იგი მომესწროს დიდა, ნეტავი ქვეყნად იმდენი გაეძლო...

მე მას დავაკრძევი ნინოს ან შალვას, მე მას ვუყვიდი კამფეტს ფორიანს, მოეუტან კაბას ან მოკლე შარვალს და ჩამოეუყვიან ხიდან შოშვის.

შესაძლოა ერთი თაობის ორა პოეტი ჰგადეს ერთმანეთს თემებთა და განწყობილებებით. ეს არც თუ ისე საბიფთაოა. ამ ლექსებში შთაბეჭდილებას აწეებს თემის დაწვრილმანება, ლექსის დაუხვეწაობა, ობიექტურ-კმაყოფილებამდე დასვლა. სიმპტომატიურია ისიც, რომ შვერ ახალგაზრდა პოეტს არ ახსიათებს თემატიკური მთლიანობა, საყვთარი თემა ან როგორც ამბობენ, ინდივიდუალური დამოკიდებულება თემისადმი, ამის გამო, არ არის გამოკვეთილი პოეტური სამყარო, რომელშიც პოეტის სახე შედევნდებოდეს ხელშესახებად, მკაფიო ინდივიდუალობით. მაინც ზემოთ განხილულ კრებულში არის ცხოვრების სიმართლე. არის კანონზომიერი სიამაყის თუ უპირატესობის გრძნობა ახალგაზრდული ენერჯის, ჯერ დაუზარჯავი ნიჭიერების, დაუშტამპავი გონებისა. ეს კრებულეც ვუჯეკრებს ამ ახალგაზრდა პოეტების უტყუარ ნიჭიერებაში, მაგრამ იმისათვის, რომ ყველაფერი ეს იქცეს დღევანდელი დღის პოეზიად, კიდევ მრავალი სიძნელის ვადალახვა, მეტი ძიება, მეტი სიახლის მიღწევა, ხანგრძლივი შრომა და ულიერი ენერჯის ხარჯება საჭიროა.





# ფაუსტური იდეები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

(წერილი მეორე)<sup>1</sup>

**მზის სათავე.** ვაჟა-ფშაველა კოსმიური სამყაროს, ბუნებისა და საზოგადოების ერთიანობის მეტად რთულსა და თავისებურ სისტემას ქმნის. ჩვენ ამ სისტემას პირობითი ჰელიოცენტრულს ვუწოდებთ, რადგან ვაჟას მხედველთა ყოფიერების მთლიანობის ცენტრში მოთავსებულია მზე, როგორც ყოველგვარი არსებობისა და ცვალებადობის სათავე. ეს გაჩემოება გვაიძულებს მეტის ყურადღებით მოვუხედავოთ ვაჟას დამოკიდებულებას მზის-მეტყველებასთან.

საერთოდ ცნობილია, რომ მზის კულტი დასავლეთისა და აღმოსავლეთის თითქმის ყველა ხალხს ახასიათებს, მაგრამ განსაკუთრებული სიმძლიერით ის მაინც ქართულ სინამდვილეში ვლინდება. მზის კულტთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდაა გაშუქებული მეცნიერებაში. ქართულ მზისმეტყველებაში ბევრი რამაა გარკვეული, მაგრამ ვაჟას დამოკიდებულება ამ საკითხთან რატომღაც უყურადღებოდაა მიტოვებული. სიჭირო კი იყო ამის გარკვევა, რადგან მზის საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ვაჟას პოეტური კოსმოგონიის გასაგებად.

ისტორიული განვითარების სხვა და სხვა ეტაპზე მზესთან დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი იყო. ძველი აღმოსავლური ასტროლოგიური თეოლოგიის თვალსაზრისით, მზე-ლმერითი განსაზღვრულ სფეროს განაგებდა: შემერულ-ბაბილონური შამაშ-ზეცას, ასირიული აშშუ რ-გომრობას, ხეთური ისტანუ-ფულეხას და სამართლიანობას, ხოლო ისრაელთა შუმი-შ-სინათლესა და ქემშარიტებს. ხალხთა უმრავლესობის წარმოდგენაში მზე-ლმერთი უზრუნველყოფს ძალა იყო, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სხვა მასზე ძლიერი ღმერთის მორჩილი (ფინიკიური ნერ, აგრეთვე ბრამანული და ბუდისტური მზე — ღმერთები და სხვ.).

მზის კულტი გაბატონებული იყო მითრიაისტულსა და მაზდეანურ რელიგიებშიც, სადაც ის, როგორც წესი, სიკეთისა და სიხარულის განსახიერებას წარმოადგენდა. ასეთივე სახით

შევიდა იგი დასავლეთის რელიგიურ სისტემებშიც. ელინური ჰელიოს, რომელიც სოლ და საერთოდ მითრიაისტული რელიგია მზის კულტს გამოხატავენ. ქრისტიანული რელიგია კი პირიქით მზის ღვთაებრივ ძალას უარყოფს და ღვთიან მზეს აცხადებს ღმერთის შემოქმედებად.

მზის კულტის ფილოსოფიური ასპექტიც ამავე მიმართულებით ვითარდება. ასტროლოგიური თეოლოგიის თვალსაზრისით მზეა ყოველივე არსებულის საწყისი და მიზეზი. ანტიკურ ფილოსოფიაში მზის ძალის მატერიალისტური გაგებაც გაჩნდა. ანაქსაგორე, პითაგორე და ემპედოკლე მზეს ცეცხლოვან მასად თვლიდნენ, თუმცა არც მის ღვთაებრივ ძალას უარყოფდნენ. მათი აზრით მზეა მატერიალი მეტემორფოზის საწყისი. მზე „შაიცობლებელი ძალაა“, მაგრამ ამ ძალასაც თავისი სათავე აქვს: ღმერთი. პლუტარქეს მზე უზენაეს ძალად შიანდა. სოკრატე ლოკითა და წარმართული რაკით ხედებოდა მზის ამოსვლას. სტოელების თვალსაზრისით მზე სულიერი არსებაა, რომელიც მატერიაში ნამდვილდება. ანტიკური ფილოსოფიის ბევრ წარმომადგენელს მზე ისეთ გონიერ არსებადაც შიანდა, რომელიც აზროვნებს, ფიქრობს და მეტყველებს. აქვე ჩნდება მოძღვრება ორი და შემდგმ სამი მზის შესახებ. ფილონის აზრით, ხალხი მზის გარდა არის უხილავი მზეც ვონებისა, რომლის სახიერ გამოვლენას წარმოადგენს მთელი მატერიალი სამყარო, მათ შორის ხილული მზეც. ანთისავე აზრს იზიარებს წარმართული ვნოსტიციზმი. რაც შეეხება ქრისტიანულ მოძღვრებას ვნოსისზე, იქ აღიარებულია სინათლის იმერ სფეროში არსებობა ვონებისათვის მიუწვდომელი უზენაესი ძალის — პატრიარქისა, რომელიც ყოველგვარი სახიერების საღვთველია.

ნეოპლატონიკოსების, კერძოდ პლოტინის თვალსაზრისით უზენაესი ძალა და დასაწყისა არის ერთი, რაც ჯერ ვონებას ქმნის, ხოლო შემდეგ სულს — განსახიერებულ ბუნებაში. იმპერატორი იულიანე აეთარებს ამ აზრს და აყალიბებს მოძღვრებას

<sup>1</sup> წიგნიდან „ფაუსტური პარიდიგმები“

სამი მზის შესახებ. პირველი მზე არის ერთი, რომელიც ქმნის მეორეს — გონებრივ მზეს, ხოლო მეორე შესამუსხილულს. ბილული მზე გონების მზის ხატია და ყოველგვარი არსებობის სათავე. პირველი ესეველი და უსაწყისი ნათელია, ხოლო მეორე ამ დღესაბამო მზის ნათელია ნათელი, მესამე კი — ნათელი წინა უკუნისაა, რომელიც თავის შუქს ფენს ქვეყნიერებას.

საყურადღებოა, რომ იულიანეს თანახმად მეორე ანუ გონების მზე არის მებრთვე ელემენტი, ოთხს-ციცლის, წყლის, ზევის და პირის შემდეგ, იგი პირველი მზის უხილავი სულია, რომლისგანაც ჩნდება მესამე, ბილული მზე და ყოველივე, რასაც ეს უკანასკნელი ქმნის. ამრიგად, ბუნება მესამე, ბილული მზის გონიერების შედეგია, რადგან იგი გამომდინარეობს გონების მეორე უხილავი შიდა, რომელიც თავის მხრივ, წარმოშობილია ერთი ანუ პირველი მზის, ღვთაების მიერ.

მსოფლიო ლიტერატურა მდიდარია მზისადმი მიძღვნილი პირობრავიული ლიტერატურით. ინდოელები შეღალღებდნენ მზეს, როგორც უზენაეს ძალასა და „სარწმუნოებრივ სიბრძნეს“, სიბრძნის საყენეს, ყოვლად მოქმედსა და შემოქმედ ძალას, სიცოცხლისა და სიკეთის მომნიჭებელს. ვიღვამეში მზის ღმერთს შამაშს შესთხოვეს, მშვიდობით დაბრუნოს იგი ქალაქ ურუქს... ერთი ასირიული საგალობლის მიხედვით მზე ყოველგვარ ძალაზე უფრო ძლიერია, ეგვიპტელების თვალსაზრისით კი იგი თითონ ქმნის თავის სახეს, როგორც მარადიულობის დასაბამს.

ანტიკურ მწერლობაში მზე, როგორც წესი, საწყისი და მასაზრდოებელი, სიცოცხლის მომნიჭებელი და არსთა მარაგნალი. ეს მისგან შოდის სივრცული, ბედნიერება, სიბრძნე, სამართალი და თავისუფლება. მზე უფრო ძლიერია, ვიდრე ოლიმპის მბრძანებელი.

მზის კელტი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, განსაკუთრებით ვაჟა ფშაველურებში. იგი შესულია მთიულთა ხასიათში, როგორც მათი სულიერი ცხოვრების ოქროლებელი ნაწილი. აკად. ი. ჯავახიშვილი წერს, „მზეს, როგორც ღმერთს, პირველი მთიულეები თაყვანსა სციმდნენ უკანასკნელ დრომდე. მეოცე საუკუნეშიც. თითქმის ყველა თვისა ლცვა-სავედრებულს ხვებრი და ფშაველი ზეციმი დახლოებით ასე იწყებდნენ: „ადიდებო ღმერთსა, დღეს დღესინდელსა, მზესა და მზის მყოლთ ანგელოზთა“-ო: აქ მზე პირდაპირ ისახლება, როგორც ღმერთი და ისიც მთავარი, რადგანაც მას ანგელოზები ჰყავს. „ადიდე“ ამ სალოცავში მზეს ნიშნავს, იმიტომ რომ

„ადე“ მზის უძველესი სახელია“. <sup>1</sup> ვაჟა წერს, რომ ფშაველ ქალებს მზე საფიქრად „ყავთ. ისინი ამბობენ: ჩემ მათ მზემა, ჩემი ძმის მზენი, მოღალულის მზის შადმა და სხვ.

ქართულ მითოლოგიაში მზე უმთავრესად ადამიანის სახეშია პერსონიფიცირებული და წმ. გიორგის კელტთან დაცემიერებული. ბევრი მეველევარი იმ აზრისაა, რომ ვეშაპთან მებრძოლი თერთი მებდარი წმ. გიორგი მზის კელტს განსახიერებს. ვეფხისტყაოსანში წერია, „მზე ვეშაპს დაებნელო“. ვაჟა სულ იმდროს შეპაარს როცა ვეშაპი მზეს გამოეშვებს. ქართულ მითოსში მზეუაუკუნესაც ბევრს ეხედებოთ, მაგრამ მზის კელტი ჩვენში უფრო ქალის სახელთანაა დაცემიერებული. ი. ჯავახიშვილი წერს ამის შესახებ: „იმ შორეულ ხანაში ქართველ ტომთა საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში დედაკაცო, ქალი იდგა. იმიტომ დაისახა მზის ღვთაება როგორც ქალ-ღმერთი“. ალბათ, ამიტომაც ვეხედება ასე ხშირად ქალების სახელები: მზისივარ, მზისახარი, პირიმზისა, ქალთამზე, მზეთამზე და სხვა. ქართველი კაცი უმთავრესად მზეს იფიქვებს, მზეგარქალობას და მზევეთლობას უსურვებს სხვის, ენაშენაბას შეუქმნის ვისმე. ან დასწყველის მზე დაგებრძავედესო, შე მზე ვასაქრობოთ და სხვა.

ქართული ხალხური პოეზიაც მზის კელტთან გამსჭვალული. ხალხური შემოქმედება ქალს უმთავრესად მზეს აღარებს. ქრისტიანულ მწერლობაში მზე საერთოდ არგავს ღვთაებრივ მნიშვნელობას და სიმბოლოდ იქცევა. ჩვენი საეკლესიო მწერლები ამას განსაკუთრებით უსვამენ ხაზს. ვესტაბე მცხეთელი წერს, მზე და მთოვარი ღმერთნი კი არ არიან, „არამედ ღმერთანი მზესა განათლება დღისა უბრძანა“-ო, რადგან პირველის მოწაშის ცხოვრებაში წერია, რომ თაყვანი არ უნდა ვცეთ ციცილს, „არც მზესა, კაცთათვის სამსახური დაბადებულსა, არამედ ღმერთსა ცხოველს...“ და სხვა. ქართულ მწერლობაში მზეს უმთავრესად სიმბოლოერი მნიშვნელობა ჰქონდა. იოანე მინჩხის, იოანე შტებეარის, მიქელ მოღრეკელის, გიორგი ათონელის, დავით აღმაშენებლის, იოანე პეტრიწისა და სხვათა საგალობლებში ძალიან ხშირად შეხედებოთ გამოთქმას „ვითარცა მზე“ და სხვა. თუ ეს ითქმის ქართულ სასულიერო მწერლობაზე, საერთოდ მათ უმეტეს. ამ მხრივ განსაკუთრებულ აღვალზე ღვას შ. რუსთაველი, რომლის „ვეფხისტყაოსანში“ შემკულია მზის მეტაფორული სახეებით, მაგრამ შეეღობა იქნებოდა გვეფთქა, თითქოს

<sup>1</sup> აკად. ი. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1943, გვ. 84.

ქართული მზისმეტყველება მხოლოდ მეტაფორული ხასიათისაა, მზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული აზროვნების ისტორიაშიც, ეს განსაკუთრებული სიხიბადი ჩანს შ. რუსთაველის ასტროლოგი პიშიში მზისადმი, სადაც ავთანდილი მიმართავს ცის მნათობებს: „მო შორის მზეს, რომელსაც „უმძლესთა მძლესთა მძლედ“ მიიჩნევს ეს გასაგებია რადგან შ. რუსთაველისთვის მზე ერთია (მე მზეო ერთო...) და უზენაესი მას სწამს ძალა მზისა, როგორც „ერთ-არსებისა ერთისა“ ანუ „ღმრთის ხატისა“, როგორც ამბობდნენ „ფილოსოფოსნი წინანი“.

მზეს ეკუთვნის შემოქმედებაშიც განსაკუთრებული ადგილი უძირავეს. იგი კატეგორიულად უჩაპუოფს ყოველგვარ რელიგიურ თვალსაზრისს მზის შესახებ. ეკავსთვის მზე მხოლოდ რელიგიური სინამდვილეა, კოსმოსური ბუნების ნაწილი, მანათობელი და მაკოცლებელი ძალა. მთელი მისი პოეზია განათებულია მზის სხივებით. ყოველი პოეტური შედეგია, პირამისის მსგავსად თავს მზისა და სითბოსკენ იბრუნებს. მართალია, ვეცა ხშირად მიმართავს ქართულ მითოსს მზის შესახებ, მაგრამ არასდროს ის ცილდება ბუნების, როგორც ყოველდღობის რელიგიურ გავებას. ის ამ შემთხვევაშიც ეთანხმება ბუნების ტრადიციის გოეთესულ თვალსაზრისს. გოეთეს აზრით ყოველგვარი არსებობა მთლიანობის ფარგლებში მოქმედებს. მთლიანობა კი სხვა არაფერია, თუ არა თვითონ ბუნება, როგორც აბსოლუტურობა, რომლის გარეშე არავითარი არსებობა არ შეიძლება იყოს. მზე გოეთესთვის კოსმოსური საშუალოს ონტოლოგიური ცენტრია, მისი მთლიანობის საფუძველი. არც ვეცა ეძებს მზეში „ღმრთის ხატისა“ ან მის შედეგს. მზე მისთვისაც საშუალოს მატერიული ცენტრია, მისი მრავალფეროვნების სათავე, ყოველგვარი სახეობის საწყისი ანუ Urphänomen.

ქვეყნიერების დედა, „ცისა და ხეყელთის პირისფარეში“, „მთელი ბუნების მოღარე“ ის, რასაც მტკბილედ შემდეგ „მზის სათავეს“ უწოდებს. მზე რომ იმოვს, სულიერი და უსულო, ყველაფერი იმას შესტრფის, ყველა იმას შეხარბს ხოლო სიღამით, როცა ის პირიბონტს მიეფარება, ბუნებას დარდი შეიბურბოს, იგი შიშვალავს ემსგავსება, მწვანეს ყვითელი ფიხინება ეს აწუხებს ვაფს, მაგრამ დილით მზე ისევ ამოვს და სხივების სიხვიით გულიმებს დედამიწას. მაშინ „ბუნების ყოველნი არსნი“ კვლავ აღდგებიან და ლაღად იწყებენ სუნთქვას. ვეცა წერს, რომ მზეს „აუარებელი მადლი დააქვს კალთით“, ყველას მშობელითი უყურებს „მისი მთავარული თვალი“ — ამბობს გოეთე. ვეცა წერს რომ „ყოველნი არსნი ბუნებისა“ მზეს უძღვნიან მადლობას,

რადგან მას მოაქვს ნათელი და მისი ძალით ივსება ქვეყანა სოჰნიო, როცა მზის სხივები ნაფარდს იწყებენ, ბუნებას და კდამიანის სულსაც „მავი ნაბადი ვადაცხენება“, ქვეყანას ჯანლი მოშორდება. მზე უსსნის ეარდს გულმეგრდს, ღამაზებსს იას, ძვირფასს სამოსს აცმევს მინდვრებს, ველებს, ტყეებს. იგია „ცხოველ-მცენარეთა ნუგეში, ძუძუ დედისა, სკვებისა და სითბოს მომცემი“. ვეცა წერს, რომ „მზე არ შოვავს თავის ძალდინეს და ცდილობს—რაც შეიძლება მეტად გააბობოს დედამიწა და ყოველი მასზედ არსი-სულიერი და უსულო, რათა უფრო ძლიერად აამუშავოს მასში სიცოცხლის ცხოველყოფელი ძალა“. დედამიწაც თავის მხრივ „როგორც ამიშვილებული და ამ შიშვილისაგან ატირებული ყრმა ხარბად სცილდებს პირსა და ხელებს დედის ძუძუს, სწავს სითბოს, ამ რძეს, რითაც ჩილი საამოვნებს, სიყმის იკლავს, იბრუნებს, ვეცა ეკიდება“. მაგრამ დედამიწა მარტო თავის საზრდოდ როდი იღებს მზის მაკოცლებელ ძალას. მას მზის სითბო იმისთვის უნდა, რომ „შემდეგში ამ შენაქნით ასაზრდოეთის მცენარენი, ცხოველნი, დამამცენოს, ააყვავოს, აავსოს ნაყოფით ბუნების უბე-კალა“.

მზე იწვევს ბუნების გაზაფხულებას, როცა ვეცაში აღატყვევებულ მზეს ვაუშვებს, „დედამიწა გაიზორება, ვაგულხელება, გულმეგრდზე ყვავილს იფებს, მწვანით იმოსება, ხეებს ფოთოლს დაასამს და ააყვავებს. გაზაფხულზე თვითონაც ახალგაზრდადება, სითბოს იმატებს, გაზინდება, გათამაზდება და შუა ციხე დამკვარი უხვად ფრქვევს სხივებს დედამიწას. ბუნებაც სახეს იცვლის, მწვანის ზღვა მოვარდება, არავეცა „გამიბრევა“ კლდეებიდან, ქალა კონეებს გაიბრობს, ველმინდვრები მწვანე ძაფით შეიკრავენ სრავლოს და „ბრძრა ქვეყანა“ კვლავ ათავარად შეიმოსება.

ორი მავის ტალი. ვეცა აზრით, გაზაფხული არა მარტო ბუნების ამწვანებით ან „კეთილ სუნნელის მოფენით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მისი შეხედულებით, ეს მხოლოდ გარეგანი თვალისა და ყურის წარმტყვი თვისებაა და, ამდენად მთავარი არ არის. ვეცა წერს: „შინაგანი მოქმედება და აზრი სულ სხვია, — იმას თუ კარგად არ ჩაუყვარდით ვერც კი შევამჩნევთ. ეს დაფარული აზრი ვაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა“. გაზაფხული „სიკვილის სიცოცხლის მიქცეულია“. ეს არის მისი შინაგანი აზრი. და რომ ეს დიდი აზრი — სიცოცხლის გაგრძობისა — არ ჰქონდეს ვაზაფხულს, არც ბუნება მიიღებდა ასეთ ღამაზ სახეს. ვეცა გვიბტაცებს, რომ ღამაზი, თვალწარმტყვი ფორმა შეიძლება მხოლოდ დიად აზრს ჰქონდეს. იგი წერს,

ბუნებას ეს დიდი მიზანი რომ არ ჰქონდეს, ასე დიდებულად, ასე საამტოდ, სრულსა, და გულის დამატყვევებელ სურათებში არ იქნებოდა ვახვეული“. ისევე გოეთეს დებულება გვიხსენით: ბუნება თავის საიდუმლოებას მშვენიერების სახით გვიხსნის. ფაუსტმა რომ ბუნების გადლო-სარკვეში ზაიხებდა, მირალ-ქალღურას უმშვენიერესს სახე დაინახა. ვაჟაყფაძე ასეთ სარკვეში იხედება და ისიც სილამაზეს ხედავს. ბუნების ამ უბადლო მგოსანს შიდიან და ბუნებიდან გამოჰყავს ეთიკისა და ესთეტიკის უშთაგონი კატეგორიები, რომლებიც ერთ-მანეთთან განუყრელად არიან დაკავშირებულნი. ვაჟაყფაძის პედაგოგიკურად კოსმოვანიის მთელი ძალა ამ კავშირშია. მისი აზრით მზე სინათლისა და სითბოს წყაროა. იგი იწვევს ბუნების **გაზაფხულებსა** და ამწვანებას, რითაც ქმნის სიკეთესა და სილამაზეს. ბუნება იმიტომაც ლამაზია, რომ სიცოცხლის განგრძობის დიდ იდეას ემსახურება. თვით სიცოცხლეა სილამაზის უმადლესი ფორმა. მეტიც, სიცოცხლე და გაზაფხუელი, ვაჟაყფაძის შეხედულებით, ერთგვაროვანი ცნებებია. „ლამაზი, მიმიღველი არაფერია სხვა, თინაერ სიცოცხლისა, ტურფა, მშვენიერია, ბუნების ამოდენა გარდაქმნა-ცვალებადობაში, არა რა არს გარეშე გაზაფხულისა“, წერს იგი და დამატებს: „მამ, ვწამოთ სიცოცხლის და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებობა. უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგონებთ, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს“. ვაჟაყფაძის აზრით, გაზაფხუელი „მკნელია, მშობელია სიცოცხლისა; გაზაფხულზე ყოველი არსი მადრეკალია სიცოცხლის შესაქმნელად, „შთამოების“ გასაგრძელებლად. ამ დროს ყველა სიცოცხლე სუფიეს: მინდვრად, ტყეში, ზღვაში, წყალში, ცაში. „შთამოებზე“ ზრუნვედ ფურცარი, ჰიანქველა, მტრული, კიკეპი. ყველაფერი — წერს ვაჟაყფაძე — იგი შეხარის ბუნების ამ უძლეველ კანონს. ცხოვრების მარადიული განახლების იდეას, იმას რომ:

„გაზაფხულით ცელა ზამთრისა,  
მთელი ბუნების ზნე არის“

ამ აზრის დიდი ცხოველ-მყოფელური ძალით აღტაცებული ვაჟაყფაძე წამოიძახებს: „ეგნაცვლენ გაზაფხულის სულს, ის მარჩენს თავის ძალითა“.

ვაჟაყფაძე იცის, რომ ბუნება ცვალებადობა, ზამთარში წასვლა და გაზაფხულზე ცვლადობა-ბუნება. „ათასჯერ მოხვალ იაო, გაზაფხულისა მგოსანოო“, — მიმართავს ის „კაცთა შორის ძმობისა და სიყვარულის მოსველ“ იმას ასევეა ყოველი არსი ბუნებისა და ამაშია სიცოცხლისა და გაზაფხულის დიდი ძალა. მაგრამ ვაჟაყფაძე არ ჩერდება. ის სულ ახალ-ახალ ეთიკურ-ესთეტიკურ კატეგორიებით აღიარებს ბუნების ყოვლადობის იდეას. გაზაფ-

ხული არა მარტო სიცოცხლეა და სილამაზე, არამედ სიკეთეც. სიკეთე არ, როგორც ვაჟაყფაძე ამბობს, მადლი შედგება სიცოცხლისა, და სილამაზისა. გაზაფხული რომ სიცოცხლის მომნიჭებელია, იმიტომაც ლამაზი და რომ ის ლამაზი არ იყოს, ამოდენა მადლისა, სიკეთეს ხომ არ დატოვებდა დედამიწაზეო, — კითხულობს ვაჟაყფაძე. მისი შეხედულებით სილამაზე ფართო ცნებაა: ზამთარი არა მარტო ბუნების სურათები, აღამაინები, საგნები, არამედ არაგვის ტალღების ჩქერა, ირმის ყვირილი, ყვავილთ სურნელება, ბუღბუღების გალობა, ქალწულის უცდელია და სხვა. სილამაზე ბუნების მადლია, მისი ყოვლადობისა და მარადიულობის სარკე.

„ერთი საათის სიტურფე  
ათას წლისასთან დგებოდაო“, — ამბობს ვაჟაყფაძე.

მზე სინათლის და სითბოს წყაროა, სინათლე და სითბო გაზაფხულის, გაზაფხული სიცოცხლის განგრძობაა, სიცოცხლე სილამაზის მშობელია, სილამაზე კი-სიკეთისა და არა მარტო სიკეთისა, არამედ პოეზიისა ც. ვაჟაყფაძის აზრით, „გაზაფხული რომ ლამაზი არ იყოს... არც ასე ფელანად, თავგამოდებით ავალობებდა ბუღბუღს“. ბუღბუღი ხომ ბუნების მგოსანია. იგი თავისი გალობით პოეზიის უმადლეს ნიუს გამოხატავს და „ეიფურ საამოვნებას აგრძნობინებს ადამიანს“. ბუღბუღი რომ სიკეთის ნაწილი არ იყოს, ვერც ასე შესანიშნავად ივალობებდა, რადგან ვაჟაყფაძის აზრით „მთასისლე სული და გული ევლარ გამოცემს ასეთ ხმებს“.

ამრიგად, მზე — სითბო — გაზაფხული — სიცოცხლე — სილამაზე — სიკეთე — პოეზია — ეს არის ვაჟაყფაძის პოეტური კოსმოგონიის პედიოცენტრული სისტემის პირველი მაგისტრალი.

მაგრამ აქ გერ მხოლოდ ბუნებაზეა ლამაზი, მის მარადიულ გაზაფხულებზეა და არა ადამიანზე. ვაჟაყფაძის იდეა ჩამოაშორებს ბუნებას, ვერ დაარტყევს მათ მთლიანობას, რადგან ადამიანი და გული ბუნებისა — მზე ერთი მთლიანობაა. ადამიანი მზის ნაწილია და ისევე ვერ იქნება უიმისოდ როგორც თვითონ მზე უადამიანოდ. „მზე უშნოოდ ვერ იქნებოს, რადგან მენ ხარ მისი წილიო“, — წერდა ნესტანი ტარიელს. ვაჟაყფაძე ამბობდა: „თვალი რომ მზისდარი („sonnenhaft“) ე. ი. მზის წილი არ იყოს, ვერც მზის დანახვას შესძლებდაო. მზისა და ადამიანის ეს ერთწილობა ქმნის მათი ცნობიერი არსებობის შესაძლებლობას. ელ-ელევე კი ასეთი არსებობა შესაძლებელია მაგრამ წარმოუდგენელი. ვაჟაყფაძე ფიქრობს. იგი იცავს ბუნების მარადიული გაზაფხულების კანონის ტოტალურობას და

ცილობს აღამიანებზეც გაავრცელოს ის. ამიტომაც აყენებს ის ასე პირდაპირ საკითხს ნუთუ აღამიანის სულს კი არა აქვს თავისი განუხლებელი? აქედანვე იწყება ვაჟის ჭელოცენტრული მსოფლგაგების მეორე ეტაპის ტრაგედია. იგი ჩვეულებისამებრ ხმალივით მოიჭენებს ხოლმე უეცარ ფრანსს და რაღაც დიდსა და მნიშვნელოვანს ვაჟკეთს. „სიბერე მისტად არა ღირს“, ასე იწყებს ის სტატიას „ზოგი რამ ფიქრებიდან“ და განაგრობს, რომ სიბერე რღვევაა, სიცოცხლის უარყოფა, სიყვდილის პირისღებარეში. სიბერე მართო ფიზიკური დაუძღვრება კი არ არის, არამედ გონებრივი დაბერაეება. ის მოთმინებისკენ სრის აღამიანის ხასიათს, ნდომათა და წადილთა რიცხვსაც ამიერებს. აღამიანი ბუნების გარღვეულ კანონს ისევე ემორჩილება როგორც ყოველი ცოცხალი არსება: იბადება, შემდეგ ბერდება და კვდება. მაგრამ ამაში როდია დასაწყისი და დასასრული სიცოცხლისა. აღამიანი ინდივიდი, მაგრამ იმავე დროს ნაწილია ერისა. ვაჟა ეკამათება დასავლეთელ მოაზროვნეებს, განსაკუთრებით კი ოკოუ სტკონტს. იგი არ იზიარებს კონტის შეხედულებას იმის შესახებ თითქმის ერთი აუცილებელია დაბადების, ზრდის, დაეყვავების, დაბერებისა და სიკვდილის იმავე საფეხურებს ვევიდს, რასაც ცალკეული აღამიანი. ვაჟა წერს, რომ „აღამიანის გონება ყველას და ვეველურის დაბერებას შეურთავდება, ზოლო სიბერე ერისა საშინელებაა“. მან იცის, რომ ისტორიაში არის შეშლავეები ერის სიბერისა და სიკვდილის და ხედავს კიდევ ამის მიზეზს. მისი აზრით, ერის სიბერეს ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსებისა, იწყებს მონობა. „ერს დაბერებს მხოლოდ მონობა“, წერს ვაჟა, — ისეთი ცხოვრების პირობები. როცა მას საყოფარი ნების, ძალღონის გამოჩენის საშეალება მოესმობა... მონობაში არწივი ასწლს ვერ ცოცხლობს, თავისუფლებაში ორასიაც ვადაჟარბებსო.“ — დასძენს ვაჟა დატავეებელი ქორი ერთ კვირაში კვდება; რამ მოკლიო, რომ იჯიბით, გულმაო, გვასუტებენ. „ღიბ მონობა საშინელებაა, — განაგრძობს იგი, — მომკვდინებელია, როგორც სიბერე, სხვაფერი ერის სიბერე და სიკვდილი შეუძლებელია. მანამდე სანამ მზე ანათებს დღით და ღამით მოვარე“. აქედან გამოყავს ვაჟს აზრი, რომ სიბერე თავისთავად არ არის საშინელი. ამა ბუნებაზე უფრო ბებერი რა იქნებო ამბობს ის და ისევე გაზაფხულებისა ანუ სიცოცხლის გაგვრძობის პრობლემას უბრაუნდება. მაგრამ ახლა უკვე აღამიანური ის ისპექტში. ის აღამიანის სულის განუხლებლების საკითხს აყენებს და წერს: „როცა აღამიანის სულის განუხებულზე ჩამოვადებთ

სიტყვას, მაშინ ვერ დაგვიწყებთ სიცოცხლეს. ვინაიდან განუხებელი იგივე სიტოცხლესა და როცა აღამიანის სულის განუხებულზე უბრაუნდება, უშეშელია მაშინ იგი უნდა ცხოველყოფილი, სიცოცხლის შემწელი იყოს“. მაგრამ როდის შეიძლება აღამიანის სულის განუხებულზე? — როცა ის თავისუფალია. „შალაო, ქვეყნის მოყვარული შეიძლება მხოლოდ იქნეს სიცოცხლის მქნელად და სულის სამშვენიერედ მოგვევლინოს, ზოლო თუ თავისუფალია იგი“. ამრიგად, ვაჟამ თავის სისტემაში შემოიტანა ახალი კატეგორია თავისუფლებებისა და იგი ბედნიერების საკითხს დაუყავიბა. „უპირველეს ყოვლისა, სული უნდა ვრძობდეს ბედნიერებას, — წერს ვაჟა. იგი როგორც განუხებულზე ბუნება, უნდა ვაყოფდეს, უნდა შეწინდებოდეს, უნდა იყოს ცხოველყოფილი, მქნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმამცენებელი და ამასთან უსათუოდ თავისუფალი, როგორც განუხებულზე ბუნება“. თუ აღამიანი ბედნიერია არ არის ვერც სულის განუხებულს განიცდის“ მაგრამ არც ეს კმარა ვაჟის აზრით აღამიანის სხედელმა რომ განუხებულმა განიცდოს, აუცილებელია სიყვარული, რადგან ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერასდროს ვერ ეღიბება განუხებულ სულსას“. ვაჟის კონცეპციაში სიცოცხლე და სიყვარული განუყოფელია ერთმანეთისაგან.

„სიცოცხლე სიყვარულითა და სიყვარული სიცოცხლით, უერთიერთოდ ვერც ერთისა ვერ ვიცნობთ, ვერც რის ვიცნობდით“-ო, წერს იგი.

სიყვარული ისევე მარადიულია, როგორც სიცოცხლე. აღამიანები კვდებაან, მაგრამ სიცოცხლე უკვდავია ასევე სიყვარულიც.

„მკვდარი ეკარგვით სიყვარულს, ის ისევე რჩება ცხოვალა“-ო — ამტკიცებს ვაჟა

სიყვარულია ძალისა და სიცოცხლის მომნიჭებელი. მისგან ხარობს მთელი ბუნება.

„იმისგან ყვირის ირემი, მისით დავრჩანეს შევლია; მისგანა ვალობს ბულბული მისგნითვე შევანობს ველია, იმისგან ხარობს ბუნება უკანასკნელი მწერია ზღვაში იღუპვის კაბუცი, თავის სატრფოსთვის ხელია დიდება ქვეყნის შემოქმედს რა კარგად დაუწერია...“

ვაჟის უფრადლების ცენტრში სიცოცხლის მარადიული განახლების, ბუნებისა და აღამიანის სულის განუხებულების იდეა დგას. ყოველი ცალკეული პიროვნება, „ყოველი მოე-



ღენა, ყოველი ძალი ბუნებისა ცალკე-ცალკე და ერთად ცდილობს მიეშველოს სიცოცხლეს, სრულყოფას სიცოცხლეს. ასეთია სული ადამიანისა, როცა მას დაუფლება გაზაფხული. იგი ყოველ თავის ძალ-ღონეს მიმართავს ერთს სისიცოცხლედ, ცხოვრების ბედნიერება სიცოცხლისათვის, რათა არსებობა თავისი ქმნას რაც შეიძლება ნაყოფიერი, ფიქრობებს თავისუფლად, აყვებულებს იმას, რაც გულით სწიდა, ხოლო წადილი მისი უკვე ვიცით როგორი უნდა იყოს, საითკენ მიმართული. იგი უნდა იყოს დაუცხრომელი მოქმედი, როგორც თვით გაზაფხული.

მოქმედება ვეფას ესმის როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. იგი წერს რომ „შრომა სიყვარულთან ერთად სიცოცხლეს სიღამაზესა და აზრს აძლევს. სასარგებლო აზრიანი შრომა ადამიანს სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს“. გოთეს ფუსტრმა შეცდომა დაუშვა როცა უარყო მეფისტოლის წინადადება შრომისთვის მოეციდა ხელი. იქაც ხომ ის აზრი იყო გატარებული, რომ სიცოცხლის აზრი შრომაშია. ვეფას ამბობს, რომ „შრომა და სიყვარული აძლევს შნოს და ღაზას ადამიანის სიცოცხლეს“. გოთესთან ფუსტრი ამას ედღუნებათა მრავალი საფეხურის ვაჯლის შემდეგ მიხვდა. ბოლოს მან მაინც თავისუფალ შრომაში ნახა თავისი უკანასკნელი და უმიღლესი ქეშმარიტება. „შრომისა ახსნავს არის ტვირთი ძველკოსილის ამ სვეტისა“ პიროგამელი სიმტკიცით განაცხადა ი. ქეჭეკეძემ. ვეფას იმთავითვე იცავდა სასარგებლო შრომის ანუ საზოგადო მოღვაწეობის პრინციპს. მისი აზრით, შრომა სიცოცხლეა, სიცოცხლე გაზაფხულია. ამიტომ ყოველი საზოგადო მოღვაწე — როგორც ის წერს „არის გაზაფხულის მსგავსის სულისა“, რომელიც თვითონ სანთელივით იწეობს, სხვას კი გაზს უნათებს. ამაშია ადამიანის უკვდავება და არა მხოლოდ „ბუნებისთან ერთიანობაში“. საზოგადო მოღვაწე საზოგადოებრივ შრომაში ავლენს თავის უკვდავებას და ამითაც ამტკიცებს ადამიანის უკვდავობას ბუნებისთან (...გაზაფხულის მსგავსი სულისა). უკვდავება დიდებული ადამიანის თვისებაა. იგი „შეზღვიერება სულში მღვთმარობისა“ ამბობდა ნ. ბარათაშვილი. ვეფას ამასვე გულისხმობს, როცა წერს „არ შეიძლება მოკვდეს ღამეში არის ზენი კაცობისა“. ამიტომაც, რომ ბუნებისა და ადამიანის სულის გაზაფხულება ვეფასთან ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული და ერთნაირი თვალსაზრისით განიხილება.

თვის მსჯელობას ერის სულის გაზაფხულების შესახებ ვეფას ამთავრებს სიტყვებით. „ამ როგორც შემქმელი დეახასითიე მოკლედ გაზაფხული თითოეული ადამიანის სულისა,

სხვა თქვენ გხოვთ წარმოიდგინოთ, თუ როგორი უნდა იყოს გაზაფხული ერის სულის უწყვიდე მხოლოდ, ეს იქნება მსგავსი ბუნების გაზაფხულისა, მისი განსახიერება და გამოხატება მთისა და ბარისა, ცისა და დედამიწისა“.

ამრიგად, ვეფას პოეტურ კოსმოგონიის პირველ მაგისტრალს ბუნებისა: „მზესი — ბო — გაზაფხული — სიცოცხლე — სიღამაზე — სიკეთე — მოეხიან ენა — ტება მეორე — ადამიანობა: გაზაფხულება — სულისა — თავისუფლება — ბედნიერება — სიყვარული — შრომა ანუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა — ერის უკვდავება. ამასთანვე ეს ორი მაგისტრალი პირველურად კი არ მიმდინარეობს, არამედ ორზევე ექსპოზიციად ემოხვევა ერთმანეთს და ბუნებისა და ადამიანის კოსმორ მთლიანობას ქმნის. ამ მთლიანობის მამოძავებელი ძალი ვეფას აზრით მოქმედებაა, შრომა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა. გოთე წერდა „ყოფიერება ეს მოქმედებაა“ (Das Sein ist Tätigkeit). მისმა ფუსტრმავე ადამიანური არსებობის უმიღლესი აზრი თავისუფალ შრომაში დაინახა. ვეფას ეს პრინციპი კიდევ უფრო განავითარა. მან შრომა დაუკავშირა არა მარტო თავისუფლებას, არამედ ერის უკვდავების საკითხსაც. მისი აზრით თავისუფალი შრომა, ანუ ერის სასარგებლო მოღვაწეობა, კაცობრიობის უკეთესი მომავლის საწინააღმდეგეა. ამიტომ მოუწოდებდა ის ხალხს „ქვეყნის ერთგულნი, იმრომეთო!“ ხოლო იმათ ვინც პარახიტულ ცხოვრებას ეწევა, მკანარეობს და თავს არიდებს საზოგადო სასარგებლო საქმეობას, ვეფას გემორიბავს „სულის გაზაფხულების“ გავებით. „პატარა, ვიწრო გრძნობისა და ტენის ადამიანი, — წერს იგი — თუ იგი მდიდარია, თავს ბედნიერად პრაცხს, რადგან ურეულგვარ მოთხოვნილებას ცხოველურს, ფიზიკურს იმყოფილებს; შეიძლება ფიქრობდეს, მე განიცდი გაზაფხულის სულისა, მაგრამ დიდად მოტყუებული იქნება, რადგან ამგვარი ადამიანი მხოლოდ გამწანდგურებელია იმისა, რაც გაზაფხულის შემოქმედების წყალობით მიგვიღია ადამიანებს, იგი სიცოცხლეს როგორც მთელს, არიდებს ქმაცებს, მხოლოდ დაკლებით აკლებს, იგი ვინცდღაც ისეთსავე გაზაფხულს სულისა, როგორც ყოველი ცხოველი, როცა იგი მაღარია და მსუქანია. შეიძლება განა ძალიან მსუქანი ღორიც, ტალახში ვდებთ რომ ანულებს მზურადებას თავის ლეშისას, რათა განცხრომა იგრძნოს, ვინმათ ვითომც მას ეგრძნოს გაზაფხული სულისა; ადამიანთა უმრავლესობაც ვინცდღაც ასეთსავე დიდიობას, როგორც ღორი, მაგრამ ნუთუ საზღვარი იღარ უნდა

ეყოს სულით განახლებლისა და კუქით განახლებლის მფლობელთა შორის?"

ვაჟამ იცის, რომ ეს განსხვავება არსებობს და ამიტომაც უტყვის ასე შეურავლედ მხარს მშრომელ ხალხს, რომელსაც ის წვენი ქვეყნის ჭეშმარიტ ძალად თვლის.

ვაჟას სჯეროდა, რომ პატროსანი შრომით, სიმართლისათვის ბრძოლითა და თავდადებით კაცობრიობა მიიღწევდა უკეთეს მომავალს. ამით ვაჟა-ფშაველა არა მარტო თავისი ერის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე მოწინავე იდეების თანამიმდევრულ გამომხატველად გვევლინება. იგი ასახავს კაცობრიობის საუკეთესობრივ ოცნებებს ჭეშმარიტების, ბედნიერების, თავისუფლების, სიკეთის, სილამაზის, სიყვარულის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, სამშობლოს სიყვარულისა და საერთოდ ერის სიღრმის განაფხულების შესახებ. ყოველივე ამას ვაჟას პოეტური კოსმოგონია ერთ-მთლიან ლოგიკურ სისტემად აქცევს და შეუდარებელ მხატვრულ ნაწარმივებში ავლენს. ძნელია იმ დროის მსოფლიო ლიტერატურაში პეოროვ მწერლის დასახელება, რომელსაც ამ სიძალადემდე იყვანოს ფანტაზიის საერთო სავაქობრიო იდეები და ასეთის სიძლიერით ემდგროს კაცობრიობის უკეთეს მომავლის რწმენისთვის, ხალხთა სიკეთისა და ბედნიერების თუ ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ერთიანობისთვის. ამიტომ პირდაპირ ვასაოკარია, როდესაც ვაჟას თესახებ დავწერო შრომებში კითხვით, მიიქცის ის ვერ ამოდლად დროის ამოცანების გადაბმდე, რომ მას ჭარბივლი ხალხის საერთო ეროვნული ამოცანები თავის ლიტერატურულ შემოქმედების სახნად არ გაუხდია და სხვა სამწუხაროდ ვაჟას შესახებ ბევრი რამ თქვა უმეტარული და შეურაცხყოფილი ბევრმა სხვა მსოფლიო ლიტერატურის ეს ვანუშორებელი ისტატი ფშაველურეთის ვიწრო

უნოვრადიულ ხარხოვში ჩაეკრა და რაღაც წარმართულ — მისტიკური აზროვნების გადმონათლად წარმოედგინა. ზოგი მას ვანუთლუბულ პრიმიტივიდაც თვლიდა. ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვინც ვაჟას თმმეტარ შეზღუდულობასა და ნაძორჩენილობას უკეთებდნენ. მართალია ამის საწინააღმდეგო აზრებიც, გამოიჭა, მაგრამ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დღემდე მინეც არ არის უტროვნად შეფასებული. ლიტერატურულ კრიტიკასა და თეატრში ვაჟას ისევ ეთნოგრაფიულ-ეგზოტიკურ ფარგლებით ზღუდავენ და მის სრულად აშკარა მატერიალისტურ-რეალისტურ მსოფლმხედველობას მისტიკისა და მეტაფიზიკის ბურუსში ხვევენ. არსულ ენაზე დავწერილი მონოგრაფიის ავტორები ვაჟას შემოქმედებაში პირველყოფილ ადამიანებს წარმოდგენებსაც კი ხედავენ სიკეთისა და ბოროტების შესახებ, ისინი წერენ რომ ვაჟას ვერც ფილოსოფიამ და ვერც ისტორიამ ვერ ასწავლია ადამიანთა ურთიერთობის სამყარო რომ ხანგრძლივი მძიმე ბრძოლით უნდა გარდაიქმნას. მათი აზრით როგორც კი ვაჟა რამის განზოგადებას განიზიანებდა მაშინვე მეტაფიზიკაში ვარდებოდა და სხვა.

ლი და არ ვიცი, რაა მიეაწერო ამგვარი შენი მოქმედება. ეს სამა წელიწადია, ყოველს წიგნში იწერებო, ახლა კი ვერ დავიჭობკ უგზანგინო, მაგრამ ამა და ამ ღრსო კი უთუოდ! (ან უბეყდილოთ, ან მიუცილებლოთ) გავათავებოკერსს. მოუთმენლად ველი ზოლმე, იი ჩაბოვათქო და ამ ღრსო კილდე შენი წიგნი მომდის, რომელშიც ძველს ძსტორიის განიგვარებე და კიდვე ახალს იმედს მაძლევ ჩიომსელსას... რატომ არ იწერებო სწორეთ რა მიზეზია, რომ კერსს არ ათავებო“<sup>1</sup>.

მაგრამ დავითი ცვლავ პეტერბურგში რჩებოდა.

1864 წლის 27 ნოემბერს ვაგზავნილ წერილში უმცროსი ძმა სიმონი დავითს უსახყვდურებს: ხომ გვაცნობე, რომ უნივერსიტეტის კერსი უკვე დაასრულე. მამ რატომ აღარ მოღობარო და ვანაგრძობს: „ღაერენყო და ნეიკობს აქ არიან 2. პეტრე უმაქმეილიც საშივიდა. როდის იქნება დიძრეთ თქვენიც რუსეთის სტუდენტებო? ცდებით, რომ აგრე იგვიანებო, ცდებით, თორემ ჩამიხვალთ, თითონ ნახავთ.“

ამ წერილიდან (და ბევრი სხვა წერილიდანაც) ჩანს, რომ თბილისელ მეგობრებისა და ნათესავების დაბეჯითებით თხოვნა დავითისა და მისი მეგობრებისადმი — თავს გაუფრთხილდით და სხვ. ნაკარნახევი იყო სურვილით გამოყენებით პეტერბურგის პართელ სტუდენტთა კარება საშობლოში, სადაც ამ უქანასკენლ, მათი აბრით, მტო სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ხალხისათვის.

მაგრამ დ. ღოღობერიძეზე არ უმოქმედნია არც ამ აზგუმენტს და არც ამ საშინელ ტერორს, რომელიც მეფეზე თავდასხმას მოჰყვა. 1869 წელს ის კვლავ პეტერბურგში ყოფილა და მხოლოდ 1870 წლის ვახაფხურში გამოღარა იძლეებული დაეტოვებინა პეტერბურგი და წასულიყო არა საშობლოში, არამედ ქალაქ ოდესაში.

მასალების სიმკიცრე ჯერ-ჯერობით ნების არ გვადლეს გავაშქოთ დ. ღოღობერიძის საქმიანობა პეტერბურგში 1866 — 1869 წლებში, მაგრამ ის შეიარეულენი მასალებიც კი. რაც ამჟამად ჩემს ხელთაა, გუფიქრებინებ, რომ სხენებელ პერიოდშიც დავითი ვანაგრძობდა არალეგალურ საქმიანობას და მხოლოდ პეტერბურგის სტუდენტთა ასალი დიდი პოლიტიკური გამოსელისა (1869 წელს) და ნეჩაეველთა

<sup>1</sup> დ. ღოღობერიძის პირადა წერილები მ კოლექცია, ფ. 206.

<sup>2</sup> ლაერენყო ცნობილი რევილუციონერი იყო, რომელიც რევილუციურ საქმიანობასათვის ნამესტნიკის ბრძანებით გამოკეებული იქნა თბილისიდან: ნეიკობის შესახებ კი ცნობებო არ მოგვეპოვებია.

რევოლუციური ორგანიზაციის აქტიურ წევრთა დაპატიმრების შემდეგ იძულებული გახდა პეტერბურგი დაეტოვებინა.

6. თავდასხმა რუსეთის მეფეზე 1866

წლის 4 აპრილს და ქართველი

სტუდენტების — ვარლამ ჩერქეზაშვილისა და ხარლამა სავანელის მონაწილეობა თავდასხმისთვის მზადებაში.

ჯერ კიდევ 1863 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა, ხოლო 1865 წელს გაფართოვდა და გაძლიერდა რევოლუციონერთა საიდუმლო წრე, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი ნიკოლოზ იშუტინი ხელმძღვანელობდა. ამ წრის წევრები ძირითადად ხალხსწორი შეხედულებებს იზიარებდნენ და მიზნად ისახავდნენ მშრომელთა სხვადასხვა არტელებისა და ასოციაციების საშუალებით რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას სოციალისტურ ყაიდაზე.

არტელუბასა და ასოციაციების გარდა, როგორც მეკლდერი შ. ლეინი მიუთითებს, „იშუტინელები დაინტერესებული იყვნენ ბიბლიოთეკებისა და პატარა სკოლების მოწყობით, რომლებსაც უშთავრესად პროპაგანდისა და ორგანიზაციის საყრდენი პუნქტების მნიშვნელობას ანიჭებდნენ“<sup>1</sup>.

იშუტინის მოსკოვის წრე დაავაზირებელი იყო პეტერბურგის ანალოგიური მიმართულების საიდუმლო წრესთან, რომელსაც ნიკიერი ლიტერატორი და ცნობილი რევოლუციონერი ივანე ხუდიაკოვი ხელმძღვანელობდა.

1865 წლიდან იშუტინის წრის წევრთა შორის ფეხი მოიკიდა ინდივიდუალური ტერორის შემდგარმა ტაქტიკამ და იმავე ხანებში აღმოცენდა მეფის მოკვლის გეგმა. განაჯუთრებით გულშობლივით ამ გეგმის განხორციელებას ნ. იშუტინის ბიძაშვილი და მისი წრის ერთერთი აქტიური წევრი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი დიმიტრი კარაკოზოვი შეუდგა. 1866 წლის მარტში დ. კარაკოზოვი მეფის მოკვლის მიზნით პეტერბურგში ჩავიდა და მანამდე დაუკავშირდა ნ. ხუდიაკოვის საიდუმლო წრეს. როგორც ჩანს, ხუდიაკოვი და მისმა თანამებრძოლებმა (მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იზიარებდნენ ინდივიდუალური ტერორის იდეას), გარკვეული დახმარება აღმოუჩინეს კარაკოზოვს მეფეზე თავდასხმის მოწყობაში.

1866 წლის 4 აპრილს პეტერბურგში, საზოგადოებრივი ბაღის ახლოს კარაკოზოვმა ესროლა მეფე ალექსანდრეს II. მაგრამ ააცდინა, კარაკო-

ზოვი შეიპყრეს და იმავე წლის 3 სექტემბერს ჩამოახრჩვეს.

კარაკოზოვის გასროლას შთაერობამ სასტიკი რეაქციით უპასუხა, საეკილურ საგანმამდირო კომისიას სათავეში ჩაუდგინეს უპილტვენი რეაქციონერი მ. შურაგოვი. მთელ რუსეთში გამეფდა ე. წ. „მთერი ტერორის“ ხანა. იშუტინისა და ხუდიაკოვის არაღებულური წრეები, რომლებიც ცნობილი იქნენ როგორც მეფეზე თავდასხმისთვის მზადების ცენტრები, განადგურებულ იქნა. ამ წრეების წევრთა უმრავლესობა შეიპყრეს და სხვადასხვა ვადით კატორღაში ან სამატიმროებში გაგზავნეს.

დღემდე ჩვენს საზოგადოებასთვის არ იყო ცნობილი იშუტინ-კარაკოზოვისა და ხუდიაკოვის წრეებთან ქართველი სტუდენტების რაიმე ურთიერთობის ფაქტი, ამჟამად კი, ახლად გამოკვლენებული საარქივო მასალების მეშვეობით, ცნობილი გახდა შემდეგი ვარაუდები: მოსკოვში იშუტინ-კარაკოზოვის წრის აქტიური წევრი უოფლია პეტროვსკის აკადემიის სტუდენტი ვარლამ ჩერქეზაშვილი, რომელიც შეუხყარიათ, გაუსაზღვრლებლათ და რვა თვის პატიმრობა მიუხედავად; ხოლო პეტერბურგში კარაკოზოვის საქმის თანამონაწილედ მესამე განყოფილებას უცენია პეტერბურგის კონსერვატორიის სტუდენტი ხარლამა სავანელი, რომელიც სრულიად შემთხვევით გადაჩენია დაპატიმრებას.

გავეცნოთ ზოგიერთ საბუთს, რომლებიც აღსატურებენ სხენებული ქართველი სტუდენტების რევოლუციურ საქმიანობას.

მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია საქმე, რომელსაც სათაურად აქვს: „საქმე პეტროვსკის აკადემიის უოფლი სტუდენტის, თავად ვარლამ ჯან-ასლანისძე ჩერქეზოვის<sup>1</sup> მოსკოვში გაჩხრეკის შესახებ“, სანიღანი ჩანს, რომ 1866 წლის 27 აპრილს გაუჩხრეკიათ და იმავე იღღეს დაუპატიმრებლათ

<sup>1</sup> საქმის ვარეკანზე, სათაურ ქვეშ წერია: „სსოტობი მიწერილია: „მასთან თანდასთუ-ლია ქალაქობის სამ ცალეე კონვერტში № 94 და 106“. სამწუხაროდ, ეს ქალაქობები, რომლებიც ვ. ჩერქეზიშვილისათვის ჩხრეკის დროს ჩამოღობთმევიით, საქმეში არ აღმოჩნდა და თუმცა ბეერი ვებნეთ, მაგრამ ვერსად ვიბოვნეთ.“

<sup>2</sup> საინტერესოა ასეთი დეტალი: წინა დღით, 26 აპრილს პოლიციამ დაუპატიმრებია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიანე გრიგოლ ჩერქეზოვი, გრიგორიანული სარწმუნოებისა, მისი დაპატიმრებია მომზადარი შეცდომით, შესლათ ვარლამ ჩერქეზიშვილი. შეცდომა შეორა დღესეე გამოორკვევით და გრ. ჩერქეზოვი გაუთთავისუფლებლათ (ტ. 95, პ. 239).

<sup>1</sup> III. M. Левин, «Общественное движение в России в 60 — 70-ые годы XIX века», 1838, стр. 251.

ვარამ ჩერქეზშიელი<sup>1</sup>. მისი დაპატიმრების შესახებ მაშინვე უცნობებიათ პეტერბურგში დამიწრული დემეშით, რომელშიც ნათქვამია: „პეტერბურგი, სერგეევსკაია, გრაფ მიხეილ ნიკოლოზის ძე შერაფეოვს. პეტროფსკის აკადემიის ყოფილი სტუდენტი ვარლამ ჯან-ახალან-ძე ჩერქეზი დამაპტიმრებულია. გენერალ-ადეუტანტი თავადი დოღორუკოვი. მოსკოვი, 28 აპრილი, 1866 წელი. ხაზგასმული შიფრით“<sup>2</sup>.

დაპატიმრებული ვ. ჩერქეზიანი ერთხანს მოსკოვის ციხეში ჰყოლიათ, შემდეგ კი პეტერბურგში გაუგზავნიან და პეტროპავლოვსკის ციხეში ჩაუსვამთ. აი ამის შესახებ მესამე განყოფილების ცნობა:

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საგუთარი კანცლარის მესამე განყოფილებას თავის მოვალეობად მიაჩნია აცნობოს პეტერბურგში უმაღლესად დამტყიცებულ კომისიის, რომ გუშინდელი რიცხვით მოსკოვიდან ჩამოვანალო პატიმარი თავადი ვარლამ ჯან-ახალან-ძე ჩერქეზი იმავე დღეს ვაიგზავნა პეტროპავლოვსკის ციხეში 1866 წლის 28 ივლისს“<sup>3</sup>.

თუ რა ზედი ეწია შემდგომში ვ. ჩერქეზი-შილს, ამის შესახებ ვერცხობლობთ ერთი გვიანდელი საბუთიდან, რომელშიც ნათქვამია: „სისხლის ჯამართლის უმაღლესი სასამართლოს განაჩენით, ჩერქეზოვს მისჯილი ჰქონდა 8 თვის პატიმრობა“<sup>4</sup>.

სტვა საბუთებიდან ჩანს, რომ ვ. ჩერქეზი-შიელი სამატიმროდან გაუნთავისუფლებიათ 1867 წლის 7 იანვარს, მაგრამ ამის შემდეგაც პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ დაჩაჩენილა ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ:

„პეტერბურგის უნივერსიტეტის (sic) ყოფილი სტუდენტი თავადი ვარლამ ჩერქეზი, 22 წლისა, თბილისის გუბერნიის მკვიდრი, სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლოს განაჩენით იმყოფებოდა ციხეში, საიდანაც უფოლდემოწაულესი მინიფეტრის საფუძველზე განთავისუფლდა 1867 წლის 7 იანვარს, და დარჩა პოლიციის საიდუმლო შეთვალურეთის ქვეშ. ემზადება საბროლო საკანდიდატო გამოცდებისათვის“<sup>5</sup>.

პატიმრობამ და პოლიციურმა რეპრესიებმა სრულადაც ვერ აიღბინეს ზელი ვ. ჩერქეზი-შილის რევოლუციურ საქმიანობაზე; პირიქით,

დევნა-შეიწროვებამ არაჩვეულებრივად გამოაწრით და გააძლიერა ახალგაზრდა რევოლუციონერის ნებისყოფა და მალე მისი სახელი ცნობადა გახდა მთელს რუსეთსა და ევროპაში. როგორც ბ. კონზინი აღასტურებს ვ. ჩერქეზი-შიელი „სამატიმროდან გამოხალის შემდეგ 1867 წ. საიდუმლო საზოგადოება „სმოროვის აკადემიას“ ერთ-ერთი ორგანიზატორი გახდა“.

ამ საიდუმლო საზოგადოებისა და საერთოდ ვ. ჩერქეზი-შილის შემდგომი პერიოდის რევოლუციურ მოღვაწეობაზე ქვემოთ დავწერო-ლებით გვეჩვენება საუბარი, ახლა კი შევეხებით მეფეზე თავდასხმისათვის მზადებაში მეთორე ქართველის, — პეტერბურგის კონსერვატორიის სტუდენტ ხარლამა სავანელის მონაწილეობას.

როგორც უკვე ითქვა, ს. სავანელი დამატიმრებული და დასჯილი არ უფილია. მაგრამ მესამე განყოფილების საიდუმლო არქივში აღმოჩნდა ერთი შეტად სინტერესო ცნობა, რომელიც უდავოს ხდის მის აქტიურ მონაწილეობას ი. ხელიაკოვის საიდუმლო წრის შემთხვევაში. აი ეს ცნობა:

„ხარლამა ივანეს ძე სავანელი. ცხოვრობს ზაკორიანის პროსპექტზე, სახლი № 9, ბანა № 11. კონსერვატორიის მოსწავლე. კარაილოვის საქმის თანამონაწილე. ის აგრეთვე ეხმარებოდა მოწყობით ბიბლიოთეკა, რომელიც ვახტანგის ხელმწიფეზე თავდასხმის შემდეგ, მაგრამ თუმცა სწორედ იქ ინახებოდა იმათი საზოგადოების ბეჭედი და წიგნი, რომელშიც ჩაწერილი იყო თანამონაწილეთა სია, მაგრამ მუ-3 განყოფილება ჩინოვნიკმა ევრაფერის ვერ იბოვნა (თუთი სავანელის სიტყვით)“<sup>6</sup>.

ამ ცნობიდან ნათელია, რომ მესამე განყოფილებას ს. სავანელი უდავოდ მიიჩნდა „კარაილოვის საქმის“ თანამონაწილედ; ნათელი ისიც, რომ ს. სავანელი არაუვალური ბიბლიოთეკის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი ყოფილა და თუ მინიმუმ ვადაურჩა იგი დამატიმრებას, ამის მიზეზი იყო მესამე განყოფილების ჩინოვნიკის მოუსაზრებლობა, რის შედეგადაც ეანდარმებს შემთხვევით დაუკარგავთ მანხილებელი საბუთების ხელში ჩაგდების საუფრთხულო შემთხვევა. ფრად საყურადღებოა ის ვაჭაროება, რომ ს. სავანელს სცოდნია, სად იყო დამალული მათი საიდუმლო წრის ბეჭედი და წრის წევრთა სია, რაც იმაზე მითითებს, რომ მის ხსენებულ წრეში აქტიური და ხელმძღვანელი როლი უთამაშნა.

<sup>1</sup> ტ. 95, პ. 264.

<sup>2</sup> ტ. 95, პ. 264.

<sup>3</sup> ЦГИАМ, ტ. 95, პ. 430, პ. 25.

<sup>4</sup> ЦГИАМ, ტ. 95, პ. 427, 1868—1869 წ. პ. 4.

<sup>1</sup> ЦГИАМ, ტ. 109, секр. арх. п. 3166, პ. 1.

<sup>2</sup> მესამე განყოფილების მითითება რომელიც წიგნზე, რომელშიც „თანამონაწილეთა“ სია იყოთა, აღბათ გულისხმობს საიდუმლო წრის წევრთა სიას.



# ვერსავენი საქართველოში

1941 წ., როდესაც ზენეი საშობლოს დედაქალაქს — მოსკოვს პიტლერული ჯარების შემოსულის საფრთხე ემუქრებოდა, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, მოსკოვიდან ჩვენი ქვეყნის შეაგულსა და ცალკეულ რესპუბლიკებში ევაკუირებული იქნენ მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწენი.

მათ რიცხვში, ვინც თავის დროებით თავშესაფრად საქართველო აირჩია, იყო დიდი რუსი მწერალი ვიკენტი ვიკენტის ძე ევრესავეი (სმიდოვიჩი), მას თბილისში ჩამოჰყვა თავისი მეუღლე — მარიამ გერმოგენის ასული, რომელიც მოსკოვის ნემიროვიან-დანინკოს სახელობის აკადემიური მხატვრული თეატრის ზელმძღვანელი იყო. მათთან ერთად ჩამოვიდნენ: სსრკ სახალხო არტისტი კახალავი, მასალიტინოვი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, პიანისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გოლდენეიზერი.

ძალუნებური გადმოსახლების პირველი დღეები ბევრსთვის მძიმე აღმოჩნდა. შრობალოერი ადგილიდან მოწყვეტილი ხალხის ეს მწარე, გარდუვალი ხედრი არ ასცდა ვერესავესა. მაგრამ ვერესავემა და მისმა მეუღლემ მალე იგრძინეს ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა თბილი, მეგობრული მზრუნველობა.

კულტურული კავშირი რუს და ქართველ ხალხებს შორის მრავალი საუკუნის წინ ჩინისაა. ამ კავშირის განვითარებისა და განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში რუსი მოღვაწეების უწყებურსა თუ ნებისთი ცხოვრებას. მათ შესიერებაში ქართველ ხალხის გულკეთილობამ და ზელგამილობა-სტუმარმპოყვარებობამ კეთილშობილური, შესამჩნევი კვალი დასტოვა.

ქართველი ხალხის ადამიკვეულებების ერთგულმა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა თავის თავზე იდო ინიციატივა, შეექმნა ვერესავეთა ოჯახისათვის ისეთი პირობები, რომ მათ მშობლიური მოსკოვის მოშორებით გამოჩვეული სეღვა ქართველ მწერალთა მეგობრულ წრეში გაეპარებინათ.

პირველდ ვერესავეები მწერალ შალვა ნიკოლოზის ძე დადიანის ბინაში ცხოვრობდნენ. შ. დადიანის უურადღება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი გულდობითა და სტუმართმოყვარეობით.

ბით. შ. ნ. დადიანი, როგორც ერთ-ერთი უხუცესი ქართველი მწერალი, თავის მოვალეობად თვლიდა გაეცნო რუსი ნიქიერი მწერალი-ვერესავეი ქართული კულტურისა და ლიტერატურის წარმომადგენლებსათვის.

შ. დადიანის ბინაზე ბევრჯერ მოიწყო ვერესავეისა და ქართველი მწერლების მეგობრული შეხვედრა. აქ თავის იყრიდნენ: იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, ბესო ელენტი, ნიკო ლორთქიფანიძე, როდით ქორქია და სხვები.

ქართველი მწერლები უზარებდნენ ვერესავეს თავიანთ ლიტერატურულ ჩანაფიქრს. ვერესავეი კი — თავის მოგონებებს რუს მწერლებზე.

იგი ქართველ მწერლებს უყვებოდა მ. გორკისთან, ლ. ანდრეევიანთან, ა. ბუნინთან, ლ. ტოლსტოისთან, ა. ლუნახარსკისა და სხვებთან შეხვედრების შესახებ, ესაუბრებოდა თავის ლიტერატურულ მემოთბასა და შემოქმედებით გამგებზე.

ეს შეხვედრები, აზრთა უშუალო გაცვლა-გამოცვლა და პირადი კონტაქტი კიდევ უფრო აახლოებდა რუს და ქართველ მწერლებს.

სიმონ ჩიქოვანი ხშირად იწვევდა ვერესავეს საქართველოს მწერალთა კავშირში სხდომებზე. ვერესავეი სიმონებთან მონაწილეობდა მწერალთა კავშირის შემოქმედების მოშაობაში და ამით ერთგვარ ხარკს უხდიდა მწერალთა მეგობრობას.

საქართველოში ვერესავეი პირველად იყო, თბილისში ჩამოსვლამდე მას ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა ამ ქვეყანაზე. ქართველებიდან კი მხოლოდ მკირე თეატრის მსახიობს სუმათაშვილ-იუენისა და დიდ ხელოვანს, სკენის დიდ ისტატს კოტე მარჯანიშვილს იცნობდა.

სუმათაშვილ-იუენთან ვერესავეი უფრო დაახლოებული უკოფილა. მას იგი ჯერ კიდევ მოსკოვის მხატვრულ-ლიტერატურულ წრეში ხედებოდა. იმ დროს მხატვრულ-ლიტერატურული წრე მსახიობებისა და რუსი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა გამაერთიანებელი კლუბი იყო.

ამ წრეს მოსკოვში ძვირფასი სურათებით მორთული და ფაქიზი გამოვნებით მოწყობილი, დარბაზბინიანი დიდი სახლი ეკარა.

ლიტერატურულ-მხატვრული შეკრებების გარდა, რომელზედაც იკითხებოდა მოხსენებები

ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ თემებზე და გამოდიოდნენ შესანიშნავი მსახიობები, მომღერლები და ცნობილი პირვნებანი, აქ ქალაქსაც თამაშობდნენ.

სუბმათაშვილ-ოუენი ამ კლუბის აქტიური წევრი იყო და ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ქალაქის სათამაშო დარბაზსაც.

ვერსავემა ერთი მაშინდელი საინტერესო ეპიზოდი ვაძხვინა, რომელმაც კარგა ხნით შიიქთა წრის წევრებისა და, საერთოდ, მოსკოველთა ყურადღება და დაკავშირებული იყო სუბმათაშვილ-ოუენის სახელთან:

„დარბაზში ქალაქს თამაშობდნენ. სუბმათაშვილ-ოუენის მშვიდად და აუღელვებლად მიჰყავდა თამაში, რომელსაც ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს დამსწრენი. სუბმათაშვილ-ოუენმა უკვე ცხრა ხელი მოაგო. ბანკში ოცდახუთი ათასი მანეთია, იუენი აგრძელებს თამაშს და შეათეჯერ იგებს. ბანკში სამოცი ათასია. მეგობრები ურჩევენ შესწევითს თამაშს. ყველას ჰგონია, რომ იგი ამ ხელს შეიძლება წააგებს. იუენი არ აქცევს ყურადღებას შთსიტყვებს, ზველებურად მშვიდად და აუღელვებლად აგრძელებს თამაშს და იგებს მეოთხმეტეჯერ, ბანკში ასე ათასია. იუენი ისევ აბიგებს კარტს. თავზარდაცემული დამსწრენი ჩუმიად არიან. ასეთი თანხა არავის არა აქვს. ოღონდ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა იუენის სახეზე. მაგრამ უეცრად თამაშს უერთდება მსხვილი ფაბრიკანტი ბოსტანოვოლო. იგი მაგიდაზე ასე ათასის ჩუქს ღებს, ამჯერად იუენის ბედმა უმტყუნა. იგი აგებს, მაგრამ ეს წაგება სრულიად არ აუღელვებს მას. იგი მშვიდად ადგა და დარტოვა დარბაზით.“ — გვიამბო ვერსავემა.

ვერსავეგი დიდად აღესაბუდა სუბმათაშვილ-ოუენის, როგორც მკითხე თეატრის მსახიობსა და მის ზღვრებანელს, რადგან მან შეჰოქმედებითად განახლა თეატრის რეპერტუარი ისეთი რომანტიკული ნაწარმოებებით, რომლებიც იმ დროის მოწინავე აზრსა და განწყობილებას პასუხობდა. ამასთანავე, არ ვაუწყებთია კავშირი ოსტროვსკისა და გრიბოედოვის ნაწარმოებებზე აღზარდილი თეატრის მრავალწლიან ტრადიციებთან.

ვერსავესი კოტე მარჯანიშვილი მიიჩნდა ახალი თეატრალური კლტურის ფუძემდებლად და მეტროლოდ, მსახიობთა იმ ახალი თაობის აღმზრდელად, რომელიც გულწრფელად და სწორად ხსნის აღმომინის შინაგან სამყაროს.

იგი ოღნიშნავდა აგრეთვე მარჯანიშვილის დაღვრების ოპტიმისტური საწყისის თავისებურებას.

ქართული ხალხის ამ ორ გამოჩენილ წარმომადგენელთან პირადად ნაცნობობამ, ვერსავეს ინტერესი აღუძრა ჩვენი ქვეყნისადმი, რომლის უნებური სტუმარიც იგი გახდა.

თბილისში მისთვის ყველაფერი ახალი იყო: ბუნება, ხალხი, ენა. ვერსავეს ყველაფერი

ინტერესებდა და, პირველ ყოვლისა, იგი ენის შესწავლას შეუდგა.

როგორც ჩვეულებრივად უცხო ქვეყანაში ჩასვლისას აკეთებდა, ვერსავემაც საქართველოშიც იშოვნა წიგნები და თავისით დაიწყო სისტემატური შეცადინებობა ქართულ ენაში. დიდი გულმოდგინებით იწერდა და სწავლობდა ქართულ სიტყვებს. მაგრამ, როცა ქართული ენის თავისებურებებსა და გამოთქმის მრავალგვარ სიმწუნეს წააწყდა (რადგან გონების მეტისმეტ გადატვირთვას გაურბოდა, უკვე 76 წლისა იყო), თანდათან შეაჩენლა შეცადინებობა და თავისი გულწრფელი სურვილი ბოლომდე ვერ მიიყვანა.

ვერსავეგი ოღნიშნავდა, რომ მრავალ ენაში სიტყვა „ღელა“-სათვის დამახასიათებელია ასო „მ“ (МАТ), ქართულ ენაში კი ამ სიტყვის ძირი არის „დე“. ამას იგი ქართული ენის თავისებურებად თვლიდა.

ქართული მის თორჯინალურ, სისიამოვნო და ეღერად ენად მიიჩნდა.

ვერსავეგი აღფრთოვანებული იყო ქართველ ხალხში გამტკიცებულ ძველი ტრადიციებით. ის ყოველ ნაბიჯზე ამჩნევდა, თუნდაც იმას, როგორი ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ უფროსებს.

ვერსავეთან სტუმრად მისული ქართველი მწერლები და ლიტერატურისმცოდნენი უკვე ბოდნენ მას გამოჩენილი რუსი მწერლების: ბუშკინის, გრიბოედოვის, ტოლსტოის, გოტკისა და სხვების საქართველოში ყოფნის შესახებ. ისინიც ხომ სხვადასხვა გარემოების გამო მოხვდნენ საქართველოში რომ მათზეც ამ ქვეყნის ბუნებამ და ხალხმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, ვაგონდა იქონია მათს შემოქმედებაზე!

საუბარი ხშირად შეეხებოდა რუსული და ქართული კლტურის ურთიერთობის საკითხებს. ქართველი მეგობრები აცნობდნენ მას საქართველოს კლასიკურებს, ქართული პროზისა და პოეზიის წარმატებას საბჭოთა პერიოდში; ქართული ლიტერატურის შედეგების რუსულ თარგმანებს. ბევრმა ქართველმა მწერალმა მიუძღვნა ვერსავეს თავისი წიგნი გულწრფელი, მეგობრული წაჩქებით.

სიამოვნებით ეცნობოდა ვერსავეგი ქართული მწერლობის ძეგლებს.

პირველად მას ზელში ჩაუეარდა დანიელ ჭონქაის „სურამის ციხე“. ამ დემოკრატიული იდეებითა და რევოლუციური სულით გაფლნთილ წიგნში მან საპრობლენად აღინახა ძალდატანებისა და ჩავერის აშკარა, გაბედული პროტესტი.

მეორე წიგნი, რომელიც მან წაიკითხა, იყო მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“. მიხეილ ჯავახიშვილი მას წარმოადგენილა ჰეადა, როგორც დიდნ ზელოვანი — რეალისტი; ცოცხალი, ხორცმეხსნული სახეების შემქმნელი, რომელიც ნათლად და კოლორიტულად გაიხა-



ტავს ძველი საქართველოს ყოფა-ცხოვრების სურათებს. ამ რომანში, მისი აზრით თავისუფლებისმოყვარე ხალხის სუკეთესო თვისებები და ხასიათი ნაჩვენებია. ვერსავე აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა მწერალმა ამ ნაწარმოებში შეაღწიო უნდა ისწავლოს ცალკეული გმირისა და უპირველეს ყოვლისა, ხალხის — მასის ჩვენება.

შალვა დადიანის (რომელმაც ახალგაზრდობიდანვე დაწყო დასდო ქართულ კულტურას), როგორც მწერლის, მთარგმნელის, მსახიობის, რეჟისორის მრავალმხრივი მოღვაწეობაში; იგი დიდ ნიჭსა და მშრომელ ხალხის მხრედად სიყვარულს ხედავდა.

ქართულ საბჭოთა კლასიკების რიცხში ვერსავე ასახელებდა კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ჭიანჭლის, დემნა შენგელაიას და კონსტანტინე ლორთქიფანიძეს.

ლეო ჭიანჭლის ნაწარმოებებს ვერსავე დრამად დრამატიზირებულად თვლიდა. ისინი, ვერსავეის აზრით — ჩამოყალიბებულობით, კომპოზიციის მომწიფებულობით, ყოფა-ცხოვრებისა და ბუნების სურათობის ნათელი აღწერითა და კოლორიტულობით ხასიათდება.

კონსტანტინე გამსახურდიას ვერსავეს მიაჩნდა არა მარტო მაღალი ერუდიციის ხელოვანი, არამედ თავისი სამშობლოს დიდ პატიორად და ხალხის მეგობრობის მომტრად.

1942 წლის 23 ივლისს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენელთა ანტიდამსისტურ მიტინგზე გამსახურდიას გამოსვლიდან ვერსავეს განსაკუთრებით დაამახსოვრდა მისი დასკვნითი სიტყვები: — „...რომ აზერბაიჯანის მტრულ ძალას არ შეეძლო გაეყვიტოს შეგობრული კავშირი, რომელიც აერთიანებს სომეხს და ქართველს, აზერბაიჯანელს და უზბეკს, რუსს და უკრაინელს, პარტიულს და უპარტიულს“.

ვერსავემა რუსთაველის სახელობის თეატრში, სსრკ სახალხო არტისტის ხორავს მონაწილეობით, ნახა „ოტელიო“. სექტაკლის შემდეგ, დაპირაჟი ჩამოყარდა ოტელიოს როლის შემსრულებლებზე.

ძალიან თავისებურად და საინტერესოდ მიაჩნდა ვერსავეს ხორავს მიერ შექმნილი ოტელიოს სახე. ხორავის ოტელიო მაღალი კულტურისა და ჰუმანურობის მატარებელი ადამიანია, პირდაპირი და გულუბრყვილი, იგი გარემო წრის ფლიდობისა და სიყალბის მსხვერპლი ხდებაო, — ამბობდა ვერსავე.

ვერსავეი ვაცენო საქართველოს მუსიკალურ შემოქმედებას. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, ფალიაშვილის „ახსალომი და ეთერმა“, „დაისმა“. ძალიან მოსწონდა დ. არაყიშვილის კლასიკური რომანსების ხალხიანი მიტოვება. სიამოვნებით ისმენდა: „კვლავ იღვებებს ზუნება“, „ვარსკვლავიანსა ღამეს“, „ივერიის

მთებზე“, „ნუ მიმღერ ტურფა“. ძალიან შეუყვარდა ხალხური სიმღერების „ქერმწიღის“ და „სად ხარ ჩემო საღმურსს“ მღეროდები.

ჩაიკოვსკის მუსიკის დიდი თავიანთსმეგელი ვერსავეი, გაევირეებელი და გახარებული იყო, როცა ვაიგო, რომ ჩაიკოვსკიმ თავის ბალეტში — „შეღელენიკი“ — ქართული ხალხური სიმღერის „იანანას“ ინტონაციები გამოიყენა.

პირველად აქ ვაიგო მან, რომ 1902 წ. ქართულ კურნალ „კვალში“ დაბეჭდილი იყო მისი აღბინდელი ნაწარმოების — „უზო-უკვლოდ“ — ქართული თარგმანი. 1903 წ. „ცნობის ფურცლის“ ილუსტრირებულ დამატებაში კი — მისი აღმოსავლეთის ლეგენდა — „ვარსკვლავი“. ვერსავეი დიდ ინტერესს იტენდა საქართველოს კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, მაგრამ, მოუხედავად ამისა, საშინლად განაცდიდა მშობლიურ მოსკოვთან ძალუბნებურ დაშორებას.

ყოველთვის თავშეკავებული და თავზაბანი ვერსავეი, თანდათან სულ უფროდუფრო გულჩახვეული ხდებოდა; ამ თავისი გულჩახვეულობით იგი თითქოს ამართლებდა მოსკოვის ლიტერატურულ-შეატრული წრის მიერ მისთვის ოდესღაც შეტყვეულ საბეწოდებას — „ქვის ხიდი“<sup>1</sup>.

ქართული ქანდაკების ფუქემდებელმა და დიდმა ოსტატმა ი. ი. ნიკოლაძემ ისარგებლა ვერსავეის შემთხვევითი ყოფნით თბილისში და გადაწყვიტა შეექმნა მისი ქანდაკება.

როგორც ცნობილია, ნიკოლაძე გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკის როდენის მოწაფე იყო. პარიზში ცხოვრებისა და თავისი მასწავლებლის სახელოსნოში მუშაობის მრავალი წლის განმავლობაში, ნიკოლაძეს არ გაუწყვეტია კავშირი რუსეთის კულტურულ ცხოვრებასთან, ისევე როგორც თავის სამშობლოსთან.

ვერსავეს არ უყვარდა, როცა მას ხატავდნენ. მაგრამ ნიკოლაძეს თხოვნაზე უარი ვერ უთხრა და დათანხმდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში, კვირაში ორჯერ, იგი დადიოდა ნიკოლაძის სახელოსნოში.

სიანსებში მეგობრულ და საინტერესო საუბრებში გადადიოდა და ნიკოლაძისგან დაბრუნებულ ვერსავეს დალლილობის კვალიც არ ემჩნეოდა.

ნიკოლაძის ნამუშეაი მოიწონეს. თვით ვერსავეი კმაყოფილი დარჩა. ვერსავეის ბიუსტი ერთ ხანს თბილისში, სა-

<sup>1</sup> მოსკოვის ლიტერატურულ-შეატრული წრეში ასეთი ჩვეულება იყო... წრის წევრებს აუთონებდნენ მოსკოვის ქუჩებისა და მოედნების სახელებს. ვერსავეს მისი პრინციპულობისა და შეხედულებათა სიმტკიცის გამო „ქვის ხიდი“ შეარქვეს.

ქართველთა მხატვართა სალონში იყო მოთავესებული; შერე კი მხატვართა საკავშირო გამოცემაზე, სადაც იგი სსრკ კულტურის სამინისტრომ შეისყიდა. ამჟამად მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერეაში ინახება.

შემდგომი, სსრკ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, წამოიჭრა საკითხი ვერესაევის შრომითი ქალაქ ტულაში მისი ძეგლის დადგენის შესახებ. სსრკ კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა ძეგლის პრაექტის შედგენა ნიკოლადისთვის მიენდო, მაგრამ ნიკოლადის უდროო სიკვდილმა ხელი შეუშალა ამ ამოცანის განხორციელებას.

სწორედ იმ დროს, როდესაც ნიკოლადე ვერესაევის ბიუსტზე მუშაობდა, ქართველმა მხატვარმა გველესიანმა მიზნად დაისახა დაეხატა ვერესაევის სურათი ფერებში.

ა. გველესიანი მხატვართა იმ მცირე რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ერთნაირად კარგად შეუძლიათ პეიზაჟის, ენერული ტილოებისა და პორტრეტის ხატვა.

მისი დიდი ნიჭი უფლებას აძლევდა გველესიანს, საქართველოს მხატვართა გალერეაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ განსაკუთრებული პირობები მორიდებულობისა და საკუთარი თავისადმი, როგორც მხატვრისადმი, დიდი მოთხოვნულობის გამო, იგი ყოველთვის ჩრდილში დარჩენას ცდილობდა.

ვკვებარეშა, რომ გველესიანს ვერესაევი მისი ნაწარმოებების მიხედვით ჰყავდა წარმოდგენილი. ვერესაევიან პირველი შეხვედრის შემდეგ, გველესიანმა შთაბეჭდილებების გაზიარების დროს თქვა: „მე იგი ყოველთვის ისეთი მყავდა წარმოდგენილი, როგორც სინამდვილეში“.

ვერესაევი რომ არ დადლიყო, გველესიანმა გადაწყვიტა ჯერ ფანქარით გაეკეთებინა ჩანახატები და შერე გადაეცა ფერებში.

ფანქარით ჩანახატებს გველესიანი ქართველი მწერლის რ. ქორჭიას ბინაზე აკეთებდა, სადაც მაშინ ვერესაევი ცხოვრობდა.

ერთხელ, ვერესაევის შეუღლე დაინტერესდა გველესიანის ჩანახატებით და მხატვრის თხოვნით, მან თავისი შენიშვნები შეიტანა ნახატში.

როგორც შემდგომი გველესიანი ამბობდა, ეს შენიშვნები მხატვრობის დროს და ფაქტობრივად ამჟღავნებდა და მისთვის ძალიან ძვირფასი იყო. მან დაუშატა კიდევ: „მე რომ ჩემი პოლონეობის დასაწყისში ასეთი ხელმძღვანელი მყოფოდა, ძალიან ბევრის გაკეთებას შეეძლებოდა“. შესაძლებელია, ამ შენიშვნებში, საკუთარი თავისადმი მერტად მომთხოვნ და უსაზღვროდ ეჭვიან გველესიანზე, ზეგავლენა იქონია, რომ მან გააკეთა რამდენიმე ჩანახატი ფანქარით და სიღებებით ხატვას აღარ შეუდგა.

ერთ ამ ჩანახატთანა თბილისში, საქართველოს მხატვრების სალონში იყო გამოფენილი.

გველესიანის ეს ჩანახატი ვერესაევის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდშია შესრულებული და კარგად გადმოცემულია მწერლის სახეს.

თბილისში ყოფნის პირველი დღეებიდანვე ვერესაევის სანახად უამრავი ხალხი მოდიოდა. მისკენ, როგორც სენათლის წყაროსაკენ, მიისწრაფოდნენ მწერლები, სწავლულები, მეშები, ეჭიმები, პედაგოგები, საშუადროები, სტუდენტები. სტუმრებს ვერესაევი გულად ზღვებდა. მათ შორის მაშინვე მყარდებოდა მეგობრული ატმოსფერო და ჩაღებოდა ლალი, ძალდაუტანებელი საუბარი.

ბევრი დამწყები მწერალი სთხოვდა ვერესაევის გამოთქმა აზრი მის ნაწარმოებზე. ვერესაევი ყოველთვის გულსხმირად და ყურადღებით ექცეოდა ახალგაზრდებს, რომლებიც გზას ეკავდნენ ლიტერატურაში.

ეკრძალ, თბილისში ვერესაევიან ასეთმა შეხვედრამ გადაწყვიტა, ახლა ცნობილი საბავშვო მწერლის, ი. ი. ვასილენკოს ბედი.

თბილისში ვერესაევი მუშაობას განაგრძობდა წიგნზე — „ნამდვილი მოთხოვნები წარსულზე“.

ამ ლიტერატურულ ძანს ვერესაევი 1940 წ. მიმართა და ყურნალ „ნოვი მირში“ გამოაქვეყნა დასაბეჭდული მოთხოვნების პირველი სერია.

ვერესაევის აზრით, თანამედროვე რთული ცხოვრება მწერლის წინაშე განსაკუთრებულ ამოცანებს აყენებს. მეთხველი ვერ ასწრებს ახალგაშობილ ნაწარმოებების კითხვას, ახალი წიგნი ბევრია და ზმირად ბელეტრისტიკით საკმაოდ განსაზღვრული. მწერალი პატავს უნდა სცემდეს და ზოგავდეს მეთხველის დროს. მას მოკლედ და მხატვრულად უნდა მიაწოდოს ის, რაც ჩვეულებრივად ასეთლ გვარდებუა გაქმული.

ლიტერატურული შემოქმედების ამ ახალი და ორიგინალური ენრის წარმატებამ, ვერესაევი წახალისა ამ მიმართულებით მუშაობაში.

აღნიშნული მოთხოვნების ცეკში შედიოდა წარსული და თანამედროვე ცხოვრების ეპიზოდები, რომლებიც ვერესაევის ყურადღებას იპყრობდნენ. ერთ-ერთ მის მოთხოვნაში ლიტერატურულ-მხატვრული გამოსახულება ამოვებური ბერის-ბიბლიკოსისთვის ნაცნობმა აშბავმა: კიროვის ქუჩაზე, პურის მაღაზია კიბზე, კარგა ხნის განმავლობაში ხედავდნენ გამხდარ, შშიერ და სიბერისაგან დინამიკაზეულ დიდ ძალს. ყოველთვის, როდესაც მაღაზიაში პური მოპქნადათ, ძაღლი ჩამოდიოდა კიბიდან, ჯდებოდა ტროტუარზე და თვალყურს ადევნებდა პურის გადატვირთვას. ირგვლივ ახალი პურის სასიამოვნო სუნნი დგებოდა. ძალს ნერწყვი მოსდიოდა შინძისისაგან, მაგრამ გამოშუშავებული რეფლექსი პურის მოპარვის უფლებას არ აძლევდა, თუმცა ამის სრულ შესაძლებლობა ჰქონდა. მანქანის განტვირთვის შემდეგ კი

ძალი ბრუნდებოდა მაღაზიის კიბეზე, თითქოს თავის ვალი მოეხადოს.

ვერსავეი აბაერთხელ იყო ამ სურათის მოწმე. მისი აზრით, ცხოველებსაც აქვთ აზროვნება, რასაკვირველია, ნაკლებად განვითარებული, ვიდრე ადამიანს, მაგრამ მაინც აქვთ.

ვერსავეი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ჩამოყალიბებულ მწერალთა ბრიგადებში, რომლებიც კულტმასობრივი მომსახურების მიზნით გამოდიოდნენ ჰოსპიტლებსა და სახმელრო ნაწილებში. ოფიცერები და ჯარისკაცები გულბინად ზღვებოდნენ ვერსავეის. იწვევდნენ მის საუბრებზე. უწყობდნენ შემოქმედებით შეხვედრებს.

ასე მოეწყო, მაგალითად, შეხვედრა ნაჭმოვის სახლავი სასწავლებლებში. საღამოზე ვერსავეის შემოქმედების შესახებ მოხატეზით გამოვიდა რ. ქორქია. ოფიცერებმა შიშობთეს მისასალმებელი სიტყვებით და წაიციბთეს ნაწყვერები ვერსავეის ნაწარმოებებიდან. აღმოჩნდა, რომ ოფიცერი მუხღოერები კარგად იცნობდნენ ვერსავეის და ბევრი მისი ნაწარმოებები ჰქონდათ წაიციბული. ასეთ შეხვედრების დროს, მიმდინარე ბრძოლების შესახებ ხშირად იყო ლაპარაკი.

ვერსავეი დრმად იყო დარწმუნებული საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში. უპირველეს ყოვლისა მას რუსი ხალხის ძალის, გამძლეობისა და ხასიათისა სჯეროდა. ჩვენი ქვეყნის ხალობა მანამდე არნახულ მეგობრობაში კი ამ კამარჯვების საწინდარს ზედავდა.

ცერკაილური პრესის ერთ-ერთმა ყურნალისტმა, რომელიც ვერსავეის ხშირი სტუმარი იყო, შესთავაზა მის, გამომხატურებოდა ონის ამბებს, გამოსულიყო პრესაში პუბლიცისტური წერილით. ყურნალისტის „აგიტაციას“ გამარჯვება ზედა ვერსავეიმა დაწერა წერილი.

ამ პუბლიცისტურ წერილში ვერსავეის მოპყავის ისტორიული მავალითები და აღნიშნავს, რომ წარსულში, მრავალი საუკუნის მანძილზე, რუსეთი აბაერთხელ იყო სხვა ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვათა) აგრესიის ობიექტი. მაგრამ ამ თავდასხმებს იგი უოველთვის წარმატებით იგერიებდაო. ბოლოს ვერსავეი ეხებოდა/ მიმდინარე სამხედრო ამბებს და განმოსტყვამდა რწმენას, რომ მტერი აგრესიადი ვანადგურებულ და საბჭოთა ტერიტორიიდან განდევნილი იქნებოა.

როდესაც ვერსავეიმა წერილი წაიციბოა, კორესპონდენტმა შენიშნა, რომ ამ შემთხვევაში ცოტა უხერხულია ჩვენი მოკავშირეების, არც თუ მაინცდამაინც ბრწყინვალე წარსულის გახსენება და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, ან მბაფრი ტონის შენელება, ანკი, საერთოდ, დრმოდნი გვერდის ავლაო.

ვერსავეიმა მისთვის უჩვეულო გაღიზიანებული ტონით ვასცა პასუხი, რომლის აზრიც ასეთი იყო: „თელიმწაკობა არ შემძლეა“.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ, ჩამდენდმე უფრო გვიან, მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნდა პროფ. ე. ტარლეს წერილი „ისტორიული საბუთების“ სახელწოდებით, რომელშიაც ვერსავეის წერილის ანალოგიური აზრი იყო გატარებული.

როგორც ცნობილია, ვერსავეი დაინტერესებული იყო არა მარტო პუშკინის შემოქმედებით, არამედ მისი პიროვნებითაც.

ვერსავეი მრავალი წლის განმავლობაში ბეჯითად აგრეებდა უოველგვარ მასალას, რომლებიც კი როდესმე დაბეჭდილა პუშკინის შესახებ წიგნებში, ყურნალებსა და გაზეტებში.

შემდეგში ვერსავეიმა სათანადოდ გადამწავა ეს მასალა და შექმნა დიდი ისტორიული-ლიტერატურული ნაშრომი სახელწოდებით „პუშკინი ცხოვრებაში“. როგორ ჰევადა წარმოდგენილი პუშკინი ვერსავეის, რომელმაც დიდი შრომა და დრო მოანდომა მისი ცხოვრებისა და პიროვნების შესწავლას?

თავისთავად ცხადია, რომ თბილისის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, პედაგოგები და ინტელაგენცია დაინტერესებული იყვნენ თვით ვერსავეისაგან — პუშკინის ერთ-ერთი დიდი მომდინისაგან, მოესმინათ ამის შესახებ და მათი ინციბიტებით მოეწყო ლექციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

თავისუფლად და მიშვიდველად ხატავდა ვერსავეი „ყოვანი, გატაცებული, განუსაზღვრელად მიშვიდველი და მომხიბველი პოეტის“ სახეს.

ლექციებს მოჰყვებოდა ხოლმე აზრთა გაცხოველებული გაცეცა-გამოცეცა. ყურადღებას იქცევა ის უბრალო, მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც მყარდებოდა ვერსავეისა და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის. ახალგაზრდა მსმენელმა ვერსავეის კითხვას კითხვანე აუროდნენ, მწერალიც გატაცებით უპასუხებდა. მას ძალიან ახარებდა ის, რომ საქართველოს ახალგაზრდობას ესმის და უყვარს პუშკინი.

ერთ-ერთი ლექციის დამთავრების შემდეგ, სტუდენტები შვიდროდ შემოხვიენენ ვერსავეის ჯგუფს გამოყოფილ ძალით, ტანწარწება და გემოვნებით ჩაემული სტუდენტები ქალი ოდნავ შეყოვნდა და, უხერხულობის დამდევის შემდეგ, მიმართა ვერსავეის: შეიძლება თუ არა გაბღე მწერალი და რა არის ამისთვის საჭირო? გარშემო ვეცლა დაინტერესდა და მოუთმენილად ელადა ვერსავეის პასუხს.

ვერსავეიმა უბრალოდ უპასუხა: ამისთვის რომ მწერალი იყო, არ უნდა უღალატო საკეთარ თავს, დაინახო საგნები შენი თვლით,

ეგრძე შენი გრძნობებით და ყველაფერი ეს გამოთქმა შენი სიტყვებით.

ეს, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ლიტერატურას, ლექსის ან მოთხრობის წაიკითხელი ნაწევრების მიხედვით ადვილად დასახელებს ავტორს, რადგან ყველა მწერალს თავისი „ხელი“, თავისი დამახასიათებელი თავისებურება აქვს, რომელიც აზრის წყობასა და მეტყველებაში მკლავნდება.

როდესაც მწერალი საკუთარი თავის ერთგული რჩება, იგი ინარჩუნებს შემოქმედების სიხალს, ორიგინალობას და იმეოია მისი ღირსება.

ახლა ვხრდა მწერლები, ამბობდა ვერესაევი, არ აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს, ხშირად ბოძავენ სხვებს ასეთი ნაწარმოებები უსიამოდ გვანცეფიერებენ თავისი უფერულობით. მაგრამ საქმარისია ახლა ვხრდა მწერალი ლამაზად ჩაითრიო, მთავროლო რამე უპიზოდი პირადი ცხოვრებიდან, რომ ყველაფერი იცვლება: მისი ენა ცოცხალი და ნათელი ხდება, თხრობა კი მხატვრული. იმიტომ, რომ იგი ისე ლამაზაკობს, როგორც ხედავს და გრძნობს.

საკუთარი თავის ამ გამოხელავებასა და საკუთარი გზით სეღაში ხელაღა ვერესაევი შემოქმედების სიიდუმლოს.

შინაგანი შთაგონებით შექმნილი, სიცოცხლისუნარიანი ნაწარმოების მაგალითად ვერესაევი პეტერბურგის სონეტებსა და ბოკაიოს „დღეამეროსს“ ასახელებდა ამ ნაწარმოებებში, რომლებიც შინაგანი შთაგონებით იყო დაწერილი და თვით ავტორები „ცელქობდნ“ თვლიდნენ, გაუძღეს საუკუნეებს და ახლაც არ დაუკარგავთ თავისი სიხალე, მაშინ, როდესაც ლათინური პოემები, რომლებსაც ისინი ვიზიტულისის მიზნით წერდნენ და თავის მნიშვნელოვან ნაწარმოებებდ თვლიდნენ — დიდი ხანია დავიწყებას მიეცაო — ამბობდა ვერესაევი.

ვერესაევი მწერლისაგან საკუთარი თავის ერთგულებას მოითხოვს. ამასთან ერთად იგი მწერალს ცოცხალი სახეებისა და ცოცხალი შემოქმედებითი ენის შექმნის ამოცანებს უჩვენებს.

ძალიან ხშირად, აღნიშნავდა ვერესაევი, მწერალი ქმნის ცოცხალ სახეს, მაგრამ ვერ ბედავს მის გადმოცემას, რადგან შიშობს, რომ იგი საზოგადოების ჩვევებს არ შეესაბამება. ვერესაევი ივროებს ადვოლს „ილიადიდან“, როცა ქალღმერთი ათენა შთაგონების ძალას მატებს მუნელაოსს ტრაანელებთან საბრძოლველად, და მოკავს პომეროსის სიტყვები: რომ მან (ათენამ) მისი (მუნელაოსის) გული „ბუზის სიმამაცით აღავსო“.

ეს ფრაზა, — ამბობს ვერესაევი, — უცნაურად გვიჩვენება, ჩვენ მიეჩვიეთ ლომის სიმამაცეს. რა შუაშია აქ ბუზი?

— ჩაუფიქრდეთ ამ ფრაზას, — განაგრძობს ვერესაევი, — ჩვენი წარმოდგენა ლომზე

როგორც ძლიერ მხეცზე, გვიძიულებს მიეჩვიეთ ლომ მას სიმამაცე, თუმცა არაყის არ უნდაყრობის სიმამაცე. ბუზს კი უთველდლორად ვაკვირდებით და, თუ ვაგისხენებთ, როგორი დაეინებით და სიმამაცით, რასაც ჩვენ მომბეზრებულს ვეწოდებთ, ესხმის იგი მსხვერპლს თავზე, იძულებული ვიქნებით დავეთამაშოთ პომეროსს, რომ მისი გამოთქმა ჭეშმარიტი და ზუსტია და ამიტომ მხატვრულიცაა.

ამიტომ მწერალი არ უნდა შეიბოკოს ჩვეულებრივი სახეების წარმოდგენით, არამედ გულმოგვეცეს ისე, როგორც მას წარმოდგენია.

ვერესაევი როცა ეხება ცოცხალი შემოქმედებით ენას, მაგალითები მოჰყავს ბავშვის ენიდან, რომელიც უშუალოდ შეგრძნებასა და შთაბეჭდილებას ეყრდნობა.

ვანა სწორედ არ აღივება ბავშვში, ამბობს ვერესაევი, — სელტერის წყალი, როგორც „ზღარბის წყალი“, პიტნის კონფეტები, კი, ისეთი, რომელიც პირში ვიბერავს? რამდენი თავისებური და ზუსტი სიტყვა ჩნდება ხალხში ამა თუ იმ მნიშვნელობის გადმოსაცემად! ვერესაევი აღნიშნავდა ყველაფერ ამას და თხოვლობდა მწერლისაგან ახალი სიტყვებისა და გამოთქმების პოვნას.

რამდენიმე თვის შემდეგ, შ. დადიანისაგან ვერესაევი გადვიდნენ გამოჩენილი კინორეჟისორის პერესტიანის ბიზნუ.

პერესტიანის ვერესაევი წავიხებით იცნობდა.

ვერესაევის ერთ-ერთი ნაწარმოების კითხვის დროს, პერესტიანის ნაწარმოებში გამოყვანილი გვირის თვისებები და ხასიათი ძალიან ნაცნობი ეჩვენა. ამ გვირმა მას, თავის დროზე ცნობილი, პეტერბურგის თეატრის მსახიობი, მომღერალი კოსტელსკი გაახსენა. ამ მსგავსებით დანეტრესებულმა პერესტიანმა მწერალს კითხვა: ჰყავდა თუ არა მას მხედველობაში ეინმე, როცა ამ ტიპს ქმნიდა? ვერესაევი კოსტელსკი დასახელა.

ეს დეტალი ვერესაევის შემოქმედებას ახასიათებს.

ვერესაევი, რომელიც პერესტიანთან მთელი თვე ცხოვრობდა, ძალიან შეაწუხა თბილისის სიტყმა და ისინი ბორჯომში წავიდნენ. აქ იგი თავისუფლად მუშაობდა. ძალიან ნაწიბდა, რომ სახლის აქლოს არ იყო დასამუშავებელი ნაკვეთი. დროდღერო ბაღში მუშაობას იგი დასვენებად თვლიდა, უფრო მეტიც, მისი აზრით ხეხილის შოელის დროს მწერალს აზროვნება უფრო ინტენსიურია. ასეთი მუშაობის დროს უფრო ადვილად ჩნდებიან ლიტერატურული სახეები, კვანძები და დასკვნები.

ბორჯომში ორი თვის ცხოვრების შემდეგ, ვერესაევი წყალტუბოში გაემგზავრნენ.

ბორჯომიდან წყალტუბოში წასვლის წინ, მათ თბილისიდან დეკემბა მიიღეს, ატყობინებდნენ, რომ მოსკოვიდან ევაკუირებული „ოქროს

ფონდის\* ჯგუფი შუა აზიაში გადადის და ვერესავეს გასამგზავრებლად იწვევდნენ.

ახალი ხანგრძლივი მგზავრობა ვერესავეების ძალს აღემატებოდა. თანაც ეს უკვე შეეჩვია ქართულ ხალხს. გადაწყვიტეს ფეხი არ მოეციალა.

წყალტუბოში მკურნალობის დამთავრების შემდეგ თბილისში დაბრუნდნენ.

ამჯერად ვერესავეები ქართველი შერლის როდით ქორქიას ბინაში ცხოვრობდნენ, სადაც მოსკოვში დაბრუნებამდე დაჩნდნენ.

რ. ქორქიას ბინაში ვერესავეებს იგივე ოთახი ეუბოდა, რომელშიც მანამდე შერალი ივანე ალექსანდრეს ძე ნოვიკოვი და მისი მეუღლე ცხოვრობდნენ.

ნოვიკოვები ნაღზიყიდან თითქმის ვერესავეებთან ერთად ჩამოვიდნენ თბილისში, მაგრამ როდესაც ფრონტი ვლადიკავკასს შოუახლოვდა, ისინი კასპისპირა ოლქში გადავიდნენ.

ოთახი, რომელიც ვერესავემა დაიკავა, მკოფზე სართულზე იყო, ფანჯრები ჩრდილოეთის მხარეს გადიოდა, მაგრამ ბინას სამხრეთით მუდამ — მზიანი, ფართო შესაბანი ჰქონდა. ვერესავეს დასავენებლად ამ შესაბანში, უფროადა ჯდომა. ამ დროს მას ხშირად მიუჯდებოდა ხოლმე სასაუბროდ რ. ქორქიას ქალიშვილი — პატარა ჯილდა. ვერესავეი ბავშვებისათვის ვასავეები ენით უყვებოდა მას ბერძნულ მითებს, ძველი საბერძნეთის ისტორიას. უამბობდა მას პომპეოსის პოეზიების შინაარსს, აგრეთვე თავის მთვზურობის შესახებ საბერძნეთსა და ეგვიპტეში. ჯილდა დიდი ინტერესით უსმენდა ვერესავეს. ვერესავეს კი ეს ურთიერთობა პატარა მსმენელთან საიმოვნებას ანიჭებდა. მას ძალიან უყვარდა ბავშვები.

აქ, ამ ბინაში გაივო ვერესავემა სტალინური პრემიისა და ლურჯატის წოდების მინიჭება, ლიტერატურაში დიდი დამსახურებისათვის.

ვერესავეის ცხოვრება ამ ბინაზე ისევ მრავალფეროვანი იყო. იგი კვლავ უწყოდა ლიტერატურულ მუშაობას. კვროდ, აქ დაამთავრა ვერესავემა და წაიკითხა უკანასკნელი ბელეტრისტული ნაწარმოები, რომლის ოპტიმისტური იდეა სათაურშივე იყო გამოხატული. ბერძნული ტრანსკრიპციით იგი დასათურებელი იყო სიტყვებით: "ΕΥΘΥΙΑΥ" რაც ვერესავეაქვის თარგმანით „სიხარულს“ ნიშნავდა.

აჭვე, თბილისში, დამთავრა ვერესავემა პომპეოსის „ილიადის“ თარგმანის გამალაშინება (ვერესავეი იმ მცირე რიცხვს გუთვნოდა, ვინც კარგად იცის ბერძნული ენა. მან არა თუ იცოდა ეს ენა, უყვარდა კიდევ).

ეს თარგმანი გაიჩნა შერალთა კავშირში, გარჩევას პროფესორი, სიმონ ყაუხჩიშვილი დაესწრო და თარგმანი მაღალი შეფასება მისცა.

შერალთა კავშირშივე მოეწყო ვერესავეის შემოქმედებითი საღამო. საღამო დაკავშირებული იყო ვერესავეის დაჯილდოებასთან. მისხუნება ვერესავეის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წიკითხა ბესო ქლენტმა. სიტყვებით გამოვიდნენ: შალვა დადიანი, ლეო ქიანელი, როდონ ქორქია, იროდიონ ქავყარიძე, პლატონ კეშელავა, ი. ვასილუნკო. საღამოს დიდალი ხალხი დაესწრო და დიდი ინტერესით ჩატარდა.

ერთხელ, ახალგაზრდების ჯგუფმა შეარჩია დრო და მიმართ ვერესავეს კითხვით: თავისი ნაწარმოებებიდან რომელი წიგნი მოსწონს მეტად, და რომელი ნაკლებად? პასუხმა ყველა გააკვირვა: „ჩემი წიგნიდან, — თქვა ვერესავემა, — ყველაზე უფრო „ცოცხალი სიცოცხლე“ მიუყარს, ყველაზე ნაკლებად კი — „ექიმის ჩანაწერები“.

ამ კითხვის მიმცემნი და, საერთოდ, თბილისელების უმეტესობა ვერესავეს, უმთავრესად, როგორც „ექიმის ჩანაწერების“ ავტორს იცნობდნენ. „ექიმის ჩანაწერები“ მრაველი წლის განმავლობაში უდიდესი წარმატებით სარგებლობდა. წიგნი მსოფლიოს ყველა ენაზე გადართარგმანა, ბევრჯერ გამოიცა. დიდი გამოხმაურება ჰქოვა პრესაში და დისკუსიების საგნად იქცა. და, აი, აღმოჩნდა, რომ ეს წიგნი, რომლის წყალობითაც ვერესავეი მსოფლიოში ცნობილი გახდა და საზოგადოების ყველა ფენა ააღვიძა, მას არ უყვარდა. „ცოცხალი სიცოცხლე“ კი, რომლის სახელწოდება ბევრს პირველად ესმოდა, მისი საყვარელი წიგნი ყოფილა.

შეითხიავს, თუ რატომ არ მოსწონს „ექიმის ჩანაწერები“, ვერესავემა მოკლედ და უგულოდ უპასუხა: რომ წიგნი საყოფაც ხასიათს ატარებს, რომ მას გმირულ ხასიათის წიგნის დაწერა უნდოდა.

ვერესავეს უყვარს სიცოცხლე, იგი ვთაყვანება მას და თავისი დამოკიდებულება სიცოცხლისადმი თვალსაჩინოდ და სრულად აღწერა ამ წიგნში. აი, რატომ იყო ეს წიგნი მისთვის ყველა წიგნზე უფრო საყვარელი.

1943 წ., მოსკოვთან ჩვენი ჯარების მიერ მიტანილი იერიშის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ მტერმა იმნი წაგო.

გერმანიაში ოკუპანტები ვერ უძლებდნენ საბჭოთა ჯარების შეტევას და უკან იხევდნენ. საბჭოთა ტერიტორია დამპყრობლებისაგან თავისუფლდებოდა. ევაჟირებულინი მშობლოურ აღგილებში ბრუნდებოდნენ.

ამავე 1943 წლის დეკემბერში ვერესავეებმაც დაიწყეს ფიქრი გამგზავრებაზე. თბილისში ორი წლის ცხოვრების შემდეგ, ისინი მოსკოვს დაბრუნდნენ. მათ თან წაიღეს თბილი, კეთილი მოგონებები საქართველოზე, ქართველებსა და მათთან შეხვედრებზე.



# ლიბერალური პეპიოდკოპი

საქართველოს  
დემოკრატიული  
პარტია



პეპორ პერიოდი



## მეფისტყაოსნის დეჰსიკა

საყენ სიტყვისათვის ველისტყაოსანნი

193. მითი ხაზოვიდა ავთანდილ, გავლო წყალი და ტყენია. მინდორის აცორეებს ტაიქსა შედრებით მონაწყენია.

გასუღებოდეს მკლავნი და მისნი  
სიაჰყენია,  
და ბროლსა ველსა სტურფობდეს ვიშრისა მუნ საყენია.

„საყე 193, სათიბი ჯობი (სათიბში დასობილი მადალი ჯობი, რომლითაც აღინიშნება, რომ საქონელი არ უნდა შეუშინ ვიგ საძოვრად)“. ასეა განმარტებული საყე, ხაყენი ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემაში, 1957 (ლექსიკონი შეადგინა ა. შანიძემ).

რას იძლევა ამგვარი განმარტება სტროფში მოხსენებულ საყენ სიტყვისათვის?

სრულიად არადერს! განმარტება ცალკეა და რუსთაველის სტროფი ცალკე: მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს.

უფრო კარგი იქნებოდა გაემეორებინათ პროფ. დ. ჩუბინაშვილის ახსნა ამ სიტყვისა, რომელიც მას მოცემული აქვს თავის ვეფხისტყაოსანში ან თავის ლექსიკონში: „საყენი, დასაყენებელი წვერი, უღვაში... საყენი ვიშრის, ე. ი. შავი უღვაშები, ახალამოსული“.

წვერ-უღვაშის დაყენება ჩვენში უხსოვარ დროიდან იყო ცნობილი, ლექსიც კი არსებობს ხალხური საშისო:

ბოშო, წვერი დაყენებია,  
საარშეყოღ უღვაში,  
მითბარ, ცოლსა რად არ ირთავ,  
ყურუშსაღო, რას ელი!

დ. ჩუბინაშვილის ეს განმარტება უთუოდ ხალხურიდან მომდინარეობს, მაგრამ ვეფხისტყაოსნის მიმართ ეს განმარტება არ არის სწორი და, მისასადამე, არცაა მისაღები!

სწორედ ამის გამო შეეხო სიტყვა — საყენს პროფ. კ. კეკელიძე, რომელიც საყენს სპარსულად მიიჩნევს: „საყე, საყი ნიშნავს საზვიანო მავიდასთან მდგომ, საროს მსგავს, პირ-შუე, პირ-მხიარულს, ლამაზსა და მოზღენილ ლე-

ნის მწდეს ან მიმართვეს, რომელიც საზვიანო სუფრასა და გარემოს დამამშვენებელი იყო“ (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 97).

საყე, საყენი სპარსულიაო! ვერა დავეთანხმებით დიდს მეცნიერს, არც შეიძლება დათანხმება! რატომ?

სინამ აზის გარკვევას შეუღდებოდეთ, ერთხელ კიდევ მოვიყვანოთ რუსთაველის სტროფის ტაემა.

„ბროლისა ველსა სტურფობდეს ვიშრისა მუნ საყენია“  
რას წარმოადგენს ეს ტაემა? იგი მარტივი წინადადებაა (აქვს ქვემდებარე, შემასმენელი და დამატება და მეტი არაფერი). პროფ. კ. კეკელიძემ ეს მარტივი წინადადება გაშალა და გააკეთა რთული, შედარებითი წინადადება, შედარებითი მეტაფორა:

„მეტაფორული თქმის აზრი ასეთია; როგორც ხაყენი ან ლენის მწდენი ამშვენებდნენ ზოლმე საზვიანო სუფრას, რომლის გარშემო ისინი ისხდნენ, ისე აზრთული შავი (ვიშრის) წამწამი და უღვაშები ამკობდა და ამშვენებდა ავთანდილის „ბროლის ველს“ ან ლოყას. „საყე ჩვენ მწერლობაში ხმარებში შემოდის აღორძინებებს ხანაში, ის გვხვდება „ბარამ-გურიანში“ და „შანაგაზიანში“ (იქვე).

რა საფუძველი გვაქვს ჩვენ რუსთაველის სტროფის მარტივი წინადადება გავშალოთ, გვაქვს კი საიმსო მონაცემები? არავითარი!

ჩვენ რომ გვჭონოდა, მავლითად, ასეთი შედარებითი წინადადება:

13. ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოციდის დიდი რბევა,  
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა,  
მარჯვედ ქნევა,  
მათ აგრეთვე შელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ზევა...

ან:  
213. ვითა მე მოხვდი წაიღისა, ჩემის გულისა ნებასა,  
ეგრემეცა ღმერთი ნურას ითქმს ძმისა თქვენისა ვნებასა.

ანდა

1044. ვითა მან პოვნა მიზეზნი ჩემისა სულთა  
დგმისანი,  
აგრეთვე მანცა სამსოდ ნახნეს  
ძალ-გულნი ძმისანი.

ეს შედარებები გაშლილია. გაშლილ შედარებებს ახსიათებს პარალელურობა. პარალელურობა კი მოითხოვს შესაფერ მხლებლებს, როგორცაა: ვითა, ეგრეთვე და სხვ. რუსთაველის სტროფში კი გვაქვს მარტივი (მარტივი) მეტაფორა:

„ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა  
შუნ საყენია“

პროფ. კ. კეკელიძემ, როგორც აღვნიშნეთ, მარტივი მეტაფორა გაშალა და ამ გაშლილ მეტაფორა სავესებით დაიშალა, დაირღვა. სტროფის განმარტებაც გამოვიდა არა სწორი როგორ?

გიშრის საყენი ამ შემთხვევაში ერთი ცნებაა და მათი დაშორება ერთმანეთისაგან არ შეიძლება. პროფ. კ. კეკელიძის გაშლილ წინდადებაში კი საყენი შედარების პირველ ნახევარშია, ხოლო გიშრის მეორე ნახევარში. ყოვლად შეუძლებელია!

შეგამ რა საჭირო იყო სხვაგან ძებნა სიტყვისა — საყუე არ იყო საჭირო, რადგან იგი ქართულში უკვე დიდი ხანია არსებობს, გაცილებით ადრე, ვინემ აღოჩინების ხანის სპარსული საყუ (სპარსულად არის მხოლოდ საყუ და არასგზით საყუ).

რა არის რუსთაველის სტროფის საყუე? საყუე იგივე ხალა — ვრძელი წერილი ჯოხიო, ამბობს საბა. (სხვათაშორის, საყუე უძველესი სიტყვაა, ნახმარია ბიბლიაში, ესაია, 30,17).

რან ვერაზით ამ სიტყვის, რომელმაც ვეუძლო საუკუნეთა ქართველს, შეინარჩუნა თავის ძირითადი მნიშვნელობა და დღესაც იხმარება როგორც ვრძელი, წერილი ჯოხი, სარი?

ხაყე რომ ქართულია, ხალხურია, ამას ვკეტყვის გ. შარაშიძის (ჩვენი აკადემიის გამოცემა) გურული ლექსიკონი, თბილისი, 1938.

აი, რას ეკითხულობთ სათანადო ადგილას:

ხაყე ნარცხალ მიწაში ჩარბობილი ჩამოთლილი სარი (სარი! ე. ბ.) ამ ადგილას შეუვალობის აღსანიშნად. „რავა ვანერებულხარ საყუეხაიო!“ „ავდგები — საყუე მიძახის, დავჯდები, სამყარს მიძახის“.

შაშასადაშე, საყუე არის სარი!  
ახლა ბ. წერეთლის ზემოიშარული ლექსიკონი მოვიკითხოთ (ესეც ჩვენი აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1938). ბ. წერეთელს აწერი-

ლი აქვს ხალხური თამაში ვაყრა-ბურთი, რომელშიაც მთავარ ინვენტარს წარმოადგენს ხაყე. „დაუყენებენ საყუს, რომელზედაც მთაყუდებენ ბრტყელ ქვას. მთამამეთა ერთი ნაწილი საყუსთან დგას და რეგ-რიგობით დაკრავს ბურთს. მეორე ნაწილი მოშორებით დგას და, სადაც გასროლილი ბურთი ვეცმა, იქიდან ესერის საყუს“.

შაშასადაშე, საყუე არის სარი!  
განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ. შერაბაღიშვილის მიერ ჩაწერილი საყუე-ბურთი (გაზ. ლულო, № 20, 1951).

რაცაში საყუე-სარი გაიფართოვა თავისი მნიშვნელობა. იქაც საყუე თამაშობის ძირითადი ინვენტარია, მგრამ საყუეს აქ უწოდებენ ბრტყელ ქვას ან ფიცარს, არა ყოველ ბრტყელ ქვას ანდა ფიცარს, არამედ მერამენდიკულარულად, სარივით ჩისობილ ქვას და ფიცარს.

რატომ დარქვა სარივით ამართულ ბრტყელ ქვას ან ფიცარს საყუე? იმიტომ, რომ მათ იცისრეს საყუე-სარის ფუნქცია!

ერთი სიტყვით, საყუე სარი და მხოლოდ სარი!

მაშასადაშე, სტროფის საყუენი მრავლობითაა ქართული საყუე სიტყვისა და საყუე კი — არც მეტი, არც ნაკლები — არის სარი!

რა არის სტროფის გიშრის საყუენი? მხოლოდ და მხოლოდ გიშრის სარება, რაც შოთას კიდევაც აქვს გამოყენებული როგორც მეტაფორა შავი წარბებისა და წვერ-უღვაშისა. ასე:

889. სადა ინდონი ბროლ-ვარღსა სარევენ  
გიშრისა სარიოთა.

მას მოვეშორე, წამოვე სიჩქართო, არ  
სიწყნარიოთა...

1228. ვუჭვრიტეთ პირსა მნათობსა, ელვათა  
მავლუარებსა;

მისი ციმიში მისიებრ ეფინებოდა  
არებსა;

ძვირ-ძვირად გვეუბნებოდა სიტყვისა  
რასმე წყნარებსა,

და გბილთაგან შუქი შეადგა ზედან  
გიშრისა სარებსა.

გიშრის სარები იგივეა, რაც  
გიშრის საყუენი.

შოთა ხალხის შელოი, იცოდა ხალხური საყუე და კიდევაც გამოიყენა იგი როგორც სინონიმი სარისა.

როგორ უნდა განმარტოს ამიერიდან საყუე ვეფხისტყაოსანში? „საყუე 193, სარი: შრ. საყუენი, მეტ. გიშრის საყუენი — შავი წარბები და წვერ-უღვაშის“.



# ღანიერ კონტაქტი

(გარდაცვალების 100 წლისთავის გამო)

„სურამის ციხის“ ავტორის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღნიშვნისას, არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ მოვიგონოთ მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლების შედგენილი წარსული, ბატონყმობის სამარცხვინო ინსტიტუტი და ის მწვავე შედეგები, რამაც ასე გააჩანჩა ჩვენი ქვეყანა. ეს იყო ის დრო, როცა გაქვალტყავებული, უფლებები და დამონებული, მტრისა და მოყვრის მარტინალი გლეხეკიობა სასიკვდილოდ ლაფადა სულს მებატონის მიმე უღელქევე, როცა მოყვე გლეხი სულიანხორციანა ეუთფეროდა მებატონეს, რომელსაც შექმლო გაყვიდა, გაესაჩუქრებინა ისა და მისი ოჯახის ყველა წევრი, „მოყვლა“ კიდევ და „დაეპაზინჯებია“, ხარივით უღელში შეება, თონში ჩაეფლო; როცა მებატონის ნებადურთეულად ყმას არც ცოლის თხოვნის უფლება ჰქონდა და არც გათხოვების, „პირველი ღამის უფლება“ ხომ წვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. თუმცა ყოველივე ამას უარყოფდნენ „მოღობურალო“ მწერლები და ზოგიერთი „მოღაყენი“: ისინი ამტკიცებდნენ, რომ, ვითომ ვახტანგ VI კანონის შესაბამისად, ჩვენში ბატონებსა და ყმებს შორის მუდამ იყო და არის „მამაშვილურა“ და „შეგობრული“ განწყობილება, საქართველოში მებატონეები ისე მაჯლაჯუნასავით არ აწვენენ გლეხებს კისრად, როგორც რუსეთში და სხვ. ვახტანგ VI კანონის ზოგიერთი მუხლი, მართლაც შეიცავდა გლეხობისათვის ცოტათოდნ შუღლათს — „ნურაკი თავის ყმას ნუ შეაწუხებსო“, მაგრამ ამის მომდევნო მუხლში სულ საწინააღმდეგო რამ იყო ნათქვამი: „ბატონმა რომ მართლაც მოჰქვას, ან დაამაზინჯოს თავისი ყმა, ამ უკანასკნელს ან მის მემკვიდრეს აბავითარი უფლება არ აქვს არამე საზღაური მოთხოვისო“, — ყმის ყველაფერი ბატონისა არისო“...

ესადა, მებატონეები თავისებურად სარგებლობდნენ ვახტანგ VI კანონმდებლობის ერთი მეორის საწინააღმდეგო მუხლებით, ისინი თვითონვე იყვნენ სავაჭრის „გამარჩენი“ და „მსჯავრმდებელი“, რომელთაც იმავე მეფის კანონი უფლებას ანიჭებდა — განიხილეთ და გასაჯრეთ კანონები ესე და რომელიც დაგირდეთ და საუკეთესო იპოვიეთ, იმით ობელმძღაწეულითო“. მსაჯულნი — მებატონეები ამ მუხლს ფართოდ იყენებდნენ და ყოველგვარ დევას, ატეხილს ბა-

ტონსა და ყმას შორის, წვეტდნენ ისე, როგორც მოგპრანებოდით და „კუეუში მოსდიოდით“, ე. ი. ყმების საზიანოდ, მათ დასაღუბავად... ამგვარად, მებატონეებმა თავსებობა შექმნეს გასთელეს ჰუმანურობის, სიპართლისა და ჰუმანიტეტების ელემენტების შემყველო ვახტანგ VI კანონმდებლობის მუხლები და ვანა ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი გლეხებისა და ბატონების „მამაშვილურა“ ურთიერთობაზე!

წერილში — „Кавкаское положение“ რომელიც 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის წინ არის დაწერილი<sup>3</sup>, ნ. ნიქოლაძე ერთხელ კიდევ აღნიშნავს ამ პოლიტიკის სასტიკ კოლონიურ ხასიათს, რომელსაც ატარებდა რუსეთის თვითმპყრობელობა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში. მას მოაქვს კონკრეტული მაგალითები ამის საილუსტრაციოდ და დასტუნს: კოლონიზატორთა მიმართ მკვიდრი მოსახლეობის აღმუთება და სიძულვილი ასეთ ვითარებაში საცესით კანონიერია და საშაროლიანი. საშარცხეინა ბოძე აკრავს რა ამ პოლიტიკის მთელ სისაძაგლებს, ნ. ნიქოლაძე დასტუნს: არ შეიძლება, საზღვარგარეთ იყო განმთავისუფლებული და საკეთარ სახლში კი — სირაკუზული ტირანია<sup>4</sup>.

მაგრამ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ჩვენი გამოჩენილი მოაზროვნე მაინც ნაკლებ ბორბტებად მიიჩნევს, ამ მახინჯი მოვლენებისათვის იგი, პირველ ყოვლისა, თვით რუსეთში არსებულ უკუღმოდ სოციალურ სისტემას დებს ბრალს, ამ სისტემას, რომელიც თვით რუსი ხალხის დიდი უმრავლესობისათვისაც აუტანელი ცხოვრების პირობებს ქმნიდა და რომელსაც ასე დაუნდობლად ებრძოდა თვითონ.

1801 წლის აქტს, რუსეთის მმართველობის დაყარებას საქართველოში ნ. ნიქოლაძე მაინც ისტორიულად გამართლებულ, ობიექტურად პროგრესიულ მოკლუნად თვლის. საქართველოს ზედა ამ მხრივ ისტორიულად გადწყვეტილად მიიჩნია.

„ჩვენი ქვეყნის ზედა რუსეთთან არის შეერთებული, — წერს ნ. ნიქოლაძე, — ვარგომებამ ისე შობიანა... ჩვენი ხალხი ცხოვრობს რუსეთის კანონქვეშ. მე როდის ვსჯი, იმას ვაშობო.

1. იქვე.

2 ნ. ნიქოლაძე დასახელებული წერილი «Новое время» 1908 г. № 11620.

3 Га. «Русская воля», 1917 г., № 46.

(16, II).

4 იქვე.

4 იქვე.

1 Н. Николадзе. დასახელებული წერილი «Новое время», 1908 г., № 11620.

რაც არის...<sup>1</sup> „...საქართველოს ბედ-იბაღი, ჩემი ბრძანებით კი არა, ხალხთა და საუკუნეთა ტრიადის ძალით“ არის შედგენებული რუსეთთან<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძე კარგად ხედავს ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს და სისხრული აღიქვამს მას. მაგრამ პარალელურად ამისა იგი ხედავს შეორე ტენდენციის განვითარების ფაქტსაც. ამ ტენდენციად იგი მიიხსნევს ქართველი ხალხის ერთი ნაწილის გამსჭვალვას ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით, რასაც იგი ეროვნულ ნაციონალიზმს უწოდებს. ამ შეორე ტენდენციისაღმდეგ იგი, იმ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა რუსეთში პოლინელი ხალხის აჯანყების ჩახშობის შედეგად უარყოფითად არის განწყობილი. ამ ტენდენციის შემდგომი განვითარება და მისთვის ორგანიზებული ხასიათის მიცემა საზიანოდ და სახიფათოდ მიანინია საქართველოს მომავალსათვის, მისი მოსახლეობის მატერიალური და გონებრივი განვითარებისათვის<sup>3</sup>.

კითხვი ისმება, რატომ არ მოსწონს ნ. ნიკოლაძეს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მიდრეკილება, რატომ უწოდებს იგი მას პარათველი ხალხის ნაციონალიზმს? პირველ ყოვლისა იმით, რომ იგი მისი აზრით მემართლული იყო რუსეთ-საქართველოს არსებული ურთიერთობის წინააღმდეგ. ქართველი ხალხის ბედის რუსი ხალხის ბედთან შეერთების წინააღმდეგ, ე. ი. 1801 წლის აქტის შედეგების წინააღმდეგ. უარყოფს ასეთი ტენდენციის განვითარებას იმითაც, რომ ამას, მისი შეხედულებით, შეიძლება მოყვეს სამაშვი შედეგები, საქმე მივიდეს ეროვნულ აჯანყებამდე... ასეთი აჯანყება კი რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ მას, საეცებით სამართლიანად, მიანინია უდიდეს ავანტიურად, რომელსაც შეეძლო საქართველო მიეყვანა კატასტროფამდე... „...იმ სასაკლამო... სადაც ამის წინააღმდეგ გააძრეს პოლიციის და სადაც მთლად სისხლი გამოისწოვეს ჩერქეზებს“<sup>4</sup>.

ნ. ნიკოლაძეს ამ შემთხვევაში არ ღალატობს ზომიერებისა და მოვლენების რეალური შეცნობის ალღო. ის შემფთავება, რომელსაც იგი გამოატავს ქართველი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში ფეხმოკიდებული ნაციონალისტიური სულისკვეთების გამო, საეცებით გასაგებია და

ანგარიშგისაწყვეია, ვანა, მართლაც, კატასტროფით და სასაკლამოთი არ დასრულდებოდა საქართველოში ფეხმოკიდებული ნაციონალისტური განწყობილება, რომ იგი აშკარა მოპარობაში და რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებაში გადაზრდილიყო. მხოლოდ საუთარი ქვეყნის მტრებს შეეძლოთ ებმეათ ქართველი ხალხისათვის ასეთი ავანტიურისაკენ. ნ. ნიკოლაძე თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი შეილი ვერ იქნებოდა, რომ მას იგივე ესურვა საქართველოსათვის, რაც ვანიცადა პოლინეთში ეროვნული აჯანყების შედეგად, რაც ასე შეეცურად იქნა ჩახშობილი რუსეთის ცარიზმის მიერ. აღვნიშნავდ რომ ამას, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნ. ნიკოლაძე ღრმა სიმპათურად არის განწყობილი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის შებრძოლი პოლინელი ხალხის მიმართ. მან გულისტყვილით აღიქვა პოლინელი ხალხის ვიერული ბრძოლის დამარცხება და სამარცხინო ბოშე გააკრა რუსეთის ცარიზმი პოლინელი ხალხის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის.

ამვე დროს უნდა აღვნიშნოს, ნ. ნიკოლაძის მოტანილი შეხედულება, ერთგვარად, ბუნდოვანია. იგი მკვეთრად არ განასხვავებს ერთმანეთისაგან ეროვნული თვითგამორკვევისაღმდეგ მიმსრავებას, რომელიც ობიექტურად დამონებული ხალხის სამართლიან მოთხოვნას წარმოადგენს, ნაციონალისტ-სეპარატისტული ტენდენციისაგან რაც ქართველი „ახალ ახალ-გაზრდობის“ ერთ ნაწილში იყო ფეხმოკიდებული. აქედან გამომდინარეობს მისი მტრული დამოკიდებულება ამ ტენდენციის განვითარების მოსახლეობის წინაშე შედგენისაღმდეგ. მაგრამ არა გვგონია, რომ ეს საბუთის იძლეოდეს ჩვენს სასიქადლო მოღვაწეს ბრალი დავდოთ ეროვნული თვითგამორკვევისაღმდეგ მტრულ დამოკიდებულებაში. ნ. ნიკოლაძის დემოკრატიული პროგრამა ეროვნულ საკითხში პრინციპულად ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს ეყრება. იგი ყველა დამონებულ ხალხს, მათ შორის აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებსაც, ექმნავებოდა და მათ განმთავისუფლებულ ხალხის სამართლიანად მიიხსენებდა. მაგრამ ნ. ნიკოლაძე საქართველოს კონკრეტულ ვითარებას თავლისწინებდა და ეროვნული გამოყოფის მისწრაფებისათვის ხელს უწყობდა, რაც შეიძლებოდა რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყებაში გადაზრდილიყო, მას შინა მთელდება და ავანტიურად მიანინია. იმით მითეთება იგი პოლინელი ხალხის წარმართული აჯანყების ისტორიულ მავალიობზე.

ნ. ნიკოლაძე არ იზიარებს აზრს რუსეთ-საქართველოს ისტორიულად გადაწყვეტილი კავშირ-ურთიერთობის შეცვლის საჭიროების შესახებ იმ ვითარებაში იმითაც, რომ, რო-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, უკუთო მიჯახელა, რწ. ნაწ., ტ. II გვ. 163

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, ჩემს-პოლიტიკაზე, ქუთაისი 1913, გვ. 2.

<sup>3</sup> ნ. ნიკოლაძე, გლეხთა განთავისუფლება საქართველოში, რწ. ნაწ., ტ. I, გვ. 173.

<sup>4</sup> ნ. ნიკოლაძე, დსახ. წერ., რწ. ნაწ. ტ. I, გვ. 173.

გორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, იგი ცნობს ამ ურთიერთობის შედეგების პროგრესიულ მნიშვნელობას. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენას, პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესის განვითარებას, ეკონომიურ წინსვლას, ფეოდალური ურთიერთობისა და ნატურალური სამეურნეო ფორმების რღვევას და ახალი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას, დიდ ძვრებს ეროვნული კულტურის სფეროში, მშვიდობიანობის დამყარებას, რასაც, როგორც იქნა, ელისა ჭარბველი ხალხი, ყოველივე ამას ნ. ნიკოლაძე საესებით სამართლიანად უკავშირებს საქართველოს მოქცევას რუსეთის იმპერიის ფარგლებში. მის ანა ერთხელ აღუნიშნავს მოწინავე რუსული კულტურის ცხოველყოფილი ზემოქმედება თეთიწყობად ჭარბულ კულტურაზე, რომელმაც ამ ცხოველყოფილი ზეგავლენის შედეგად შემდგომი განვითარების მძლავრი სტიმული მიიღო. იგივე უნდა ითქვას რუსეთის მეშვეობით საქართველოში პროგრესული იდეების გავრცელების, ახალი ეკონომიური მოთხოვნების დანერგვის, აღზე-მიცემობის განვითარებისა და სხვათა შესახებ. ჭარბველი ხალხი რომ ეგზომ ნანატრ მშვიდობას ეზიარა ეს, ნ. ნიკოლაძეს 1801 წლის აქტის ერთ-ერთ დიდ მნიშვნელოვან მონაპოურად შიამნია. „სამხედრო ძალა რუსეთისა — მისი საშუალებების სიდიდრე და რუსების შეურყვევლობა ბრძოლაში, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ყოველთვის იყო ადგილობრივ მკედრთა სამართლიანი ეპოყების საგანი. ისინი გრძნობდნენ და იგრძნობდნენ, რომ რუსების სამხედრო ჩარევის წყალობით არის, რომ ახლა იქ სუფევს მშვიდობიანობა“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძეს საქართველოში მანჩია ქართველი ხალხის ერთგული თეთიამორკვევისათვის ბრძოლა დროებით გვერდზე გადადებულიყო იმ მოტივიტაც, რომ მას პირველ რაგში საქართველოში მანჩია სოციალური ურთიერთობის საკითხების მოწესრიგება, მისი გონიერული გარდაქმნის გზით. იგი ფიქრობდა, რომ რუსულში დაწყებული დემოკრატიული ბრძოლისა, მისწრაფება არსებული სოციალური უკუღმართობის შეცვლის სასარგებლოდ, გარკვეული შედეგებით დამთავრდებოდა და იგი უშუალო გავლენის მოახდენდა ქართველი ხალხის ცხოვრებაზედაც. ამ მხრივად იგი არ თითვალდა საქართველოს მომავალსა და მისი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შეცვლის საკითხს იმ საზოგადოებრივი პროცესებისაგან, რომელიც რუსეთში მიმდინარეობდა.

ნ. ნიკოლაძე, რომელიც უტოპიური სოციალისტის იდეების დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა,

ფეხობდა, ფიქრობდა, რომ „...საზოგადოებრივად და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთდერთ ფორმას, რომელსაც შეუქმნა სარგებლობა მოვლანის საქართველოს; წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია“<sup>1</sup>. ამ წყობილების დამყარებას უკავშირებდა იგი ქართველი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, მისი გონებრივი და ზნებრივი ძალების გაძლიერებას, მისი ნიჭისა, უნარისა და ტალანტის შემდგომ გაფურქვანს.

ისეთი სიუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ფორმად ნ. ნიკოლაძეს მიიჩნია რუსეთში შემორჩენილი თუ შერი ურთიერთობა. „რუსეთის თემი იდეალად არ მიგვიჩნია, — წერს იგი, — მაგრამ იგი უფრო ბევრად შეეფერება ჩვენს წარმოდგენას საზოგადოებრივი წყობილების შესახებ, ვიდრე დასავლეთ ევროპაში ვაბატონებული ინდივიდუალიზმის პრინციპი“<sup>2</sup>. რაკი რუსეთის თემი ნ. ნიკოლაძის შეხედულებით უფრო აბლო მის წარმოდგენასთან სიუკეთესო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ და იგი საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს მომავალ საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებას, ამდენად რუსეთ-საქართველოს არსებული კავშირ-ურთიერთობა ზღვრულად უნდა იქნეს ატობებელი.

ნ. ნიკოლაძისათვის რუსეთის ისეთი ქვეყანა, სიდიანაც უნდა ისწავლოს საქართველოში, რომლის გამოცდილება უნდა გამოიყენოს მან, რომლის შემორჩენილი მზა სოციალური ფორმა საფუძვლად უნდა დაედოს მის მომავალ ცხოვრებას. ამგვარად, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, საქართველო რუსეთთან კავშირში ბევრს მოიგებს, იგი უფრო ადრე და იოლად განახორციელებს ძირეულ საზოგადოებრივ გარდაქმნას, თემური წყობილების შექმნას და „სოციალური პარმონის“ დამყარებას.

ნ. ნიკოლაძის შეხედულება რუსეთის თემის შესახებ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატიების იდეური არსენალიდან იყო ნასესხები. ეს შეხედულება, რასაკვირველია, უტოპიურ ხასიათს ატარებდა. მაგრამ ამჟამად ჩვენ საქართველოში არ მივხიანია ხალხ გუსეთ ამ უტოპიზმს, ამჟამად ჩვენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები გვიანტერესებს.

ნ. ნიკოლაძე ერთის მხრივ „დასავლეთელი“ იყო, და ადრე ევროპის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მიღწევები მას ნი-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, გლეხთა განთავისუფლება საქართველოში, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 174.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, დასახ. წერ., რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 175.

1 ნ. ნიკოლაძე, საქართველოდან, რჩ. ნაწ., ტ. I გვ. 363.

მემად ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ, მეორეს მხრივ, კარგად ხედავდა „დასავლეთის ცხოვრების წესის“ ბუნდ მხარეებსაც. ამიტომ იყო, რომ იგი სკეპტიკურად იყო განწყობილი ევროპული „თავისუფლებისადმი“ და თავისი პოლიტიკური პრინციპები პერიოდში არ ჰქონდა გეგმა მის დანერგვას საქართველოში. მისი შეხედულებით ევროპულ „თავისუფლებას“ საქართველოში შეეძლო გავრცელება მოსახლეობის სოციალური დაბრუნებისა და განსახლება ნაწილში განვითარება ბურჟუაზიული მიდრეკილება. ამიტომ იგი პრინციპულად არსებული თემის დანერგვას საქართველოში და რუსეთისა და საქართველოს სოციალური ურთის მოშლის საკითხს ერთ მთლიანობაში განიხილავდა.

მაგრამ იყო მეორე გარემოება, რომელიც ნიკოლაძემ იწვევდა ანტიპატივს დასავლეთ ევროპის ცხოვრების წესისადმი. ინგლისი და საფრანგეთი აქტიურ კოლონიურ პოლიტიკას აწარმოებდნენ და მფარველობის ნიღაბით სხვა ხალხებს ჩაგრავენდნენ. ამიტომ იყო, რომ ნიკოლაძე ამ მხრივ არ ეკუთვნოდა დასავლეთის ორიენტაციის მომხრეთა მცირეობისათვის და არა თუ ქიშკრად თვლიდა საქართველოს საფრანგეთის ან ინგლისის მფარველობაში შესვლის აზრს, არამედ საქართველოს გრაუნდული ინტერესებისათვის დიდად საზიანოდ მიაჩნდა ასეთი პერსპექტივის შესაძლებლობა. ასეთ პერსპექტივას იგი ამჯობინებდა რუსეთის მფლობელობის შენარჩუნებას საქართველოში. ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობა საქართველოს ამ სახელმწიფოთა სათაშუაშო ტერიტორიაზე აქვეყნოს, სავსებით სამართლიანად ფიქრობდა ნიკოლაძე. საქართველო, თუ იგი „გაბედნიერდება“ და ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობის ღირსი გახდება, იმ ხვედრს გაიზიარებს ნიკოლაძის შეხედულებით, რაც გაიზიარებს ალყისა და ინდოჩინეთის; იგი შთაიქმნის ომიენტად იქცევა. — უმარაო მგალობლი გვარწმუნებს, — წერს ნიკოლაძე, — რომ ევროპის სახელმწიფოები დაუყოვნებლივ შეუდგებიან საქართველოს ცივილიზაციას ალყის მსგავსად, ან მის ექსპლოატაციას ინდოჩინეთის მსგავსად.<sup>1</sup>

ნიკოლაძე თავისი ქვეყნის მგზნებარე პატიოტი არ უსურვებს მშობლიურ ქვეყნას იმ მდგ, რაც უკლმართმა ისტორიულმა ვითარებამ ალყის ან ინდოჩინეთს განუწესა. მას არ სურს, რომ საქართველო, ევროპულ ცივილიზაციითა უფლებო კოლონიად და მათი პაპაშის ომიენტად იქცეს. ალყირელა

და ინდოჩინელი ხალხის მიმე ხვედრი მას შემდეგ, რაც ეს ხალხები ფრანგ კოლონიზატორთაგან დაპყრობისა და მარტინი ომიენტად იქცა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ნიკოლაძემ დიდი იღლო და ისტორიული პოტიკისის შეცნობის უნარი გამოავლინა, რაცე პართველი ხალხი გააფრთხილა საბედისწერა ნაბიჯი არ გადაედგა და დასავლეთის მფარველობა არ ესურგა.

საქართველოს აწმყოსა და მომავალს ბედობლის რუსეთის ისტორიულ პოტიკესთან მჭიდროდ დაკავშირების მოტიანი შეხედულება, ნიკოლაძემ მისი საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვემების დასაწყისში ჩამოაყალიბა. ამისთან დაკავშირებით ბუნებრივად წამოიჭრება შემდეგი კითხვა: შეინარჩუნდა თუ არა ავტორმა მოტიანი შეხედულება შემდეგშია, თუ მისი რევიზია მოახდინა? ნიკოლაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლად ნი ვაცნობა შესაძლებლობას გვაძლევს ამ კითხვას გადავრით პასუხი ვაცეთ. ნიკოლაძის თავდაპირველ შეხედულებას რუსეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობის და 1801 წლის აქტის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ნიუანსებს და გადავხევეს, 1916 წლამდე ძირითადში ცვლილება არ განუცდია. თეთონდა არავითხელ აღწნიშნავს ნიკოლაძეს, რამ საქართველოს მოკვლი ბედის საკითხში ჩემს შეხედულებას ეყლილება არ განუცდიათ. პოლიტიკური ხასიათის ბროშურაში „ჩემს პოლიტიკაზე“ (რომელიც გაზეთ „აზერეთის“ საბასუხოდ იყო დაწერილი 1913 წელს) ნიკოლაძე წერდა: რაც ამ საკითხზე 1865 წელს ვერ. „კოლოკოლში“ დაწერე, ახლაც იმ აზრს ვიცავთ!<sup>1</sup>

აღნიშნულ წერილშიაც ნიკოლაძე მთელი ამპერტულობით აცხადებს საქართველო შემდეგშია უნდა დაჩჩეს რუსეთთან გადწუნულ-დაყოვრბული, ისტორიამ ასე განსაზღვრა მისი ბედი, სხვა არჩევანი მის წინაშე არ არსებობს.<sup>2</sup>

საქართველოს რუსეთთან კავშირ-გაღწუნელობის ისტორიული იცილებლობის დასასაბუთებლად ნიკოლაძემ ჩვენთვის უკვე ცნობილ არგუმენტებთან ერთად შემდეგში ახალი არგუმენტიც მოიშველია. ნიკოლაძის შეხედულებით საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა განპირობებს რუსეთთან მისი მჭიდრო კავშირის საქარეობას. საქართველო მოწყვეტილია ევროპისაგან, — წერს ნიკოლაძე, — შვი ბღვის გასავალი სრტე ოსმალეთის ხელშია, ირგვლივ ძლიერა სახელმწი-

<sup>1</sup> ნიკოლაძე, დასახ. წერ., რჩ. ნაწ., ტ. 1, გვ. 174.

<sup>2</sup> ნიკოლაძე, ჩემს პოლიტიკაზე, 1913, ქუთაისი, გვ. 80.

ფრენის რაკლი ვიჭოფებით „...სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვყარავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით რუსეთი“<sup>1</sup>. დიდი სახელმწიფოების ვარმოცვაში მყოფ საქართველოს, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, სურვილიც რომ ჰქონდეს, არ შეეძლოა შეცვალოს შემკვიდრებით მიღებული პოლიტიკა, ის პოლიტიკა, რომელიც აირჩიეს საქართველოს „უღარესმა გმირებმა“ ალექსანდრე კახელმა, ალექსანდრე იმერელმა, ვახტანგ ყაზიმღვებელმა, თემურჩაზ მეორემ, სოლომონ დიდმა, დიდმა ერეკლემ<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძე, თვალისწინებს რა საქართველოს წარსული ისტორიის შწარე ვაკეთებლებს და გამოკვლევებს, აწმყვშიაც და მომავალშიაც თურქეთის და სპარსეთის საქართველოს პოტენციურ შტრებად თვლის. ამიტომ იგი საუბრებით სამართლიანად ფიქრობს, რომ საქართველო, რომც შესძლოს მან რუსეთის დამოკიდებულებიდან გამოსვლა (რაც მას საერთოდ შეუძლებლად მიაჩნია) და მოკლე ხნით დამოუკიდებლობის მოპოვება, მშვიდობას მაინც ვერ ეღივსება და ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, სპარსეთი და ოსმალეთი ისევ განზრახავენ მის ჩაუღაპის, სანამ სპარსეთი და ოსმალეთი არსებობენ, — წერს იგი, — საქართველოსათვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ არსებობს. ამ დევებს ვერ მოვრეგვით და უნაყოფოდ დავიხარჯებით, დავიღუპებით<sup>3</sup>.

თვალისწინებს რა ასეთ კატასტროფულ პერსპექტივას რუსეთის მიმართ რიმეც ავიანტიურისტული ნაბიჯის ვადიდგმის შემთხვევაში, ნ. ნიკოლაძე შკაცრად ილაშქრებს ფედერალისტებისა და სხვა ბურჟუაზიულ თავიდაზნურული ნაციონალისტური ჯგუფების წინააღმდეგ, ვმობს მათ ნაციონალისტურ გამოხედობებს და საკუთარი ქვეყნის შოლატეიდ მიიჩნეის ყველას, ვინც ცდილობს აბუჩად აივდოს „...დიდ წინაპარები“ და მათ საწინააღმდეგოდ იმოქმედოს<sup>4</sup>.

ჩვენ მივგანზნია, რომ ნ. ნიკოლაძის მოტანალი მოსახრება ავტორის სასარგებლოდ ლაბარაკობს. ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა მიმართ მის მიერ გამოთქმული გულისწყრომა საესებით ბუნებრივია და ანგარიშგასაწევი. რომ სპარსეთის და ოსმალეთის არასოდეს არ ვუღაათ ხელე თავიანთ უგუნურ პრეტენზიებზე საქართველოს მიმართ და მხოლოდ მარჯვე დროს ელოდნენ ამ მიმართულებით, ეს ისტორიული კვშმარიტებაა. მხოლოდ რუსეთის

ძალა და არმია იფარავდა საქართველოს ასეთი საფრთხისაგან; ისიც კვშმარიტებაა, რომ მარტოდ დარჩენილ საქართველოს ისეც ვვყურებებშიც მივსეოდნენ ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიული შტრები და დამპყრობლები.

როგორც 60-70-იან წლებში, ისე XX საუკუნის დასაწყისშიაც, ნ. ნიკოლაძე თავგამოღებით ჰდაგებს ქართველი ხალხის მკიდროკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირს რუსეთის მოწინავე, პროგრესიულ საზოგადოებრივობასთან და მასთან ხელახელჩავიდებული ბრძოლას უკეთესი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის. ჩვენ ვყვლა — შეერთებული შრომით და ღონით უნდა ვიბრძოდეთ, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რუსეთის მოწინავე ნაწილთან ერთად, იმ წესების შემოსაღებად, იმ სამართებლის შესაქნად, ურამოსოდაც ადამიანის ცხოვრება ადამიანური როდია“<sup>1</sup>.

უყველივე ზემოთ აღნიშნულიდან არ შეიძლება ვავაყოთ დასკვნა იმის შესახებ, თითქმის ნ. ნიკოლაძე ცნობს რუსეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობის არსებულ ფორმების უცვლელობას და საჭიროდ არ მიაჩნდეს სათანადო კორექტივის შეტანა მასში. იგი, მაგალითად, წინააღმდეგი არ არის, თუ საქართველო მიიღებს ავტონომიის უფლებას. საქართველოს ავტონომია მას წარმოდგენილ აქვს რუსეთის იმპერიის ფარგლებში, რუსეთთან ლიალური ურთიერთობის შენარჩუნების პირობებში. თვითმმართველობის განხორციელება მას საქართველოს ავტონომიის პირველ პირობად და ნიშნად აქვს წარმოდგენილი. საქართველომ, ნ. ნიკოლაძის აზრით, ვვითმმართველობა და აშგვარად ავტონომია უნდა მოიპოვოს თანდათანობით, მშვიდობიანნი, ლეგალური მეთოდებს გამოყენების გზით. იგი არ იხიარებს ძალის გამოყენების პოლიტიკას, უვიდურებს, რადგანაც მის შეუძლია საქართველო დაღუბვამდე მიიყვანოს — ქართვლობის მიხნება, — წერს იგი, — მარტო ზოშიერების გზით მიიღწევა“<sup>2</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო შიანშია რა ზომილი პოლიტიკის წარმოება და ამ გზით საქართველოს ეროვნული უფლებების ვადართოვება, ნ. ნიკოლაძე ამასთან ერთად მხედველობაში ღებულობს იმასაც, რომ რუსეთში მომხდარი სოციალურ-საზოგადოებრივი ცვლილებები, იქ მომხდარი ვარდაქმნები უშუალოდ აისახება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, ხელსაყრელი ექნება ქართველი ხალხის ზომიერი გზით სვლისათვის და დააჩქარებს თვითმმართველობის დამყარებას ამ ქვეყანაში.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, დასახ. ბროშურა, გვ. 81.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 81-82.

<sup>4</sup> იქვე გვ. 83.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, მამაშვილური რჩევა, ჟურ. „კლი“, 1913 წ., № 38, გვ. 3.

<sup>2</sup> ჩემს პოლიტიკაზე 1913 წ. ქუთაისი გვ. 77.





# ივანე ბოლომონის სტატისტიკური ძიებანი საქართველოში

ცნობილი რუსი პოეტი ივანე ბოლომონი (1819—1898) ეკუთვნოდა რუსული კულტურის ამ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც უმწიკვლოდ ემსახურებოდნენ რუსი და ქართველი ხალხის დაახლოების კეთილშობილურ საქმეს. მან ხუთი წელი გაატარა საქართველოში (1846—1851) და მუშაობდა ვახუთ „Закавказский Вестник“-ის რედაქტორის პლატონ იოსელიანის შიდადგილად. ამ დროის განმავლობაში, ქართველი მგვობრების დახმარებით, მან ყარაღდ შეისწავლა იმ ხალხის იმყოფი და წარსული, რომელსაც იგი „მთელიანი უმწიკვლეს“ ხალხს უწოდებდა. თავის მრავალრიცხოვან მხატვრულ ნაწარმოებებსა და ჩანახატებში ბოლომონიმ გამოაქვინა დრმა სიყვარული საქართველოსადმი, მძი მრავალსაუკუნოვანი კულტურის, ნიჭიერი და თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხისადმი.

მსოფლიოსა და ლენინგრადის არქივებში დაცული მასალების შესწავლა საშუალებას გვაძლევს მოვხაზოთ ბოლომონის მრავალმხრივი ინტერესების რკალი: იგი ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და ქართველოლოგიის სხვა დარგთა შესწავლაზე.

როგორც ირკვევა, ბოლომონი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ეკონომიკას. რა თქმა უნდა, ეს ინტერესი შემთხვევითი არ ყოფილა. ერთის მხრივ, იგი გამომდინარეობდა ამიერკავკასიის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის იმ საერთო მისწრაფებიდან, რომელიც შეიმჩნევა ვასილი სალუენის 40-50-იან წლებში, სავაჭრო კაბიტალის ინტენსიური განვითარების პერიოდში; მეორეს მხრივ, ეს ნაკარნახევი იყო თვით ბოლომონის საზოგადოებრივი შეხედულებებით, რომელიც ქართველი ხალხის მომავალს მჭიდროთ უკავშირებდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის მძლავრ განვითარებას, მის პროგრესს — განათლებასა და ცივილიზაციას.

ეკონომიურ საკითხებზე მუშაობა ბოლომონიმ საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაიწყო. „სოცნების დრო არ მავსს, — წერდა იგი 1846 წელს. — მე დამავალეს სტატისტიკური სტატიების შედგენა: ა) ამიერკავკასიაში უცხოეიდან შემოტანილი თესვების შესახებ —

ბ) ბამბის მოყვანის შესახებ — გ) თამბაქოს შესახებ — დ) აბრეშუმსახვევი მანქანების შესახებ“.

მართლაც, ვახუთ „Закавказский востник“-ში გამოქვეყნდა ბოლომონის სტატიების მთელი სერია: «Записка о Закавказском шелков» (1847), «Минералы (находящиеся в Тифлисском уезде» (1848), «Сарацинское судоходное пшено» (1848), «Канавы для орошения полей в Тифлисском уезде» (1848), «Климат в Тифлисском уезде» და სხვა.

ამ სტატიებში ბოლომონიმ გამოთქვა ბევრი საყურადღებო აზრი ადგილობრივი აბრეშუმსაქოვი და სამთამადრო მრეწველობის შექმნისა და, საერთოდ, ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების შესახებ.

ალსანიშნავია, რომ მსგავსი მოსაზრება გამოთქვა მან მხატვრულ ნაწარმოებებშიც. თავის ერთ-ერთ ლექსში, მიმართავს რა ადგილობრივ მცხოვრებთ, პოეტი ამბობს:

„აქ მოდით, უწელა უღრან ტყეში, აქეთ იქნარეთ, აქ თქვენ გზა უნდა გაიყვანოთ კლდესა და ლრეში, აგოთ ქალაქი, დააგუბოთ გიეი მდინარე! ვერენ მოიმეის ისე, თუ არ დათესა ხნული...“  
(„ამერეთში“)

სწორედ ამ განვითარებასთან აკავშირებდა იგი ადგილობრივ მცხოვრებთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბოლომონი გამოდიოდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მძლავრ განვითარების მომხრედ. ხედავდა რა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობას, ბოლომონი თვლიდა, რომ ამის მიზეზი იყო მიწებისა და არახელსაყრელ პირობებში არ არის, არამედ მიწების ცუდ დამუშავებასა და საერთოდ მიწათმოქმედების „უხეშ“ ცოდნაში. იგი დაჯინებით ურჩევდა მიწის გომოვრულ დამუშავებას, ახალ, უფრო სასარგებლო მცენარეთა ჯიშების გავრცელებას, კერძოდ, ბრინ-

<sup>1</sup> წერილის ავტორი დაიცულია ლენინგრადში, რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში. შემდეგში მიუთითებთ შემოკლებით ИРЛ.

ჯის მოწინებებს ჩაღრმავებდა და მცენარის სარგებლიანობა ისე ნათელია — წერდა პოლონსკი, — რომ მიწის მფლობელებმა საკუთარი სარგებლიანობისათვის უნდა მიიქციონ მას, როდესაც ერთობლივად ჩატარებულ ცდების შედეგად შეიძლება გამოვლენა გადამწყვეტილი დასკვნა იმის შესახებ, თუ ამიერკავკასიის რომელ კუთხეში და როგორ პირობებში შეიძლება ათვისებული და გავრცელებული იქნას ბრინჯი ადგილობრივი ჩალტისის ნაცვლად.<sup>1</sup>

პოლონსკი იცავდა მრავალდარგოვანი სოფლისმეურნეობის განვითარების აზრს. იგი სერიოზულ ყურადღების ღირსად თვლიდა ამიერკავკასიაში ისეთი ახალი დარგების განვითარებას, როგორცაა მებამბეობა, მეთამბაქოება და მებახრემეობა. იგი ცდილობდა თავისი სტატიებით პრაქტიკულად დახმარებოდა ადგილობრივ მიწისდამმუშავებლებს, უბრალო ხალხს.

სტატისტიკურმა ძიებებმა ძალზედ ვიტაცეს პოლონსკი. წარმოადგენდა რა ერთ-ერთ პიონერთაგანს საქართველოს სტატისტიკური შესწავლის საქმეში, პოლონსკი ბევრთად და კეთილსინდისიერად სწავლობდა სტატისტიკურ ლიტერატურას, კერძოდ დ. უიფინანსა და ბოიანდინის წერილებს; აწარმოებდა მამოწიერას სპეციალისტებთან და სხვა.

„...ნება მიბოძეთ მაღლობა გადავიხადოთ სტატიისათვის: „Одесские градоначальство“, წერდა იგი 1946 წელს ა. სკალკოვსკის, — ეს სტატია ჩემთვის იყო სახელმძღვანელო „ქალაქ თბილისის სტატისტიკური ნარკვევების“ შედგენაში... მე გავაკეთე ყველაფერი, რის გაკეთებაც შემიძლო, — მხოლოდ ვწუხვარ, რომ არ მაქვს თქვენი (სტატისტიკური) გამოანგარიშებანი, რომელთა გარეშე ძნელია ამოქმედო ისეთ ქალაქში, რომელშიც აქამდე არავის ვაუკვლევია გზა სწორი სტატისტიკური ძიების მიმართულებით. როდესაც თბილისში ჩამოსულ (ცორონცოეს) სურდა გავგო მოსახლეობის რაოდენობა, მას სამნაირი პასუხი ვასცემ — 30 ათასი და 50 ათასი 2.

მართლაც, პოლონსკის წინაშე რთული ამოცანა იდგა არსებული ოფიციალური ცნობების ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. საჭირო იყო დიდი ძალისა და ენერჯის დახარჯვა, რათა დადგენილიყო ჭეშმარიტება. „1 სექტემბრისათვის, — წერდა პოლონსკი თავის მევგობრებს 1846 წელს, — მე ვამზადებ თბილისის სტატისტიკას, — სასაიყო და სამწუხარო! ოფიციალური ქალაქებიდან ნათლად ჩანს, რომ

არც ერთი ციფრი მართალი არ არის, რომ არავენ, არც თვით თავადმა ცორონცოვმა, არ იცის რამდენია მოსახლეობა. საერთოდ, ჯერჯერობლივად 60,000-ს, მაგრამ პოლიცემისტრის გამოანგარიშებით გამოდის, რომ თბილისში ცხოვრობს 29,993 კაცი. ხოლო უწყებების მიხედვით, — იმავე ანგარიშიდან, მხოლოდ შემდეგ გვერდზე — ქრისტიანი და არა ქრისტიანი — 47,094 შობი და იტებე აქ თავი.“<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ პოლონსკიმ გამოავლინა ცოდნა და დიდი ენერჯია, რათა თავი დაეღწია ამ ძნელი მდგომარეობისათვის, თავისი დაკვირვებანი და დასკვნები მან განაზოგადა სპეციალურ ნაშრომში „თბილისის სტატისტიკური ნარკვევები“, რომელიც გამოქვეყნდა 1847 წელს კავკასიის კალიგრაფი“, ხელმოწევით — „Н. П.—III“.

„თბილისის სტატისტიკური ნარკვევები“ — 17 განყოფილებისაგან შემდგარი სოლიდური ნაშრომია, რომელიც უხვადაა აღჭურვილი დაწვრთვებითი სქემებითა და საცნობარო ცხრილებით.

ავტორი, პირველყოვლისა, ადგენს საქართველოს დედაქალაქის გეოგრაფიულ მდებარეობას, ხსნის მისი სახელწოდების წარმოშობას და შემდეგ გადადის — შიგარით მოვლენების ჩამოთვლაზე თბილისის ისტორიიდან“. პოლონსკი იწინებს ისტორიული წარსულის კარგ ცოდნას, რაც მას, როგორც თვითონ ამბობს, მიუღწეა ეპიტაფისა და ვახუშტის მატინებებიდან და, ფერხვით, მთელი რიგი სხვა წყაროებიდან. პოლონსკის მართებული აზრით, თბილისის ისტორია — ეს არის უცხო დამპყრობთა გამეფებული შემოსევებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის გამართული ბრძოლის ისტორია. „ნარკვევები“ ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდს, ამჟამის ოქროს საუკუნეს, ბრძენი სახელმწიფო მოღვაწის ირაკლის 11 მართებლობის წლებს და სწორად ესმის საქართველოს რუსეთთან შეერთების აქცილებლობა.

განყოფილებაში „ქალაქი“ პოლონსკი მითხილავს მატერიალური კულტურის უკმაყოფილო ღირსშესანიშნავ 27 ძეგლს, რომლებიც თბილისში ან მის ბლო-მასლო მდებარეობენ. თავის აღწერილობის პოლონსკი ურთავს ისტორიულ-ქრონოლოგიური ხასიათის კომენტარებს. ავტორი გვაწვდის, აგრეთვე, ცნობებს ქალაქის განლაგების, მისი ნაწილებისა და კვარტალების შესახებ.

საერთოდ მათა განყოფილება „ნაგებობანი“, რომელშიც ავტორი აზუსტებს სახელმწიფო და კერძო სახლების, გულსიების დეპნების, ხიდებისა და სხვ. რაოდენობას. გრიბოედოვის

<sup>1</sup> „Знакавказский вестник“, 1848, № 12.

<sup>2</sup> ავტორადგი დაცულია ლენინგრადში, რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში.

<sup>1</sup> ავტორადგი დაცულია ზემოთ დასახელებულ ფონდში.

შეგავსად, „ნარკევის“ ავტორი თვლიდა, რომ თავისი მომხიბლავი ეგზოტერიკობის მიუხედავად, საქართველოს დედაქალაქში საქართველო სერაფიმურ რევოლუციურ ქვეყანას მოსახლეობის ყველაზე უფროსი მისწრაფება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლონეთის ყველაზე მეტად გაუძნელდა შედეგმა განყოფილებისა — „მოსახლეობის რაოდენობა“. „ზ-ბ, ყიფიანის მიერ ჯერ კიდევ 1843 წელს შეკრებილი ცნობების მიხედვით, — წერდა ის, — თბილისში აღმოჩნდა 53,000-მდე მცხოვრები, 1844 წელს ბოიანდინის მიერ შეკრებილი მონაცემების მიხედვით გი სულ მხოლოდ 30,070 კაცია... მაგრამ ცხრილებში სადაც მცხოვრებთა რაოდენობა ნახვებობა ფუნდამენტალური, ბოიანდინთან ამჯერად შეიმჩნევა მნიშვნელოვანი შეცდომები.“

ამ ხარვეზის შესავსებად პოლონეთის მოაქვს ახალი ცხრილი — „მცხოვრებთა რაოდენობა ფუნდამენტალური“. ავი აღსატურებებს ყიფიანის აზრს და ამბობს რომ საქართველოს დედაქალაქში 5,5000 სული ცხოვრობს.

განყოფილებებში: „საქარმიდამო მეურნეობა“, „პურის მოყვანა“, „მეცხოველეობა“, „მეხირობა და მეხალეობა“, „ქარხნები“, „ავტობა“, „ახეობები“, „ახარები“ და სხვ. პოლონეთი გამოთქვამს თავის შეხედულებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე თბილისში. მას მოაქვს ცხრილები 1844 — 45 წ. წ-ში ნათესა რაოდენობის, პურის ფასებისა და პირტუყვის რაოდენობის შესახებ, იძლევა დაწვრილებით ცნობებს თბილისელ ხელოსანთა, მათ პროდუქციისა და გასაღების ბაზრებზე, ადგილობრივ ქარხნებზე და სხვ. ავტორი სინანულით აღნიშნავს იმ ვარაუდებს, რომ თბილისში არ არის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გამოყვანა.

საკმაო ინტერესს იწვევს განყოფილება „საზოგადოებრივი განათლება“. — ავტორი გულისტყვილით აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი მცხოვრებნი (შეღარებთ მეთარეცხოვან კოლონიისა გამოკლებით), როგორც ყველაზე დაბალი, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი თბილისის მოსახლეობისა, ღვას განათლების ყველაზე დაბალ საფეხურზე, ან სრულიად მოკლებულა მას“. აქვე ავტორის მოაქვს ცნობები თბილისის სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, ფიზიკური კანინეტის, ობსერვატორიის, წიგნის მაღაზიების, ტიპოგრაფიისა და ლითოგრაფიის შესახებ.

განყოფილებაში „საზოგადოებრივი ზნეობა“ პოლონეთი ლაპარაკობს ჩადენილ დანაშაულთა შესახებ და მიუთითებს ზალის მაღალზნეობა-

რობაზე. „ავტორი ხალხის ზნეობაზე, — წერს „ნარკევის“ ავტორი, — განსაჯებდა მხოლოდ მტკიცებულებებს ის ფაქტი, რომ, ღამ-ღამობადაც კი ამ სახლს არავინ ეტრავს და ახც დაიჯს აყენებს, ამავე დროს, მტრდობა თითქმის არ არის...“

განყოფილებაში „საზოგადოებრივი ვართობა“ პოლონეთი ყოველმხრივ ესაღებება თბილისში თეატრის შექმნას, რომელშიც იგი ხედავს დიდ აღმზრდელით ძალს.

თავის „ნარკევის“ ავტორი ამითერებს სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამოთვლით.

ამგვარად, ამ მოკლე მომხიბლელიდანაც აშკარად ჩანს, რომ „ტფილისის სტატისტიკური ნარკევი“ წარმოადგენს მრავალმხრივ საინტერესო შრომას, რომელიც დიდი მეცნიერული კეთილსინდისიერებითაა შესრულებული. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თბილისის შემდგომი სტატისტიკური აღწერილობანი ეყარდობიან პოლონეთის გამოკვლევებს. მაგალითისათვის, 1849 წ. იმავე „კავკასიის კალენდარში“ გამოქვეყნებული იყო, ხელმოწერილად, შრომა — „მოკლე ნარკევი კავკასიის და ამიერკავკასიის ზოგიერთი ქალაქისა“, რომელშიც მთავარი ადგილი დათმობილი აქვს თბილისის აღწერას. ამ შრომის ზერელე ვაცნობითაც ადვილი დასანახია, რომ იგი წარმოადგენს პოლონეთის „ნარკევის“ თანავ შემოკლებულ და გადამუშავებულ ვარიანტს. ამაზე მითითებს არა მარტო კომპოზიცია, არამედ დიდი ტექსტუალური დამთხვევა. ამგვარად, ჩნდება ვარაუდი, რომ „მოკლე ნარკევის“ უცნობი ავტორი განიცდის პოლონეთის ვაგენას, ანდა „ნარკევი“ დაწერილია თვით ავტორის მიერ. ის ხომ ძალზე ბევრს მოგზაურობდა და კარგად იცნობდა ამ მხარეს.

პოლონეთის ნაშრომი თბილისის სტატისტიკის შედგენაში ისეთი ფასეული და აუცილებელი შეიქნა, რომ გადამწვერებს გადართოვებით მისი მეცნიერული კვლევის სფერო და პოეტს შესთავაზებს: „1. პირველ რიგში უნდა ჩატარდეს ტფილისის მხარის სტატისტიკური აღწერა... და ეს დაგვიკისრთო თქვენ... როგორც ამ საქმესთან უყვე წინასწარ გაცნობილს.“

2. თანმიმდევრული სტატისტიკური აღწერა ჩატარდეს თითოეული მხარის მიხედვით და გამოიცეს ცალკეულ წიგნებად. 3. ამ საქმის შესასრულებლად მოვემარტოთ თარჯიმანი და გამოიყოს თქვენთვის საჭირო რაოდენობის ფული.“ 1. ასეთი იყო ის დიდი ვალდებულება, რომელიც ერთ კაცს დააწვა მხარებზე. მაგრამ პოლონეთი სხაბრული იყისრა ეს სწამე, რადგანაც სტატისტიკური კვლევა საშუალებას

1 იბ. А. Грибоедов. Полное собр. сочинений, 1917, т. 3, 251—252.

1 ავტორგრაფი დაცულია ლენინგრადში, რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში.



რ. კუხენაო



## თანამედროვე კერამიკის ახალი სტილისტური თვისებები\*

შეიქმნა თუ არა თანამედროვე სტილი გამოყენებით ხელოვნებაში საბოლოოდ? იქნებ, არა. მაგრამ ჩვენ მოწმენი ვართ სრულიად ახალი ფორმების, ახალი ესთეტიკური პრინციპების ჩასახვის გამოყენებით ხელოვნებაში და კერძოთ კერამიკაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, როდესაც ამ ახალ სტილისტურ თვისებებზე შეიძლება ლამაზად სრულიად გარკვევით.

იმისათვის, რომ მათი გამოჩენის კანონზომიერება ვიხვეწოთ, საჭიროა გავარკვიოთ ის მიზეზები, რომელთაც განაპირობებს თანამედროვე ხელოვნების ამ ახალი სტილისტური თვისებების აღმოცენება.

გამოყენებით ხელოვნებაში სტილის გამოცვლისა და ფორმირების გადამწყვეტ ფაქტორად ფოეველთის ყველა ეპოქაში ითვლება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, ცხოვრების რიტმის, საზოგადოებრივი იდეალების გამოცვლა და სხვ. ახალი ცხოვრება ორნიერად ახდენს ზეგავლენას გამოყენებით ხელოვნებაზე. პირველი — უშუალო — გულისხმობს გამოყენებით ხელოვნებაში ახალი ცხოვრების სურათების აღბეჭდვას. ეს გახლავთ გარდაქმნილ ბუნებისა, თავისუფალი შრომის, ახალი ტექნიკის და სხვათა გამოსახვა. მეორე გავლენა — გამეშვებითი — უფრო რთულია. სხვანაირი სოციალური პირობები, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი, რომელიც ცვლის ჩვენი ცხოვრების სახეს, ნივთს სხვაგვარ უტილიტარულ ფუნქციებს მოსთხოვენ ან რამდენადღე ცვლიან ამ ფუნქციებს და ამრიგად გავლენას ახდენენ გამოყენებით ხელოვნების საგნების ფორმათა ცვლაზე, მათ სტილისტურ თვისებებზე. გამოყენებით ხელოვნებაში, რომელიც ძირითადად

მოკლებულია სიუჟეტურ კომპოზიციებს, ზეგავლენის ეს მხარე ყველაზე სრულად მოჩანს.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება უოველთვის იყო არქიტექტურასთან დაკავშირებული უშუალოდ. როგორც ვიცით იგი ხშირად ჩართულია არქიტექტურის ექსტერიორსა ან ინტერიორში, ერთ მთლიანობას შეადგენს მასთან და ვერ წარმოიდგინება ცალკე. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც გამოყენებითი ხელოვნების საგნები — სრულიად დამოუკიდებელი ნივთები, ისინი მაინც როგორც წესი, ინტერიორში იმყოფებიან და ამრიგად აგრეთვე არქიტექტურასთან განსაზღვრული კავშირი აქვთ გაბმული.

გამოყენებითი ხელოვნება და არქიტექტურა ურთიერთზე გავლენას ახდენენ, ერთმანეთის შეესებას წარმოადგენენ. მაგრამ, ცხადია, ამ ურთიერთგავლენაში წამყვანი, გადამწყვეტი როლი არქიტექტურას ეკუთვნის. იგი განსაზღვრავს გამოყენებითი ხელოვნების ხასიათს.

ახალი არქიტექტურის სახე უშუალოდ დაკავშირებულია თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან. ახალი შესაძლებლობათან ქმნიან ახალ ფორმებს.

თანამედროვე არქიტექტურის სტილისტური თვისებები დაახლოებით ასეთია: ახალ ტექნიკურ ზერხებთან და ახალ მასალებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მკაფიოდ გამოსახულ ფონსტრუქციულობას; ესთეტიკური ზემოქმედება შემპირობებულია მასების ურთიერთობით, არქიტექტურის პროპორციებით, ინსამბლის საერთო კომპოზიციურ ამოხსნით (აქედან დეკორის თითქმის სრული უქონლობა); ლამაზი არქიტექტურული ნაგებობა უკვე არა მარტო საზოგადოებრივი შენობაა, ან რომელიმე მდიდრის საკუთრება. არამედ მილიონობით ადამიანების საცხოვრებაა, ამიტომ პირველ პლანზე წამოიწია არქიტექტურის მიმართ უტილიტარული მთავროვნების მიყენება. აქედან გამომდინარეობს კომპოზიციური ამოხსნის სათანადო დამახასიათებელი თვისებები, მკაფიოთად,

\* მუხიანის სახ. ლენინგრადის უმაღლესი სამხატვრო-სამწერველო სასწავლებლის მეცნიერ მუხიანის ჩარმია ილქსანდრეს ასულ კუხენას სტატია დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.



ინტერიორის შედარებით მცირე სიმაღლე და უბრალოება.

ყოველი ახალი საგანი, რომელიც კი შეტანილია ახალ შენობაში, ბუნებრივად უნდა იყოს მასთან სტილისტურად დაკავშირებული. სხვათაგანად რომ ვთქვათ, ახალი არქიტექტურის სტილისტური თვისებები უცილებლად გავლენას ახდენენ გამოყენებით ხელოვნებაზე და, ცხადია, კერამიკაზე ერთობ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე არქიტექტურის ძირითად თვისებურებას შეადგენს მისი კონსტრუქციულობა. კერამიკის კომპონიციურ წყობაში მისი უტილიტარულობისა და დეკორატიულობის დაფუძველზე სწორედ კონსტრუქციულობამ უნდა გააერთიანოს სტილისტურად კერამიკა არქიტექტურასთან. თანაც უნდა აღინიშნოს რომ ამით მიღწეული იქნება შესაძლებლობა არა მარტო იმ ინტერიორთან როგორც იგი მოთავსებულია, არამედ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების საერთო სტილთან, რომლის სახეს განსაზღვრავენ ახალი მეტისმეტად კონსტრუქციული საწარმოო იარაღები, ტრანსპორტის ახალი სახეობანი და სხვადასხვა.

სწორედ იმის გამო, რომ ინტერიორი გახდა ელემენტარულად სადა და თითქმის უდგორო, და აგრეთვე იმის გამო რომ მასში თითქმის უარყოფილია ბრწყინვალე ფერთა შეხამება, ძირითადი დეკორატიული დატვირთულობა გადატანილია გამოყენებით ხელოვნების ნახევარზე, ინტერიორის დასამშენებელ დეკორატიულ ქსოვილებსა და კერამიკაზე. ამრიგად, თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა კერამიკის მიმართ — ესაა ვაძლიერებელი დეკორატიულობა. თუ წინათ ინტერიორში, რომელიც მიდებულად დეკორირებული იყო ძვირად მორთულობითა და ფერწერული ჩანართებით, კერამიკა ინტიმური კუთხის კუთვნილებას წარმოადგენდა, ახლა იგი ქსოვილებთან ერთად — ინტერიორის გადამწყვეტი დეკორატიული ფაქტორია.

და ბოლოს, სტილისტური კავშირი არქიტექტურასთან კერამიკაში შედგენდება ფორმებისა და დეკორის სიმარტივესა და განზოგადებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კერამიკის ეს თვისებებზე პირობადებულია არა მარტო თანამედროვე ინტერიორის უაღრესად სადა და განზოგადებულ არქიტექტურასთან შინაგანი კავშირით, არამედ ახალი ავეჯის ხასიათითაც. როგორც ვიცით, თანამედროვე ავეჯს ახასიათებს მასივობა და დიდი სიმბრტყე, რომელიც მოკლებულია წერილანი დეკორატიულ დეტალებს. ბუნებრივია, რომ კერამიკა, რომელიც ასე უშუალოდ დაკავშირებულია ავეჯთან და ვთქვათ, მაგალითისათვის, მოთავსებულია რომელიმე თანამედროვე სერვანტში, ისე უნდა იყოს განლაგებული რომ მისი დათვლიერება

სერვანტთან ერთ მილიანობაში შეიძლება იყოს, ე. ი. თუ თქვენ თვალს ისე განაწყობთ რომ შენაძლებელი გახდეს ავეჯის განზოგადებულ მასისათვის, მაშინ თქვენ ვერ ათვალავთ მინიატურულ ფერწერასავით ზედმიწევნით გამოყვანილ ვეჯილებს ფაფურის ზაიდანზე და პირიქით. ამის გამო ადვილად აიხსნება ეს გარემოება თუ რატომ არის ჩვენი საუკუნე ასე გატაცებული ქაშანურიითა და შიოლიკით, როგორც ცნობილია, ფაფურზე დასაშვებია შეტად ფაიზი და დეტალური მოჭევის ზევიითა მოხატულობა, მაშინ როდესაც შიოლიკისა და ქაშანურისათვის უფრო დამახასიათებელია განზოგადებული ნახტი და დეკორატიული ვეჯეტები. თუ გავითვალისწინებთ კერამიკისადმი თანამედროვე მოთხოვნილებებს, ბუნებრივად გვეჩვენება ის, რომ კერამიკის შრავალი ოსტატი ჩვენი დროში ხშირად ამ მასალას უფრო აძლევს უპირატესობას, ვიდრე ფაიფურს.

ახალი კერამიკის სახე პირობადებულია კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორით — თანამედროვე პირობებში მისი არაჩვეულებრივი მასივობით.

უწინ ლამაზი ჭურჭელი არისტოკრატიულ, და შემდეგ კი მდიდარ ოჯახების საკუთრებას წარმოადგენდა. ლამაზი კერამიკა ფუფუნების საგანი იყო. მე-18 საუკუნე, ევროპაში ფაიფურის კლასიკური საუკუნე, განთქმული იყო საოცრად კარგად გაკეთებული წერილმანი საგნების დიდი რიცხვით, დღეს ძალიან ძველია მივხვდეთ თუ რა დანიშნულება ჰქონდა ამ საგნებს. ეს იყო — ფაიფურის სათუთუნე, სატულეტო კოლოფები, ნემსის მასრა და საკალამე, თამბაქოს მწვევლის და სუნამოს ნივთები, ფაფურის წერილმანი პლასტიკის აუარებელი რიცხები და სხვა. ფაიფურისადმი, როგორც ძვირად ღირებული მასალისა და ფუფუნების საგნისადმი, დამოკიდებულება, დეტალურ აგრეთვე ჭურჭლის ხასიათზე. უაღრესად უტილიტარული ნივთებია კი ექებდნენ ფაიფუ დახვეწილობას, და ზოგჯერ ფორმის გამახვილებულ უცნაურობას.

ამჟამად მოთხოვნილება მხატვრულ კერამიკაზე ძალიან გაიზარდა. სწორედ ამის გამო, რომ ლამაზი ჭურჭელი აღარ წარმოადგენს ფუფუნების საგანს, პირველ პლანზე წამოიჭრა მისდამი უტილიტარული მოთხოვნილება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მის სტილისტურ თვისებებზე. თანამედროვე კერამიკა უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს სახმარებლად გამოსაადგი და კარგად უნდა ასრულებდეს თავის ფუნქციას. ამრიგად მასობრივად განსაზღვრა აგრეთვე ნივთის კომპოზიციური აღნაგობა, რომლის ამოსავალ ფაქტორს წარმოადგენს სწორედ ჭურჭლის ცალკეული დეტალების უტილიტარული ფუნქციები. მაგალითად, თუ იტორის განზრახული აქვს დააპროექტოს ბუ-

ჩაბის ჭურჭელი. უკვე ნიეთის ასეთი დანიშნულება განსაზღვრავს აგრეთვე დეტალებს ურთიერთ მიმართებას: ასეთ ჭურჭელს უსათოდ უნდა ჰქონდეს ხელი, თანაც, სასურველია ისე იყოს გაკეთებული რომ მოსახერხებელი იყოს ამ შედარებით მძიმე ჭურჭლის აწევა, რომ ამასთანავე ერთმავედ მოხდეს მისი დაბრა სიმძიმის ცენტრის გადასაცემის ძალით და სითბოს გადასმისათვის შესაფერისი მდგომარეობა მიიღოს; ჭურჭლის ყელი არ უნდა იყოს ზედმეტად გამოწეული; რადგან ეს ამწელებს სითბოს გადმოსმას; სასურველია, რომ ასეთ ჭურჭელს ჰქონდეს ვიწრო ყელი, რადგან ფართო ყელი ხელს უწყობს სითბოს სწრაფ აორთქლებს და სხვადასხვა.

უფრო მეტიც, თანამედროვე კერამიკის უტილიტარულ დანიშნულებამ განსაზღვრა დეკორის განაწილებისადმი დამოკიდებულება. როგორც წესი დეკორი ხაზს უსვამს ცალკეულ ელემენტების უტილიტარულ ფუნქციას. მაგალითად, ჭურჭლის ხედი და ხელი სხვადასხვა ფერით აღებზე, ვიდრე ტანი, და, ბოლოს, იმავე მასიურობის მოთხოვნილების გამო კერამიკა უმჯობესად უნდა იყოს ტექნოლოგიური როგორც ფორმით, აგრეთვე დეკორით. ამ ტექნოლოგიურობა გულისხმობს უპირატესობის მიცემას ასეთ ფორმებისათვის, რომელიც ადვილად, სწრაფად და იფად კეთდება. ასეთი ფორმების შექმნის დროს ანგარიშს უწევინებს მასალის თავისებურებას და შესრულების ტექნიკას.

ტექნოლოგიური სისადავისაყენ მისწრაფება დეტალო აგრეთვე დეკორს. იგი, როგორც წესი, სადაა, განუყოფელია სწრაფი შესრულებისათვის. აქედან, ქაშანურის ხშირი დეკორირება მოჭიქვით და სხვადასხვა ლაქებით, ცალკეული დეტალების ლოკალური საღებავებით დაფარვა, ასეთი ტენდენცია გაჩნდა ფაიფურის მოხატვაშიც, ისეთ ხელოვნებაში, რომელიც უიარესად გულმოდგინე მუშაობის მოთხოვს და არაპირობითარ შექანაზიციას არ იტანს. ფაიფურზე თანამედროვე ნახატის შესაქმნელად მხატვარი, გამოსახატავი საგნის სტილიზაციის დროს, ანგარიშს უწევს იმ გარემოებას რომ საგნის გადმოცემა სპირიტო რამდენიმე სწრაფი შტრახებითა ან ლაქებით, აქედან, ფაიფურის მოხატულობაში ახალი სტილისათვის დამახასიათებელი ტენდენცია არის — მოძებნოს გამოსახავი საგ-

ნისათვის საინტერესო სილუეტო და უბუნებულყოფილ იქნას დეტალები.

წარმოების ახალი შესაძლებლობანი ერთერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კერამიკაში ახალი ფორმების, ახალი სტილისტური თავისებურებათა შესაქმნელად.

უწინ კერამიკული ნაკეთობანი ძირითადად მეთუნეობის საშუალებით კეთდებოდა, უფრო მოგვიანებით, მასთური წარმოების დროს — საზრუნავ დაზავებ შეპლონით თაბაშირის ფორმაში დაყალიბებით, რამაც განსაზღვრა ნაკეთობების ფორმა, რომლებიც უფრო ხშირად ბრუნვის სხეულებს წარმოადგენენ.

წარმოებაში ჩამოსხმის შემოღებასთან ერთად იმავე თაბაშირის ფორმაში წარმოების ახალი ტექნიკა დიდხანს ფორმისადმი ძველ დამოკიდებულებას ამორბობდა, ე. ი. უპირატესობას აძლევდა მრავალ ფორმებს, მაშინ როდესაც ახალ ხერხს ტექნოლოგიურად სრულიად ახალ ფორმებშიაც შეეძლო თავისი გამოჩენა — სამკუთხიანი, დეჟევილ, გრებილ, ოთხკუთხიანი, ერთსიტყვით, უბრალო ფორმებში, რომელნიც მაინც დამაინიც არ წარმოადგენენ ბრუნვის სხეულებს, მაგრამ იმავე დროს არ ეწინააღმდეგებიან მასალის ტექნოლოგიურ ბუნებას. თანამედროვე კერამიკა სწორედ ამდგევარი ფორმების ფართო გამოყენებით ხასიათდება.

ცხადია, თანამედროვე კერამიკის ყველა ეს ახალი სტილისტური თვისებები, რომელნიც შეიძლება იმა თუ იმ ვარიანტის სახით უწინაც არსებობდნენ, უკვე კიდევ არ ქმნიან პირობას რომ ნიეთი ჩვენი ცხოვრების შესაფერისი, ნამდვილად თანამედროვე ნიეთად გამოაცხადდეს.

ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს, იქნება ის მონუმენტური ფრესკა თუ ჭურჭელი, ყოველთვის მოაქვს თავისი საკუთარი სახეობრივი საწყისი. კერამიკა როგორც წესი აზნადებს ისეთ ჭურჭელს რომელიც რეალური სინამდვილის ფორმებს არ ასახავს, ამიტომ იქ ამოცანა მდგომარეობს თვითონ საგნის ინდივიდუალურ ამოხსნაში, თვითონ ჭურჭლის სახის ამოხსნაში. ნიეთის ეს სახეობრივი მწყობრი სწორედ მის ძირითად დახასიათებას წარმოადგენს. თუ ნიეთში არის, სიტყვით თითქმის გამოუთქმელი, მაგრამ იმავე დროს მკაფიო შეგრძნება ახლოსა, ახალი ვაქანება, ცხოვრების ახალი იდეა, ერთი სიტყვით სახეთა ახალი წყება — იმ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების ასეთი ნაწარმოები ნამდვილად თანამედროვეა.



## ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას ბაზაზე ჩამოყალიბდა, რესპუბლიკის უკმაღეს უდიდესი სიძველეთმცოდნეობის ინსტიტუტად იქცა. მის სეიფებში დაცული წიგნობითი ძეგლებს მრავალათასიანი ფონდები ფასდაუდებელი ეროვნულ-კულტურული სავანძურია. აქ თავმოყრილი ძველი და ახალი საეკუნიკების ურიცხვი დოკუმენტების — მატარებლების, მხატვრულ-ლიტერატურული კრებულების, საგელ-გუჯარების, სამედიცინო და ფილოსოფიური თხზულებების, ტავაზი და ჭაღალზე შესრულებული სხვადასხვა შინაარსის ნუსხების სახით საბჭოთა მეცნიერებს ხელთ აქვს წარსულის უდიდესი მემკვიდრეობა, სადაც წარმოდგენილია ქართველი ერის ისტორია, მისი მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრება.

ინსტიტუტის კედლებში ცხოვრობს სამეცნიერო-კულტურული მუშაობა განუწყობელი. ფილოსოფია გარდა აქ თავს იყრის თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმოადგენელი, რომლებიც გულდასმით სწავლობენ წარსულის ამსახველ ფურცლებს. საყურადღებო ძიებას აწარმოებენ თავის მხარით თვით ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, რომელთა შორის უმთავრესად ხელნაწერთა გამოკვლევისა და მონოგრაფიული შესწავლისაკენ არის მიმართული.

ამ ერთობლივი ნაყოფიერი საკვლევო მუშაობის პირველ შედეგებზე წარმოდგენას გვაძლევს ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომათა კრებულის — „მოამბის“ I ტომი, რომელიც ახსოვს წლის ბოლოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოაქვეყნა (რედაქტორი პროფ. ილ. აბულაძე).

კრებული იხსნება ა. შანიძის გამოკვლევით „XIII საუკუნის ქართული წარწერა სოფელ კოშიდინი“. ავტორის ჩვეულო მეცნიერული სიღრმით მრავალმხრივ აქვს შესწავლილ-განხილული სომხეთში, სოფ. კოშის ველისის კედელზე მის მიერ 1924 წ. აღმოჩენილი ქართული წარწერა, რომელიც შესრულებულია ე. წ. შტაკოვანი (ასომთავრული) ინხანით. წარწერა უთარღოა, მეგრამ იქ მოხსენიებულ

ისტორიულ პირთა სახელების შემწეობით გამოჩენილი მეცნიერი ადვილად ათარღლებს მას XIII საუკუნით, ამასთანავე იძლევა ძველის დეტალურ პალეოგრაფიულ და ენობრივ დასასათბავს.

წარწერის შინაარსი დაკავშირებულია ფეოდალური ხანის სოციალურ-ეკონომიური ყოფის ზოგ მომენტთან. აქ ნათქვამია, რომ შანდატურთუხუცესმა ივანემ და შანშეს დედამ ხოშამ განათვისებულეს კოშელი გლეხები შარიადად წოდებული გადასახადისაგან, რაც ვრცელდება მიწის მხოლოდ ერთ განსაზღვრულ (ზემო ზღვრებში არსებულ) ნაკვეთზე. ქვემო ზღვრის მიწაზე კი მიწათმფლობელებს უბატონიანთ გლეხებისათვის მარტოოდენ ღალაღიკაზე. ამის სამაგიეროდ კომელებს უვალდებულებიანთ დამეზონ თავიანთ მფლობელთა სასარგებლო თავისი ხარითა და გუთნით ერთი დღიური მიწა.

ა. შანიძე საგანგებოდ ჩერდება წარწერის დამსკიბზე, სათანადო ლიტერატურის და სომხურ-ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მოშველიებით იღვეს ცალკეულ სიტყვათა პირადად მნიშვნელობას და ითვალისწინებს მათს ისტორიას. საყურადღებოა, მაგალითად, რომ სიტყვა **მურმელი** აქ ნახმარია იარაღის, მოწყობაობის, აღკაშვლობის მნიშვნელობით, ხოლო **სახსენელი** აღნიშნავს არა გუთანს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ დასამუშავებელი მიწის ფართობის საზომ ერთეულს.

სოფ. კოშის წარწერა უდაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია როგორც ეპიგრაფიკული ძეგლი და საისტორიო წყარო.

კ. კეკელიძის ნაშრომი „ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ისტორიიდან“ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ახალ, მორიგ ნარკვევს წარმოადგენს, სადაც მოცემულია ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ერთერთი უძველესი თხზულების, საყურადღებო აეოგრაფიული ძეგლის — „ქრისტეფორეს მარტვილობის“ დაწერილობითი განხილვა. გამოკვლევა შესავლის სახით წინ უძღვის ამავე თხზულების ტექსტს, რომელიც სათანადო მეცნიერული აპარატით აქ პირველად ქვეყნდება.

როგორც ჩანს, ხსენებულ ნაწარმოებს ქარ-

თელ სინამდვილეში საკმაო ჰობელარობა ჰქონია მოპოვებული, იგი ჩვენამდე ორ რედაქციად არის მოღწეული, რომელთა ტექსტები შეიღობილია ხელნაწერთა შემონახული ქართული და ქართულ-ბერძნული რედაქციების შედარების, ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების გათვალისწინებისა და ენობრივი ნიშნების საფუძველზე მკვლევარის ასკენის, რომ ქრისტეფორეს წამების „ქართული თარგმანი ერთგვარად უჭველესი თარგმანია, არა უგვიანეს მერვე მნიშვნელობა არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ თვით ბერძნულ ორიგინალურ აპოკრიფთა ისტორიისთვისაც, მით უმეტეს, რომ ქართული რედაქციები მნიშვნელოვან ტექსტუალურ სხვაობას ავლენენ ბერძნულთან შედარებით. აქ მონიშნება ბევრი ისეთი დამატებითი ცნობა, ცალკეული მომენტები მოწამის თავდასავლიდან, ამბავთა გადმოცემის მთელი პასაჟები, რასაც ვერ ვხვდებით ბერძნულ ნუსხებში.

ამს შემდეგ კრებულში წარმოდგენილია თ. ჟეონის სტატია „მარიაშის მიმოსვლის“ ძველი ქართული რედაქციები“. ქრისტიანულ მსოფლიოში კარგად ცნობილი ამ აპოკრიფული ნაწარმოების ქართული ხელნაწერები ავტორის დაყოფილი აქვს ორ ჯგუფად, ძველ (XIII სუტ.) და ახალ (XIV—XVIII საუკუნეებს) ნუსხებად. მას სათანადო მუშაობა გაუწევია როგორც მრავალრიცხოვანი ქართული რედაქციების ურთიერთმიმართების, ისე მათი ბერძნულთან დამოკიდებულების საკითხის გასარკვევად.

თ. ჟეონა გამოთქვამს აზრს, რომ „მარიაშის მიმოსვლა“, რომლის თარგმანა ბერძნულიდან IX—X საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, თავისი უცხო წარმომავლობის გამო, თუმცა პირდაპირ ვერ ასახავს ქართულ სინამდვილეს, მაგრამ ერთგვარად შინაც ეხსენება ფეოდალურ საქართველოს შინაგან სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს. ერთერთ ასეთ საკითხად მკვლევარს მიაჩნია ნაწარმოების მთავრად მამხილებელი ტონი, მიმართული ეკლესიის მსახურთა მტაცებლობისა და უზნეობის წინააღმდეგ. აღამიანის დაცვის, კაცთმოყვარეობისა და სიკეთის მოტივები, რომლებიც პოლომდე გასდევს ნაწარმოებს და კრიტიკულ-პროტესტანტული ტონი, სხვა ნიშნებთან ერთად, საბაბს აძლევს მკვლევარს თხულებს ხალხის დაბად ფენებში ჩასახულ და ფართოდ გავრცელებულ წიგნად გამოაცხადოს.

მ. ჭავჭავაძის ნაშრომი მონოგრაფიული გამოცემაა, რომელიც ეძღვნება XVII—XVIII საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობის თვალსაზრისწინა წარმომადგენელს, დავით გარეჯის უდაბნოს ლიტერატურული სკოლის

მესვეურთაგანს, ვადამწერსა და მწიგნობარს ბესარიონ ორბელიანს.

ამ მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობა დღემდე ნაკლებად იყო შესწავლილი. მ. ჭავჭავაძის მონოგრაფიაში გაშუქებულია ბესარიონის როლი აღორძინების ხანის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, უხვი წყაროების გამოყენებით ავტორი ამტკიცებს, რომ ბესარიონელიშვილს, ვარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც აქამდე ცნობილი იყო მისი სახელით, კიდევ ეკუთვნის რამდენიმე სხვა ავთოგრაფიული თხზულებაც. ზოგი მათგანი დღემდე XII საუკუნის ძეგლებად მიიჩნეოდა, მაგრამ მ. ჭავჭავაძის სპეციალური ძიების შედეგად ეს დებულება იხსნება. დასასრულს, მკვლევარს დაწერალებით აქვს გარჩეული ბესარიონის ვრცელი საეკლესიო-პოლემიკური თხზულება „გარდემლი“, რომელიც კათოლიციზმის წინააღმდეგ არის მიმართული.

ე. მერტველის სტატიის („ეფრემ მცირის ავტოგრაფი“) მიზანია გაარკვიოს XI სუტ. ცნობილი მწერლისა და დაუღალავი მწიგნობარ-მთარგმნელის, ეფრემ მცირის ავტოგრაფული ნუსხების საკითხი. ე. მერტველი მთელი რიგი მონაცემებით წარმატებით აღგნო ეფრემის ხელის ნაირობას და ამის საფუძველზე ამტკიცებს ამ მწერლის სახელით დღემდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის რომელია მწიგნობარის ხელით შესრულებული დედნები. ნაშრომს თან ერთვის რამდენიმე ტაბულა ეფრემის ავტოგრაფულ ნუსხათა ნიმუშებისა.

კრებულში შეტანილია ე. ცაგარეშვილის ნაეკლესიო „მიქაელ-გობრონი ქართულ და სომხურ საისტორიო მწერლობაში“. ტბეთის ეპისკოპოსის სტეფანე მტბვეარის თხზულება „გობრონის წამება“ X საუკუნის ძეგლია. აქ აღწერილია არაბთა მჭვირვარე ლაშქრობა სომხეთსა და საქართველოში (914 წელს) ამირა აბულ-კასიმის სარდლობით, რომელშიც დაარბია და მოაოხრა ვერც სომხეთის მიწა-წყალი, შეზღვე კი მოსრა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. მან სიძულელი დასაჯა შეუღებრელი ქართველი მებრძოლი ყველის ციხის დამცველი მიქაელ-გობრონი თანამებრძოლებითურთ და სომეხთა შეუღ სეშმატ ტიუზრაკალი.

გობრონის წამების ამბავი არა ერთხელ არის მოხსენებული ქართულსა და სომხურ საისტორიო წყაროებში. ე. ცაგარეშვილი, ვასცნობდა ამ წყაროებში გობრონის შესახებ ახსენებულ ცნობებს, შეუჯერებია ისინი ერთმანეთისათვის და დაუდგენია მათი მიმართება ს. მტბვეარის ხსენებულ ნაწარმოებთან. ავტორი ასკენის: „ქართული და სომხური საისტორიო წყაროები, ავსებენ რა ერთმანეთს გობრონის წამებისა და მისი თანადროული ეპოქის ამსახველი მასალებით, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის X საუკუნის საქართველოს

და სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების სმა თუ იმ მხარის ვასაქობად და შესასწავლად.

სასურველი იყო ე. ცაგარეიშვილი თავისი შრომის ზოგი დებულების დასაზუსტებლად ვასცნობოდა გობრონის წამებაზე დაწერილ მესხის ა. გვარამიას პოემას, რომელიც 1896 წ. ზ. შინაინამე ცალკე წიგნად გამოცა. ამ პოემაში ზოგი ისეთი საყურადღებო და ნიშნული ცნობა მოიპოვება, რომ მათ მწერლის ფანტაზიის ნაყოფად ვერ ჩავთვლით. ეს ბუნებრივად აყენებს საკითხს, ვარაა სპინინის „საქართველოს სანაოსნოში“ გამოქვეყნებული გობრონის წამების ტექსტისა, პოემის ავტორს, რომელიც მესხური ხალხურა სიტყვიერებისა და სიტყვითა სთქვეთისო მცოდნე და ხელნაწერთა შემსწავლელ-გადამწერიც იყო, თავისი პოემის შეთხრობის დროს სხვა წყაროებიც ზომ არ ქონდა ხელთ?

პოემაში დაწვრილებითაა აღწერილი მიქაელ გობრონის ბავშვობისა და ყრობის ამბები, მოხსენებულია მისი შამის სახელი ანტრაფელა, ჩამოთვლილია თავდაცვითი ბრძოლების მონაწილე ქართული გმირები ბოცო, დიოფი, ჯაფარი, ბეჰქანი, დემინა და სხვ. აქვე ნათქვამია, რომ სამცხეში შემოჭრილმა მტერმა პირველად ოჭრის ციხე-ქალაქზე მიიტანა ავირი და აქ ვანდელი დამარცხების შემდეგ ყველის ციხეს შემოადგა. ალყაშემორტყმულმა მეციხოვნეებმა გობრონის წინადადებით შეზღოვეს ერთმანეთს თავი გაეწირათ სიმშობლასა და რჯულისათვის. ამ დიეს ვადაუდგა კლარჯეთის მთავარი ოთარი, რომელმაც უპაროდ მიიჩნია თავგანწირვა და წარმოთქვა:

ბოცო მოკვდა მერისთვინა,  
ანტრაფელა ყველისთვინა,  
მე რომ მოვკვდე, მე რისთვისინა?  
ცოლ-შვილი მყავს, მელის თინა!

ეს ერთბაშად იწვევს ხალხურა, მისი ვარიანტული ტექსტი 1958 წ. მასწავლებელ მიხეილ ინსარაძეს ჩაუწერია სოფ. ანდრიაწმინდაში, ხოლო პოემის ავტორს, ა. გვარამიას შეტანილი აქვს რა ეს ტექსტი თავის პოემაში, სქოლოზი მითითებული აქვს: ეს ანდიაზა დღესაც ხმარებულია.

2. — შინაინამე თავის მოკლე ნარკვევში წარმოდგენილი აქვს X საუკუნის ერთერთ ხელნაწერში, სახელდობრ, მიქელის მიერ გადაწერილ ფსალმუნის ტექსტში ხმარებული პაემენტურ ზმინათა ფორმები, ე. ი. ას საგანგებო შემთხვევებში, როდესაც სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირებს ნიშნად მოსალოდნელ ს თავსართის ნაცვლად გვაქვს მ. მაგალითად: პოქუ (რაც უღრის ფორმას „სოქვი“) მინიწავა (სძინავთ), შემინწინ (შესძინებთ), აგოზს (სჯობს) და მისთ. ამ მითით-

ბას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული ენის ისტორიის შესასწავლად. ნ. გოგუაძის სტატიის „გრ. ორბელიანის თხზულებათა ტექსტის დადგენისათვის“ სი-ზუსტე შეიქმნა პოეტის ზოგიერთი ლექსის წიკითხვაში. ავტორი არკვევს, რომ ხელნაწერში (S-3723), რომელიც საფუძველად უდევს გრ. ორბელიანის ლექსთა უკანასკნელ გამოცემებს, დეფექტური ყოფილა, რის გამო „სადღევრამე-ლოს“ მეორე ვარიანტის ტექსტი (ხელნაწერ კრებულში ფურცლების შებრუნებით ჩაყრები-ვის გამო) მოკლებულია თანამიმდევრობას. ავტორი სათანადოდ აღავებს არეულ სტროფებს და ასწორებს ლექსს თავის გასწორებებს იგი ამოწმებს მის მიერ ინსტრუქტის დონდებში მოცემულ დღემდე უცნობ კრებულთან (Q-4338 ა-ბ) შეჯერებით. ამ კრებულს ავტოგრაფული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც იგი გასწორებულია პოეტის ხელით და მისივე შენიშვნები ბხლავს. გრ. ორბელიანის ავტოგრაფულ ხელნაწერებზე დაყრდნობით ნ. გოგუაძე მნიშვნელოვან ტექსტოლოგიურ შენიშვნებს აყალიბებს პოეტის ზოგ სხვა ნაწარმოებზედაც („აიალის“, „ვირი და ბუღული“ და სხვ.)

ილია აბულაძის ნარკვევი „ძველი ქართულის ლექსიდან“ გავრძელებათა ამ შრომისა, რომელიც ამავე სათაურით გამოქვეყნებული იყო „მედიკალ-კავკასიური ენათმეცნიერების“ IV ტომში (1952 წ.) შრომის მიზანია ძველი ქართულში ხმარებული ზოგი საყურადღებო სიტყვის ცალკეულად შესწავლა, მათი პირვანდელი ფორმის და შინაარსის გათვალისწინება.

ამ მეორე ნარკვევში ავტორი მიმოიხილავს ორ სიტყვას — ხაყუთარას და გლეხს. იგი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ხაყუთარ სიტყვის პირვანდელი ძირი კუთხ უნდა ყოფილიყო და, მასთანადავე, ხაყუთარი უნდა მომდინარეობდეს მიმღებისაგან საყუთარი-ი (ახალი ქართული — ხაყუთარი-ი) ეს კი აღნიშნავდა ან იმას, რაც გამოსაყოფია, გამოხაყვითია, გამოსაცალკეებელია, ან და იმ სამუალებას, რითაც შეიძლება რამე გამოიყოს, გამოიკვეთოს, გამოცალკეებდეს.

ასეთსავე საყურადღებო ეტიმოლოგიურ ძიებას აწარმოებს ი. აბულაძე სიტყვას გლეხის-ორგვლივაც. ქართულ-სომხური ტექსტების შეჯერებით ადგენს ამ სიტყვის სომხურ ვარიანტებს (ამზობი, რამიკი, შინაკაი) და ამავე დროსვე უკავშირებს ქართულ სიტყვებს გლახას და გლახას.

მე-17, 18 საუკუნეებში პოლიტიკურად დაქსაქსული და გარეშე მტერთაგან დაუძლურებული საქართველოს ფეოდალური სამეფო, როგორც ცნობილია, დიდ მისწრაფებას იჩენდა რუსეთთან დაახლოებისკენ. ყოველი სა-



ლად მოაზროვნე მაშინდელი პოლიტიკური მოღვიწე რუსეთის სამხედრო დახმარებაში ხედავდა საიმედო ძალს თურქეთის მოძალებულ ექსპანსიის ასალაგმავად. ამიტომ იყო, რომ მე-18 საუკუნეში განსაკუთრებით ვაძლიერდა დიპლომატიურ ელჩების ზღვანა რუსეთის იმპერატორის გარეშე. ერთგვარი ასეთი მისია გაიგზავნა იმპერატორი 1738 წ. მეფე ილექსანდრე მეხუთის მიერ, რომელმაც თავის ელჩად მიტროპოლიტი ტიმოთე ქუთათელი (გბაშვილი) აირჩია. ილექსანდრეს ელჩისათვის წერილითა და საჩუქრებით ერთად თავისი სამეფოს ეკლესიარწმუნებანი და დასურთაებული რუკები გაუტანებია, რომელიც ქართული რუკათმხაზველობის ერთერთ უძველეს ჰაგვად უნდა ჩაითვალოს, მის ზეგნაშე მოუღწევია და დეტალია მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში.

ლიხთ-მერეთის 1737 წ. შედგენილ ამ რუკის შესწავლას ვაძღვნება კრებულში მოთავსებული ისტორიკოს შ. ბურჯანაძის ვრცელი სტატია, სადაც ავტორი დაწვრილებით ახასიათებს ამ საუკრადღებო დოკუმენტს და ასევე, რომ იგი სანდო პირველწყაროს წარმოადგენს იმერეთის იმდროინდელი სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიური, თუ სოციალურ-კულტურული ვითარების შესასწავლად.

თ. ვენტიძის შრომაში, რომლის სათაურია „მისაღება ევატანგ VI სამართლის წიგნის გაგრძელებას შესახებ“ საყურადღებო ცნობებია მოცემული იმაზე, თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჰველად ევატანგ მეფის მიერ შემუშავებული ცნობილი სამართლის წიგნი სასამართლო პრაქტიკაში.

მრავალრიცხოვან საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, შრომის ავტორი არკვევს, რომ ევატანგის კოდექსი იმხარებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ვიდრე ვასული საუკუნის 60-იან წლებამდე.

ლილი ქუთათელის საფუძვლიანი შრომა „ი. ბაგრატიონის ავტორადული ნუსხების მიმოხილვა“ ეძღვნება ქართული კულტურის

მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწის, პირველი ქართველი ენციკლოპედისტის, ი. ბაგრატიონის „ავტორადული ნუსხის“ ითანე ბაგრატიონის ილტერატურულ შემკვიდრებას. ავტორი მოკლედ აღწერს და მიმოიხილავს ითანეს გრამატიკულ, ლექსიკოგრაფიულ, მხატვრულ-ლიტერატურულ, სამედიცინო, ფილოსოფიურ, საზნებებისმეტყველო, საისტორიო და პედაგოგიური ხასიათის ნაშრომებს და ბევრ ახალ მნიშვნელოვან მასალას ვეცნობს მწერლის ფართო სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის ისტორიიდან.

„მოამბე“ სრულდება ცნობილი ქართველი მწერლის, ნ. ლომოურის პირადი წერილების პუბლიკაციით. პუბლიკაცია და შეინაშენა-კომენტარები ეკუთვნის შალვა ვოხაიშვილს. წერილებს წინ უძღვს მისივე წინასიტყვიება, სადაც მოკლედ დახასიათებულია ნ. ლომოურის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე და მისი მიმოწერის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. გამოქვეყნებულია სულ 15 წერილი, რომელთაგან 10 მიმართულია ი. გოგებაშვილისადმი, დანარჩენები კი ს. შესხის, შ. მღვიმელის, მ. მ. შანაბლისა და იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისადმი.

წერილები მრავალმხრივ საყურადღებოა და ღიბი ინტერესით იკითხება. მისი სტატიონებიდან ნათლად მოჩანს უანგარო და თავმდაბალი, მაღალი პატრიოტული გრძნობით აღჭურვილი, მტოდნე და ნაყოფიერი ქართველი მოღვაწის შიშიდგელი სახე.

ღიბი მეგობრული სიყვარული ხელს არ უშლიდა ნიკო, ქართული ენის საუკეთესო მტოდნესა და მისი სიწმინდის დამცველს, კრიტიკულ თვალთვალს ვადაუხელდა ღიბი პედაგოგის ნაწერებისათვის და იქ მთელი რიგი უხერხული გამოთქმები, თუ უშაბიბულო სიტყვები აღმოეჩინა. როგორც მიმოწერიდან ჩანს, ი. გოგებაშვილიც საიმყოფნებით ღებულლობდა ლომოურის შენიშვნებს.

სამწუხაროდ, კრებულში ვხვდებით ენობრივად გაუპართე გამოთქმებს (გვ. 143, 205) და სტილისტურ და კორექტურულ შეცდომებს (გვ. 31, 68, 101, 103, 106 და სხვ.).

ილია შანიშვილი

## საენათმეცნიერო შრომების ახალი კრებული



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაიწყო ქართული ენებისა და მათი დიალექტების კვლევასაშენი შიძღვნილი საეციალურა კრებულის გამოცემა „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ სახელწოდებით. კრებული რეგულარულად გამოეცემა და მასში გამოქვეყნდება

ინსტიტუტში მრავალი წლის მუშაობის შედეგად დაგროვილი ნაშრომები და აგრეთვე ინსტიტუტის გარეთ დამუშავებული მონოგრაფიები და სტატიები ქართველური ენების შესახებ.

ახლანდ გამოვიდა ამ კრებულის პირველი ტომი (რედაქტორები: ე. თოფურია, ა. კიხა-

რია). მასში შესულ შრომებში დასმული და გადაწყვეტილია ზოგი მნიშვნელოვანი საკითხი ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, ბგერათშესატყვისობიდან, ძველი ქართული ენის მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, სეპარირი ენის ფონეტიკიდან, ხალხური სიტყვიერების ფარსიდან და სხვ.

სარეცენზიო ტომს აქვს დართული წინასიტყვაობა, სადაც მოკლედ და მკაფიოდაა აღნიშნული ამ მრავალფეროვანი საკვანძო პრაბლემების შესახებ, რომლებიც დაისვა დღის წესრიგში მას შემდეგ, რაც დადგინდა ქართულური ენების ნათესაობა მოსა კავკასიურ ენებთან და წამოიჭრა საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტური კავშირის შესახებ ხალხურ და ხელოვრ ენებთან. კრებულის მიზანია, როგორც ეს ნათქვამია წინასიტყვაობაში, ღელი შეუწყოს ამ პრაბლემების გადაწყვეტას.

გამოყვლევა — „ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან“ (ავტორი გ. როვავი)— ანტექსტ ქართული რ ბგერის შესატყვის ზანერ ჯ ბგერას, მის გენეზისს. უარყოფილია მოსაზრება, რომელიც ჯ.ს მიღებულად მიიჩნევს ფ.საგან და ამ უკანასკნელისა და რ ბგერისათვის ამოსავლად ვარაუდობს რთულ ბგერას. სათანადო მკვლევების ანალიზის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ ქართული რ-ს შესატყვისი ზანერი ჯ მეორეული ბგერაა და არა მესამეული, მიღებულია პოზიტიურად და არა სპონტანურად. მისთვის ამოსავალი ჩანს რ, რამაც ბრუნვისეული ი ხმოვნის გავლენით განიცადა პალატალიზაცია და გადავიდა ჯ-ში.

შრომა — „ა.ს გენეზისისათვის სეპარირში“ (მ. ქალაძე) — ეტება სეპარირი ენის ფონეტურული ცვლილების მნიშვნელოვან საკითხს. ავტორი დამაჯერებელ დებულებებს აყენებს და ახლებურად წყვეტს ა.ს მიღების მიზეზებს გარკვეულ შემთხვევებში. მკვლევარი აღგვს, რომ ა არ არის მიღებული ა ხმოვნისაგან, როგორც ეს აქამდე მიიჩნდათ. არამედ იგი ხმოვნის ფშეინვიერი შემართით გაჩენილი მს რეფლექსია ერთი ტიპის საბელებში, ზოლო რგ ზანერში განიხილია მესამე სუბიექტურის პირის ნიშნის ლ (← ნ) ფორმანტის დასტურების შედეგად. არ ექნებოდა ზედმეტი, რომ მასა და ლ-საგან ა.ს მიღების მკვლევართბი მოეყვანა სხვა ქართველური ენების დიალექტებიდანაც.

გამოყვლევაში — „ერთი სინტაქსური მოკლენისათვის ძველ ქართულში“ (არ. მარტიროსოვი) — გარკვეულია ძველ ქართულში კავშარების გამოყენებისა და მონადელოობის საკითხი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში. ავტორი აღსატურებს, რომ რაა კავშირის პოზიცია წინადადებაში არ არის მყარ და ამ მხრაც ის განსტავილება ვითარ, ვითარცა, რაჟამს ოდეს და ვლდრე კავშირებისა-

გან. ესენი, როგორც წესი, უწრებენ შემასმენელს და დროის გარემოების დამოკიდებულ წინადადებაც პირველ ადგილსაა ქვეყნობრეუთითოეული ამ კავშირთაგანი შეიძლება შეენაკელოს როგორც ერთმანეთს, ისე რაა კავშირის რთული ქვეყნობილი წინადადების მარტივი გარკობილი წინადადებით შეცვლის შემთხვევაში დროის გარემოების დამოკიდებული წინადადების ზმნასა და რაა კავშირის ცვლის მიცემით ბრუნვაში დასმული მასდარი. ასნილია ძველ ქართულის იშვიათი ფორმები.

შრომა — „ერთმშემადგენლიანი წინადადება ძველ ქართულში“ (ა. კიხარია)— ეტება ერთმშემადგენლიანი წინადადების გენეზისს. ძველ ქართულის მასალების მიხედვით გარკვეულია, რომ იგი მომდინარეობს ორმშემადგენლიანი წინადადებისაგან, მიიღება ქვემდებარის დეკარგვით, გუქინარებით.

ეს საინტერესო საკითხი სასტრეველია შემდგეში შესწავლილ იქნეს სხვა ენებთან შედარებით.

მონოგრაფულ შრომაში — „ზმნისართი ძველ ქართულში“ (გ. შალაშვიტი) — მოცეველია ზმნისართის მორფოლოგიური, სემასიოლოგიური და სინტაქსური ანალიზი. მორფოლოგიური კლასიფიკაციის დროს ამოსავლად აღებულია აღნაგობა, მხედველობაში მიღებულია, ძირეულია ესა თუ ის ზმნისართი თუ წარმოქმნილი. ძირეული ზმნისართები დეკავშირებულია ნაკვალასხელურ ძარბებთან. წარმოქმნილია ზმნისართის ძირი შეიძლება ზმნისართი არ იყოს. განაზღულია ზმნისართის წარმოქმნის საშეალებანი. მოცეველია ავრეთე ზმნისართის ჯგეფებბ მინასართის მიხედვით და ნახვენებია მნიშვნელობის ისტორიული ცვლა ყურადღების გარეშე არ არის დარჩენილი არც ზმნისართის ურთიერთობა წინადადების სხვა წყერებთან. შესავალ ნაწილში კრიტიკულად მიმოხილილია გრამატოლოგიური რტრებში არსებული აზრი ზმნისართის შესახებ და სხვ.

შენიშვნას იწვევს ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ზვესტურული ახლა და ეხლა სიახლოვე-სიშორის მიხედვით უპირისპირებლა ერთმანეთს. ზვესტურული ახლა და ეხლა ერთმანეთის საპირისპიროდ არ უნდა იხმარებოდეს. შეიძლება აქ უფრო ამაშიაღაცია იყოს, ელდრე დამბრისპირება.

შრომაში — „ხმოვანთავსართული ზმნისართები“ (ბ. ფონზევა) — ავტორი ამტყიკებს, რომ ზმნისართებსა (ავტრ; ეგრე; იტრე; ასტრ; ისტრ; ისტრ) და ნაკვალასხელებში (ავტრ; ეგრე; იტრ; ისტრ; ისტრ) სტრკცია დამკონსტრუბელია, ე. ი. ხმოვნები თავიდანვე არ იხმარებოდა ერთდროულად. ავტორის ვარაუდით, ამ ელმენეტების სხვადასხვაგვარი კომბინაციით ქართულში უნდა გექონოდა ორწვერიანი სისტე-

მები (ა-ე, ე-ი, ი-ო). ამათგან უძველესია და თანაც საკუთრივ ქართული ეგვიპტე — იგი, თან(ი) ნაცვალსახელში შემონახული ე—ი. ამის შემდგომია აგრე, ახრე || ახე — ეგრე, ე-რე || ეხე; აგერ, \*ახერ — ეგერ, ეხერა ხანი-სარეობში დაძლი ზანერი ტიპის ა — ი. აქა — იქა ადგილის ზმნისართებსა და ამითი ანალოგიით აჰ — იმ ნაცვალსახელში გამო-ენებულა ა — ი გვიანდელა. „დანარჩენი მნიანი ხანისართები (ი გ რ ზ, ის რ ე || ის ე და ანიანი ნაცვალსახელი (ა გ ე) ახალი წარ-მოშობისანი ჩანან და გვიანდელი ა — ი სის-ტემის პროდუქტულების ადასტურებენ“.

ეგროის მოსაზრებები საყურადღებოა, მაგ-რამ ზოგი რამ სადავოდ გვეჩვენება:

1. ინგლოურ კილოში აჰ, აჰმ და მსგავსი მგავლითები მადებულა აი ნაწილაიხა და ზმნისართის (იქ) ან ნაცვალსახელის (იმ) შეერ-თებით (ასეთი ფონეტიკური პროცესის შედე-გად: აი+იქ → აიქი → აიქ → აჰქ).

ამის გამო ვერ დაუფიქრებთ ეგროს აჰმგრ (← იმ მავრ) და აჰმშინ (← იმ ნაშინ) ინგლოურში თითქოს ნიღბული იყოს ხეშთთ დასახლებულა მგავლითების ანალოგიით ან ე-ს რედუქციით (ე → ი → ა).

2. ეგროი წერს: „გასაჩვენებია, რამდენადაა საყურადღებო ენიანი ზმნისართებისა და ანიანი ნაცვალსახელის ოდენდელი არსებობა“. აქ კორექტურული შეცდომა ხომ არ არის: უნდა ყოფილიყო პირაქით: „ენიანის“ ნაცვლად „ინიანი“.

გამოკვლევაში — „ენიანი ენებითა“ ქართ-ველურ ენებში“ (გ. მკვათარიანი) — განი-ღულია ქართველურ ენათა ზმნის ერთ-ერთა რთული და მკრად საანტერესო საკითხი.

ქართულ ენაში, როგორც ცნობილია, ენე-ბითი გვარის ერთი ჯგუფის ზმნებს (თხება, ღება, კდება და სხვ.) ენებითის სპეციალურ-ი ნიშანი არ გააჩნია. ენებე დასტურდება ზანერში (მეგრულ-ქანერში) ან ტიპის ზმნე-ში (მეგრ. გო-ზომ-ი „გახმა“, ქან. ტუბ-უნ „თხება“). მაგრამ სულ სხვა ვითარება გვაქვს სვანურში. აქ ენებითი და მოქმედებითი უბი-ჩისარდებიან ერთმანეთს ერთი და იმავე ფუძის სხვადასხვა გამმოვანებით. ხდება ფუძი-სეულ ზმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა „ან ფუძის ფლექსია (ტუბ-ნი „პირუღება“ — ტიბ-ე „პირუნება“). ფუძისეული ე ზმოვანი დამახასიათებელია ენებითისათვის, ხოლო ი — მოქმედებისათვის.

გ. მკვათარიანის მიზანია გარკვევის, პირ-ველთა ეს მოვლენა თუ მეორეული. ეგრო-რი ასაბუთებს, რომ ტუბ-ნი—ტიბ-ე ტიპის მონაცვლეობა არ არის დამახასიათებელი ქარ-თელისა და ზანერისათვის. იგი ისტორიულად არ უნდა ყოფილიყო არც სვანურში.

ზმოვანთა მონაცვლეობა ამ ენასახელში წარ-და ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოშობილი ასე-ვე, როგორც ქართულში (ეგრეს ვერსიებ) სეანტრშიც საქმე გვაქვს ფუძის ღრედადობა-თან, რაც დაიყვანება ქართლის ფუნქციურ-დობაზე. მისი გამოწვევა მახეზია სუფიქსი-სეული ზმოვანი. სვანურში ფუძისეული ე იმ-საიეთვე არ შეიძლება ყოფილიყო ენები-თის ნიშანი და ი — მოქმედებისათვის. ი რიც ზმნებში მიღებულა ე-სავან ფონეტიკურ ნია-დაგზე.

ამგვარად, ფუძისეულ ზმოვანთა მორფოლო-გიური მონაცვლეობა (ფუძის ფლექსია) უცხო-უნდა ყოფილიყო საერთოდ ქართველური ენებისათვის. მაგრამ ფონეტიკურ ნიადაგზე დაკვიდრებული ფუნქციურადობა, რომელიც წარმოშობილი ჩანს ქართველური ენების ერთიანობის ეპოქაში, ენამ შემდეგ გამოიყენა მორფოლოგიური დანიშნულებით და დიჩრდი-ლა ფონეტიკური საფუძველი.

კარგად შეჩვეული სათანადო მსალეების ანალიზისა და ამ საკითხის შესახებ საენათ-მეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზ-რების გათვალისწინების შემდეგ ეგროი ას-კვსის, რომ „ენიანი ენებითებს“ ქართლისა და ზანერში და ფუნქციურად ენებითებს სვან-ურში ისტორიულად არ გააჩნდათ ენებითის ნიშანი. ეს ზმნებტ უფრო ძველია, ვიდრე საერ-თოდ გვარის კატეგორია. უძველესი ვითარე-ბის გადმონამუს უნდა წარმოადგენდეს ისეთი ზმნა. სადა არ არას გადაფერენიარებული ფორმით მოკეპული მოქმედებითი და ენებითი (მგავლითად, დადა მან ის და დადა ის).

დასკვნა საერთოდ სარწმუნო ჩანს, მაგრამ შევნიშნავთ შემდეგს:

1. შრომის წაყოფიებით ისეთი შთაბეჭდილე-ბა რჩება, რომ ეგროი საენათმეცნიერო ლი-ტერატურაში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრე-ბას არ ეთანხმება ე — ი ზმოვანთა ფუნქციურ-ი მონაცვლეობას შესახებ. მაგრამ საქმე ისაა, რომ იქ დადგენილია ამქამად არსებული ფაქ-ტი, არ არის მოცემული მისი ისტორია. გ. მკ-ვათარიანი სწორედ ამ ფაქტის გენეზისის გარკვევას ცდილობს. ეს კი სხვადასხვა ფაქ-სისარსით მიადგომა და ერთმანეთს არ ეწინა-აღმდეგება.

2. დილაქტურ ფორმებში — „ე-გრიბ-აე“, „ე-ზღა-ჯ-აე“, „ე-მწყობტა“, „ე-ციბი-აე“ — არსებობს ი ეგროის მიანაა წყვეტილის ფუ-ძიდან გადმოსულად და სვანურშიც დისაზრე-ბად თულის ამგვარ ვარაუდს: ა-ტიბ — ტიბ-ე, ამ ზმნებში ი ნაწყო წყვეტილის ფუძიდან კი არ უნდა იყოს გადმოსული, არამედ მიღებუ-ლი ჩანს ე-სავან დაიწროების გზით -აე სუ-ფიქსის ეკვლივის შედეგად. ასეთე, მეგრ. შჭირიტ-უნ-ის „შრეტს“ და ზან. მჰუდ-უნ-ის „წყვეტს“ ფორმები ნაწყო ძირითადის დო-



რების შესახებ ამ გაზეთში მოღვაწეობისათვის. სარეცენზიო წიგნში მოყვანილ ამ ახალ ფაქტებზე დაყრდნობით, ავტორი წერს რომ „შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ „Тифлисские Ведомости“-ს თანაშრომელთა ძირითად ბირთვს შეადგენდა გადასახლებულნი“.

კარგადაა წარმოდგენილი წიგნში ბესტიუვე-მარინსკი, არა მარტო როგორც ამ გაზეთის თანაშრომელი, არამედ მოყვანილია მისი შეხედულებანი რუსულ-ქართულ და რუსულ-კავკასიურ ურთიერთობის შესახებ. აგრეთვე მდიდარადაა წარმოდგენილი მისი ძმების, პეტრე და პავლე ბესტიუვეების მოღვაწეობა, განსაკუთრებით ლიტერატურულ ასპარეზზე.

ვ. შაღერას წიგნი შედგება ცხრა თავისაგან. პირველ თავში, რომლის სათაურია „დეკაბრისტები-საქართველოში 1825 წლის აჯანყებამდე“ ნახევენება უძველეს დროიდან არსებული რუსულ-ქართული საზოგადოებრივი და პოლიტურული ურთიერთობანი. კავკასია გამოიღვლია, როგორც „პოლიტიკურ დამნაშავეთა გადასახლების და ნებაყოფილობით გადასახლებულთა ადგილი“. აღნიშნულ თავს ავტორი ამთავრებს კიბიხის დასმით: „არსებობდა თუ არა კავკასიაში სიბღმლო საზოგადოება?“, რომელზედაც ვ. შაღერი უარყოფით პასუხს აძლევს. „არავითარი საბუთი არა გვაქვს, — წერს ავტორი, სადაც დამოწმებული ყოფილყო კავკასიის კორპუსში არაღვადღური პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა“. ავტორის ეს დასკვნა შეიძლება გაეზიაროთ, მაგრამ შემდგომი იგი წერს რომ „შეიძლება იქნებოდა ანგარიში არ გავგეწოთ თავისუფლად მოაზროვნე თბილისური გამგეობისათვის მხოლოდ იმიტომ რომ მას საადგილო ორგანიზაციის ხასიათი არა ჰქონდაო“. ავტორის აზრით, ამ კავშირში „იჩნებოდა საკვირვარო პოლიტიკური და ლიტერატურული საკითხები, არსებობდა გონებრივი მოძრაობა, რევოლუციურ ენებთან მღვდარება. ამ თანმიმდევრულად ზედობდა მომავალ ბრძოლების გამარჯვების გამოკვლევა, რომელთაგან ბევრნი 15 დეკემბრამდე მივიდნენ“.

დანარჩენ თავებისაგან, ყველაზე მნიშვნელოვანია მეხუთე თავი, სადაც ლაპარაკია დეკაბრისტებზე და მათი მონაწილეობის შესახებ გაზეთში „Тифлиссские Ведомости“.

ვ. შაღერას სარეცენზიო წიგნში განხილულია რუსი და ქართველი ზღვის კულტურული ურთიერთობის მთელი ეპოქა. მონოგრაფიას აქვს ღრმა და ყოველმხრივი გამოკვლევის ხასიათი. ამ გამოკვლევის გამოცემით მეცნიერების ორბიტში შედის ახალ დასკვნებისა და ახალ ფაქტების მთელი რიგი.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ზოგიერთი დებულება საკმაოდ მიუგანია, ზოგი კი არასწორად. მაგალითად,

მეორე თავში ავტორის მოყავს ტექსტი ა. გრიზოევის ნაწყვეტიდან „Календарь“ — ეს ტექსტი გრიზოელოთან ასე იკითხება:

На Рюна берегах  
В дальних я  
рождаен  
пределах...

ვ. შაღერი თვითნებურად ასწორებს გრიზოელოვს ტექსტის პირველ სტრიქონს და წერს «На Иоры берегах», თანაც ამბობს რომ აქ გრიზოელოვმა „შეცდომა“ დაუშვაო. ცხადია, სარეცენზიო წიგნის ავტორი არაა მართალი. აქ გრიზოელოვი უთუოდ ლაპარაკობს იმერეთიდან წამოსულ და არა იორის ნაპირზე დაბადებულ ყმაწვილზე.

მესამე თავში დეკაბრისტების დიდ თავმოყრას კავკასიაში ავტორი იმით ხსნის, თითქოს მეფის მთავრობას სურდა გაეძლიერებინა თავისი საშხედრო ნაწილები, და არა იმით რომ დაესაჯა ისინი.

მეხუთე თავში ეხება რა თბილისის გაზეთის დეკაბრისტ თანაშრომლებს, ამ გაზეთის რედაქტორს პ. სანოვსკისად დეკაბრისტად სთვლის. ავტორს ეტყობა ავიწყდება ამ რედაქტორის სივეო წარსული — მისი მრავალწლოვანი სამსახური პოლიციის დეპარტამენტში და კავკასიაში ყოფნის დროს კავშირი პროვოკატორ კანსისტან. რაც შეეხება იმ ზელშეკრულებას, რომელიც ამ რედაქტორმა დაღო სუბორტოკოთა და რითაც უკანასკნელს ეძლეოდა გაზეთის რედაქტორის მოადგილის თანამდებობა, უნდა ითქვას, რომ ამ ზელშეკრულებას არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ამას ავტორი მიაკუთვნის. იგი წერს (იხ. გვ. 259): „სანოვსკისთან დადებულ ზელშეკრულების თანახმად ვ. დ. სუბორტოკოვი „თბილისის უწყებათა“ ყოველ ნომერს ამარაგებდა ლიტერატურულ წერილებით“. საკვირველია, სუბორტოკოვი სამსახურის გამო მუდამ სამხედრო ფრონტზე იმყოფებოდა და როგორ „ამარაგებდა“ გაზეთს ვრზე-რამდენად. თანაც გაზეთის კომპლექტი რომ გადასინჯოთ, ვერ ნახავთ იქ სუბორტოკოვის „ლიტერატურულ წერილებს“. მაშ, რას წარმოადგენდა სუბორტოკოვის ის წერილი თბილისის გაზეთში, რომლის გამო იგი დააბრძოლეს? ვ. შაღერი ხსნის ამას სუბორტოკოვის წერილის „მძაფრი და გაბედული ტონით“. ნამდვილად კი მის წერილში სამხედრო საიდუმლოება იყო გახსნილი, მასში ნახევენები იყო ჯარის დისლოკაცია და მოყვანილი იყო ფრონტზე მოქმედი რაზმის ზუსტი რიცხვი.

შემდეგ, 409 გვერდზე, ავტორი წერს, რომ დეკაბრისტის ცოლმა მართამ ვოლონსკაიამ, პეტერბურგში ყოფნისას, პეტრელოვანი შეიღობილად „თავისი დედის მზრუნველობის ქვეშ“, რაც არაა სწორი, მართამ ვოლონსკაიას



დედა კიევის გუბერნიამა მყოფ თავის სოფ-  
ლიდან არხად არ წასულა. ეოლკონსკიამ  
თავისი ბავშვი დაურთოა ქმრის დედს (დედამ-  
თილს).

წიგნის დასკვნითი თავია „მეტრამეტრ საუ-  
კუნის პირველ ნახევრის ქართული მოწინავე  
ლიტერატურულ-საზოგადოებრივი წრები და  
დეკაბრიზმი“. ამ მოთავსებულია მეტად შინა-  
არსიანი გამოკვლევა ალექსანდრე ჰავჭავაძის  
მიერ შედგენილ „მოკლე ისტორიულ ნარკვე-  
ვის“ შესახებ, მაგრამ აქვე ავტორი წერს  
თითქოს „მისათვის რომ ალ. ჰავჭავაძის დეკა-

ბრისტებთან კავშირი უკეთ იყოს გამოჩვენე-  
ლი საქარო გაეცნოთ მ. ნ. ახვერდუფის პი-  
როვნებასაო წინანდებურად კამათის საგანს  
წარმოადგენს საეთბი 1832 წლის შეთქმულ-  
ბის ზოგიერთ მონაწილის დეკაბრიზმთან კავ-  
შირის შესახებ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საერეწიზო  
წიგნში ბევრ სინტერესო და ახალ ცნობასთან  
ერთად გვხვდება ზოგიერთ დამუშავებული  
მასალა იმედით, რომ ავტორი ამ საკითხებს  
კვლავ დაუბრუნდება და თავის მომავალ  
კვლევა-ძიებებს ამ მიმართულებით წარმართავს.

ივანე ანკოლოფაშვილი

### ქართული ხითხუროთმოძღვრება



მიხილ გარაყანიძის წიგნს უთუოდ დიდი  
შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც  
ქართულ, ისე არაქართულ მეცნიერული  
ავტორის ხედვიწეწიით შეუსწავლია ყველა  
საკითხები, რაც კი ქართულ ხითხუროთ-  
მოძღვრებას ეხება, კონკრეტულ მასალას ყო-  
ველმხრივ დაუფლებულია და მოცემული აქვს  
ამ მასალის ფართო და ორიგინალური გააზ-  
რება.

ის ვარაუდობა, რომ ქართული ხალხის მა-  
ტერიალური კულტურის ისტორიიდან ავ-  
ტორის გამოუყვია ხითხუროთმოძღვრება, თა-  
ვისათაოდ მიუთითებს, ავტორის, არა მხო-  
ლოდ ქართული კულტურის ისტორიის ვარა-  
სა და ღრმა ცოდნაზე, არამედ თეით საგნის  
შესწავლის სიღრმეზეც.

მართალი რომ ითქვას, ჩვენი ხალხის ცხოვ-  
რებისა და ყოფის ესოდენ სინტერესო დარ-  
გი — ხითხუროთმოძღვრება — იმგვარი ვააზ-  
რებით, როგორთაო ეს მ. ვარაყანიძის აქვს  
წარმოადგენილი საერეწიზო წიგნში, აღრე  
თათქმის არავის არ შეუსწავლია.

ცალკეული გამოკვლევაანი თუ კომპენდიუ-  
მები მიძღვნილი ამ საკითხისადმი, მითითე-  
ბული მ. ვარაყანიძის მიერვე საერეწიზო  
წრომში, რასაკვირველია, ამ საგანს, არამც  
თუ ვერ ამოწურავენ, მიახლოებით წარმო-  
დგენსაც კი ვერ იძლევიან მასზე. მ. ვარაყა-  
ნიძე საგანს განიხილავს ერთიანი სისტემატი-  
ზირებული თვალსაზრისით — მარქსისტულ-  
ლენინურ კონცეპტიაზე დაყრდნობით. ავტორის  
წინა ბლანზე წამოწეულია და მთელ წრომში  
გატარებული აქვს ლენინის საერეწიზო  
მითითება — ყოველ კულტურაში რაი კულ-  
ტურის არსებობის შესახებ, იგი ხითხუროთ-  
მოძღვრების მავალითი ახვეწებს და იდსტრუ-  
რებს სწორედ ამ დარგში პროგრესულის არ-  
სებობასა და განვითარებას.

საერეწიზო წიგნამდე დაბეჭდილი ცალკეუ-  
ლი წრომები ხითხუროთმოძღვრების საკითხს  
განიხილავენ არა მთლიანობაში, როგორც ხალ-  
ხის მსოფლმხედველობის გამოვლინებას, არა-  
მედ როგორც კერძო საკითხს, როგორც მხო-  
ლოდ ვლემენტებს მთლიანისა.

სინტერესოა ამ წრომის არქიტექტონიკაც.  
ავტორის შესავალში მოხებული აქვს განსა-  
ხილველ საკითხებო თუ პრობლემათა წრე.  
წრომში გამოყენებულია კვლევის ისტორიე-  
ლი მეთოდი — მისი საუკეთესო მხარეების  
მომარჯვებით.

ამ მხრივ, კარგადაა ვააზრებული წიგნის  
პირველი თავის სტრუქტურა და ამ წარმოდ-  
გენილი საკითხები. ავტორი ფართოდ იყენებს  
როგორც ფაქტობრივ მასალას, ასევე სათანა-  
დო წყაროებსა და ლიტერატურას. ყურადღე-  
ბას იმყოფს საკითხთა გაშუქების თანმიმდევ-  
რობა. მეორე თავი — კვლევის მასტრატის  
შესატყვისად — იძლევა არა მხოლოდ ზოგა-  
დის (საფლენებისა და დასახლებული ადგილ-  
ბის დავგვარება და ვანაშენება) დახასიათე-  
ბასა და შესწავლას, მის მხატვრულ სახიერე-  
ბასაც, რომელიც ასე კონკრეტული და ბუნებ-  
რივია საქართველოს ტერიტორიის მრავალ-  
ფეროვანი რელიეფსა და ჰაეისათვის, მისი  
ესოდენ თავისებური ლანდშაფტისათვის. მესა-  
მე თავს ავტორი, საკუებით მიზანშეწონილად  
და გამართლებულად, უძღვის კარშიდამოს  
ჩამოყალიბების შესწავლას. ავტორი სათანადოდ  
იყენებს ცალკეულ მკვლევართა მიერ გამოთ-  
ქმულ მოსაზრებებს, ამავე დროს ახერხებს  
კიდევაც ნაციონალური ხითხუროთმოძღვრე-  
ბის სტრატის აღდგენასა და მისი ტრანზირე-  
ბული კონცეპციის გამოვლენას.

მისასაღებელია, რომ მ. ვარაყანიძე არ  
გამორიცხავს სამეურნეო მცირე ფორმის არ-

ქიტქიტუას და მას განიხილავს დიდი ქართული ზურთთმოდერების საერთო ფონმა და ანსამბლი. ავტორი კონკრეტულ ფორმათა და ზოლიანობის გაზარებაში, თითქმის ყოველთვის ნახულობს ხოლმე საერთო-სამკულტურაგისა და დეკორატიულის მოხმარება-გაზარებაშიაც კი.

მეექვსე თავში ავტორს ხითურთმოდერების საერთო ანსამბლში შეტანილი აქვს საკულტო ხასიათის ნაგებობანი და აბეინებს ზურთთმოდერებაში საეროს პრიორიტეტსა და წამყვან როლს. განსაკუთრებული ინტერესის შემცველია წიგნის მეშვიდე თავი. აქ განიხილულია სპეციალური საკითხები, მაგრამ ყველაფერი ეს, ავტორის ისე აქვს მოცემული, რომ მკითხველს საშუალება ეძლევა რთულ პრობლემაში გარკვევისა. წიგნის მეხრე თავი ანალიტიკურ განხილვასა და საბოლოო დაჯამებას იძლევა ეს თავი შესანიშნავად ამთლიანებს ყოველფენ იმას, რაც მანამდე დეტალურად სხვათა იყო წარმოდგენილი, მაგრამ რასაც ყოველთვის გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

წიგნში მოთხოვნილია და დიფერენცირებული, საკუთრივ, ავტორისეული მასალა და ავრეთვე სხვა მკვლევართა მიერ შედგენილი და მოპოვებული მასალებიც. ცოტათი უხერხულად გამოიყურება, რომ ტექსტში მოკე-

მული მოთხოვნიანი, ხშირად, სქოლიოში გამოტოვებულია ხოლმე. საჭირო იყო ამისათვის ავტორის მეტი ყურადღება მიექცა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხელოვნების შესახებ არსებულ ლიტერატურაში, მასალის სრულყოფილად წარმოდგენის შიგრივ, საარტყენითი წიგნი ერთ-ერთი სანიმუშო ნაშრომია, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტორისეული გრაფიკული მონასმები ნატურიდან, კროკები და აქვარელები. ეს უკანასკნელი გამოირჩევიან შატერულობითა და სააქვარელო ტექნიკის მაღალი დონით.

საშუუხარა, რომ პოლიგრაფიულად ასე სრულყოფილად წიგნში, გამარულია ცალკეული შეკვრებიც. აუცილებელი იყო ნახატებისა, ნახაზებისა თუ ფოტომასალის ზუსტი დიფერენცირება და მოითება, თუ ვის ვკუთვნიან ისინი. წიგნის ტიტულზე მოცემული რუსული და ქართული ტექსტი, (წიგნის სახელწოდება) შინაარსეულად არ ემთხვევა ერთმანეთს, რისთვისაც ავტორს უნდა მიექცია ყურადღება.

სარტყენითი წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენისა სამკოთა ხელოვნებათმცოდნეობისათვის. იგი ავსებს იმ ნაკლს, რომელსაც ადგლი პქონდა ქართული ხითურთმოდერების შესწავლის დარგში.

ზალვა კვანცხაძე

### თურქი მწერლის რომანი სხალსო მირაზი



თურქი მწერლის იაშარ ქემალის რომანი „იჩუე მეშედი“ ასახავს 20-30 წლების თურქეთის სოფლის ცხოვრებას. ეს ის ხანაა, როცა თურქეთის მთავრობის სთავიეში იდგა მუსტაფა ქემალი. მისი მმართველობის დრო, თურქეთის ისტორიაში ენობილია როგორც დიდი საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობის ხანა. ტყუილად როლი უწოდეს მას თურქებმა „ათა თურქი“ (მამა თურქებისა). მესტაფა ქემალი დაუცხრომელი მებრძოლი იყო თურქეთის თავისუფლებისა, მისი დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს „ათა თურქის“ მოღაწეობა, იგი მაინც ბერეჟიზიული იდეოლოგიის განმარტველი იყო და მისი მოღაწეობა მიიწე ბერეჟიზიის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში გამოიხატებოდა და მშრომელი ხალხის, კერძოდ გლეხობისათვის მისი ეპოქა დიდდ არ გამტყვევება წინა გეოქებისაგან.

თურქეთი ძირითადად ავტარული ქვეყანაა და გლეხობა შეადგენს მთავარ ბირთვის თურ-

ქეთის მოსახლეობისა. მაგრამ გლეხობის ცხოვრების ასახვა თურქულ ლიტერატურაში მაინც გვიან დაიწყო. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ თურქულ ლიტერატურაში პესიმიზმი გამეფდა. ქარბად ივრძნობოდა ავრეთვე გატაცება სექსუალური თემით. თურქული პროზისა თუ პოეზიის ოსტატებიც ცხარე ცრემლებით დასტიროდენ დამარცხებულ თურქეთს. მაგრამ ყოველივე ამას ახლის წამოზრდაც მოჰყვა თან, ახალი პანგები თამამად შეიქრა მწერლობაში. ინატრალიაში ფართოდ ვიშალა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც ლიტერატურაში იდამიანის გმირობის სულის ვამოსახება მისცა ვასაქანი. ეპირობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თემა გახდა მთავარი ზოგი თურქი პროზაიკოსებისა თუ პოეტებისათვის. ლიტერატურაში წნდება სოფელზე, გლეხობაზე დაწერილი ნაწარმოებები. ამ თხზულებათაგან აღსანიშნავია რქმდ ენისეს რომანი „მეწის სურნელი“, ნაზამ

პიქეთის „ანატოლია“, საბაჰათინ აღის ნოველები და სხვა.

თანამედროვე თურქი კრიტიკოსის ჰასან ალი იუჯელის სიტყვით, დღევანდელ თურქეთში გულხანისა და სოფლის ცხოვრებას ნაკლებად ასახავს სამი მწერალი: მაჰმუდ თაკაო, იმშარ ქემალი და ფაჰრ ბეიკურთი. ამ მწერალთა რომანები გამოირჩევიან როგორც სოფლის ცხოვრების ღრმა ცოდნით, ასევე ავტორთა მხატვრული ნიჭით.

„იჩჯე მემედის“ ავტორი ამ სამეულში შემავალი მწერალია. იმშარ ქემალის „იჩჯე მემედი“ ერთერთი საინტერესო მოვლენა იყო თურქეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში 1955 წელს. მას მიეკუთვნება ლიტერატურულ ჟურნალის „იედი თეფეს“ 1955 წლის პირველი პრემია და ჟურნალ „ფარაღის“ 1956 წლის პრემია. ეს რომანი გამოირჩევა სინამდვილის ღრმა, სადრამატული ცოდნით, აქ კარგადაა დახატული თურქი გლეხების ფსიქოლოგია, ბუნება, ხასიათები.

იმშარ ქემალი (ქემალ გიოჩელი) დაიბადა 1922 წელს სეიხანის ვილაეთში, ჩეკოვოვოში. ბავშვობა მან ანატოლიაში გაატარა. სწავლობდა ვილაეთის საშუალო სკოლაში, შემდეგ ვადაიფა ქალაქ ადიანში, მაგრამ სწავლის დამთავრება მომავალმა მწერალმა ვერ მოახერხა. იმშარ ქემალი მუშაობდა რაიონებში სხვადასხვა თანამდებობაზე, ყოველივე ამან მომავალი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიათაგან დააგროვა უამრავი მასალა ხალხის ცხოვრების შესახებ, რომელიც, მწერალმა შემდეგ გამოიყენა თავის რომანებსა და ნარკვევებში. შემოქმედებით სარბიელზე იმშარ ქემალი გამოვიდა 1943 წელს, მისი პირველი წიგნი იყო ხალხური თქმებისა და ანდაზების კრებული.

1946 წელს იგი მიდის სტამბოლში. აქ მას უკვე იცნობენ როგორც გლეხობის თემებზე დაწერილ საუკეთესო ნარკვევების ავტორს. იგი აქ მოხდება ცნობილ მწერალთა წრეში, რომლებიც ახალგაზრდა მწერალს დიდ დახმარებას გაუწევენ. იმავე 1946 წელს იგი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, რის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ატყუენებს რომანებს: „რკინის ქალაქში“ „წითელი“. 1952 წელს გამოდის მისი კრებული „პაჰანაქება“, რომელშიც აღწერილია მისი მშობლიური კუთხის, ჩეკოვოვის, გლეხთა ცხოვრება.

1955 წელს გამოდის მისი რომანი „მეთენეჟე“. ამ რომანის გამოსვლის შემდეგ იმშარ ქემალი საყოველთაოდ პოპულარული და აღიარებული მწერალი ხდება. მას იწყევენ მთელ რიგ ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ატყუენებს ნარკვევებს ჩეკოვოველ გლეხთა ცხოვრების

შესახებ, რომლებიც შემდეგ გაერთიანდნენ წიგნი „ჩეკოვოვა ცეცხლში“-ში.

მაგრამ რომანი „იჩჯე მემედი“ მწერლის შემოქმედებითი ნიჭის ნამდვილი გამაჩვენება იყო. ეს რომანი გამოვიდა 1955 წელს. ამავე წელს ეს წიგნი ირჯერ გამოიცა თურქეთში, რაც არც თუ ისე ხშირი მოვლენაა. თურქული გაზეთები სწერენ რომ თურქეთის სოფლებში ხშირად უნახავთ უვახანებში მტკარბილი გლეხები. ისინი დამაბული გულსყუროთ ეს-რამდე რომელიმე წერაკითხვის მცოდნეა. რომელიც იმშარ ქემალის „იჩჯე მემედის“ უკმახავს მათ.

ასეთი წარმატება ამ რომანმა მოიბოვა იმითა, რომ იგი ხალხის ცხოვრებაზე დაწერილი ნაწარმოებია, სადაც სრულყოფილად, სიმართლით და მჭიმდეული მხატვრული ხერხებით ასახა დღევანდელი ანატოლიელი გლეხის ცხოვრება.

თურქეთის სოფელზე სწერდა მწერალი საბაჰათინ ალი, მაგრამ მისი გამოჩენი, რომლებიც მწარე დღეში არიან ჩეკოვოვოში უსაზარტობის გამო, მხოლოდ და მხოლოდ წუწუნებენ, ყოველ შემთხვევაში ვერ იმალევენ ხმას ამ უკვლამართობის წინააღმდეგ. ამის სააღუსტრაციოდ გამოვადგება საბაჰათინ აღის მოთხრობა „ასფალტინი გზა“, ქართული თარგმნილია ნ. ჯანაშვიას მიერ. იხ. კრებული თურქული მოთხრობებისა, სულ სხვაა ამ მხრივ, იმშარ ქემალის მემედი. იგი მთაში მიდის და იქიდან აუტეხავს ბრძოლას სოფლის გაშვეულ აბდი აღას უსამართლობისა და აზადამაწურობის გამო.

მემედი გაკვირებაში იზრდებოდა. ხშირად უუარსებია მის აბდი აღას ხელის სიმძიმე. იგი იმდენად თავმომზრებულაა აბდი აღასაგან, რომ სტოეებს თავის დედას, ვაჟბის სოფლიდან და შეეყვლება კეთილშობილ გლეხს სულეიმანს, რომელიც შემდეგში დიდ სამხატვრულ გაუწევს მემედს. მაგრამ მალე მონახავენ პატარა მემედს და აბდი აღა მის ისევ დააბრუნებს სოფელში. რომანის ავტორი თავიდანვე მიგვანიშნებს მემედის დამოორჩილებულ სულზე. იგი ვერ ვეგუბა აბდი აღას. სულისამომხედელ, მონური შრომაში გადიან დღეები, თვეები, წლები და აბდი აღამ არ იცის რომ მის თვალწინ იზრდება მისი მესაფლავე—მემედი.

მემედი ახალგაზრდაა. მის შეუძლია დიდი სიყვარული და პატიოსნური, აღამაინური შრომა, ამასთანავე იგი დამოორჩილებული ბუნების აღამაინაა. მემედი მიდის კასაბაში, სადაც შეხვდება და გაიცნობს გულლია პატრონის აღამაინს ჰასან ინაშის, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მემედის ცხოვრებაში. „მემედი ვერ იძინებდა — წერს იმშარ ქემალი, — ათასობით ფიქტები ეტოლია თქმი.

იგი ფიქრობდა იმაზე თუ რა დიდი პეუნეირება სოფელი დიარმენოლუქი ახლა მან წარმოადგინა პატარა წერტილად, ხოლო ყოვლის-შემძლე აბი ალა ჰინაშველად. იქნებ მხოლოდ ახლა შეხედა სინამდენის ნათლად? იქნებ ახლა პირველად აზროვნებს თავისუფლად? მასში გაიღვინა სიმღერის გარბობა; იგი ვაიხარდა და თავისი თავი ჩათვალა აღმამანად. „აბი იდეი კაცია და ჩვენი კაცნი ვართ“, ბურტყუნებდა იგი თავისთვის მთელი დამე და აქეთ-იქით ტრიალებდა საწოლში. აჰ, კასაბაში, პირველად შეხედა შემდეგ ცხოვრების თვალბში და სწორედ აქედან იწყება მისი სულის ფორმირება.

კასაბადან ჩამოსული შემედი გაიტაცებს პათიჯეს, თავის სატრფოს, რომელსაც ნაძალი-დევად ათხოვებდნენ აბი ალას ახლოვლ ნათესავზე. შემედს და პათიჯეს დაედევნებია. შემედი კლავს აბდის ნათესავს, დისკრის აბდის. მას უკვე აღარ შეუძლია დარჩეს სოფელში, ამიტომ გარბის მთაში „ყაჩაღად“. ნამდვილი ყაჩაღი და არამზაბა აბი ალა კი დააქირინებს პათიჯეს და ცემით სულს აიზიდს შემედის დედას, შემდეგ იგი გარბის სოფლიდან, რადგან შემედის მთაში წასვლა კარგ არას უქადის მას. შემედის პირივინების დასახსალათებლად მოვიყვანთ რომანიდან ერთ ადგილს: „მეი ყაჩაღი გავხდი არა? — გუ-ეღვი შემედს თავში, — ახლა მე მთელი სი-ციოტლუ უნდა ვიყაჩაღი“. შემედის ამ სიტყვებში მწუხარებად არის ტკბილ. მშვიდ ცხოვრებას მოწუწრებელი კაცისა და შურის-ძიების დიდი წადილიც იმ აღმინათა მიმართ, რომლებმაც მას ცხოვრება ჩაუშაბეს. შემედს სულეიმანი მიიყვანს დურდეს ბანდაში. დურ-დე ნამდვილი ყაჩაღია, მის მორალურ გაბრ-ნილებას საზღვარი არა აქვს, მისთვის სულ-ერთია თუ ვის გაძარცვს, აღამაის, რომელიც თავის მშობლიურ კერას წლობით მოიორდა, რათა ფული იშოვოს, თუ ვინმე ეპირ მი-ლოცინოს. სულ სხვაა ამ მხრივ შემედი. მან იცის ვინ გაძარცვს და რატომ. შემედი არ წაართმევს ფულს ღარიბს, იგი მზად არის მთელი თავისი სიციოტლუ გლეხის ბედნიერ-ბას შესწიროს. შემედი კეთილშობილური სუ-ლის იდამანია, მისი „ყაჩაღობა“ მხოლოდ გლეხების მტანჯველთა წინააღმდეგაა მიმარ-თული: იგი იმდიდარს ართმევს და ღარიბს

აძლევს“. ამიტომაც უმღერია მას გლეხობამ „დესტანებზე“ (ბალხური ლექსის ერთი სა-ხეობა). აქ შემედიც შემედისა და ქართვე-ლი ბალხის საყვარელი გმირის არსენას შორის პარალელის გაკლება. შემედი თუ შეიძლება ასე ითქვას, ანატოლიელი გლეხობის მეოცე სიუ-ეტნის არსენაა.

შემედი შურისძიების გრძობითაა შეპყრო-ბილი აბი ალასადმი. ერთ დღეს თავს დაეს-ხმება სოფლიდან გაქცეულ აბი ალას სამ-ყოფელს, მაგრამ მოხუცი ხელიდან გაუსლ-ტება, შემედი გამოსტაცებს პოლიციას თავის სატრფოს და მიჰყავს იგი მთაში, სადაც მათ შეეძინებდა პატარა ბიჭუნა. მრავალ თე-დასხმას იგერიებს აქ შემედი. ერთერთ თავ-დასხმის დროს დაედუბება მეუღლე პათიჯე-ამის შემდეგ აღარაფერი დარჩენია მას ქვე-ყანაზე გარდა ერთისა, ეს არის აბი ალაზე შურისძიება და მაშინ როცა იგი სულს ამოხ-დის მზავიარ მოხუცს, თითქოს შეუძლია უკვე იცხოვროს თავისუფლად სოფელში, ამ-ნისტიის წყალობით, მაგრამ შემედი იცის, რომ კიდევ გამოჩნდება აბი ალას მსგავსი აღამაინი, რომელიც აგრეთვე ვასტანჯავს გლე-ხობას და ამიტომ იგი ისევ უბრუნდება მთებს, არწივთა და ვაყავთა საბუდარს. ამით შემედი პირადულ გრძობებზე მალა დგება, მისი ფიქრი გატანჯულ, გაწამებულ გლეხობას დასტრიალებს თავს.

თურქი გლეხების კოლორიტული სახეების გამოიერწევაში ავტორის დიდი სამსახური ვაუ-წია იმან რომ მან აღწერა თავისი მშობლიუ-რი კუთხის — ჩეკეროვის გლეხთა ცხოვრება, სულეიმანის, პურიუს, კოკლი ალის, დონეს, ქერიმ ოლლუს და სხვათა სახეებში დახატუ-ლია თურქი გლეხის როგორც დადებითი ისე უარყოფითი თვისებები.

ჩვენ რასაკვირვებია შორსა ვართ იმ აზრი-სგან რომ შემედი რევოლუციონერად ჩავთვა-ლოთ ან იაშარ ქემლი გამოიაცხადოთ რევო-ლუციონერ მწერლად. რასაკვირვებია, არა ამის საბუთს ჩვენ არ გვაძლევს ნაწარმოები. მაგრამ მწერალი გვიხატავს იმ წინააღმდეგო-ბებს, რომელიც არსებობდა 30-იანი წლების თურქეთის სოფელში, ამდენად ეს რომანი სიმართლის მსახველი რეალისტური ნაწარ-მოებია და ამავე დროს იგი დიდებული პიზნა-ბალხის საყვარელ გმირზე.

# ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა საბარათელო“



- პოლიტიკური ეკონომია. სახელმძღვანელო. თარგმანი მესამე რუსული გამოცემიდან და შეესებნება გამოცემიდან. რედ. ს. იწყვირევი, გვ. 882, ფასი 11 მან. 35 კაბ.
- ნ. გიორგაძე — კომპოზიტორსა და პედაგოგის უნივერსიტეტის გამომხრდა, რედ. დ. გეგენაძე, გვ. 27, ფასი 45 კაბ.
- დ. ძაგნიძე — ეტიმოლოგიის შემცველობა სიმინდსა და სხვა მცენარეებში, რედ. მ. შუბლაძე, გვ. 53, ფასი 90 კაბ.

## გამომცემლობა „ნაკადული“

- აკაკი წერეთელი — „უწყვილი და პეპელა“, რედ. ჭ. ნადირაძე, გვ. 11, ფასი 1 მან. 50 კაბ.
- მ. გრიშაშვილი — „ჩემი თბილისი“, რედ. ვ. გვეტაძე, გვ. 71, ფასი 1 მან. 30 კაბ.
- ხ. სმირნოვი — „წინ არის ზღელი სიცოცხლე“, რედ. გ. კაჭახიძე, გვ. 85, ფასი 1 მან. 50 კაბ.
- თ. დობთრეცკი — დამკვირვებელი და შეურაცხყოფილი, თარგმანი ნიკო ქუჩუკაშვილისა, რედ. ნ. კალანდარიშვილი, მ. გორგაძე, გვ. 457, ფასი 10 მან. 60 კაბ.
- ქობაძევილი — ქართული ხალხური ზღაპრები რედ. ჭ. ნადირაძე, გვ. 13, ფასი 2 მან.
- მუსთაი ქარაი — ძაბილი უჩალოდანი, რედ. გ. კაჭახიძე, გვ. 83, ფასი 1 მან. 20 კაბ.
- ლილიანა სტრუანოვა — როდობის მთებში გაზაფხულია, რედ. გ. კაჭახიძე, გვ. 60, ფასი 60 კაბ.
- გიორგი ლომიძე — ომის გზებზე, რედ. ნ. ლორთქიფანიძე, გვ. 97, ფასი 1 მან. 80 კაბ.
- ა. გეგაძე — ჩვენი გულუბის სითბო, რედ. ვ. კაჭახიძე, გვ. 81, ფასი 1 მან. 30 კაბ.
- ა. ისააკოვი — დეიდა პელოს ტყე, რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, თარგმანი ნ. აგიაშვილისა, გვ. 48, ფასი 50 კაბ.
- ე. დიდიმამიშვილი — გვიხმამას კაცამა ზაფხული, რედ. მ. გორგაძე, გვ. 28, ფასი 40 კაბ.
- დ. მრეღალაშვილი — ოქროს შაქიბელი, რედ. ელ. გოგოლაშვილი, გვ. 73, ფასი 1 მან. 40 კაბ.
- ო. კახილი — თეთრი დედოფლის სულა, თარგ. მ. შელიასი, რედ. ნ. აგიაშვილი, გვ. 221, ფასი 5 მან. 50 კაბ.
- წინა მარწმელები — საზღვარგარეთის პროგრესულ მწერალთა მოთხრობები შემდგენელი ქ. ქუჩუკაშვილი, რედ. ნ. ჩიჩაძე, გვ. 388, ფასი 12 მან.

## გამომცემლობა „ცოდნა“

- ს. ს. ფურცლაძე — რუსული ენა მე-6 კლ. რედ. ო. ლაბაძე, გვ. 204, ფასი 2 მან. 25.
- მ. იაშვილი, ნ. კვიციანი — არითმეტიკა 11 კლ. რედ. დ. ბერიძე, გვ. 152, ფასი 1 მან. 45 კაბ.
- ალ. ჯავახიშვილი — საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია, მე-7 კლ. რედ. დ. სალუქიაძე, გვ. 152, ფასი 1 მან. 65 კაბ.
- ნ. ბარამიძე, ი. სიხარულიძე — მშობლიური ლიტერატურა, მე-6 კლასი, რედ. დ. ბერიძე, გვ. 224, ფასი 2 მან. 30 კაბ.
- გუზი და სხვ. — გერმანული ენა, მე-9 კლ. რედ. მ. მუნთაშვილი, გვ. 152, ფასი 1 მან. 90 კაბ.
- ვ. დეგურია და სხვ. — რუსული ლიტერატურა, მე-9 კლ. რედ. ო. ლაბაძე, გვ. 180, ფასი 1 მან. 30 კაბ.
- კ. სტროვი — საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, მე-7 კლ. რედ. დ. სალუქიაძე, გვ. 248, ფასი 5 მან. 45 კაბ.
- ელ. გავა — ბავშვთა შრომათი პოლიტექნიკური აღზრდა ოჯახში, რედ. ი. დადიანი, გვ. 80, ფასი 1 მან. 20 კაბ.
- შ. ავალიანი — ლენინის ტექნოლოგია, რედ. პროფ. ვ. ბერიძე, გვ. 424, ფასი 8 მან. 45 კაბ.
- ნ. მანუილოვა — ჰისტოლოგია ემბრიოლოგიის საფუძვლებით, რედ. ლ. ნათაძე, გვ. 332, ფასი 7 მან. 10 კაბ.
- კლ. თევზაძე, ს. ჯიქია — ქართული ენა აზერბაიჯანულ სკოლებისათვის, მე-5 კლ. რედ. ე. გელაშვილი, გვ. 148, ფასი 1 მან. 60 კაბ.
- ა. ბერეშკინი — ფიზიკის კურსი 1 ნაწილი, მე-8 კლ. თარგმანი დ. დეკანოზიშვილისა, რედ. დ. ბერიძე, გვ. 192, ფასი 2 მან.
- ა. შანიძე — ქართული ენის გრამატიკა, მე-6 კლ. რედ. ე. გელაშვილი, გვ. 128, ფასი 1 მან. 40 კაბ.



ფანო 8 ა.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО  
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САВЧოთა საკართველო»